

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

6757  
1990

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

3. 1990

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ენისა და ლიტერატურის სერია, 1988, № 3



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

3. 1990

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: გ. ციციშვილი (რედაქტორი),  
ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, ა. გვაზარია (რედაქტორის მოადგილე),  
ვ. თოფურია, ს. ცაიშვილი, ბ. ჯორბენაძე (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),  
Алексидзе З. Н., Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (зам. редактора),  
Джорбенадзе В. А. (зам. редактора), Топурия Г. В., Цайшвили С. С.  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შიდა“, ენისა და ლიტერატურის სერია.  
1990, № 3

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაცემა წარმოებას 16. VII. 90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.X.90;  
ანაწყოების ზომა 7×12<sup>3</sup>/<sub>4</sub>; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭედი;  
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.0; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.0;  
ტირაჟი 1500; შეკვეთა 1885; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Медицина», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ვ. ახარიაშვილი, სანდრო შანშიაშვილის ლირიკა . . . . .	5
თ. იაშვილი, სერგო კლდიაშვილის ადრინდელი პროზა . . . . .	21
ლ. სანაძე, 1879 წლის მარტის „შინაური მიმოხილვის“ ატრიბუციისათვის . . . . .	33
მ. შამილიშვილი, აკარა და ქართველი საზოგადო მოღვაწენი . . . . .	40
დ. ბუაჩიძე, ქართულ-ლიტერული ლიტერატურული ურთიერთობების სათავეებთან . . . . .	55
ლ. ჭუმბურიძე, არჩილ ბაგრატიონი და ქართული მესიანისტური ტრადიცია . . . . .	62
ი. კიკნაძე, ავტორისეული მეტყველების ზოგი საკითხი XIX ს. შუა წლების ქართულ დრამატურგიაში — რემარკა . . . . .	69
გ. ჩხაიძე, გრძნობადი სინამდვილის ასახვა სახარებასა და მარტივოლოგიური ჟანრის ქართულ პავიოგრაფიულ ძეგლებში . . . . .	86
ვ. კოლონია, აფხაზური საკულტო-მითოლოგიური სიმღერები . . . . .	99
ბ. ცხადაძე, წელის ხმაურობის გამოხატვასთან დაკავშირებული ზოგი ლექსემა ქართულსა და მეგრულ-ჭანურში . . . . .	108
ი. ვაშაკიძე, მყოფადის ხოლმეობითის ფუნქციები თანამედროვე ქართულში . . . . .	113
ნ. მეტრეველი, მსაზღვრელ-საზღვრულიანი შესიტყვება-ტერმინების ძირითადი ტიპები „დიდი სჯულისკანონის“ მასალის მიხედვით . . . . .	124
ნ. ჭუმბურიძე, ქონების რთულსუფიქსიანი ზოგი სახელის ეტიმოლოგიისათვის . . . . .	131
მ. შონია, არამშობლიური ენის სწავლების აღმზრდელობითი ასპექტები . . . . .	136

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კ. დანელია, ახალი მასალები XII საუკუნის სამწერლობო ქართულის ისტორიისათვის . . . . .	149
ი. ზიცარი, თ. გვასალია, კ. ულენბეგისა და ლ. მიჩელენას ბასკური სიტყვა ILARGI „მთვარე“-სადმი მიდგომის კრიტიკული ანალიზი . . . . .	155

## СОДЕРЖАНИЕ

### Статьи

В. М. Азаришвили, Лирика Сандро Шаншиашвили . . . . .	5
Т. Р. Яшвили, Символизм в раннем творчестве Серго Клдашвили . . . . .	21
Л. Г. Санадзе, Об атрибуции «Внутреннего обозрения», опубликованного в журнале «Иверия» в марте 1879 года . . . . .	33
М. А. Шамилишвили, Вопросы истории Ачарии в грузинской журналистике XIX века . . . . .	40
Д. О. Буачидзе, У истоков грузино-литовских литературных взаимосвязей . . . . .	55
Л. А. Чумбуридзе, Арчил Багратиони и грузинская мессинская традиция . . . . .	62
И. Г. Кикинадзе, Некоторые вопросы авторской речи в среднем периоде драматургии XIX века (ремарка) . . . . .	69
Г. А. Чхaidзе, Отражение чувственной действительности в евангелии и в памятниках грузинской агнографической литературы мартирологического жанра . . . . .	86
В. А. Когониа, Абхазские культово-мифологические песни . . . . .	99
Б. А. Цхададзе, О некоторых грузинских и мегрело-чанских лексемах, передающих шум воды (журчание) . . . . .	108
И. В. Вашакидзе, Функции прошедшего многократного действия в современном грузинском языке . . . . .	113
Н. В. Метревели, Основные типы терминологического словосочетания: определяемое с определяющим словом в «Великом Номоканоне» . . . . .	124
Н. З. Чумбуридзе, Этимологический анализ некоторых имен обладания со сложными суффиксами . . . . .	131
М. Б. Шония, Воспитательные аспекты преподавания неродного языка . . . . .	136

### Критика и библиография

К. Д. Дanelia, Новые материалы к истории литературного грузинского языка XII в. . . . .	149
Ю. В. Зыцарь, Т. Л. Гвасалия, Критический анализ этимологических подходов К. К. Уленбека и Л. Мичелены к баск. Pargi «луна» . . . . .	155

ვ ლ ა დ ი მ ე რ ა ზ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი

ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ის ლ ი რ ი კ ა

ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი X X სა უ კ უ ნ ის ქ ა რ თ უ ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ის ე რ თ - ე რ თ ი ფ უ ჯ მ დ ე ბ ე ლ ი ა . მ ა ნ ქ ა რ თ უ ლ ი კ ლ ა ს ი კ უ რ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ის მ დ ი დ ა რ ი მ ე მ კ ვ ი - დ რ ე ო ბ ა შ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ი თ ა დ ა ი თ ვ ის ა და უ მ ნ ი შ ვ ე ნ ლ ო ვ ა ნ ე ს ი რ ო ლ ი შ ე ა ს რ უ ლ ა ქ ა რ თ უ ლ ი პ ო ე ტ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ის ს ა ქ მ ე შ ი .

ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ მ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ის გ რ ძ ე ლ ი და ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო გ ზ ა გ ა ნ ვ ლ ო , ბ ე ვ რ ი რ ა მ ნ ა ხ ა და გ ა ნ ი ც ა დ ა . მ ის ლ ე ქ ს ე ბ შ ი , ს ა ე რ თ ო დ , მ დ ი დ ა რ შ ე მ ო კ მ ე დ ე - ბ ა შ ი , თ ა ვ ის ე ბ უ რ ი ა ს ა ხ ე ვ ა პ ო ვ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ის ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი მ ო მ ხ დ ა რ მ ა ყ ვ ე ლ ა მ ნ ი შ ვ ე ნ ლ ო ვ ა ნ მ ა მ ო ვ ლ ე ნ ა მ .

82951

ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი მ ა შ ი ნ გ ა მ ო დ ის ს ა მ წ ე რ ლ ო ს ა რ ბ ი ე ლ ზ ე , რ ო ც ა გ ე რ კ ი დ ე ვ არ წ ა ს უ ლ ა ნ და ქ ა რ თ უ ლ ი პ ო ე ზ ი ის ც ა ზ ე კ ა შ ვ ა შ ა ვ არ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ა დ ა ნ თ ი - ა ნ X I X სა უ კ უ ნ ის ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა მ ო ც ი ა ნ ე ლ ბ ი : ი ლ ი ა ქ ა ვ ე ჯ ა ვ ა დ ე , ა კ ა კ ი წ ე რ ე - თ ე ლ ი , ვ ე ა - ფ შ ვ ე ლ ა : მ ე ო რ ე მ ხ რ ი ვ , რ ო ც ა ქ ა რ თ უ ლ მ წ ე რ ლ ო ბ ა შ ი შ ე მ ო დ ი ა ნ ა ხ ა ლ ი თ ა ო ბ ის ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი : ი . გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი , გ . ტ ა ბ ი ძ ე , ა ლ . ა ბ ა შ ე ლ ი , გ . ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი , კ . მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი , ნ . ჩ ხ ი ვ ა ძ ე , ჯ . ლ ო მ თ ა თ ი ძ ე , ლ . ქ ი - ა ჩ ე ლ ი , ნ . ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე , მ . ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , კ . გ ა მ ს ა ხ ბ რ დ ი ა და ს ხ ე .

რ ე ვ ო ლ უ ც ი ის ს უ ლ ის კ ვ ე თ ე ბ ი ა ნ თ ე ბ უ ლ ი ე ს ა ხ ა ლ ი თ ა ო ბ ა გ უ ლ წ რ ფ ე - ლ ა დ მ ი ე ს ა ლ მ ე ბ ა ქ ე ვ ე ნ ის მ ო მ ა ვ ლ ის ა თ ვ ის ბ რ ძ ო ლ ა ს , რ ა დ გ ა ნ მ ა ს შ ი დ ა ი ნ ა ხ ა ე ს არ ს ე ბ უ ლ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ის დ ა მ ა ნ გ რ ე ვ ე ლ ი , უ კ უ ლ მ ა რ თ ი ს ო ც ი ა ლ უ რ - პ ო ლ ი ტ ი კ უ - რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ის შ ე მ ც ვ ე ლ ე ლ ი , უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა ზ ე დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ის გ არ - დ ა მ ქ მ ნ ე ლ ი ძ ა ლ ა .

ა ს ე თ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ა დ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ სა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს ი ტ უ ა - ც ი ა შ ი ს ა მ წ ე რ ლ ო ა ს პ ა რ ე ზ ე გ ა მ ო დ ის ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი , რ ო მ ე ლ მ ა ც , ი რ წ მ უ ნ ა რ ა მ რ ა ვ ა ლ ტ ა ნ გ უ ლ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ქ ე ვ ე ნ ის თ ა ვ ის უ ფ ლ ე ბ ის ა და დ ა მ ო - უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ის ა თ ვ ის ბ რ ძ ო ლ ა , მ ა შ ი ნ ე ვ ა ი ტ ა ც ა რ ე ვ ო ლ უ ც ი ის ი დ ე ე ბ ი და ა ქ - ტ ი უ რ მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა რ ი გ ე ბ შ ი ჩ ა დ გ ა .

მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ რ ე ვ ო ლ უ ც ი ის დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ის ა და ე ბ ო ქ ის მ რ ა ვ ა ლ მ ხ რ ი ვ წ ი ნ - ა ლ მ დ ე გ ო ბ რ ი ვ ი ხ ა ს ი ა თ ის ა , რ ა ც გ ა მ ო ი ხ ა ტ ე ბ ა რ ე ა ქ ც კ ი ის მ ძ ვ ი ნ ვ ა რ ე ხ ა ნ ა შ ი რ ე - ვ ო ლ უ ც ი უ რ ა დ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი მ ა ს ე ბ ის , გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ შ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ი თ ი ინ ტ ე - ლ ი გ ე ნ ც ი ის , ს ა ს ტ ი კ დ ე ვ ე ნ ა - შ ე ე ვ ი წ რ ო ე ბ ა შ ი , ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ის არ უ ლ ა ლ - ტ ი ა თ ა ვ ის ი რ წ მ ე ნ ის ა თ ვ ის : ი ვ ი ზ ო გ გ ე რ თ უ ს ე ვ დ ი ა ნ ხ მ ა ზ ე მ ო თ ქ ე ვ ა მ ა დ ა , რ ა ც გ ა ნ ა ბ რ ო ბ ე ბ უ ლ ი ი ყ ო ი მ დ რ ო ი ნ დ ე ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი თ , ხ ა ნ ა ც ქ მ ნ ი დ ა და ა ქ ვ ე ყ ე ნ ბ - და ბ რ ძ ო ლ ის პ ა თ ო ს ი თ გ ა მ ს ჭ ვ ა ლ უ ლ ნ ა წ ა რ მ ო ვ ე ბ ე ბ ს .

ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ის დ ა მ ს ა ხ ბ რ ე ბ ა ქ ა რ თ უ ლ ი პ ო ე ტ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი ფ რ ი ა დ თ ე ლ ს ა ჩ ი ნ ო ა ; გ ვ ხ ი ბ ლ ა ვ ს და მ ო წ ი ნ ე ბ ის გ რ ძ მ ო ბ ა ს ი წ ვ ე ვ ს მ ის შ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ი თ ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა და მ ა ლ ა ლ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ო ბ ა .

ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ის მ ი გ რ შ ე ქ მ ნ ი ლ ი მ რ ა ვ ა ლ ი ნ ო ვ ა ც ი ის შ ე მ ც ვ ე ლ ი ლ ი რ ი კ ის ნ ი მ უ შ ე ბ ი ქ ა რ თ უ ლ ი პ ო ე ზ ი ის ძ ა ლ ზ ე ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო შ ე ნ ა ძ ე ნ ი ა .

პ ო ე ტ ს ი მ თ ა ვ ი თ ვ ე უ ხ ვ ა დ პ ო ნ დ ა მ ო მ ა დ ლ ე ბ უ ლ ი უ ნ ა რ ი , თ ა ვ ის ლ ი რ ი კ უ ლ ლ ე ქ ს ე ბ შ ი შ ე ე ტ ა ნ ა ის შ ი ნ ა ვ ა ნ ი მ უ ხ ტ ი , რ ო მ ლ ი თ ა ც მ კ ი თ ხ ე ლ სა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს ა დ ვ ი ლ ა დ დ ა ი ზ ყ რ ო ბ დ ა , ღ რ მ ა დ დ ა ა ფ ი ქ რ ე ბ დ ა , მ ა ს ზ ე ც ხ ო ვ ე ლ მ ყ ო ფ ე ლ ზ ე გ ა - ვ ლ ე ნ ა ს მ ო ა ხ დ ე ნ დ ა , ს ა ს უ რ ვ ე ლ ე მ ო ც ი ე ბ ს ა ლ დ რ ა ვ დ ა , ს ა მ შ ო ბ ლ ო ქ ე ვ ე ნ ის

ს ა პ ა რ თ ვ ე ლ ო ს  
ს . . . . .  
ბ ი ბ ლ ი ო თ ი კ ა

მტრებისადმი ზიზლსა და სიძულვილს გაუღვივებდა, შურისგების აღნათებდა, ბრძოლის წადილს გაუჩაღებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სანდრო შანშიაშვილი საქართველოში ლიბის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად ითვლება და სიმბოლისტ პოეტებთან, „ციცფერყანწლებთან“ მეგობრობდა, იგი ორთოდოქსი სიმბოლისტი არასოდეს ყოფილა. მისი ცალკეული სიმბოლისტური ცდები ლირიკაში ახალგაზრდა პოეტის ახალმოდურ გატაცებას, ერთგვარ ხარკის გაღებას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში პირველი სიმბოლისტური პოემის და დრამის შემოქმედანიც, აგრეთვე, სანდრო შანშიაშვილია.

სანდრო შანშიაშვილის დამსახურებაა, აგრეთვე, საქართველოში ბალადის ქანრის საფუძვლის განმტკიცება. მან ქართული ბალადის ქანრი განვითარების უმაღლეს დონემდე აიყვანა და ქართული მწერლობა ბალადის უაღრესად მრავალფეროვანი და საინტერესო ნიმუშებით გაამდიდრა.

უდავოდ თვალსაჩინოა ს. შანშიაშვილის წვლილი XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლექსის განახლება-სრულყოფის საქმეში.

რა თემას, რა მოტივს, რა პრობლემასაც არ უნდა ამუშავებდეს ს. შანშიაშვილი, ნათელი და გამოკვეთილია მისი პოზიცია, მდიდარი და მრავალფეროვანია მისი გამომსახველობითი ხერხები, ელვარე და შთამბეჭდავია მისი მხატვრული სახეები, ბრძნული და დარბაისლურია მისი სიტყვა, ნაირ-ნაირია მისი ლექსის რიტმი და კონსტრუქციები, სადა, დახვეწილი და ბროლივით გამჭვირვალეა მისი სტილი.

ს. შანშიაშვილს მწერლობა თავიდანვე მიაჩნია მშრომელი ხალხის სულიერი აღზრდის იარაღად, ესაა მისი ჭეშმარიტი შემოქმედებითი მრწამსი, რაც მან მემკვიდრეობით მიიღო, როგორც გასული საუკუნის სამოციანელების, ისე თავისი უფროსი თანამედროვეებისაგან.

ლიტერატურული მემკვიდრეობა (ლირიკა, ეპოსი, დრამატურგია, პროზა), რომელიც ს. შანშიაშვილმა დაგვიტოვა, საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, მოითხოვს ღრმა და საფუძვლიან შესწავლას, ახალი კრიტერიუმებით მიდგომას, იმის დადგენას, თუ მათი ავტორი რა ადგილს იკავებს ქართულ მწერლობაში.

1904 წელს დასტამბული წიგნი „ბალი სევდისა“ ს. შანშიაშვილის ყრმობისდროინდელი ლექსების პირველი კრებულია. ეს კრებული, რომელშიც ოციოდე ლექსია მოთავსებული, მისი პირველი პუბლიკაციაა. თუ რა ხასიათისაა მასში შემავალი ლირიკული ნაწარმოებები, ამაზე თვით ლექსთა სათაურებიც ნათლად მეტყველებს: „სევდის ბალში“, „ჩემი ზამბახი“, „დასტკანა სუმბული“, „წყარო“, „საბრალო ვარდი“, „ვარდი და სუმბული“, „ია“, „წითელი ვარდი“, „მე და სუმბული“, „სონეტი“, „იამ მახარა“, „ნარგიზი“, „შემოდგომა“ და სხვ.

სათაურების მიხედვით, აქ თითქოს ყვავილმცენარეთა ბუნებაა ლექსად ამეტყველებული, რაც, რა თქმა უნდა, ბუნების დიდი მკონების — ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის შემდეგ — არ გავციკვრდება.

16 წლის ყმაწვილ ს. შანშიაშვილის მიერ დაწერილ ამ ლექსებში აშკარად ჩანს, რომ მათი ავტორი ორიგინალური შემოქმედებითი კრედოს ჩამოყალიბების, საკუთარი სტილისა და მანერის გამომუშავების პროცესშია, მაგრამ, ამავე დროს, იგი ჯერ კიდევ მდიდარი ქართული კლასიკური მწერლობის მიმართ, ეპიკონურ, შევირდულ მდგომარეობაშია. ამას გვაფიქრებინებს ს. შანშიაშვილის მიერ აღნიშნული წიგნის „ბალი სევდისას“ გარეკანზე მოთავსებული ეპიგრაფები, რუსთაველის, თეიმურაზ I-ის, ბესიკისა და ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებიდან. ეპიგრაფად მოყვანილი სტრიქონები იმაზე მიგვი-



თითებს, თუ რომელი წყაროებიდან იღებს სათავეს ს. შანშიაშვილის ყრმობისდროინდელი ლექსები.



პირველივე ლექსში ვკითხულობთ:

სევდის ბაღში აღვიზარდე,  
წყარომ ნანა მიგალობა...

ეს სევდის ბაღი, პოეტის მშობლიური ქვეყანა, გარემომცველი სამყარო კი არაა, სადაც პოეტი სინამდვილეში აღიზარდა, არამედ—სევდიანი მოტივებით აღსავსე ქართული კლასიკური მწერლობა, რომელსაც პოეტი სიყრმედანვე ეზიარა.

ს. შანშიაშვილის „სევდის ბაღში“ ყველა კეთილშობილი ყვავილია თავმოყრილი თავიანთი დამატობელი სურნელით, მაგრამ ეს ყვავილები საზეიმო, სასიხარულო განწყობილებებს როდი იწვევენ, პირიქით, მათი არსებითი თვისება სევდა, წუხილი, ცრემლებია.

ავტორის გააზრებით, როცა სტიქიური მოვლენები ცას ბნელს მოჰფენენ და სულს ამწუხარებენ, სუმბული თუ სხვა ყვავილები თრთიან, მოთქვამენ, ცრემლებს აფრქვევენ.

მართალია, პოეტი ყვავილების შესახებ მოგვითხრობს, მაგრამ წარმოდგენილი საგნები ალეგორიული ხატებია და მათში რეალური ცხოვრების მძიმე, აუტანელი ვითარებაა ნაგულისხმევი.

ზემოსენებული ლექსების თავისებურ გასაღებს, ერთგვარ აპოთეოზს წარმოადგენს „შემოდგომა“. აქ წარმოდგენილ შემოდგომის სურათში ბუნების საგნები, მოვლენები მოწყენილნი არიან, რაც გამოწვეულია პოეტის განცხადებით: „გრიგალია მთებში“... ეს გრიგალი, როგორც ვიცით, ნგრევის, რბევის, რევოლუციის სიმბოლიკაა, ამიტომ ეს ლექსი მოახლოებულ 1905 წლის რევოლუციის წინაგანცდიტაა დაწერილი; პოეტი მომავალი რევოლუციის შესახებ ალეგორიებით მიგვანიშნებს. ამას გარდა, ეს ლექსი ყურადღებას იპყრობს ვერსიფიკაციულ-მხატვრული თავისებურებებით, ფორმისა და შინაარსის, აზრისა და გრძნობის შერწყმა-შეზავებით. მეტაფორები — „სევდით სავსე წვიმა“, „სოსანი მწარედ სტირს“, „სიცვა მდელს“, „მისცემია ველი ძილს“, „ცრემლები სცივია ხეს“ — მიიჩნევა ახალგაზრდა პოეტის ახალ, ცოცხალ ხედვად, გარემო სამყაროს უსულო საგნების ფანტაზიურებულ, ცოცხალ მსოფლმეგრძნობად, ნოვაციებად.

მართებულად აღნიშნავს გიორგი ციციშვილი: „სანდრო შანშიაშვილის პოეტური შემოქმედება სევდანარევი ღიღინით დაიწყო. იგი თავის თავს მწუხარე პოეტს უწოდებდა, ეს ცრემლნარევი ხმა ქვეყნისა და ხალხის ბეჩავი ყოფის წარმონაქმნია“<sup>1</sup>.

მართლაც, ს. შანშიაშვილის ყრმობისდროინდელ ლექსებში ჭარბად გვხვდება სევდა-წუხილი, უიმედო, გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნის მოტივები.

მისი ეს სევდა არაა არც ბაირონის „მსოფლიო სევდა“, არც 1832 წლის შეთქმულების კრახით, „სამკვიდროს დაკარგვით“ გამოწვეული მწუხარება, ქართველ რომანტიკოსებს რომ უგმირავდა გულს; ესაა ს. შანშიაშვილის სევდა, რომელიც მექანიკურად კი არ არის გადმოღებული უცხოური, ან ქართული კლასიკიდან, არამედ ორგანულად განცდილი და ნაკარნახევია იმდროინდელი ცხოვრების უპერსპექტივობით, უიმედო ყოფით და, რაც მთავარია, სამშობლო ქვეყნის მწუხარე სინამდვილით.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ს. შანშიაშვილის პირველი წიგნი „ბალი

<sup>1</sup> გ. ციციშვილი, სანდრო შანშიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1962, გვ. 46.

სევდისა“, როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე მხატვრულ-ესთეტიკურ თვალსაზრისით, ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებით ნასაზრდო-ები წიგნია; ამასთანავე, ეროვნულ პოეზიის ტრადიციებსაც აგრძელებს სიახლის შემოტანის ცდასაც წარმოადგენს<sup>2</sup>.

1905 წლით დათარიღებული ს. შანშიაშვილის ერთ-ერთი ლექსი „რომ შევსწრებოდი“ მეტად საგულისხმო კონცეფციას შეიცავს, თანაც საინტერესოა თავისი სპეციფიკური გარეგნული კონსტრუქციით, კომპოზიციით, რომელიც უთუოდ სონეტის სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს.

რომ შევსწრებოდი მე ოქროს ხანას,  
სხვაგვარს ვისმენდი დედისგან ნანას...

ამ განცხადების შემდეგ პოეტი გვიმხელს თავის მიძიმე, სულეერ ტკივილებს:

დღეს დავრჩი მხოლოდ ვიწრო თაღებში,  
ყრმის ალტაცებით ვნების ტალღებში,  
უმიზნო ცრემლით სევდის ბაღებში.

ამის შემდგომ პოეტი ვარაუდს გამოთქვამს:

რომ შევსწრებოდი მე ოქროს ხანას,  
შემოვირტყამდი დიდების ქამარს,  
არ შევნატრებდი შოთას და თამარს.

ბუნებრივია, პოეტი აქ იმას გვაუწყებს, რომ თუ შევსწრებოდა თამარის დროინდელ საქართველოს „ოქროს ხანას“, იგი შემოირტყამდა დიდების ქამარს, ანუ მითოლოგიურ „კიბრიდას ქამარს“, რაც თავისთავად დიდების შარავანდედს გულისხმობს და, რაც მთავარია, არ შენატრებდა შოთას და თამარს, ხოლო რაკილა პოეტი ოქროს ხანას ვერ შევსწრო, იგი შოთას და თამარს შენატრის, რადგან ისინი ცხოვრობდნენ ოქროს ხანაში. ის ოქროს ხანა კი გაპირობებული იყო სამშობლოს დამოუკიდებლობით, თავისუფლებით, ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობით. ეს იკითხება აღნიშნული ლექსის ქვეტექსტში. აი, ეს იყო პოეტის სევდიან ბაღებში გამომწყვდევის მიზეზი.

ს. შანშიაშვილი პერიოდულ პრესაში ლექსების ბეჭდვას 1905 წლიდან იწყებს. ეს არის პირველი რევოლუციის გაგანია დღეები. „სევდის ბაღში“ უსასოოდ გამომწყვდეულ, აცრემლებულ პოეტს გამოსავალ გზად და ხსნად რევოლუცია მიიჩნია.

რევოლუციის მღელვარე ტალღებმა ყმაწვილი პოეტი მაშინვე აიყოლია და თავის მეხოტბე აპოლოგეტად აქცია და მებრძოლი მწერლების რიგებში ჩააყენა.

1905 წელს გამოქვეყნებულ ლექსთაგან ჩვენს ყურადღებას იქცევს ს. შანშიაშვილის „სულ წინ ისწრაფე“.

ეს ორსტროფიანი ლექსი, ჩვეულებრივი, ხალხურის მსგავსი, ტრადიციული ლექსია, მაგრამ საინტერესოა შინაგანი არსით და აზრობრივი სიცხოვლით.

გვექმნება შეხედულება, ეს ლექსი 17 წლის ყმაწვილს კი არა, საკმაოდ ხანდაზმულ, ცხოვრებაში გამობრძმედილ პოეტს უნდა დაეწერა, რომელმაც

2 მინდა აქვე აღვნიშნო ისიც, რომ 1904 წელს გამოცემულ წიგნში „ბაღი სევდისა“ მოთავსებულ ლექსებს ს. შანშიაშვილმა შემდგომ გამოცემებში შეტანისას თარიღები შეუცვალა, ზოგს 1907, ზოგს — 1908—1909 წლები მიაწერა, რაც, ევოქრობთ, განპირობებულია პოეტის სუბიექტური მოსაზრებებით, შეიძლება, იმიტომ რომ ეს ლექსები თავინათი პესიმისტურ-სევდიანი პათოსით მიესადაგნენ პირველი რევოლუციის შემდგომ საზოგადოებაში ფეხმოდგმულ დეკადენტურ განწყობილებებს.



უმძიმესი ცხოვრების ეკლის მთაც გადმოიარა, ტკბილიც, მწარეც საკმაოდ მეტი ნახა, სევდა-წუხილიც ბევრი გადაიტანა, ბევრს ცხოვრების გზას აცდნო, თანამომქმსაც „გზის გაგნებაში უშველა“ და მრავალფეროვანი მოვლენების ასახვაც სცადა.



მაშასადამე, ეს ლექსი ს. შანშიაშვილმა თავისი მოღვაწეობის ადრე გაზაფხულზე შექმნა, მაგრამ პოეტმა თითქოს მისწრაფად განჭვრიტა თავისი მრავალი ცხოვრების მრავალფეროვანი გზაც და სახარბიელო მიზანიც:

ხმა იღუმალი მეტყოდა:  
— სულ წინ ისწრაფე, იარე!...

ამ „ხმა იღუმალით“ და წინსწრაფვის მოტივით ს. შანშიაშვილი ნ. ბარათაშვილის მეამბოხე სულისკვეთებას ენათესავება.

რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობიდან არ ვტოვებთ იმასაც, რომ ამ ლექსში ლაბარაკობს ლირიკული გმირი, რომლის სახეშიც თვით ს. შანშიაშვილის მთელი ცხოვრება ირეკლება.

1905 წლის რევოლუციის აღმავლობის ხანაში ს. შანშიაშვილი ძირითადად შემოიფარგლება მოქალაქეობრივი მოტივებით. ამ დროის მისი ლექსები — „მაისობა“, „1905“, „ჩვენს ნათელს“, „სად მიჰქრის მხედარი“, „უცნობს“, „როს ბნელი ღამე მოიცავს არეს“, „გულში ვკლავ სათქმელს“, „ამირანი“, „რომ შევსწრებოდი“, „მოდგმას გადავცემ“, „ბრძოლის სიმღერა“, „სული დანაღვლი“, „ზღვა“, „რისთვის დამიხსენა“ — აქტიური რევოლუციური სულისკვეთებითაა აღბეჭდილი.

ამავე დროს, ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსებში შეინიშნება ორი ძირითადი მკვეთრად გამოკვეთილი ნაკადის თანაარსებობა: არსებულ სინამდვილესთან შეურიგებელი, რევოლუციური ბრძოლის პათოსით ანთებული, ნათელი მომავლის იმედით გამსჭვალული ლექსები და მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით განპირობებული პესიმისტური განწყობილებების ლექსები.

ლექსში „მაისობა“ ს. შანშიაშვილი გადმოგვცემს ხალხის სამაისო გამოსვლას, საბრძოლო დარაზმულობას, ფიცის დადება-დაძმობილებას, სადაც, ბუნებრივია, პოეტს წყლულებს უამებს ხალხის დროშებით საბრძოლო გამოსვლა, რომლებიც „შრომის სუფევას ბრძოლით გვაძენობენ“; „შრომის სუფევა“ კი ჩვენი სახელოვანი სამოციანელების იდეალია. ამ ლექსშივე ჩნდება წითელი ყაყაჩოს, როგორც დროშებისა და სისხლის, სიმბოლიკა, ხოლო — „როგორც ხობობი ამოფრენილი, ეგრეც დროშები გაიშლებიან“ — ახალი სახეა და უთუო სახეობრივ სიახლედ აღიქმება.

ამჯარად ბრძოლისაკენ მოწოდებას წარმოადგენს ლექსი „1905“:

მედგარ ბრძოლისთვის ყველა აეძარი,  
გაპრიალეხს ცოი ხანჯალი,  
უნდა დაივრეს ძველი ტაძარი.

აქ ძველი ტაძარი ძველი სახელმწიფო წყობილების სიმბოლოა. შემდეგ ამავე ლექსში პათეტიკურად აცხადებს პოეტი:

ჩქარა ჩვენს მიზანს აწ ხელი ვტაცოთ,  
თავისუფლება მტერს გამოეტაცოთ!

აი, ესაა ამ ლექსის ძირითადი პათოსი, რასაც შემდეგ პოეტი კვლავ და კვლავ რეფრენის სახით რამდენიმეჯერ იმეორებს და ყურადღების მთელი აქცენტი გადააქვს სიტყვებზე:

თავისუფლება ყველას გვწურობ!  
მედგარ ბრძოლისთვის გვიხმობს გური!



ამ ლექსის თითქმის ყოველი სტრიქონი უღმობელი ბრძოლის პათოსითაა გაყენებული. პოეტი ხან მომწოდებლის როლში გვევლინება, ხანვესტის მსგავსი ნებს წინ უსწრებს და მომავალი ბრძოლების ბატალურ სურათებს ხატავს.

მიმდინარე რევოლუციის დღეებში ამბოხებულმა მასებმა ეს ლექსი გამოქვეყნებისთანავე თავიანთ საკუთარ გულისთქმად აღიქვეს და ერთგვარ „მარსელიეზად“ აღიტაცეს.

ალეგორიულ-სიმბოლური გააზრებითაა წარმოდგენილი ს. შანშიაშვილის ლექსი „ჩვენს ნათელს“:

ზედათ, ცრუ კერპი აღმართავთ ჩვენს სულში ღმერთად,  
 ჰალაა მოკვი გვიქადაგებს ცთომილსა მცნებას;  
 ჩემთან შემოკობით, დეანგროით ზეიმით ერთად,  
 ნათელ ღვთაებას მივუძღვნიდეთ სალოკავ ჭებას.

ამბოხებული პოეტი მებრძოლ თანამომხეებს „ცრუ კერპის“, ცრუ რწმენის დამხოვისა და „ნათელ ღვთაების“, ჭეშმარიტი რწმენის აღიარება-თავყვანის-ცემისაკენ მოუწოდებს, თანაც თავისთან თავის თანამომხეებს ისე მოუხმობს, თითქოსდა იგი ახალი მესია იყოს და ღალადებდეს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქუენ“<sup>3</sup>. თანაც, თითქოს კიდევ აფრთხილებდეს: „არა მოვედი მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“<sup>4</sup>.

ბუნებრივია, ამ ლექსის ღრვიანი გმირი ახალი მესიაა, რევოლუციის მესვეური, რომელიც, ბიბლიური რემინისცენციების თანახმად, აშკარად ქადაგებს ძველი სამყაროს, ძველი ცხოვრების წესების, ძველი რწმენის — ტაძრის დანგრევას და ახლის, „ნათელის“, „ცოცხალის“ მიღების მოტივს, თანაც ყრმა-ჭაბუკთაგან (ახალგაზრდა პოეტთაგან) მოითხოვს რევოლუციით მიღებული ახალი ცხოვრების შექმნას.

ალეგორიულ-სიმბოლური გააზრების რკალში შემოდის ლექსები „სად მიჰქრის მხედარი?“, „ზღვა“, „ფოთოლი ფოთოლს“.

შინაგანი დიალოგით დაწერილ ლექსში „სად მიჰქრის მხედარი?“ წარმოდგენილია გაუცხოებული გმირი, რომელიც შემდეგ გამოკვეთილი სახით წარმოგვიდგება ქართული მითოლოგიის გმირ ამირანად, რომელსაც მიზნად დაუსახავს „რძალი ზენარის“ ტყვეობიდან გამოხსნა, აქ „რძალი ზენარი“ უფლებააყრილ სამშობლო საქართველოს სახე-სიმბოლოა.

ამ ლექსის პირველწყაროა ა. წერეთლის „ამირანი“ და ვაჟა-ფშაველას „ამირანი“, აგრეთვე, პარალელები იძებნება რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირ ტარიელთან. რითაც ს. შანშიაშვილი ავლენს ქართული კლასიკის მდიდარი ტრადიციების შემოქმედებითად ათვისებას.

ს. შანშიაშვილის რეალისტური ხასიათის ლექსი „ბრძოლის სიმღერა“ ორატორული პათეტიკითაა გამსჭვალული. ბრძოლისაკენ აშკარა მოწოდებით ს. შანშიაშვილი ირ. ევდოშვილის ე. წ. „დემოკრატიული სკოლის“ პოეტად წარმოგვიდგება.

ჩვენ განვიხილეთ რევოლუციური ხასიათის ლექსების ერთი რკალი, რათა გვეჩვენებინა ს. შანშიაშვილი პირველი რევოლუციის აღმავლობის ხანაში — როგორც ქართული რევოლუციური სინამდვილის ამსახველი, რომელსაც რევოლუციის სამსხვერპლოზე მიტანილი აქვს მეტად ძვირფასი მსხვერპლი. ეს, რა თქმა უნდა, იმდროინდელ ხელისუფლებას მხედველობიდან არ გამოორჩე-

<sup>3</sup> ახალი აღთქმა იესო ქრისტესი, ტ. I, 1879, გვ. 20.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 18.

ნა და იგი კიდევაც ამ რევოლუციური ხასიათის ლექსების გამოქვეყნებისათვის მეტების ციხეში ჰყავდათ სამი თვით გამომწყვდეული.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ს. შანშიაშვილის პირველი რევოლუციის აღმავლობის ხანაში დაწერილ ლექსებში თანაარსებობს ორი ნაკადი — აქტიური, მებრძოლი, რევოლუციური და უიმედო, სევდიან-პესიმისტური, თუმცა ამ უკანასკნელშიც გამოსჭვივის მომავლის იმედი.

სევდიანობა გამოწვეულია იმით, რომ მის ისედაც დაჩაგრულ მოძმეს კვლავ ვიღაცა ჩაგრავს (ლექსი „უცნობს“), ხან კი იმითაა განპირობებული, რომ სამშობლო მხარეს ბნელი ღამე მოიცავს და ქვეყანას ვიღაცა ტანჯავს (ლექსი „როს ბნელი ღამე მოიცავს არს“).

ხან თუ რევოლუციის ქარიშხლის მძვინვარების დროს ჭეშმარიტ სათქმელს ვერ ამბობს და გულში იკლავს („გულში ვკლავ სათქმელს“), ხანაც სულიერად დანაღვლიანებულია, ვინაიდან „მებრძოლი შველას ემუდარება!“, ხოლო ამ ლექსის ფინალში აცხადებს: „მარტო შთენილს სევდა მაგლოვებს“-ო.

განხილულმა ლექსებმა ახალგაზრდა პოეტს გამოქვეყნებისთანავე პოპულარობა მოუპოვეს.

ცნობილი ქართველი კრიტიკოსი კ. აბაშიძე სტატიაში „1908 წლის სალიტერატურო მიმოხილვის მაგიერ“ აღნიშნავდა: „ყველას ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა პოეტმა ა. შანშიაშვილმა და, მე მგონია, არავეს არ ეჩოთირება თუ წარსული წლის ლიტერატურის მემატთან აღნიშნავს მის პოეზიას, როგორც ერთ სასიამოვნო მოვლენას“.

კრიტიკოსი ჩამოთვლის ქართველ კლასიკოს მწერლებს, მათს დიდ დამსახურებას ერისა და სამშობლოს წინაშე და შემდგომ დასძენს: „იგი (ს. შანშიაშვილი) მრავალგზობიერია, მას სევდაც აწვება გულს, იმედიც ხანდახან შეუქს მიაფებს, ენთუზიაზმიცა აქვს, ბუნების საიდუმლოების ყურის დაგდებაც იცის და გაგონებაც. ნუ დაივიწყებთ მის დიდებულ წინამორბედებს, ნისთვის ძალიან ძნელია სახელის მოხვეჭა, და თუ მაინც ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის სამეფოში, რომელსაც ამშვენებს ვაჟაც, შანშიაშვილმა ყურადღება მიიქცია, გწამდეთ, მას ნიჭი აქვს და ვუსურვებ ვარდითა და იით ყოფილიყოს მისი ნიჭის გზა მოფენილი“<sup>5</sup>.

1907 წლიდან იწყება რევოლუციის დაღმავლობის ხანა, მძვინვარებს რეაქცია, მიმდინარეობს დასმენა, ჩამოხრჩობა, გადასახლება, დევნა, რეპრესიები.

ამდროისათვის საზოგადოებაში ფეხს იკიდებს დეკადენტური განწყობილებები, უიმედობა, სევდა-წუხილი, დაცემულობა, პესიმისტურ-მისტიკური განწყობილებები.

მაშასადამე, ამ დროსვე ჩნდება ლიტერატურულ ცხოვრებაში სხვადასხვა ე. წ. „იზმებით“ ცნობილი მიმდინარეობები.

რა თქმა უნდა, ჩვენ იმას ვერ ვიტყვი, რომ ს. შანშიაშვილი სრულიად მოექცა დეკადენტური განწყობილებების მარწუხებში. იგი სისტემატურად კვლავ აქვეყნებს ნათელი მომავლის იმედის გამომხატველ ლექსებს, მაგრამ მაინც რეაქციის ხანაში შექმნილ მის ლექსებში სევდიან-პესიმისტური მოტივები დომინანტობს.

ლექსები: „გწამდეს, ოდესმე შურს იძიებენ“, „არაერთი მზე ჩაესვენა“, „ხალხს“, „გულს ნუ გაიტეხ“, „ვინც მისთვის ტირის“, „ნაცნობ ვარდისკენ მოგიწოდებთ“ ს. შანშიაშვილის ლირიკაში საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მოტივების შემდგომ გაგრძელებას წარმოადგენს.

<sup>5</sup> კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, თბ., 1971, გვ. 329.

„გწამდეს, ოდესმე შურს იძიებენ“ თბილისის საეკლესიო ცენტრში წერილი. ამ შინაგანი მონოლოგი დაწერილ ლექსში მძაფრად იხატება მართლად დასჯილი, გულმოკლული პოეტის შურისძიების მოტივი. ლექსში „არაერთი მზე ჩაესვენა“ პოეტი ცდილობს ნათლად წარმოსახოს რეაქციის ხანაში არსებული რეალური ცხოვრების სინამდვილე, განსაკუთრებულ ზიზღს და სიძულვილს ავლენს რეაქციონერი ჯალათების მიმართ.

ამ ლექსში იძებნება პარალელი ირ. ვედოშვილის „გველების ყორესთან“, შეინიშნება, აგრეთვე, ბიბლიის რემინისცენციები.

„გულს ნუ გაიტებს“ ფილოსოფიური გააზრების ლექსია, მასში პოეტი კი არ რეზონიერობს, არამედ მეგობრულ, გულახდილ დარიგებას იძლევა.

„ხალხს“ მიმართებით ფორმით დაწერილი ლექსია. პოეტი ხალხს ისე ესაუბრება, როგორც ცალკეულ პიროვნებას, და ამ ლექსს წითელ ზოლად გასდევს მტერთან უსასტიკესი ბრძოლის, თავგანწირვის მოტივი, ძლევის დროის აღმართვის გამაძაფრებელი სურვილი:

ისე არ მოგვადე,

არ აღმართო დროშა ძლევისა...

აღვგორიულ-სიმბოლური გააზრებით ხასიათდება ლექსი „ვინც მისთვის ტირის“, რომელშიც მოხსენიებული ლამაზი დედოფალი საქართველოს სიმბოლოა.

ეს ლექსი ა. წერეთლის „ავადმყოფს“ ეხმაურება.

აღნიშნულ ლექსებში პოეტი ზარებს არისხებს, გაფრთხილებას იძლევა, რათა თავდადებული ბრძოლით გამოხსნილ იქნეს მტერთა ტყვეობისაგან „ლამაზი დედოფალი“, მშობლიური ქვეყანა.

ამრიგად, ს. შანშიაშვილის მიერ ჩვენი საუკუნის 900-იან წლებში შექმნილი მოქალაქეობრივი ლირიკის რკალში მოთავსებული მგზნებარე პუბლიცისტური პათოსით აღბეჭდილი ლექსები ერთ-ერთი გამორჩეული ნაკადია და მათს ავტორს კანონიერად უმკვიდრებენ მეზობლი პოეტის სახელს.

რა თქმა უნდა, ამ დროის ს. შანშიაშვილის მსოფლქცრებითი ინტერესების არე ფართოა და მისი ლირიკაც გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით, სახეობრივ სიმდიდრით. ამავე დროს, არ უნდა დაგვაფიწყდეს ისიც, რომ ს. შანშიაშვილის სამოქალაქო ლირიკა თავისთავად შეიცავს და გულსხმობს პატრიოტულ მოტივებსაც, რაც მასში ორგანულად არის შერწყმული. ყველა ამ ლექსს მამულის მხურვალე სიყვარული ასულდგმულებს. პოეტის მთელი რიგი საბრძოლო მოწოდებები სამშობლო ქვეყნის თავისუფლების და დამოუკიდებლობის, მშობლიური მშრომელი ხალხის ბედნიერების მოპოვება-დამკვიდრებისათვისაა გამიზნული.

პატრიოტული ლირიკის რკალში შემოდის სამშობლოსადმი მიძღვნილი და პოეტის დაინიშნულების გამოხატველი ლექსები: „ნახვამდის“, „მგოსნის აღსარება“, „ჩემი ჩანგური“, „იგლოვეთ“, „პოეტის აჩრდილი მთაწმინდაზე“, „იროდიონ ვედოშვილს“ და სხვ.

ს. შანშიაშვილის 900-იანი წლების ინტიმურ-სატრფიალო ლირიკიდან უნდა გამოვყოთ: „ოდეს გამშორდი“, „ნამი“, „მაშინ ღამე ცისკრად ჩანდეს“, „უწინ ეცოცხობდით“, „ახალი კერპი“, „მარადიული“, „ვეშუერ, მალხენს“, „გეღის ძახილი“, „ცელქო გოგონი“, „ჯერ არ მენახე“, „ლაყვარდ სივრცეში თეთრმა გედმა გადაიარა“ და სხვ. დასახელებულ ლექსებში ასახულია წმინდა, სპეტაკი, ყოველგვარ ანგარებას მოკლებული, უზავყო სიყვარული, ამ ლექსებში წარმოსახული მგოსნის სატრფო თითქოს არამიწიერია, ციურია, ჰეროვანი ოცნებით შექმნილი. აშკარად იგრძნობა, რომ ამ ლექსებს კვებავს გასული საუკუნის კლასიკა. წინა პლანზეა წამოწეული მეოცნებე პოეტის



ესტეტიკურ-ზნეობრივი კრძნობები, ემოციური განწყობილებები. ამათგან „შევ ზღვასთან“ და „მიონა“ მითოლოგიური გააზრებით ხასიათდებიან. შემოადინებული დროის მონაკვეთში სანდრო შანშიაშვილმა შექმნა, აგრეთვე, რამდენიმე ბალადა: „ნიშნობა სოფლად“, „შველი და მონადირე“, „ცაგო მღერის შაირებს“.

„ნიშნობა სოფლად“ სოფლის ყოფითი რეალისტური სურათების ამსახველი ბალადაა; მასში ნატურალისტური სიზუსტით იხატება ხალხური ტრადიციული წეს-ჩვეულებები.

„შველი და მონადირე“ ტიპური ხალხური ბალადაა, რომელიც პაციფისტურ ელემენტს შეიცავს.

ხალხის რეალური ყოფითი ცხოვრების ამსახველი ეს სამივე ბალადა თვით ცხოვრების სინამდვილიდანაა აღებული და ნასაზრდოებია ქართული მდიდარი ფოლკლორით. აქ უნდა გავიხსენოთ ბელინსკის სიტყვები ბალადის ხალხურობის შესახებ: „ბალადა, თუ იგი ხალხურობის იერით არ ხასიათდება, ყალბია და თანაგრძნობას ვერ მოიპოვებს“.

ჩვენს ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ს. შანშიაშვილის 900-იან წლებში შექმნილი ლექსების ერთი ნაკადი, რომელიც სევედიან-პესიმიტურ რკალს განეკუთვნება და თანაც შეიცავს მოლოდინის მოტივებს, — „არავის ველი“, „როს გადავა შუალამე“ და სხვ.

ამ ლექსებიდან იმას ეტყობილობთ, რომ უფლებებით დამწუხრებული პოეტი „რალაცას“ თუ „ვილაცას“ სულმოუთქმელად მოელის; რა თქმა უნდა, პოეტს აქ ნაგულისხმევი ჰყავს მხსნელი.

ამავე პერიოდს განეკუთვნება ს. შანშიაშვილის ლექსი „ბუჩხანი“, რომელიც საეტაპო, ზღვარმდებ ლექსად მიგვაჩნია, ამ ლექსით პოეტი გვიმხელს საკუთარ, შინაგან, სულიერ ცხოვრებას, რომ მან ამქვეყნიურს, რეალურს ზურგი შეაქცია და მიაშურა მიღმურ, ირეალურ, ილუზიურ სამყაროს. რა თქმა უნდა, ესეც დროებით მოდერნისტულ გატაცებას, ერთგვარ ხარკის გაღებას წარმოადგენდა და არა ორგანულ თვისებას.

თუ 900-იანი წლების ს. შანშიაშვილის პოეტურ შემოქმედებაში სამოქალაქო თემებზე შექმნილი ლექსები ჭარბობდა, 1910-იან წლებში მისი ლირიკა ძირითადად სატრფიალო თემას ასახავს, ესენია: „რენოს სიმღერა“, „დაუვიწყარი“, „ტბას რა ვკითხო“, „არ მოსულა? როდის მოვა?“, „ციალა“, „ქალი უცხოდ მორთული“, „სატრფოს მახვილი“, „სინათლის რძალი“, „გლეხის ქალი“, „ლეილა“, „ვინ მიხმობს გარეთ“, „ძახილი შორეულთან“, „უნდა ვიხილო“, „მწყემსი გოგო“.

რიგი ამ ნაწარმოებებისა („არ მოსულა? როდის მოვა?“, „ქალი უცხოდ მორთული“, „სინათლის რძალი“, „რძალი ზენარი“, „მახსოვს შავებში“, „და არ ვიცი, ვერც გავიგებ“, „ვინ მიხმობს გარეთ“, „ძახილი შორეულთან“) ფილოსოფიური გააზრებით ხასიათდება; ლექსები: „დაუვიწყარი“ და „კახეთის დედოფალი“ წარმოდგენილია მითოლოგიურ ასპექტით; „გლეხის ქალი“, „ლეილა“, „თუშაია“ და „მწყემსი გოგო“ ფოლკლორულ ყაიდაზე შექმნილი ბალადებია; ხოლო „დაივიწყე, რაც გაწუხებს“ აშუღური პოეზიის იმიტაციას წარმოადგენს.

ს. შანშიაშვილის 1910-იანი წლების სატრფიალო ლექსებისათვის საერთო დამახასიათებელი თვისებაა ყოველგვარი ეროტიზმისაგან თავისუფალი, წმინდა, უანგარო, ამაღლებული ოცნებით შექმნილი, ღვთაებრივად ლამაზი დედოფლის თავყანისცემა. ეს ღმერთქალია მისი პოეზიის მუზა, შთამაგონებელი,



ხან სამშობლო ქვეყნის სახება, ხანაც თავისუფლების ხატება, საოცნებო მა-  
ლად გარდაქმნილი.

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ლექსის ღირსებას წარმოადგენს მისი  
ბებზე ჩვენ ამჯერად ვერ შევჩერდებით, მაგრამ მათგან არ შეიძლება არ გა-  
მოვყოთ ორი ლექსი — „სინათლის რძალი“ და „რძალი ზენარი“. ორივე ამ  
ლექსში გამხელილია პოეტის სულის შემძვრელი განცდები, უინტიმესი ემოცი-  
ები; ორივე ამ ლექსის ყოველი სტრიქონი, სახეები, მეტაფორები, თვალს-  
მომპრელად ელვარებენ; ეს ლექსები უზენაესი სატრფოს წინაშე მუხლმო-  
დრეკილი მორწმუნის ექსტაზური ლოცვის ღაღადისია. ორივე ლექსი არა  
მარტო ს. შანშიაშვილის, არამედ ქართული პოეზიის ბრწყინვალე შედეგია.

ასევე აღსანიშნავია ს. შანშიაშვილის 1910-იანი წლების ბალადები: „ლე-  
ილა“, „თუშიაი“, „მწყემსი გოგო“, „კახეთის დედოფალი“.

მართებულად აღნიშნავს გ. კალანდაძე: „... ბალადის ქანონის შემომტანად  
1910-იან წლებს ქართულ პოეზიაში ს. შანშიაშვილი უნდა მივიჩნიოთ“<sup>7</sup>.

მართლაც, ს. შანშიაშვილმა ამ დროისათვის მეტად საინტერესო ბალადე-  
ბი შექმნა. მისი ბალადები ჩვეულებრივი ლექსებისაგან იმით განსხვავდება,  
რომ ისინი რაიმე საინტერესო მოვლენის, რაიმე ცხოვრებისეული ეპიზო-  
დების შესახებ განსაკუთრებულად დაძაბული, დრამატული სიმძაფრით მო-  
გვითხრობენ.

ს. შანშიაშვილის 1910-იან წლების ლირიკაში გარკვეულ ადგილს იკა-  
ვენებს ფილოსოფიურ თემაზე შექმნილი ლექსები, ესენია: „ნავი“, „ცრემლი  
სხვადასხვაგვარი“, „ძნელად ვინმემ შეიძაგოს“, „მამ რისთვის ცოცხლობ“,  
„ვეძებ სიმშვიდეს“, „მეწისქვილე“, „უცნაურობა“ და სხვ.

ლექსი „კახეთი“ ს. შანშიაშვილის 1910-იანი წლების პატრიოტული ლი-  
რიკის გვირგვინია. მართლაც, ამ ლექსში მისი ავტორი გამოვლინდა, როგორც  
ქვეშარბიტი ეროვნული პოეტი, სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებული  
პატრიოტი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ს. შანშიაშვილმა ამ ლექსით  
ტრადიცია შეუქმნა შემდგომში გ. ლეონიძისა და ი. ნონეშვილის კახეთისად-  
მი მიძღვნილ პატრიოტულ ლექსებს.

1910-იან წლებში საკმაოდ ბევრი აქვს ს. შანშიაშვილს პოეტის, ხალხი-  
სა და ქვეყნის წინაშე მოვალეობის, საერთოდ, პოეტის დანიშნულების, გა-  
მომხატველი ლექსები. ესენია: „ჩემი ჩანგური“, „მიყვარს ცხოვრება“, „სალა-  
მური“, „არ მსურს“, „გალიაში დამწყვდეული“, „დავძახოთ ჩემო ჩანგურო“,  
„არსიანის ხის წინაშე“, „თუ რჩევას მკითხავ“ და „ჩემს შემდეგ“. თუ ამ  
ლექსებს თვალს გადავავლებთ, შევამჩნევთ, რომ პოეტი ბევრ საინტერესო,  
საგულისხმო მოსაზრებებს გვთავაზობს, რაც გვეხმარება მის ესთეტიკურ შე-  
ხედულებათა შეცნობაში.

აღნიშნულ ლექსთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსი  
„თუ რჩევას მკითხავ“, რომელიც ს. შანშიაშვილის ერთგვარ პოეტურ ტრაქ-  
ტატს წარმოადგენს. ამ ლექსში ჩამოყალიბებულია მისი ესთეტიკური მოსაზ-  
რებები.

1920-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება აღინიშნება  
დიდი ისტორიული ძვრებით, სიახლეებით, გარდაქმნებით, რთული, დაძაბული  
ვითარებით, აზრთა სხვადასხვაობით, მწვავე ქოლემიკით, რაც, რა თქმა  
უნდა, ერთგვარ შეჯიბრის სახეს ღებულობს, უკეთესი შემოქმედებითი ნიმუ-  
შების შექმნის სურვილებს ბადებს, ახალი ლიტერატურული გამომსახველო-  
ბითი საშუალებების, გზებისა და პრინციპების გამოძიების ცხოველ ინტე-  
რესს აღვივებს.

<sup>7</sup> გ. კალანდაძე, დროის მხარდამხარ, თბ., 1975, გვ. 28.



ამდროისათვის იძულებით სოფლად გაიზნული ს. შანშიაშვილი საცხოვრებლად კვლავ თბილისში გადმოდის, ჟურნალ „დროის“ რედაქციაში პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე იწყებს მუშაობას და ახალი ენერგული ახალი ენთუზიაზმით ხელს ჰკიდებს თავის სანუკვარ მხატვრულ ლიტერატურულ საქმიანობას.

მიუხედავად ეპოქის რთული, წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ამ დროისათვის ქმნის ს. შანშიაშვილი ისეთ ცნობილ პოეტურ შედეგებს, როგორცაა: „ბატონი ცილინდროსანი“, „გენეზისი“, „მუხის დაცემა ჭიურის ტყეში“, „ელექტრო არმაზი“, „დედისერთა ლენინთან“ და სხვ.

ამ დროის ლექსებში ს. შანშიაშვილი სრულიად ახალ სიტყვას ამბობს, სრულიად ახალ რეალისტურ მხატვრულ პოეტურ სამყაროს გადმოგვიშლის.

„ბატონი ცილინდროსანი“ ს. შანშიაშვილის მოდერნისტულ-სიმბოლისტური გატაცების უკანასკნელი ხარკის გაღებას წარმოადგენს. ეს ლექსი თვით ს. შანშიაშვილის „ბურანთან“ ნათესაობას ავლენს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსმა რუსი პოეტის სერგეი ესენინის ყურადღება დაიმსახურა.

ალეგორიულ-სიმბოლური ხასიათის ამ ლექსში თვით პოეტის მიძიმე ცხოვრების სურათები ირეკლება და სიკვდილისა და სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტის ურთიერთშეჭიდების მოტივებსაც შეიცავს, სადაც გამარჯვებული გამოდის სიკვდილთან სიცოცხლე, ბოროტებასთან — სიკეთე.

„გენეზისი“ და „სხვა ძეგლს ვერ გიძღვნი“ ის ლექსებია, რომლებშიც პოეტი გვიჩვენებს თავის სიამაყეს ძირძველი, ამორიგენი, სახელოვანი მშრომელი წინაპრების შესახებ.

სამოქალაქო თემაზე შექმნილი სანდრო შანშიაშვილის ლექსები: „სოფელს“, „მქედელი ზაქარო“, „მწყემსის ფარეზში“, „რთველი კახეთში“, „შენ მზიანეთის დედაქალაქო“, „ბინადარი“, „ელექტრო არმაზი“ და სხვ. ახალი ცხოვრების რეალისტურ სურათებს ხატავენ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ს. შანშიაშვილის 20-იანი წლების ლირიკაში თვალსაჩინოდ შესამჩნევია პოეტის დაინტერესება სამშობლოში მიმდინარე სიახლეებით. იგი ყოველ დიდმნიშვნელოვან მოვლენას აქტიურად, მთელი შემართებით ეხმაურება. ასეთ მოვლენად მიაჩნია მას ზემო ავჭალის პიღრო ელექტრო სადგურის აგება და სხვ.

20-იან წლებში ს. შანშიაშვილის მიერ შექმნილი ორი ლექსი — „ტიციან ტაბიძეს“ და „ვალერიან გაფრინდაშვილს“ — მიძღვნილი ლირიკის რკალს ავსებენ. ორივე ლექსში გამოვლენილია პოეტის სიყვარული და პატივისცემა მეგობარი პოეტებისადმი.

ს. შანშიაშვილის „დედისერთა ლენინთან“ ხალხში გავრცელებული, ყველაზე მეტად პოპულარული ბალადაა. აღნიშნული ბალადა მიძღვნილია სამოქალაქო ომში მოხალისედ წასულ დედისერთა ვაჟიკასა და სახლში უნუგეშოდ დარჩენილი მისი მომლოდინე მოხუცი დედისადმი. ბალადა ხასიათდება ქართულ ფოლკლორთან ორგანული სიახლოვით, ემოციურობით, შთამბეჭდაობით, ტიპურობით, მხატვრული დამაჯერებლობით.

ბალადას წითელ ზოლად გასდევს მოლოდინის მოტივი, გრ. ხერხეულიძის სიტყვით: „სანდრო შანშიაშვილის ნაწარმოებში გამოყვანილი მოხუცი ქალი გახლავთ ტიპური წარმომადგენელი ქართველი დედის ტრადიციული სახისა, რომელიც მებრძოლ მამულიშვილებს ზრდიდა, ოღონდ ქართველი ქალისთვის ისტორიას ახლა სხვა მისია დაუკისრებია“<sup>8</sup>.

<sup>8</sup> გრ. ხერხეულიძე, თანამედროვე ქართული პოეზია, თბ., 1977, გვ. 180—181.

არანაკლებ საინტერესოა ს. შანშიაშვილის ბალადები: „არსენ კორჯიაშვილი“ და „მოთას ბეჭედი“.

პირველი მიძღვნილია 1905 წლის რევოლუციის ცნობილი <sup>კარგეშვილი</sup> ~~სეჩელიძე~~ <sup>სეჩელიძე</sup> ~~კორჯიაშვილი~~ <sup>სეჩელიძე</sup> არსენა კორჯიაშვილისადმი, რომელმაც ბოში ესროლა და სიცოცხლეს გამოასალმა ხალხის საძულველი შავრაშველი გენერალი გრიგინოვი, ხოლო, მეორე — უცხოეთში გადახვეწილი მოთა რუსთაველის ცხოვრების ბოლო პერიოდს გვიხატავს. მოხუც რუსთაველს მიზნად დაუსახავს სამშობლოში დაბრუნოს პოეტთათვის გენიალური შთავგონების მიმცემი თილისმა ბეჭედი, რათა კვლავ შეიქმნას ქართულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ შესადარი ნაწარმოებები. ამ სანდრო შანშიაშვილი ქართველ პოეტებს მოუწოდებს რუსთაველის მდიდარი ტრადიციების ათვისება-განვითარებისაკენ.

„მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“ ქართული პოეზიის ერთ-ერთი თვალუწვდენელი მწვერვალია. ს. შანშიაშვილმა ამ ლექსში მიაღწია თავისი პოეტური ხელოვნების სრულყოფას. ამ ლექსითვე გაუტოლდა იგი თანამედროვე პოეტური ხელოვნების მიღწევათა თვალშეუდგამ სიმაღლეებს, ვინაიდან ეს ლექსი უფრო მეტის მოქმედა თავისი შინაგანი არსით, ვიდრე ერთი შეხედვით, გარეგნულად წარმოგვიდგება. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს შინაგანად გასაიდუმლოებული, მრავალმხრივი თავისებურებები, ქვეტექსტები, მინიშნებები.

ერთი შეხედვით, ამ ლექსში უჩვეულო არაფერია: ტყეში მდგარ ბუმბურაშ მუხის ხეს ხმობა შეეპარა; მივიდნენ მეტყევეები, მოხერხეს, წააქციეს, ფეხი დაადგეს. მაგრამ ამ ლექსს, როგორც მხატვრულ ფენომენს, აქვს თავისი წარმოჩენის სხვა საინტერესო ასპექტებიც, როგორც პოეტის მიერ გასაიდუმლოებულ, ამოღებულ, განხოვადებულ, სიმბოლურ-ალეგორიულად გააზრებულ მოვლენას.

ამ საინტერესოა არა მარტო ის, თუ რას გადმოგვცემს პოეტი, არამედ ისიც, თუ როგორ ხელშესახებად გადმოგვცემს, როგორც პოეტი, ხელოვანი, ოსტატი, არსებითად რა გამომსახველობით საშუალებებს მიმართავს. აქ ჩვენი პოეტი ფორმისა და შინაარსის ერთიანობის შესახებ გამოთქმულ ჰეგელის დებულების ერთგულია: „შინაარსი სხვა არა არის რა, თუ არა ფორმის გადასვლა შინაარსში და ფორმა სხვა არა არის რა, თუ არა შინაარსის გადასვლა ფორმაში, ეს გადასვლა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განსაზღვრება, მაგრამ იგი პირველად აბსოლუტურ ურთიერთ დამოკიდებულებაში დადგინდება“<sup>9</sup>.

აღნიშნული ლექსი გარეგნული სახით ტრადიციულია: სამ სტროფად, მონაკვეთადაა წარმოდგენილი; თითოეულ სტროფში ათი სტრიქონია; თითხმეტ-მარცვლიანი სტრიქონები გართმულია ჯვარედინი, მოსახლერე, რკალური რითმებით. ხოლო, რაც შეეხება ლექსის შინაგან კონსტრუქციას, მხატვრულ ელემენტებს. მღლააწეულ ინტონაციას, პარამონიული ბეგრების შეთანხმებით მიღწეულ პოლიფონიურ კეთილხმოვანებას, უნდა ითქვას, რომ პოეტის მიერ ეს ყველაფერი უზადოდაა შესრულებული.

ლექსის პირველი სტროფი ჭიაურის მუხნარის ზოგად სურათს გვიხატავს, რომელიც ცილად, სამკაულად ადგია მდორე ალაზანს — „მზეზე გაზმორებულ უცხვირაპირო გველემას“.

პოეტის სიტყვები თავიდან ბოლომდე მჭრელი და ხმეირია; ყოველი სტრიქონი თვალისმომჭრელად ელვარება, ყოველი მეტაფორა, ეპითეტი, რითმა სიახლე-სინედლით, ენობრივი სიუხვე-სიმდიდრით, სტილისტური თვითმყოფადი თავისებურებებით გამოირჩევა.

<sup>9</sup> გ. ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 293.





ჩვენ ხაზს ვუსვამთ მის ბეგრწერულ პარმონიას: „ტყე ჰიურის ჯიქურ ჯილად უდვას ალაზნას“, „ხამი მუხნარი, ხორკლი, ბოყვიც გამოერევა“, „ჯმუხი დევები დილარულან ათასი წლობით“, „გრივალი ჰგრაგნის მაგარ ტოტევერ კი ერევა“... თითქმის მთლიანი ლექსი მსგავს ბეგრწერულ პარმონიას შეიცავს.

საანალოზო ლექსის მეორე სტროფში პოეტი გვიჩვენებს გარდასული დროის დიდების ნაშთებს, გადაშენების გზაზე დამდგარ სინამდვილის სურათებს: ციხის ნანგრევს, რომელიც სულს ღაფავს, ჩაქრობაზეა; სარწყავ არხს, რომელიც დამშრალა; გარემოს, რომელიც გაპარტახებულია და უპატრონობას ავლენს; წინაპარ მებრძოლს, რომელიც აქ ღამეს ათევდა და ბრძოლის მზადებაში იყო.

საანალოზო ლექსის აღნიშნულ კონტექსტშიც იგივე ენობრივ-სტილისტური თავისებურებები, მეტაფორა-სახეები გვხვდება: „ღველფავს ციხის ნანგრევი“, „მუხა ამბავს გადმოაფენდა“, „დალილიან ჩაქინდრული ხეები ფიქრით“, „ტივერს დარევია მსუნავი ფითრი, ჭამს, ძღება დალით“, „ბუ ღავლავებს შებოლმილ ღამით“ და სხვ. აქაც იგივე უსულო საგანთა განსულიერება-გაადამიანურებას აქვს ადგილი.

აღნიშნული ლექსის მესამე სტროფში დახატულია ძირითადად ბერძენის მოხერხება-წაქცევის პროცესი. ჩვენ მთელ პროცესს მოქმედებაში ვხედავთ, ვგრძნობთ მომავლადი მუხის ხის გაადამიანურებულ, მტკიცეულ განცდებს, აქაც, როგორც წინა ორ სტროფში, იმავე ხელშესახებ მხატვრულ აქსესუარებს მიმართავს პოეტი, რათა სურათი შთამბეჭდავი გახადოს. აი, თუნდაც, მუხის წაქცევა-დაცემის აკორდი:

ინძრა, შვირყა, აჭახჭახდა... გავარდა მუხი...  
გაღიზნოქა დაძლეული, სხვებსაც ამტრევედა,  
დაეცა მუხა, ქონდრის კაცმა დაადგა ფეხი!

იბადება კითხვა: ნუთუ მართლა მუხის მოჭრაზეა აქ ლაპარაკი? რა თქმა უნდა, მუხის მოჭრის რეალური სურათია აქ გადმოცემული, მაგრამ პოეტის პოეტია, თუ ცხოვრების რეალური მოვლენა ფართო ისტორიულ-ფილოსოფიური გაგებით არ განაზოგადა? თუ ამ მოვლენაში არ ჩააქსოვა თავისი გულის მქნჯნელი, ეროვნული საწუხარი, სოციალურ-პოლიტიკური იდეალი?

ჩვენი შეხედულებით, ამ ლექსის შექმნას საფუძვლად დაედო ხალხური ლექს-სიმღერა: „მუმილი მუხასაო გარს ეხვევოდაო“...

ხალხური ლექსის მიხედვით, მუხა საქართველოა, მუმილი — მისი მტრები. ეს საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლურ-ალეგორიული სახეა.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, დავინახავთ, რომ ს. შანშიაშვილის ლექსში საგნები, მოვლენები, მთელი მოქმედების ვითარება უაღრესად განსულიერებულ-გაადამიანურებულია. ლექსი ალეგორიულ-სიმბოლური ხასიათისაა. აქ ლაპარაკია საქართველოს პატრიარქალური დიდების დაცემა-დამხობაზე: „იქნებ დასრულდა დრო დიდების, ამხობენ მუხას?“ — აცხადებს პოეტი და, მართლაც, ვინ მოთვლის, რამდენჯერ უგემნია საქართველოს თავისი ბუმბერაზული დიდების ბარბაროსული შემოსევებით დაცემა-დამხობა?

გვაქვს, აგრეთვე, ამ ლექსის მეორე, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პირობითი, ასპექტიც — ქონდრის კაცის რაობის კონცეფციაზე აგებული ასოციაციური შეხედულება. ეს ქონდრის კაცი, რომელმაც წააქცია და მუხის ხეს ფეხი დაადგა, სხვა არავინაა, თუ არა ჯუჯა, ზღაპრებში ცნობილი ნაცარქექია, რომელიც თავისი მოხერხებულობით ზღაპრულ დევს იმორჩილებს და თავის სასარგებლო საქმის გაკეთებასაც ავალებს. ამ შემთხვევაში ნაცარქექიას მოხერხებულობა იარაღია, რომლითაც უპირატესობას ავლენს.

თუ ამ მოსაზრებას განვაზოგადებთ (რა თქმა უნდა, პირობითს), მივიღებთ ასეთ სურათს: ზღაპრული დევით, მუხის ხესავით ბუმბერაზ ძველ საქართველოს დიდებას ამბობს ნაცარქექიასავით ჩია, უქნარა, მაგნიტური ანი ახალი ხელისუფლება, რაც სინამდვილეში 1921 წელს განხორციელდა.

მაშასადამე, ს. შანშიაშვილის ლექსში „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“ საქართველოს რეალური ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური ფაქტობრივი სურათი აისახა, რა თქმა უნდა, სიმბოლურ-ალეგორიული ასპექტით.

სანდრო შანშიაშვილმა მის მიერ ქართულ მწერლობაში საფუძველგანმტკიცებელი ბალადის უანრი უკვე 20-იანი წლებისათვის ახალი საინტერესო შედეგებით შეავსო და მრავალფეროვანი გახადა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მის მიერ 30-იან წლებში შექმნილი ბალადები. მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელი თავისი შემოქმედებითი საქმიანობით ამ დროისათვის ძირითადად დაკავშირებული იყო ქართულ თეატრალურ რეპერტუართან და წერდა დრამატურგიულ ნაწარმოებებს, მაინც არ ღალატობდა პოეზიის ღვთაებას, ქმნიდა რაოდენობრივად ცოტას, მაგრამ ხარისხობრივად მაღალმხატვრულ ბალადებს, ლექსებს, როგორცაა: „ბაქოს კომუნარები“, „სნაიპერი“, „გმირი თევდორე“, „ახალ საქართველოს“, „დოლორეს პასიონარია“, „ასე ამბობენ, თამარს უმღერდი“, „სიტყვა შოთას“, „ილიასადმი“ და სხვ.

დიდი სამამულო ომის წლებში ს. შანშიაშვილის მიერ შექმნილი ლექსები და ბალადები: „კოლმეურნის წერილი წითელარმიელ შვილისადმი“, „გაზაფხულის სიმღერა“, „დედაც, მე ერთი წაგიველ“, „თუკი ცოლი გყავს ერთგული“, „შავთვალამ ერთხელ შეხედა“, „ომგადახდილო ვაჟაკო“, „შრომის გმირის ქორწილი“, „ქართველი დედა“ და სხვ. პრინციპულად სრულიად სხვა თვისებებს ავლენენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ პოეტმა თავისი კალამი სამშობლო ქვეყნის დაცვის სამსახურში ჩააყენა, ამ დროისათვის წარმოდგენილი მისი გმირები ჩვეულებრივი, მაგრამ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღმდგარი ადამიანები არიან.

სამამულო ომის შემდგომ ს. შანშიაშვილი სამშობლოში მიმდინარე ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას აქტიურად ეხმარება; ახლებურად იაზრებს და ამუშავებს მშვიდობის, სამშობლო ქვეყნის, ხალხთა მეგობრობის თემებს, მოტივებს. ამ დროისთვის ქმნის იგი ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, როგორცაა: „იყოს მშვიდობა“, „შენთან ვიყავი თბილისო“, „ჩემი ქვეყანა შემოვიარე“, „გულს ემღერება“ და სხვ.

სანდრო შანშიაშვილის 60-იანი წლების ლირიკას ახასიათებს ზოგიერთი ნიშნული თავისებურება: განსაკუთრებით იგრძნობა ფილოსოფიური მოტივების მოძალევა, დაფიქრება ადამიანის ბედზე, ყოფნა-არყოფნის შესახებ, ამქვეყნიდან წასვლის, სამარადისო დამშვიდობების სევდიანი ხმები. პოეტი რიგ შემთხვევაში უფრო ახლოს მიდის ყოფიერებასთან, როგორც ჩანს, ასაკიც თავისას აკეთებს; იგი დიდ ზეგავლენას ახდენს ბევრის მხახველ, დიდი გამოცდილების მქონე პოეტზე — სისადავის, სინათლის, გამჭვირვალობის მხრივ.

სანდრო შანშიაშვილის 60-იანი წლების ლირიკის ნიმუშებია: „უცნობი ჯარისკაცი“, „ორთაქალაში“, „ხსოვნა მარადი“, „ბიოგრაფია“, „ერთი მოვონება“, „ოცი წლის შემდეგ“, „ზღაპარი იყო“, „გიორგი ლეონიძეს“, „ჩემი სახლი ჭუგაანში“, „შენ გეძახი“, „ჩემი სურათის წინაშე“ და სხვ.

აღნიშნულ ლექსებში უპირატესად გამხელილია მცოვანი პოეტის სევდიანი, მწუხარე განწყობილებები, დაფიქრება მიმდინარე ცხოვრების ავკარგზე და სხვ. მისი ამ დროის ლექსები უმრავლეს შემთხვევაში მემუარისტული, მოგონებითი ხასიათისაა. პოეტი გულისტკივილით იგონებს ბავშვობას,



მახლობლებს, ცნობილ მწერლებს, მხატვრებს, საზოგადო მოღვაწეებს, წინაპრებს; ზოგი ლექსი თვისებრივად პოეტის ერთგვარ ანდერძს წარმოადგენს.

მე თუ ვბერდები — მამ გმორდები, გულში მაქვს დარდი!  
ჩემი სიმღერა ჩაიბარე, როგორც მთის ვარდი!  
სანამ ცოცხალვარ, ეგ მშვენება როგორ არ ვაქო?  
შენ ჩემო მზეო და უკვდავო დედაქალაქო! („რად შემიყვარდი“)

სანდრო შანშიაშვილის 70-იანი წლების პოეზია თავისებური გედის სიმღერას გვაგონებს. მისი ამდროინდელი ლექსების უმრავლესობა უკანასკნელ გულისკენსად, უკანასკნელ აკორდად გაისმის; ნაწილი ლექსებისა კი მისივე ხაფი ხმის ექოდ გვემცნაურება. 90 წელში გადამდგარი, ბევრი სიხარულის მნახელი, ბევრი ჭირ-ვარამადახდილი, გრიგალისაგან რტოებმომსხვრეული ხესავით დგას და გამოვილილ სივრცეს ვასცქერის. აგონდება მეგობარი პოეტები, ხელოვნების, კულტურის მოღვაწენი, მახლობლები, რომლებიც გზადგზა ჩამოსცილდნენ და მწუხარება და მოგონებების ტკივილები დაუტოვეს („მოსაგონარი ვარდასულელებზე“, „მეგობრის ხსოვნას“ და სხვ.).

რიგ ლექსებში იგრძნობა პოეტის დაეკვება, უკმაყოფილება ყოველივე იმისადმი, რაც მას შეუქმნია მხატვრულ შემოქმედებაში („მსურდა აღმეგო“, „ნურაინ ჰგონებს“ და სხვ.).

რიგ შემთხვევაში პოეტი კმაყოფილებას გამოთქვამს საკუთარი ნაღვაწის მიმართ და მის, როგორც ერის საუნჯის, დაცვა-პატრონობას მოითხოვს („სულის საუნჯე“, „ყოველდღიური მარადიულში“).

ზოგჯერ, როგორც სამშობლოს წინაშე ვალდებული პოეტი, თავისზე ძლიერ მგონის მოსვლას ელოდება სულმოუთქმელად, რათა ესტაფეტასავით ჩააბაროს და დაულოცოს მშობლიური ქვეყნის სადიდებელი, სამოქმედო, სამოღვაწეო სარბიელი („მე ძლიერს ვეძებ“, „ჩემს შემდეგ ამღერებულ პოეტებს“ და სხვ.).

ზოგჯერაც დაუძღურების ჯიბრზე ახალგაზრდულ დაუზარებლობას, სიხალისე-სილადეს იჩენს, მისი ასაკისათვის შეუფერებელ თვისებებსაც კი, სახალხო დღესასწაულებში მონაწილეობს და ახალგაზრდების მხარდამხარ ცეკვავს კიდეც („როცა თთხმოც წელს გადავაბიჯე“, „მოხუცი მღერის“, „თვითეულ ყვაილს სახელი ჰქვია“ და სხვ.).

სანდრო შანშიაშვილის უკანასკნელი ათწლეულის ლექსი „კიდევ ამღერდი“ არათუ მისი ცხოვრების, მისი მხატვრული შემოქმედების ერთგვარ შემაჯამებელ ანგარიშს, არამედ, ასაკზე, სიბერეზე, უძღურებაზე ჭაბუკურ გამარჯვებას, სამშობლოს წინაშე ახალი ვალდებულებების აღებას, სიმამაცის, შეუპოვრობის, დაუმარცხებლობის, სულიერი დაუმორჩილებლობის აღიარებასაც წარმოადგენს, რადგან მან იცის, რომ ქართველი მწერალია, რომელსაც სულიერად დაცემის, დამარცხების, დაკნინება-დავრდომის არაერთი უფლება არ აქვს:

არ გადმიხდია სამშობლოსთვის ჯერ სრულად ვალი,  
მინდა შევაქო მისი აწყო და მომავალი!  
კიდევ ამღერდი მაღალი ხმით გულო მორჩილი!  
სანამ ცოცხალვარ, სიბერეს არ დაემორჩილი!

და სწორედ ესაა პოეტის მოუღუნებლობის, მოუტეხლობის, დაუმორჩილებლობის, შეუპოვრობის, მარადი ახალგაზრდობისა და უკვდავების საწინდარი.

ЛИРИКА САНДРО ШАНШИАШВИЛИ

Резюме

Изучена лирика Сандро Шаншиашвили — одного из активных строителей грузинской поэтической культуры XX века. На основе идейно-тематического и художественного анализа богатого литературного наследия поэта показаны роль и место С. Шаншиашвили в деле реформы новейшей грузинской поэзии. Особый акцент сделан с одной стороны, на органическую связь с грузинской классической поэзией, а с другой — на те новые моменты, чем привлек к себе внимание С. Шаншиашвили в самом начале своей творческой деятельности.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილება

წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

თამარ იაშვილი

## სერგო კლდიაშვილის ადრინდელი პროზა (სიმბოლისტური პერიოდი)

„მსურს სანდრო ცირკეიძეზე და სერგო კლდიაშვილზე ერთად ვილაპარაკო... ერთი და მეორეც პოეტია ჩემთვის. სწერენ პოემებს მინიატურის სახით... მრავალი ნაწარმოები სანდრო ცირკეიძის პოეტურია უადრესად... ასევე ითქმის ს. კლდიაშვილის ნატურ-მორტზეც“.

გვ. რობაქიძე

სერგო კლდიაშვილის ესთეტიკურ-მხატვრული პრინციპები ჩამოყალიბდა პირველი რევოლუციის დამარცხებისა და მსოფლიო ომის წლებში. მისი პირველი მინიატურები დაიბეჭდა გაზ. „სინათლეში“ 1911 წელს. ამ მინიატურებში უკვე გამოჩნდა მწერლის ინდივიდუალური ბუნება და მხატვრული ინტერესები, — მიდრეკილება მცირე ჟანრის პროზისადმი. 10-იანი წლები რევოლუციური აღმავლობის, ქართველი ინტელიგენციის ეროვნული თვითშეგნების ზრდის, კულტურულ-რევოლუციური მოღვაწეობის გააქტიურების ხანაა. ამ პერიოდში ფართოდება ქართველი საზოგადოების ფილოსოფიურ-ესთეტიკური ინტერესები; გზას იკაფავს ახალი მხატვრულ-ლიტერატურული სკოლების პრინციპები, რომლებიც ერთგვაროვანი არ არის. ცნობილი გახდა დასავლეთის ფილოსოფიურ-ესთეტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული მიმართულებების გამოჩენილ მოღვაწეთა სახელები. პოპულარულია ნიცშე, მისი ზეკაცის იდეა, ოსკარ უაილდი და მისი ესთეტიზმი. ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც ადრე რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მუშათა კლასთან იყო დაახლოებული, რეაქციის პერიოდში თავის მიკროსამყაროს ქმნის და თავისთავში იკეტება.

ამ ნიადაგზე მათში თავს იჩენს ინდივიდუალიზმი და მისტიკურ-რელიგიური განწყობილება; მკვიდრდება სიმბოლისმის პრინციპები.

ქართულ სიმბოლისმს არა ჰქონია საკუთარი მყარი ნიადაგი და მისი წარმოშობაც, ალბათ, არ უნდა მივაწეროთ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს და არც ისტორიულ აუცილებლობად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ სიმბოლისმი იმ პერიოდში გამოვლინდა ქართულ მწერლობაში, როცა, ერთი მხრივ, ქვეყანა შევიდა რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულ პოეზიაში გაზიარებული იყო სიმბოლისმის ესთეტიკურ-მხატვრული პრინციპები და ქართული ლექსი განახლების გზაზე იდგა (ს. შანშიაშვილი, ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, გალაკტიონი)<sup>1</sup>. ამის მიუხედავად ქართული სიმბოლისტური ჯგუფი — „ცისფერი ყანწები“, რომელიც ჩამოყალიბდა 1915 წელს (ყურნალის პირველი ნომერი გამოქვეყნდა 1916 წელს)<sup>2</sup>, კანონზომიერი მოვლენა იყო და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა

<sup>1</sup> იხ. აკაკი ხინთიბიძე, ქართული ლექსის განვითარების გზა, თბ., 1979, გვ. 21—30.

<sup>2</sup> გაზ. „მეგობარი“, 1916, № 17.



უახლესი ქართული ლექსის, განსაკუთრებით ფორმის თვალსაზრისით, გან-  
ვითარებაში.

ქართველმა სიმბოლისტებმა (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვი-  
ლი, ს. ცირკეიძე, კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე და სხვ.) კრიტიკულად შეხედეს  
მე-19 საუკუნის რეალიზმის ტრადიციებს და შეეცადნენ მხატვრული „გა-  
მომგონებლობით“ შეექმნათ დიდი ხელოვნება. პირველ ხანებში მათი შეხე-  
დულებები უპირისპირდება ხელოვნების სოციალურ ფუნქციას, მის კავშირს  
სინამდვილესთან; აცხადებენ ხელოვნების „ავტონომიას“, „ხელოვნების“ და-  
მოუყიდებლობას სინამდვილისაგან და თავიანთი იდეალებით მიღმა ქვეყანაში  
ეძებენ ხელოვნების საგანს, ესთეტიკას უკავშირებენ რელიგიას.

ქართული სიმბოლიზმი წარმოიშვა უშუალოდ ევროპული და რუსული  
სიმბოლიზმის ფონზე, მაშინ, როცა ევროპული და რუსული სიმბოლიზმი  
თავისი განვითარების კრიზისს განიცდიდა.

სიმბოლისტებისათვის სიმბოლო მხატვრული გამოხატვის ძირითადი  
ხერხია, რომელიც სინამდვილის მხოლოდ მიმართებას ეძებს იმქვეყნიურ  
სამყაროსთან. „Под грубою корою вещества, я презревал нетленную  
порфиру“, — წერდა ვლადიმერ სოლოვიოვი, ანდრეი ბელისა და ალექსან-  
დრე ბლოკის მასწავლებელი.

სიმბოლისტებისათვის „ყველაფერი სიმბოლოა“. რუსი სიმბოლისტების  
ერთ-ერთ წარმომადგენელს ზინაიდა გიპიუსს, იმავე მერვეკოვსკიას, სიმბო-  
ლისტური მიმართულების მთავარ ნიშნებად მიაჩნდა: 1. ევროპული კულ-  
ტურის უდიდესი პატივისცემა; 2. ახალი იდეების წარმოსობა და მათი (დე-  
კადენტების, სიმბოლისტების) ნააზრვეის გადმოცემა; 3. რეალიზმისადმი  
უსაზღვრო ზიზღი; 4. უდიდესი გულგრილობა პოლიტიკის მიმართ და 5.  
მოდერნების — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — გაზვიადებული ქადაგება<sup>3</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული და რუსული სიმბოლიზმისათვის მა-  
ინც უკვლოდ არ ჩაუვლია სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძვრებს,  
რამაც ამაოების ფილოსოფიასა და არსებულ სინამდვილეს ავადმყოფური  
განცდის საფუძველი შეუქმნა. ქართველი სიმბოლისტებიც მიუთითებდნენ  
დასავლეთის სიმბოლისტური ლიტერატურის გავლენაზე. ნ. მიწიშვილი წერ-  
და, რომ „საქართველოს ისტორია უკანასკნელი თექვსმეტი საუკუნის არას  
მისწრაფება დასავლეთისაკენ. ჩვენი ცხოვრება ორი ათასი წლის განმავლო-  
ბაში იყო ბრძოლა ჩინური კედლის შენგრევისათვის ევროპაში“<sup>4</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ქართული სიმბოლიზმის, ანუ  
„ცისფერი ყანწების“ ისტორია, მისი ესთეტიკურ-მხატვრული პრინციპები და  
დამოკიდებულება ევროპულ-რუსულ სიმბოლიზმთან. ამიტომ ამ საკითხებზე  
არ შეეჩერდები. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლიტერატურული დეკადანსის  
ძირითადი ნიშნებია: გაქცევა ობიექტური სინამდვილიდან, სოციალურ და  
პოლიტიკურ პრობლემათა უგულვებლყოფა, რელიგიურ-მისტიკური მისწრა-  
ფებანი, პესიმიზმი, ვნებათა კულტის უმაღლეს პრინციპად აღიარება, ზვადმ-  
ყოფური ინდივიდუალიზმი, ყველაფერი ეს თავისი უკიდურესი სახით გა-  
მომჟღავნდა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში.

ქართველ სიმბოლისტთა მანიფესტად გამოცხადდა პაოლო იაშვილის  
„პირველთქმა“.

„ცისფერყანწელები“ კრიტიკულად აფასებდნენ არსებულ სინამდვილეს,  
დიდი ხნით დამკვიდრებულ შაბლონს ლიტერატურაში, თავიანთი მწერლო-

<sup>3</sup> Литературная энциклопедия, т. II, 1925, стр. 784.

<sup>4</sup> ნ. მიწიშვილი, ქართული მწერლობა, 1920, № 2.

ბის საფუძვლად აღიარებენ სულიერ ქაოსს და ეძიებდნენ ახალ გზებს ხელოვნებასა და პოეზიაში.

ტიციან ტაბიძე წერდა: „ბატონი შაბლონი დღეს მალაყის გადადის ჩვენს ლიტერატურაში, იგი მრავალსახიანი, მრავალფეხიანია და კოშმარით აწვევს ქართულ სინამდვილეს“. შემდეგ განაგრძობს: „ქართველ ხალხს უყვარს ნილაბი. სიმბოლოზში სწორედ ფილოსოფიაა ამ ნილაბის და ამიტომ სიმბოლოზში ჩვენში აუცილებელია. ჩვენში მზადაა ნიადაგი მოდერნიზმისათვის“.

ბოლოს ტიციანი დასძენს: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხედეს რუსთაველი და მალარმე“<sup>5</sup>.

ამგვარად, „ცისფერყანწელები“ ზმამალა აღიარებდნენ დასავლეთის მოდერნისტული მიმართულების დიდ ზემოქმედებას, მაგრამ ამ ზემოქმედებაში გულისხმობდნენ თავიანთი საკუთარი შემოქმედების ძიების გზასაც ახლისაკენ. ტიციანის ზემოთ ხსენებული გამოხატუებები სხვა არაფერია, თუ არა ის, რასაც იგი 1915 წელს წერდა გალაკტიონისადმი მიძღვნილ თავის წერილში „მარტოობის ორდენის კავალერი“, რომელშიც სიმბოლოზში დაახასიათა როგორც აუცილებელი პერიოდი ლიტერატურის განვითარებისათვის. 1916 წელს „ცისფერ ყანწებში“ მან დაასახელა სამი პოეტი: სანდრო შანშიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და იოსებ გრიშაშვილი, როგორც „ძვირფასი სამება ჩვენი პოეზიის“.

ცისფერყანწელთა შორის გამოჩნდნენ ახალგაზრდა პროზაიკოსებიც: სანდრო ცირეკიძე და სერგო კლდიაშვილი. მათ უარი თქვეს დიდი ფორმის ეპიკურ ჟანრებზე და გააბატონეს მინიატურა, ესკიზი, ფრაგმენტი, ფსიქოლოგიური ნოველა.

სიმბოლისტურ პროზაში, ისევე როგორც პოეზიაში, ძირითადი ადგილი დაიკავა სიტყვამ, როგორც სიმბოლომ, შემოქმედების განცდათა, განწყობილებათა და იდეათა გამოხატულების არსმა.

ს. ცირეკიძემ და ს. კლდიაშვილმა სიმბოლისტური პროზა, ისევე როგორც პოეზია, მიიჩნიეს როგორც ერთგვარი საფეხური ნამდვილ ცხოვრებას, რეალურ ყოფასა და იდეათა სამყაროს შორის.

სერგო კლდიაშვილის ადრეულ შემოქმედებაში დიდი გავლენა მოახდინა „ცისფერყანწელთა“ ესთეტიკურმა პრინციპებმა, რომლებსაც იგი გაეცნო მოსკოვში, სადაც უნივერსიტეტში სწავლობდა ტიციან ტაბიძესთან ერთად და მისი უახლოესი მეგობარი იყო.

საყურადღებოა, რომ როცა პაოლო იაშვილმა ტიციანს მოსკოვში მისწერა „ცისფერი ყანწების“ გამოცემა განვიზრახეთო, იმ წერილში სერგო კლდიაშვილზეც სწერდა: „სერგომაც დაწეროს რამე, უნდა ჩვენ ჟურნალში დაგბეჭდოთ“, მაგრამ სერგო კლდიაშვილს უარი შეუთვლია. როგორც თვითონ იგონებს, „მოწვეულთა შორის რამდენიმე ისეთ გვარს წაეაწყდი, რომელთა ორიენტაციას პრინციპულად ვერ ვიზიარებდი“ (როგორც ჩანს, ინტუიციას არ უღალატია, ზოგიერთი შემდგომში განუდგა ცისფერყანწელებს). ამის გამო, მიუხედავად პარლო იაშვილის დიდი ხათრისა, „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში სერგო კლდიაშვილს მონაწილეობა არ მიუღია.

1917 წლიდან მწერალი უახლოვდება ვალერიან გაფრინდაშვილს და განსაკუთრებით სანდრო ცირეკიძეს. ეს უკანასკნელი დაახლოებით მისი ხნისა იყო და თავისი ერთდღიისა და ნიჰის წყალობით დიდი გავლენა ჰქონდა მასზე.

<sup>5</sup> ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916, № 1—2.

სერგო კლდიაშვილის სიმბოლიზმი თავისებურია. მის ნოველებსა და მინიატურებში გამოვლინდა მარტოობის, ბურჟუასის, სამყაროსა და მელანქოლიის მოტივები, მაგრამ არ გვხვდება სიმბოლიზმის უკიდურესი ნიშნები: მისტიციზმი, ბოჰემა, ავონიისა და სიკვდილის აპოლოგია. მეტიც, მისი ამ პერიოდის შემოქმედებაში შეინიშნება რეალიზმისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტი.

სერგო კლდიაშვილის სიმბოლისტური ნოველა „მთვრალ საობრით“ გამოქვეყნდა 1919 წელს. ახალგაზრდა შემოქმედმა იმთავითვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღება, როგორც ნიჟიერმა ნოველისტმა.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ბელინსკიმ განსაზღვრა ნოველა, როგორც „ადამიანის ცხოვრების პოემის ეპიზოდი“, და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ჟანრში ყოფა-ცხოვრების ერთი რომელიმე ეპიზოდი ისეთი ოსტატობით უნდა იყოს წარმოსახული, რომ მკითხველს „წახანაგოვან ბროლიში“ ჩასმულად ეჩვენებოდეს. მეტიც, ბელინსკიმ მიუთითა იმაზეც, რომ ასეთ ნაწარმოებში სიუჟეტი „ვიწრო ჩარჩოში“ უნდა იყოს მოთავსებული; ნოველა უნდა იძლეოდეს ადამიანის ფართო და დიდი ცხოვრებიდან აღებულ ერთ რომელიმე დამთავრებულ, დამოუკიდებელ, მაგრამ ამავე დროს გადამწყვეტ და მნიშვნელოვან ეპიზოდს.

ნოველაში ფინალი უნდა იძლეოდეს ეპიზოდის ამომწურავ დაბოლოებას. ბელინსკის ამ კონცეფციას შალვა აღხაზიშვილი უპირისპირებს „ამერიკულ მრავალნაირ თეორიებს“, რომელთა წყალობით ნოველა „უბრალო ფორმალისტური ექსპერიმენტისა და ფროიდისტული ვარჯიშობის ერთ-ერთ საგნად გადაიქცა“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიმბოლისტური ნოველისათვის დამახასიათებელია პერსონაჟთა სუბიექტურ-ინტიმური განცდები, სეპტიკური და მელანქოლიური განწყობილებები, რომლითაც ისინი მოწყვეტილნი იყვნენ ცხოვრების დინებისაგან (საბჭოთა პროზის განვითარების ადრეულ პერიოდში ნოველას სოციალურად აქტუალური, ცხოვრების პროცესებთან უშუალოდ დაკავშირებული სახე აქვს. ამდენად ნოველა უპირატესად ასახავს სოციალურ მოვლენას, ადამიანის ცხოვრებიდან აღებულ ერთ რომელიმე მნიშვნელოვან ეპიზოდს).

ნოველაში „მთვრალ საობრით“ სერგო კლდიაშვილს ძირითად საშუალებად გამოყენებული აქვს სიტყვა-სიმბოლო, რომელსაც თავისი ფსიქოლოგიური დატვირთვა გააჩნია და მწერლის მელანქოლიურ-მისტიკურ განწყობილებაში გამოიხატება. ეს არის ჩანახატი, სევდა, რომელიც ადამიანის გარე სამყაროსთან უღმობელ ჭიდილში წარმოიშვა და რომლის ერთადერთი იმედია „კვამლით დამთვრალი ოთახი“ — სიმბოლო მშვენიერებისა და უსაზღვრო ნებეირობის. აქ ყოველი წუთი გათრობს: „ქარავენია ზღაპართა და ქიმე-რების“.

განწყობილება თითქოს უიმედოა, არაფრისმოსურნე, არც მონატრება ივრძნობა რაიმე ახლისა და მშვენიერის. იგი უფრო შენარჩუნების სურვილია იმ „დაორთქლილი ფანჯრისა“, რომელიც ორი ქვეყნიერების, ფანჯრის მიღმა არსებული რეალური, მკაცრი სამყაროსა და ოთახში ჩაკეტილი, ბურჟუაზიაში ჩაფლული მშვენიერების საზღვარია.

„უკვდავება! — სად არის იგი? — მხოლოდ აქ, ამ ოთახში იქ, სადაც ჩემი მეგობრებია, ცოცხლებიან უცხო ქვეყნები, კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, გწამს შეუძლებლობა“. ეს თითქოს წარმოუდგენელი შეხამებაა მუქი ფერების, კვამლის, „ხავსიანი ქვეყნების“, სადაც ჰკვივან ჯერ არ ნახულთ და სადაც „მშვენიერება სუფევს უსაზღვროების მშვიდი, თავადი ფერადებით მთვრალ, ნაწამებ ოთახში“.





ნოველაში თითქოს საიდანღაც მკრთალად, ძლივს გასაგონად ისმის ნა-  
ოცარი ჰანგები, ოცნების ბურუსში გახვეული სიტყვებით მთვრალი მუსიკა.  
სიმბოლისტურ-რეალისტური პროზის გზაჯვარედინზეა ს. კლდიაშვილი.  
ნოველა „დაბრუნება“, რომელიც ჟურნალ „მეოცნებე ნიაშორებში“ იყო გა-  
მოქვეყნებული. ეს ნოველა ს. კლდიაშვილმა თავის მეგობარს, სიმბოლისტ  
მწერალს სანდრო ცირაკიძეს მიუძღვნა.

ნოველის გმირი ტოვებს დიდ ქალაქს, თავისი სირთულეებითა და სიმ-  
ძაფრით სავსეს, სადაც „უკანასკნელ სადგურზე დიდი ომი, რევოლუცია და  
ბარიკადებია“.

იმ დღეს, ქალაქთან განშორების დღეს, ყველაფერი განსაკუთრებული  
ერყენება მას, „თითქოს პირველად დაინახა ცა, დიდი და წმინდა თავისი პა-  
ტარა ფანჯრიდან; ქუჩებიც კი წყნარი ეჩვენა, მხოლოდ ეტლები და ტრამვა-  
ები ხმაურობდნენ.“

ნოველაში ძალზე ლამაზადაა დახატული ქალაქისა და სოფლის სურათე-  
ბი გმირის სულიერ განცდათა ფონზე. საერთოდ, მთელი ნაწარმოები საყუ-  
რადღებოა მხატვრული შესრულების თვალსაზრისით. მწერალი ოსტატურად  
გადმოგვცემს გმირის სულიერ განწყობილებას, ობლობას, მის მარტოობას  
და უსაზღვრო სურვილს გაექცეს ამ დიდ, მისთვის უცხო სამყაროს (ამ შემ-  
თხვევაში ქალაქს).

კონტრასტი, რომელსაც მწერალი, ერთი მხრივ, ქალაქის „მტერისგან  
ნატრიანი სკყერების“ და, მეორე მხრივ, „წყნარი სოფლის, დაჩრდილული  
ორღობების, გრძელწვერა მეზობლების“ დახატვით ქმნის, სხვა არაფერია,  
თუ არა გმირის შინაგანი სამყაროს ჩაკეტილობის, ქაოსის, განდეგილობისა  
(ქალაქის ალევგორია) და სილალის, სიმშვენიერის, სულიერი განტვირთვით  
მიღებული სიმშვიდის სიმბოლოთა დაპირისპირება.

ნოველა მკირე მოცულობისაა, თითქოს არაფერია უჩვეულო: სოფლი-  
დან დიდი ხნით გაბიზნული კაცი უბრუნდება თავის კერას, წინაპართა მიწას.  
მაგრამ საგულისხმოა ის ვარემოება, რომ ნოველა სიმბოლისტური ხასიათი-  
საა და მასში აქცენტი გადატანილია არა საკუთარი მიწის სიყვარულსა და  
წინაპართა სისხლის ყვილზე, არამედ გმირის ფსიქოლოგიურ განწყობილე-  
ბაზე, მის სულიერ მდგომარეობაზე, რამაც აიძულა იგი დაბრუნებოდა სო-  
ფელს.

ეს ნოველა შემდეგში, თვით ცისფერყანწელებმა და, საზოგადოდ, სალი-  
ტერატურო კრიტიკამ (ვ. ვაფრიანაშვილი, გ. რობაქიძე და სხვა). აღიარეს  
„ცისფერი ყანწების“ შემოქმედებითს ცხოვრებაში რეალისმისკენ მობრუნე-  
ბის მიჯნად. მართლაც, ნოველაში ცოტა როდია რეალისტური. ამასთან თვით  
„მიწასთან დაბრუნება“ უკვე მივივითთებებს კონკრეტულ იდეურ საზრისზე,  
რამაც საეტაპო მნიშვნელობა მიანიჭა მთელი ჯგუფის ესთეტიკურ მიმართუ-  
ლებას.

ნაწარმოები დაწერილია მდიდარი პალიტრით, ალიტერაციებითა და მე-  
ტაფორებით (ვახშამი სოფელში, მასპინძლის სუფრა, შემოდგომის ნობათი და  
სხვა). განსაკუთრებით შთამბეჭდავია ხარების ბრძოლის სურათი: „ხარი და-  
ეტაკა ხარს. ორივეს კუნთები ღონიერია და თვალები ცეცხლიანი. ხანჯლე-  
ბივით აიღესა რქები ერთმანეთზე. ჰაერს შეერია მტვერი. გახვლებული მზე  
გაიღვარა ორ მსუქან ტანში... მორჩნენ ბულრაობას და მძიმე ნაბიჯით გა-  
უღდგენ გზას“.

სერგო კლდიაშვილის გმირი რჩება სოფელში და პოულობს სიმშვიდეს.  
აქ ეზიარება იგი რწმენას და სულიერად განიწმინდება. ბუნება — აი, ხსნა



გამოუვალი ქაოსიდან. იგი თავის მეგობარს სწერს სოფლიდან: <sup>უცხოელ სე-</sup>  
ფელში ვარ. მაცვია წულები. ჩოხის ნაქსოვები გაცლენთილია მფრსა...  
ლახის სურნელით. მწამს ძლიერება, ძველი ჭეშმარიტის. თვალები მაქვს მწვა-  
ნე და უშიშრად ვხედავ წმინდა გიორგის. ველი ამბავს, როცა წაუქიდე  
ცეცხლს შენს თერთმეტ სართულიან სახლს“...

დაისმის კითხვა: სოფლის იდილიური ყოფის დაპირისპირება ქალაქი-  
სადმი ხომ არ არის გამოწვეული ადამიანის გაუცხოების პრობლემით? ინ-  
დუსტრიულ ქალაქისადმი დაპირისპირება ნახევრად პატრიარქალური სოფ-  
ლური ყოფისა, როგორც სიმშვიდის სახე, ხომ არ ეხმაურება ექსპრესიონიზმს,  
რომელიც ამ პერიოდში გზას იკაფავდა ქართულ მწერლობაში?

ადამიანის აქტივიზაციის პრობლემას ეძღვნება ნოველა „თუთიყუში“  
(ეურნალი „მნათობი“, 1925, № 5—6): მოქმედება ძირითადად ხდება ორ ოთახ-  
ში, სადაც ცხოვრობს ქვრივი და მოხუცი ქალი, ოდესღაც მისი მოახლე,  
რომელიც მარტოობის ეამს ქვრივისთვის მეგობრად ქცეულა და წარსულის  
მოგონებების რეალური სახეა.

ამ ორი ადამიანის ცხოვრება, ისე შეთვისებია ერთმანეთს, ისე შე-  
სისხლხორცებია, რომ მათ წარმოუდგენლად მიაჩნიათ ერთი-მეორის გარეშე  
ყოფნა.

ერთად ატარებენ გრძელ, დამქანცველ დღეებს, ერთად სადილობენ,  
თბებიან რკინის ღუმელთან. ყოველ ღამე, ძილის წინ მოხუცი ქალი შალით  
უთბობს ფეხებს ყოფილ ქალბატონს, აფარებს საბნებს, თავს ევლებს.  
„ამ ორ ადამიანს ისე ეშინოდა ერთმანეთის დაკარგვისა, თითქოს მათი სი-  
ცოცხლე რგოლი ყოფილიყო“, — წერს სერგო კლდიაშვილი. — „გატყდება  
ერთი, დავარდება მეორე“.

ქვრივისა და მოხუცი მოახლის ცხოვრებას ორი არსება ავსებს: ერთი —  
უსული, გარდასული, მოგონება მესაათე ლეიბა მენახემ ბენ ცუკერმანდელის,  
რომლისგან მხოლოდ სურათი დარჩა კედელზე და მეორე — თუთიყუში.

ნოველის დასაწყისში მწერალი ამბობს: „თუთიყუშები ღამით ფულუ-  
რობებში ბუდობენ, დღე სთვლემენ ხეების წვერობზე და წყალის დასა-  
ლევად ჭოგებათ დადიან მახლობელ რუსაკენ. თუთიყუშებს ჰკლავენ მხოლოდ  
გველები და იჭერენ კაცები, როცა შეისწრებენ თავიანთ ბაღებში — ისინი  
ვერ ფრენენ მარდად და წვეტიანი ბრჭყალები მალე ელღებათ მსუქანი ტა-  
ნის სიმძიმისაგან...“.

თუთიყუშის მოვლით, მისი ფერებითა და ყურებით ერთობიან ნოველის  
გმირები და ასე გადის მათი ცხოვრება: მისდევენ დღეები კვირეებს და  
კვირეები წლებს. სამყაროსგან მოწყვეტილი, განმარტოებული, თითქმის სი-  
ცოცხლისუუნარო ორი ადამიანის ცხოვრება გადახლართულია გალი-  
აში მომწყვედელი, მათი მსგავსი, მათსავე მოუქნელი ფრინველის სიცო-  
ცხლესთან, ფრინველთან რომელსაც ფრენაც კი არ შეუძლია: „თუთიყუ-  
შები უყვარს ბავშვებს, ხოლო დიდები ეძახიან მისანს“, ისევე, როგორც მო-  
ხუცებს, რომელთაც ხშირად ცხოვრების დიდი გამოცდილებისა და განვილი-  
ლი ხანგრძლივი გზის გამო — მისანს უწოდებენ.

ასე დაასრულებდნენ ნოველის გმირები თავიანთ სიცოცხლეს, მოულოდ-  
ნელი რამ რომ არ მომხდარიყო: ქალაქი მტრის ალყაში მოექცა, ჯარისკაცე-  
ბი ყველა სახლს მოეფინენ.

ხალხი პანიკამ მოიცვა. მოსახლეობა ტოვებდა თავიანთ სახლებს, ვაჭონ-  
დათ ბარგი და მთელი ოჯახებით სადგურისკენ მიბრუნდნენ.

ასე დაირღვა „თუთიყუშის“ გმირთა სამყარო, მათ იღუმალეებით მოცულ,

თითქოს ხელშეუხებელ ცხოვრებაში იჭრება რეალური ფაქტი — ომი, ჯარისკაცების აჩქარებული ნაბიჯები, რუხი შინელები. ქვრივი და მოხუცი ქალი არ ტოვებენ სახლს, უფრო სწორედ, ვერ შესძლებენ გაქცევას.

„იელოვა მაღალო და სამართლიანო! რა საჭირო იყო მათი მოსვლა, ვის ენატრება ისინი! როგორ შესძლოს მოხუცმა აშლა შეჩვეულ საბუდრიდან, სად გადაიხიზნოს, ან როგორ წაიღოს ყველაფერი ის, რაც დაუტოვა ლეიბა ცუკერმანდელმა. როცა ისინი ქვრივის ოთახში მოვლენ, ხელს მოჰკიდებენ და შეიძლება თავისი ღონიერი ხელებით კისერიც წასწყვიტონ თუთიყუშს, თუმცა ამას რა ღონე უნდა — თუთიყუშის კისერი ისე ფაქიზი და სუსტია, რომ ბავშვსაც არ გაუჭირდება მისი წაწყვეტა“. ლოცულობს მოხუცი მოახლე ქალი და ეს ლოცვა ამ ორი არსების მთელი ცხოვრების აღსარებაა. თუთიყუში, რომელიც ერთადერთი ძაფია მათი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რომელიც ფაქტობრივად სიმბოლოა მათი ცხოვრების, ისეთივე სუსტი, უმწეო და უუნარო, როგორც თვით ისინი, ბედის ანაბარა რჩება ამ ადამიანების გარეშე. და ისინიც, ქვრივი და მოხუცი ქალი, ვერ ტოვებენ თავიანთ ბუდეს და რჩებიან ჯარისკაცებით სავსე სახლში. (ჯარისკაცებს შეუსახლებენ მოხუც ქვრივის თუთიყუშის ოთახში).

ნოველაში არ ჩანს გმირთა ცხოვრების დასასრული. მწერალი აღარ გამოგვეცხვს ქვრივისა და მოხუცი ქალის ცხოვრების ფინალს, მაგრამ, ალბათ, მკითხველისათვის გარკვეულია როგორ წარიმართებოდა მათი სიცოცხლე თუთიყუშის გარეშე. სრულდება მოხუცი მოახლე ქალის წინათგრძნობა — თუთიყუში იღუპება (საოცარია, მაგრამ იგი იღუპება არა ჯარისკაცების, არამედ ბავშვების ხელით).

ამ შემთხვევაში თუ თუთიყუშს წარმოვიდგენთ სიმბოლურ სახედ, იგი მიგვანიშნებს თუ როგორ განწირულია ადამიანი, რომელსაც არა აქვს საკუთარი „მე“, არ ცოცხლობს აქტიური ცხოვრებითა და მხოლოდ თავისთავშია ჩაეკტილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სერგო კლდიაშვილი თავისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე იზიარებდა სიმბოლისტური ესთეტიკის ძირითად პრინციპებს.

ამასთან ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოებასაც, რომ მწერლის ამ პერიოდის მინიატურებსა და ნოველებში თუმცა ჩანს დიდი სევდის, მარტოობის, გარეგან სამყაროსთან აბსოლუტური მოწყვეტისა და საკუთარ სულში ჩაკეტივის მისწრაფება, მაგრამ იგი მაინც მოკლებულია სიმახინჯის, სიკვდილის, განწირულების აპოლოგეას, ბოჰემურ ესთეტიკას, რაც ასე დამახასიათებელი იყო ორთოდოქსული სიმბოლიზმისათვის.

სერგო კლდიაშვილის ნოველებში, ადამიანის გაურკვეველი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, თავისთავად სვამს მრავალ კითხვას ადამიანის, მიწიერი ცხოვრების, ღმერთის რაობაზე. ამ კითხვებზე პასუხს მწერალი მხოლოდ საკუთარ თავში ჩაეკეტით, განმარტოებით უპასუხებს. ეს არის გზა ამაღლების, სულიერი განწმენდისა და ხსნისა: „იყავით მარტო თუ გსურთ ამაღლდეთ და გარემოს მწველმა ტალახმა არ გააბინძუროს თქვენის სიმწვენიერე“ (ლეგენდა „ოქროს ვერძი“).

ს. კლდიაშვილის ამ პერიოდის შემოქმედებაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ცხოვრება აშინებს მწერალს და დროის მოთხოვნებს ვერ აკყოლია, მაგრამ სიკვდილი მისი საბოლოო მიზანი მაინც არ არის; იგი აგონიაში არ ვარდება და მხოლოდ ნაღვლიანი, ფაქიზი, დიდი სულიერი განცდების მატარებელ მწერლად რჩება.

სერგო კლდიაშვილი შესანიშნავი მთხრობელია. მისი ფრაზა განმსჭვალუ-

ლია ლირიზმით, ენა სადაა, ნათელი, დახვეწილი და ხატოვანი... ეს თვისება მთელი მის შემოქმედების ძირითადი თვისებაა, რომელიც ჭერ კიდევ უფრო მეტად წერლო სარბიელზე გამოსვლისას შეიმჩნევა.

მას შეუძლია პატარა, სრულიად უმნიშვნელო მინიატურაში ისეთი ძალით გადმოგვცეს გმირის განწყობილება, რომ დიდხანს მკითხველიც გმირის განწყობილების გავლენის ქვეშ რჩება („დაბრუნება“). ბუნების ასეთივე ოსტატური აღწერით იგი შესანიშნავად გვიჩვენებს გმირის სულიერ განცდებს:

„მკაცრ, პირქუშ ზღვაზე, თეთრ ფრთიანი თოლია, ჩემი ქვეყნის ცივ ზღვაზე.“

დაბურული ცის, ტყვიისფერ ცისქვეშ ვფრინავ და ძახილით ვაღვიძებ მიძინებულ მიდამოებს... ღმერთო ჩემო! ჩემს გარშემო ყველაფერს სძინავს და თვით მეუღდაბნოეს არც ერთი გამოძახილი, არც ერთი სუნთქვა არ უპასუხებს ჩემს მოწოდებას... თეთრი თოლია, მიძინებული ქვეყნის ცივ ზღვაზე, მიდამოებზე. დაწოლილ ნისლებში ვფრინავ და მსურს, მსურს, რომ...

მაგრამ ღმერთო ჩემო! ყველაფერს რომ სძინავს!“ („აგონია“ — „თემი“, 1912, № 78), მინიატურაში „სიკეთე ტყუილისა“ ავტორს დიდი ოსტატობით აქვს აღწერილი ზამთრის სურათი და მისგან გამომდინარე განწყობილება: „მეცხრე სართულის ფანჯრიდან ოდნავ მოსჩანს მოპირდაპირე სახლის შეფიქვლი კარიბჭი. ქვაში გამოკვეთილ ორივე ტიტანს მხრებზე ყინულის ლოლუები ჰკიდია და მეჩვენება, რომ ტიტველ გოლიათებს სცივათ“. ზამთრის სუსხი მწერალს სევდას ჰგვრის: „დაეცქერი მათ და ასე მგონია, საცაა მეც გავითოშები“.

ამ მინიატურაში მწერლის განწყობილება მელანქოლიურია, მაგრამ სიმბოლიზმისათვის უჩვეულო კონტრასტი იჭრება მასში. მწერალი სიბნელეს, ბურუსსა და სიცარიელეს კი არ უბრუნდება, არამედ მათზე ფიქრისაგან თავის დასაღწევად საკუთარ ოთახს რთავს ფერად-ფერადი ქაღალდისაგან გამოჭრილი ბროწეულის რტოთი, ვაზის ფოთლებითა და ფანქრით დახატული თამარის ციხე-კოშკით, გელათითა და სვეტიცხოვლით. აქ სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ოცენების სამყარო რეალურ, მონატრებულ და სანუკვარ სამყაროდ არის ქცეული. ეს სამშობლოზე ფიქრით გამოწვეული ერთგვარი ნოსტალგიაა, მით უმეტეს რომ მინიატურა იმ პერიოდშია დაწერილი, როცა ჯერ სრულიად ახალგაზრდა სერგო კლდიაშვილი სამშობლოსაგან შორს, რუსეთში იმყოფებოდა: „ახლა ერთი წუთით დავტოვებ ოთახს, ვითომც არა ვიცი რაო, იქაურობას თვალს შევაგლებ და ისე გავიხარებ, თითქოს ნაოცნებარ მხარეში ვიმყოფებო“.

საკურადღებოა, ს. კლდიაშვილის მოთხრობა „გონორარი ყელსახვევი-სათვის“<sup>7</sup>, ანუ „პატარა რომანი, რომელიც კინემატოგრაფიული სისწრაფით ჩაივლის ჩვენს თვალწინ“, როგორც თვით მწერალი უწოდებს მას. იგი ზღაპრული სიუჟეტის მქონე, მსუბუქი, ოდნავ დამცინავი მანერით შესრულებული ნაწარმოებია, სადაც სიმბოლოს, სიტყვათა ელერადობას, რიტმს, ძირითადი მნიშვნელობა აქვს, თუმცა დონ-ბაბინო, დონ-პაპინო, დონა-დიტა და ა. შ. სიმბოლისტური პროზის ტიპურ ნიმუშად, ვფიქრობთ, არ შეიძლება ჩაითვალოს.

მოთხრობაში განწყობილება ირონიულია, ზოგჯერ სასაცილოც; ამკარად იგრძნობა სინამდვილის გავლენა, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება ზღაპრულ, უცხო ქვეყანაშია გადატანილი.

<sup>7</sup> უერნ. „ჩრდილოეთი“, 1916.



ქართული სიმბოლისტური პროზის ტიპური ნიმუშებია: ს. კლდიაშვილის „მზე ბალდახინზე“ („მეოცნებე ნიამორები“, 1921, № 5), „Natur morte“ (იქვე, 1922, № 7), უსათურო ეტიუდი „ჭერ არ გადმოაბიჯებს...“ (იქვე). სიმბოლისტურია ისინი ქანრულად (მცირე ფორმა), თემატურად, სახეებით, მხატვრული აქსესუარებით, განწყობილებითა და ვადაწყვეტით; ამასთან პოეტური პროზაა, რიტმულად მოწესრიგებული. მათი მხატვრული ანალიზი გვარწმუნებს, რომ შექმნილია სიმბოლისტური პროზა სპეციფიკური პოეტიკით; მათში განწყობილება, სურათი, ყოველი ფრაზა, რიტმი და სიტყვა სიმბოლისტური სკოლის პრინციპებით განიზომება. ყურადღებას იპყრობს წერის მაღალი კულტურა, რაფინირებული სტილი. შემდეგში ამ სტილმა განაპირობა არა მხოლოდ თვით ავტორის სამწერლო სტილი, არამედ საზოგადოდ დადებითი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ქართულ პროზაზე.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ქართული სიმბოლიზმისა და, კერძოდ, სიმბოლისტური პროზის სპეციფიკური სახე დაკავშირებულია სანდრო ცირეკიძის თეორიულ და პროზაულ ნაწარმოებებთან; სწორედ ის გახლავთ სიმბოლისტური პროზის მეტრი.

თ. თევზაძემ ნაშრომში „ქართული სიმბოლისტური პროზის პოეტიკა“ ს. კლდიაშვილის „ნატურმორტი“ საგანგებოდ შეაჯერა ს. ცირეკიძის ნოველას „სონეტი პროზით“ და დაასკვნა, რომ „სონეტი პროზით არ გავრცელებულა ქართულ მწერლობაში, თუმცა ამ პერიოდშივე იქმნება მსგავსი ფორმის ნაწარმოები, რომელშიც დაცულია ს. ცირეკიძის ყველა პრინციპი...“

I. სტრუქტურულად ს. კლდიაშვილის 14 სტრიქონიან მინიატურაში გამოიყოფა 2 კატრენი და 2 ტერცეტი, რომლებიც განლაგებულია ასეთი რიგით 4:3:3:4...

II. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ძნელია სონეტში „გაყინული“ სიუჟეტის აღწერა (პეიზაჟები, ამ შემთხვევაში „ნატურმორტი“) იგი მაინც დიალექტიკურად ვითარდება (თეზა, განვითარება, კვანძის გახსნა და მოქმედების დასასრული).

III. მარცვალთა რაოდენობა სონეტში ზედმიწევნით მოწესრიგებულია... ორ ტერცეტს შორის განსხვავებაა 1 მარცვალი (ზუსტად იგივეა, რაც ცირეკიძესთან კატრენებში).

თუ ს. ცირეკიძესთან კატრენებსა და ტერცეტებს შორის მარცვალთა რაოდენობა ზუსტი იყო, აქ განსხვავება მხოლოდ თითო მარცვლია...

ამგვარად, — დაასკვნის ავტორი, — ს. ცირეკიძისა და ს. კლდიაშვილის დასახელებული მინიატურების სტრუქტურა ერთგვაროვანია, რაც მხოლოდ შემთხვევითობით არ აიხსნება და მიგვანიშნებს რაღაც სისტემის საწყისზე, რომელიც ქართულ პროზაში ახალი ფორმის ძიებასთან იყო დაკავშირებული<sup>8</sup>.

სერგო კლდიაშვილზე, როგორც სიმბოლისტური პროზის ოსტატზე, შეიძლება ითქვას უფრო მეტიც. იგი ამ სახის მინიატურებში გვევლინება, როგორც პოეტი, შემოქმედი, რომელიც ს. ცირეკიძის მიერ „პარალელებში“ ჩამოყალიბებულ პრინციპებს აკმაყოფილებს, მაგალითად, „Natur morte“<sup>9</sup>

„ობობას ქსელივით კიდია ქსოვილი ფანჯარაზე )  
კედლებს იქით ღამეა და გახლებული ქარი.  
ცოცხლებიან თეთრი ღარნაკები, გამშრალი კაობები,  
ძველი სურათები და თაროებიდან გადმოდიან ფრთხილი ნაბიჯით.  
მორიდებით გადაივლიან ხალიჩებს და სარკეების

<sup>8</sup> თ. თევზაძე, ზოგიერთი საკითხი ქართული სიმბოლისტური პროზის პოეტიკიდან, კრებული — კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბ., 1982.  
<sup>9</sup> „მეოცნებე ნიამორები“, 1922, № 7.





ჩემი შრიალი ვაისმის სარკეებში იმღვრევა მათი სიწმინდე და გადასული მაყრიონები ჩქარობენ ნაპირების გადმოსასვლელად. ქარივით გადმოლახეს სარკეების ჩარჩო და ქარსავით დატრიალდა ჩემი ოთახი. მიმჯავავს დრო უსაზღვლო და ველი შემოვა უცხო ძლიერი, მოვა როგორც ახალი მოციქული და დაუზოგავი გამაყავს ჯვარს“.

„პოეზიაში მოვლენები იწმინდებიან და მარადიულის შრიალი ისმის, იმათ იქიდან. ნივთები აითვისებიან, როგორც ნიშნები გამოთქმულის და სახეები ხდებიან ღირებულებათ.

მაგრამ უკვე ტრადიციულია ჭორი პოეზიის დაპირისპირებისა სტილისტურ პროზასთან. მარცვლების ერთი ზომით გადათვლელი არაა პოეტი. პოეტია ის, ვინც იგრძნო ფენომენალობა სამყაროსა და აჩრდილი მარადიულის. პოეტია, ვინც კოშკები აუგო ჟამთა სიავეს და როსტომ მანველიძე ბუხართან ვაათბო...

პოეტის აზროვნება მეტაფორულია. პოეტი ეძებს ნივთების ფარულ დამოკიდებულებას და ქმნის პარალელურ შედარებებს.

რეალობა მეტაფორით გაგებული იცრიცება და ხდება გამჭვირვალე „მშინ დავდგებით პირისპირ ქაოსთან და მას უნდა დავარქვათ ახალი საშინელი სახელი. ინდივიდი მოვლენა იშლება მარადიულში და ეს კოსმიური გრძნობა წმინდა ესთეტიკური განცდა“<sup>10</sup>.

მოგვიანებით სერგო კლდიაშვილი თანდათან შორდება ბურჟუასა და მარტოობის მოტივს და მის ნოველებში რეალისტური ელემენტებიც ჩნდება, თუმცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც მწერალი სიმბოლიზმის პრინციპებს ემყარებოდა — „ქალაქი ხევში“ („მნათობი“, 1925, № 11—12), „თუთიყუში“, (იქვე, 1925, № 5—6), „ლიბი“ (იქვე; 1929, № 8—9).

1927 წელს სერგო კლდიაშვილი ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ აქვეყნებს ორ მოთხრობას: „მარტია“ — ერთი თავი მოთხრობიდან „ბედნიერება“ და ნოველას „ჭინკა“. ამ მოთხრობებში გამოჩნდა სერგო კლდიაშვილის, როგორც მწერლის, კიდევ ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც მთელს მის შემოქმედებას გასდევს: ფაბულას, მოქმედების განვითარებას, ადამიანთა ურთიერთობების — ხასიათების გახსნით ქმნის.

ძირითადად მოვლენებს, უდიდეს ძვრებს, მწერალი თავისი გმირების განწყობილებების, მათი ურთიერთდამოკიდებულებების, მათში მომხდარი ამა თუ იმ მოვლენის შესაბამისი გარდატეხით გვიშუქებს. „მარტიაში“ მწერალი მშვენიერად გვიხატავს მოხუცი ცოლ-ქმრის ბეკოსა და მარიამის ცხოვრების ერთ ეპიზოდს.

ნაწარმოები აგებულია პერსონაჟთა დიალოგზე, ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო, თითქოს გმირების შესახებ მკითხველისათვის არაფრის ახლის მომცემი დიალოგი, საოკრად კარგად გვიხსნის ბეკოსა და მარიამის ხასიათებს, განწყობილებებს, ცხოვრებისადმი მათ დამოკიდებულებას.

<sup>10</sup> „მოკნებე ნიამორები“, 1921, № 5.

სიცხისაგან ქანცვამოლეული ცოლ-ქმარი ფეხების გაგრილებით და ზეთის კითხვით ირთობს თავს. მარიაში სამგლოვიარო განცხადებებს კითხულობს და არაფრად აგდებს ქმრის მომბაზვრებელ კითხვებს: „რომელ ცოლა მართა აცხადებს მიცვალებულს, ბიოლა მართა თუ დეიდა მართა?“ და ა. შ.

ამ საუბარში მიცვალეულების ხსენებაზე მოხუც ბეკოს უცნაური აზრი აეკვიტება და ეს გრძნობა მით უფრო აშკარა ხდება, როცა წარმოიდგენს, რომ ადრე თუ გვიან მას შეიძლება ყველა გამოცეცხლოს ხელიდან და მარტო დარჩეს... მაშინ რაღა ეშველება ბეკოს?..

— თუ გაწყრა ღმერთი და მომიკვდი, — ეუბნება იგი მარიამს, შემდეგ თანდათან ყველას მოახლოებულ სიკვდილზე განაგრძობს საუბარს.

— გაწყრა ღმერთი და კაკილაც მომიკვდა, ვასილიც... რაღა ვქნა მაშინ? ვინ იქნება ჩემი პატრონი?..

მარიაში გაბრაზებული უყვირის: — თუ ყველა გავწყდით, შენ რაღა ოხრათ გინდა სიცოცხლეო“.

ამ პატარა ეპიზოდში სერგო კლდიაშვილი ოსტატურად გვიხატავს ბეკოს ხასიათს: სენტიმენტალური, ცხოვრებისგან დაღლილი მოხუცი, რომელიც მოგონებებით ცხოვრობს და ცხოვრებისთვის ფაქტობრივად უმოქმედოა, იმდენად ვერ თმობს სიცოცხლეს, რომ ეგოიზმამდეც კია მისული; ყველას სიკვდილი წარმოუდგენია, ყველაზე საყვარელი შვილისაც კი, სასიკვდილოდ მხოლოდ თავისი თავი არ ემეტება: „ყველა თუ გაწყდით რა მეშველება მაშინ მეო, ვინღა მომივლის და მიპატრონებსო“!

სიცოცხლისადმი სიყვარულის ასეთი გამოხატულება და მისი ასეთი სიზუსტით ასახვა ერთ მცირე ეპიზოდში, უდაოდ, სერგო კლდიაშვილის, როგორც დიდი მწერლის, უნარსა და ნიჭზე მეტყველებს.

ქართული რეალისტური სკოლის ტრადიციებს სერგო კლდიაშვილი ოჯახში ეზიარა, (დავით კლდიაშვილის მეგვიდრეობამ დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე), ამდენად ამ ტრადიციებს მწერალი მოწყვეტილი ვერ იქნებოდა. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ თავისი შემოქმედების სიმბოლისტურ პერიოდში სერგო კლდიაშვილი სინამდვილის რეალისტური აღქმის აშკარა ნიშნებსაც ავლენდა.

დავით კლდიაშვილის მიმართვა შვილისადმი მწერლის შემოქმედების საბოლოო მიზნად იქცა: „ჩემთვის მთავარია რას და როგორ წერ, — ეუბნებოდა შვილს. — თუ ნაწარმოები განყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს. აი, შენ რომ ერთ დროს პშიზიშევსკით გატაცებული იყავი, მე ის არ მომწონს, ტყუის, კუდაბზიკა აზნაურით იქაჩება, რაღაცას იბერება, რაღაც ბრძნული უნდა ვითომ თქვას და ტყუის, კაცი იმას არ უყვარს, ადამიანის უკეთესობისათვის არ ფიქრობს; გულგრილობით შორს ვერ წახვალ. გავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე. გადახედე თუ ასე არაა!“ (სერგო კლდიაშვილი: „დავით კლდიაშვილი“).

СИМВОЛИЗМ В РАННЕМ ТВОРЧЕСТВЕ  
СЕРГО КЛДИАШВИЛИ



Резюме

Известный грузинский писатель Серго Клдиашвили начал свою писательскую деятельность в середине десятых годов нашего столетия. Его художественно-эстетические принципы сформировались под влиянием русско-европейского символизма.

Рассмотрено раннее творчество Серго Клдиашвили, одного из первых грузинских прозаиков-символистов. Несмотря на то, что писатель считал символизм одним из важнейших течений в развитии художественной литературы и полностью одобрял как мировоззрение символистов, так и их поэтику (стремление к малой форме, миниатюра, эскиз, фрагмент, психологическая новелла), в своих ранних произведениях он все-таки не дошел до крайнего выявления всех этих форм и настроений (истерии, богемы, жертвования, смерти, уродства и т. п.), что так характерно для ортодоксального символизма.

Это первая попытка исследовать ранний период творчества Серго Клдиашвили, который долгое время оставался неизученным, и этим высветить значительную роль писателя в развитии грузинской символистической прозы.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული საბჭოთა ლიტერატურის განყოფილება

წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა



ლილია სანაძე

### 1879 წლის მარტის „შინაური მიმოხილვის“ ატრიბუციისათვის

გაზეთ „ივერიის“ ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთების პირველივე დღიდან (1879 წ. იანვარი) იქ იბეჭდებოდა „შინაური მიმოხილვები“, რომლებიც საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ახალ ამბებს იუწყებოდა. მიმოხილვები ხელმოუწერლად ქვეყნდებოდა. როგორც ილიას პირადი არქივის შესწავლით დასტურდება, სადაც დაცულია „შინაური მიმოხილვების“ ხელით გადმოწერილი ასლები, მათი უმეტესობა ილიას ეკუთვნის, მაგრამ ეს სია არ არის სრული. ამიტომ ილიას მეგვიდრეობის ცნობილ გამოცემელს მკვლევარ პ. ინგოროყვას დიდი მუშაობის ჩატარება დაჰქირდა მიმოხილვების ავტორების ვინაობის დასადგენად (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955), თუმცა ყველა მიმოხილვის ავტორის დაზუსტება ვერც მან შეძლო.

წინამდებარე წერილის მიზანია დაადგინოს რიგით მესამე (1879 წლის მარტის) — „შინაური მიმოხილვის“ ავტორის ვინაობა.

ეს „შინაური მიმოხილვა“ პირველად 1928 წელს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა შეიტანეს ილიას „ნაწერების სრული კრების“ მე-7 ტომის დამატებით — სავარაუდო ნაწილში (იხ. გვ. 271). ილიას თხზულებათა მომდევნო გამოცემებიდან კი იგი პ. ინგოროყვამ საერთოდ ამოიღო. ეს მით უფრო მოულოდნელია, რომ მას 1928 წელს დამატებაში დაბეჭდილი სამი მიმოხილვიდან ყველაზე უდავოდ ილიასეულად სწორედ ეს მიმოხილვა მიიჩნდა. იგი წერდა: „პირველი (1879 წლის მარტის. — ლ. ს.) ამ სადაო მიმოხილვათა შორის უდაოდ ილიას ეკუთვნის (ხაზი ჩემია. — ლ. ს.)“<sup>1</sup>.

პ. ინგოროყვას ეს თვალსაზრისი სრულიად გასაგებია, რადგან იგი ემყარება გ. ყიფშიძის ცნობას, რომელიც ამ „შინაურ მიმოხილვას“ ილიასეულად იხსენიებს მის მიერ დაწერილ ილიას ბიოგრაფიაში, რაც მან პოეტის თხზულებათა გედევანიშვილისეული გამოცემის პირველ ტომს (1914 წ.) დაურთო.

ვიდრე საკუთარ თვალსაზრისს წარმოვადგენდე ამ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებლად მიმანჩია იმ საბუთების განხილვა, რომელთა საფუძველზეც პ. ინგოროყვამ თავისი თავდაპირველი შეხედულება შეიცვალა.

პ. ინგოროყვას ეკუთვნის ბრწყინვალე გამოკვლევა, რომელიც ილიას „შინაური მიმოხილვების“ ატრიბუციის საკითხს ეხება. აქ<sup>2</sup>, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, ნათქვამია: „გრ. ყიფშიძეს ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში მოჰყავს ციტატი ამ მიმოხილვიდან და ამის მიხედვით ირკვევა, რომ გრ. ყიფშიძე მას ილიასეულად სთვლიდა (იხ. ილიას ბიოგრაფია, დართული ილიას ნაწერების 1914 წლის გამოცემასთან, გვ. XLI)“. გრ. ყიფშიძის ამ ჩვენებაზე დამყარებით ჩვენ წინათ არ მიგვაჩნდა გამორიცხულად ამ მიმოხილვის ილიასადმი კუთვნილება. მაგრამ ტექსტის დაკვირვებული ანალიზის შედეგად ილიას ავტორობა ჩვენ საუკვოდ გვეჩვენება. გრ. ყიფშიძის ბიოგრაფია ილია ჭავჭავაძისა დაიწერა 1913—1914 წლებში, ე. ი. 35 წლით არის დაშორებული „შინა-

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VII, ტფ., 1928, გვ. 336.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955, გვ. 377—405.

ური მიმოხილვის“ დაბეჭდვის დროიდან და არ არის გამორიცხული, რომ გრ. ყიფშიძეს შეცდომა მოსვლოდეს, როდესაც ამ მიმოხილვის ავტორად ილია ჩათვალა (ალბათ, იმის გამო, რომ მიმოხილვეს „ივერიაში“ ჩვეულებრივად წერდა). ყოველ შემთხვევაში ამ მიმოხილვის ავტორობის საკითხს ჩვენ ღიად ვტოვებთ და სადაოდ ვთვლით, მით უფრო, რომ ეს მიმოხილვა... არაა შეტანილი ილიას მიმოხილვათა ხელნაწერში“ (იგულისხმება კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილი S ფონდის 5168 ხელნაწერი, ახალი აღწერილობით ილია ჭავჭავაძის ფონდის № 168).

როგორც ციტატიდან ჩანს, პ. ინგოროყვამ ამ „შინაური მიმოხილვის“ ილიასეულობა სამი მიზეზის გამო უარყო:

1. რადგან მისი დაწერიდან ილიას გ. ყიფშიძისეული ბიოგრაფიის დაწერამდე 35 წლის შუაღელია და ამის გამო შეიძლება გ. ყიფშიძეს შეცდომა მოსვლოდა, როდესაც მიმოხილვის ავტორად ილია მიიჩნია.

მაგრამ ეს არის ვარაუდი და არა რაიმე ფაქტზე დამყარებული მტკიცება, რომელიც უარყოფას საჭიროებდეს. ასეთი ლოგიკით და კიდევ უფრო მეტი დამაჭერებლობით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გ. ყიფშიძეს ახსოვდა ის, რაზედაც წერდა.

2. ილიას ეს მიმოხილვა არ არის შესული № 168 ხელნაწერში, რომელშიაც სხვისი ხელით გადმოწერილია ილიას „შინაური მიმოხილვები“. მაგრამ აღნიშნული ხელნაწერი ხომ 27 „შინაურ მიმოხილვას“ შეიცავს (პ. ინგოროყვა შეცდომით 26-ს მიუთითებს, მას ტექსტშიც და დასახელებაშიაც გამოტოვებული აქვს 1882 წლის ოქტომბრის „შინაური მიმოხილვა“). ეს სია რომ ზუსტი არ არის, ამაზე ყველაზე უკეთ თვითონ პ. ინგოროყვას ღვაწლი მიანიშნებს. მან ხომ კვლევა-ძიების შედეგად დაადგინა, რომ ილიას ეკუთვნის არა 27 თუ 26, არამედ 32 „შინაური მიმოხილვა“.

3. „ტექსტის დაკვირვებული ანალიზის შედეგად ილიას ავტორობა ჩვენ საეჭვოდ გვიჩვენება“, — წერს პ. ინგოროყვა და ამ საკმაოდ ბუნდოვან განცხადებას სქოლიოში ასეთ განმარტებას ურთავს: „განსაკუთრებით ეჭვს იწვევს ის ერთგვარი „ობიექტივიზმი“, რომელსაც იჩენს ავტორი ამ მიმოხილვაში აღწერილი პროცესის შეფასების დროს, ილიას ამგვარ საკითხებში არავითარი ობიექტივიზმი არ ახასიათებს“. აქ პ. ინგოროყვა გულისხმობს მიმოხილვას ბოლო ნაწილს, რომელიც ეხება სარა მოდებაძის მკვლელობას და მის სასამართლო პროცესს ქუთაისში. ბავშვის (სარა მოდებაძის) მკვლელობაში ბრალი ედებოდა ქართველ ებრაელებს. ამ ე. წ. „ურიების საქმეს“ ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი როგორც ქართული, ისე რუსული პრესა. „დროებაში“ ქვეყნდებოდა პროცესთან დაკავშირებული ყოველი წერილმანი.

აქ, როდესაც პ. ინგოროყვა წერს ავტორის ობიექტურობაზე, ჩემი აზრით, უნდა გულისხმობდეს ერთ ადგილს მიმოხილვიდან, სადაც ეკითხულობთ: „ჩვენ, რასაკვირველია, იმის გარჩევას არ შევუდგებთ, თუ ის რვა კაცი — ბრალდებული ურია — მართალნი არიან, თუ მტყუანნი. იქნება სწორედ მართალნიც იყვნენ, იქნება მტყუანნიცა“. ეს სიტყვები რა თქმა უნდა, მიმოხილვის ავტორის სრულ ნეიტრალიტეტს გულისხმობს. მაგრამ, ენახოთ, მართლა ასეა, თუ არა, გადმოცემს თუ არა ავტორი საკუთარ აზრს სასამართლო პროცესთან დაკავშირებით? განვიხილოთ მიმოხილვის ტექსტი ამ თვალსაზრისით:

მიმოხილვის ბოლო ნაწილის დასაწყისში ავტორი, ვიდრე რამეს იტყოდეს მკვლელობის შესახებ, პირდაპირ იწყებს სასამართლო პროცესის შეფასებას და წერს: „ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ... შეუწყნარებელმა მგონიაობამ ამ ბოლო დროს განუხედ გაიდგა ფეხი... ეგრეთ წოდებული „ურიების საქმე“, ამ მოკლე ხანში ქუთაისში გარჩეული, ამის ცხადი მაგალითია. ეს

საქმე, რომელმაც მიიზიდა თითქმის მთელის ქვეყნის ყურადღება და რომელიც საც თვალ-ყურს ადევნებდნენ განსამართლების დროს თითქმის ყველა ქურ-ნალ-ვაზეთები ჩვენში თუ სხვაგან, მართო მგონიაობაზედ იყო აგებული, მგონიაობით შემოზღუდული, მგონიაობით თავდახურული და მგონიაობით გათავებული. რვა კაცის პატიოსნება, ღირსება, თავისუფლება, ადამიანობა საფათერაკოდ იყო გამზდარი მავ მგონიაობის წყალობითა. ეგ კიდევ არაფერი: მთელის საქართველოს ურიების ყოფაცხოვრება, მშვიდობით მყოფელობა ბეწვზედ იყო დაყენებული ჩვენშია“.

როგორც უკვე მივუთითეთ, ყოველივე ეს წინ უსწრებს დანაშაულის შინა-არსის გადმოცემას, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხავს ავტორის თხრობის ობიექტურ სტილს და, მართლაც, სასამართლო პროცესის აღწერის სუბიექტური შეფასებები არაერთგზის გვხვდება ამ „შინაურ მიმოხილვაში“. მაგ., დიდ ადგილს უთმობს ავტორი უსაბუთო ბრალდების უმართებულობას და მიუთითებს, რომ ხალხი და მეცნიერებაც აუცილებლად მიიჩნევენ, „რომ ადამიანი ბრალდებულთა სკამზედ უსაბუთობამ კი არ უნდა დასვას, — უეჭველმა საბუთმა. თუ ამისთანა საბუთი მოძიებული და ნაპოვნი არ არის, მეცნიერებაც და საზოგადოების განწმენდილი სინდისი ამას ითხოვს, რომ ადამიანი თავისუფალ იქმნას თავის ცხოვრებაში ყოვლის ხელწაწვდისაგან, ყოვლის მოსევისაგან...“ შემდეგი გვერდი კი მთლიანად ეძღვნება უსაბუთოდ დასჯილი, თვითნებურად ხელყოფილი ადამიანის „ზნეობით“ და „ქონებით“ ზარალს. ამას მოსდევს შეგონება იმის თაობაზე, „რომ ჰსჯობს ათი მართლა დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი მართალი გამტყუნდეს“.

განა ეს არის ობიექტივიზმი? განა ყოველივე ზემოთქმული აშკარად არ წარმოაჩენს ავტორის თვალსაზრისს აღნიშნული სასამართლო პროცესის შესახებ? და ბოლოს, უსადავებს რა თავის შეხედულებებს ურიების საქმეს, მიმოხილვის ავტორი ასკვნის: „ურიების საქმეში არც სიმართლის ფარსა ვხედავ და არცა ხმალსა“. ასე ფარ-ხმალ აყრილად წარმოუდგენია ავტორს სიმართლე ურიების საქმის გამოძიებაში. ავტორი უმართებულოდ მიიჩნევენ ავრეთვე ექსპერტიზების ნაგვიანეე ჩატარებას და აღნიშნავს — საექსპერტო დასკვნები „ერთი ალთას მიდის და მეორე ბალთასო!“

ანალოგიური მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება საკვლევი „შინაური მიმოხილვიდან“, მაგრამ, ვფიქრობ, წარმოდგენილი მასალიდანაც ნათლად ჩანს, რომ მიმოხილვის სტილი ობიექტივიზმით არ ხასიათდება, რომ ავტორი ძალიან ხშირად ამქდავენებს პირად დამოკიდებულებას სასამართლო პროცესის შეფასებაში. ეს, რაც შეეხება პ. ინგოროყვას ვარაუდებს. მე კი ამ „შინაური მიმოხილვის“ ავტორის ვინაობის დადგენაზე ვაწუთლმა მუშაობამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ მის ილიასეულობას სწორედ „ტექსტის დაკვირვებული ანალიზი“ ასაბუთებს.

პირველ ყოვლისა შევეჩებები იმ ფაქტობრივ მასალას, რაც მოხსენებულია საკვლევი მიმოხილვის ტექსტში.

მიმოხილვის დასაწყისში აღწერილია ქუთაისის ბანკის გამგის ბესარიონ ლევანის ძე ლობჯინაძის დასაფლავება, რომელიც შედგა 1879 წლის 15 მარტს სოფ. ჭიხაიშში. მიმოხილვის მიხედვით, ავტორი პროცესის თვითმიხილველია — ეჭვი არ არის, რომ იგი დასაფლავებას ესწრებოდა. და მართლაც, გ. ყიფშიძე ამის თაობაზე თავის ზემოხსენებულ ბიოგრაფიაში წერს: „1879 წელს გარდაიცვალა ცნობილი მოღვაწე და გამგე ქუთაისის ბანკისა ბეს. ლობჯინაძე, ილიაც დაესწრო დასაფლავებას“. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ გ. ყიფშიძე ყველაფერში ცდებოდა. თუ მას არ ახსოვდა, რომელი მიმოხილვა ეკუთვნოდა ილიას, ეგების ილიას ჭიხაიშში ყოფნის ფაქტი მაინც სწო-

რად დაახსომდებოდა! მით უფრო, რომ იმ დროს ვაზ. „დროებაც“<sup>3</sup> წერდა: „ქუთაისიდანვე გვატყობინებენ, რომ ახლადმიცვალბულის ბესარიონ ბერიძის დასაფლავებაზედ რამდენიმე საპატიო პირი ჩამოვიდა თბილისიდან“ (იხ. „დროება“, 1879, № 58, „დღიური“).

ვფიქრობ, არ ცდებოდა გ. ყიფშიძე არც მაშინ, როცა წერდა: ილიამ „თავის ჟურნალში“ („ივერია“. — ლ. ს.) სთქვა სხვათა შორის: „რჩეული კაცი იყავ და გულში გიღვიოდა ნაკვერჩხალი ქვეყნის გულშემატკივრობისა... ყველას არ ჩაახედებდი შენს გულში... მე ჩამახედე, ძმაო, ამ უკანასკნელს დროს შენს გულში და ჩემი უტყუარი გამკითხველი იქ იპოვე. ბევრი დაგვიწავებდა შენს წინაშე, დაგვიწავებია არ ცოდნით, მაშასადამე, არ ცოდვით. შეგვიწადე და მოგვიტყევე“.

ასე მოჰხდა ილიამ ბოდიში თავის თავსაც „გამოცანებში“ ბესარიონის სასაცილოდ აგდებისათვის და ნ. ნიკოლაძესაც, რომელიც აგრეთვე ცხარედ ებრძოდა განსვენებულს საბანკო საქმეების გამო<sup>3</sup>. გ. ყიფშიძის მიერ აქ დამოწმებული ციტატა სწორედ საკვლევი მიმოხილვიდანაა მოყვანილი.

ვასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, — 1871 წლიდან (ეგების მანამდეც), „გამოცანებში“ ილიას მიერ ბეს. ლოღობერიძის აუგად მოხსენიების შემდეგ, მათ შორის კეთილგანწყობილება არ იქნებოდა. ხოლო მას შემდეგ (ეგების ცოტა უფრო ადრეც), რაც ქუთაისის ბანკის წესდების გამო ატეხილ დავაში ილიამ ბესარიონ ლოღობერიძის პოზიციას დაუჭირა მხარი, ბუნებრივია, მათ შორის ურთიერთობა გაუმჯობესდებოდა. ვფიქრობ, ამით უნდა აიხსნას ამ „შინაური მიმოხილვიდან“ შემდეგი სიტყვები: „ამის დამწერი ერთი იმათგანაა, რომელსაც შენ (იგულისხმება ბ. ლოღობერიძე. — ლ. ს.) დაავალე და ჩაახედე შენს გულში ამ უკანასკნელს სამს-ოთხს წელიწადში...“ მართლაც, ილიას წერილის — „უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“ (რომელშიაც იგი მხარს უჭერს ბ. ლოღობერიძის წესდებას) — დაწერიდან (1876 წ.) ამ „შინაური მიმოხილვის“ დაწერამდე (1879 წ.) ზუსტად სამი წლის შუალედია.

ილიას ავტორობის სასარგებლოდ უნდა მიანიშნებდეს ერთი პატარა დეტალიც საკვლევი მიმოხილვიდან. აქ ნათქვამია: „როცა სამძიმრის სათქმელად მივედით, ბესარიონის უბედურმა მამამ დაგვიყენა წინ პატარა ძმა განსვენებულისა და გვითხრა: „ვისაც ბესარიონის ნამდვილი პატივისცემა და სიყვარული გაქვთ, ამ პატარა ბავშვს უპატრონეთო“... ნუთუ ტფილისის და ქუთაისის ბანკები არამც თუ ძმას არ გაუზღიან, არამედ სხვა სტიპენდიასაც არ დანიშნავენ იმ კაცის სასარგებლოდ, რომელმაც თავისი სახელი და ბედნიერება დაივიწყა თავისი ქვეყნის და ხალხის სახელისა და ბედნიერებისათვის!“.

ამ ამონაწერიდან იგრძნობა, რომ სამძიმარზე მისული ეს ჯგუფი (რომელშიაც მიმოხილვის ავტორიც იყო) ბანკის თანამშრომლები უნდა ყოფილიყვნენ. ხოლო ქუთაისის ბანკის გვერდით კი (რომლის გამგეც განსვენებული იყო) ასე დაბეჯითებით თბილისის ბანკის დაეაღმდეგებოდა დახმარებაში ყველაზე მეტად სწორედ ილიას შეეძლო, რომელიც ამ ბანკის განმგებელი იყო.

ეს რაც შეეხება საკვლევ „შინაურ მიმოხილვაში“ წარმოდგენილ ფაქტებს.

ახლა კი შევეცდები „შინაური მიმოხილვის“ ტექსტის გრამატიკულ-სტილისტური ფორმების გაანალიზების საფუძველზე განვამტკიცო აზრი ამ მიმოხილვის ილიასეულობის თაობაზე.

მიმოხილვაში გვხვდება ის შესიტყვებები და გამოთქმები, რომელთაც ილია ძალიან ხშირად ხმარობდა. ასეთებია: სიტყვა „ხნეობითის“ ხშირი გამოყენება

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, ტფილისი, 1914, გვ. XLI—XLII.

მსაზღვრელად: ზნეობრივი ძალ-ლონე (ტ. V, გვ. 49)<sup>4</sup>, ზნეობითის აზრით (სი-  
ტყვა თქმული სათავადაზნაურო კრებაში“) ზნეობითი მოვალეობა (ტ. V, გვ. 31),  
ზნეობითი აღმავლობა (ტ. V, გვ. 38), ზნეობითის აღმატებულებას (ტ. V, გვ. 31),  
გვ. 325) და სხვ.

ამ საკვლევ მიმოხილვაშიც ეს სიტყვა 6 ჯერ გვხვდება: ზნეობითი მოვალე-  
ობა, ზნეობითი მოთხოვნა და ზნეობითი კანონი (4 ჯერ).

თავის ნაწერებში ილია ძალიან ხშირად ხმარობს ასეთ შეპირისპირებებს:  
„საზოგადოდ და საკუთრივ“, „საზოგადოდ და ცალკე“, „საზოგადოდ და კერ-  
ძოდ“, „საზოგადოდა და ნამეტნავად“, მოვიყვანთ მაგალითებს თითოეულ მათ-  
განზე:

**I. საზოგადოდ და საკუთრივ:** სკოლამ საზოგადოდ და საერომ საკუთრივ  
(ტ. IV, გვ. 278), საზოგადოდ ყველასათვის და გლეხისათვის საკუთრივ (ტ. VI,  
გვ. 61); სოფლობას საზოგადოდა და ჩვენსას საკუთრივ (ტ. VI, გვ. 67); ეკო-  
ნომიურის ვითარებისაგან საზოგადოდ და საკუთრივ იმისაგანაცაო... (ტ. VI,  
გვ. 73); ...ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ და ამასთანავე საქპროა საკუთ-  
რივ კაცსა ჰქონდეს... (ტ. VI, გვ. 76); ადამიანის ცხოვრება საზოგადოდ და ჩვე-  
ნი საკუთრივ (ტ. V, გვ. 70); განკარგულებაში საზოგადოდ და კანონმდებლო-  
ბაში საკუთრივ (ტ. VI, გვ. 74); ეგვიპტელნი საზოგადოდ და რამზეს დიდი სა-  
კუთრივ (ტ. IV, გვ. 53); ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ  
(ტ. V, გვ. 27); ამას ითხოვს... საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი  
საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც (ტ. V, გვ. 31); ხალხი საზოგადოდ და და-  
ბალი საკუთრივ (ტ. V, გვ. 31).

**II. საზოგადოდ და ცალკე:** ან მსოფლიო ისტორიაში საზოგადოდ ან საქარ-  
თველოში ცალკე (ტ. IV, გვ. 20); კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითოეულ  
ერში ცალკე (ტ. IV, გვ. 28); ისტორია ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზო-  
გადოდ (ტ. IV, გვ. 29); შემოღება რისამე საზოგადოდ და სიტყვისა ცალკე  
(ტ. IV, გვ. 33).

**III. საზოგადოდ და კერძოდ:** თვითმმართველობა საზოგადოდ და სოფლისა  
კერძოდ (ტ. VI, გვ. 60); განათლების საზოგადოდ და ხალხის განათლების კერ-  
ძოდ (ტ. V, გვ. 18).

**IV. საზოგადოდ და ნამეტნავად:** ერი საზოგადოდ და ჩვენი ნამეტნავად  
(ტ. V, გვ. 10); სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის (ტ. V, გვ. 40);

საკვლევ მიმოხილვაშიც ორჯერ გვხვდება ასეთი შეპირისპირებანი: „კაცმა  
საზოგადოდ და კანონმა საკუთრივ“ (გვ. 12); „ეს საგანი იმისთანა ცულ უბრა-  
ლო რამ არის საზოგადოდ და ნამეტნავად ამ საქმეში“ (გვ. 15).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია  
ხშირი ხმარება მხატვრული სახისა „კვანძი“ — კვანძის შეკერა, გამონასკვა,  
გამოსხნა და სხვა. მას ვხვდებით როგორც პუბლიცისტიკაში, ისე მხატვრულ  
ნაწერებში და თარგმანებშიც კი. მაგ.: „ოთარაანთ ქვრივში“ იგი რამდენჯერმეა  
გამოყენებული, ხოლო მისი IX თავი კი ასეა დასათაურებული: „უცნაური  
ნასკვი“, და იგი ასეთი სიტყვებით მთავრდება: „...ამ უცნაურ ნასკვს წვერიც  
ვერ უპოვეს გამოსახსნელად“.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა კიდევ ბევრის შეიძლება: ...გამოიკვანძა

<sup>4</sup> ტომი და გვერდი მითითებულია ავტომეულის მიხედვით. გამონაკლის წარმოადგენს  
მაგალითები ილიას უცნობი თხზულებებიდან, რომლებიც მხოლოდ სათაურით არის მოხსენე-  
ბული.



დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა (ტ. V, გვ. 17); მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას (ტ. V, გვ. 17); ამ ძმობაში გამოიკვანდა ჩვენი ბელი (ტ. V, გვ. 31); ამ თვალად მცირე შემთხვევაშია მთელი ნასკვი, რომლისაგანაც გამოიხსნებოდა მთელი რთული ხასიათი... (ტ. III, გვ. 170); მაგრამ საიღამა აქვს ეს საქმე, იმისა და ნასკული? (ტ. IV, გვ. 62); როგორც ის ძალა, რომელიც თესლში გამოიკვანდა მთავალ მცენარესა (ტ. II, გვ. 527); ჩვენი აზრი, ამ ორის მაგალითისაგან გამონასკვილი; ფიჭვი, რაკი ერთხელ... გამოიკვანდა (ტ. II, გვ. 276); ერთად-ერთი აზრი კაცს თავში გამოიკვანდოს („სატირა ლარასი“); კვანძი, რომელიც შეიკრა მე-19 საუკუნეში, ჯერ არ გახსნილა.

რომ უფრო დაკონკრეტდეს სათქმელი, საკმარისია ერთმანეთს შევუპირისპიროთ მხოლოდ I (1879 წლის იანვრის), II (1879 წლის თებერვლის) და III (საკვლევნი, 1879 წლის მარტის) „შინაური მიმოხილვები“ (რომ არაფერი ვთქვათ შემომოყვანილი მაგალითების ვრცელ სიაზე, რომლის გაზრდაც ადვილად შეიძლება). ილიას ავტორობის დასამტკიცებლად საკმარისია მხოლოდ ზოგიერთი ადგილის შეპირისპირება ხსენებული პირველი სამი მიმოხილვიდან:

I. (1879 წლის იანვარი): გამოიკვანდა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა. მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას. რით გაიხსნება ეს კვანძი...

II. (1879 წლის თებერვალი): ამ ძმობაში გამოიკვანდა ჩვენი ბელი.

III. (1879 წლის მარტი): აქ იხსნება ის კვანძი, რომელიც ამ საქმემ გამოიკვანდა.

ვეფიქრობ, მსგავსება აშკარაა. საგულისხმოა ის ვარემოებაც, რომ ამ „შინაური მიმოხილვების“ დაწერის დროში სხვაობა მხოლოდ თითო თვეა. ამრიგად ილიას „კვანძის მხატვრული სახე“ გამოყენებული აქვს 1879 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში (საკვლევ მიმოხილვაში).

ახლა, რაც შეეხება იმ გრამატიკულ ფორმებსა და სიტყვათა თავისებურ დაწერილობას, რომელიც დამახასიათებელია ილიას ენისათვის:

1. საკვლევნი მიმოხილვის ტექსტში, როგორც წესი (და როგორც ყოველთვის იმ ხანად ილიასთან), გამოყენებულია ორმაგი პირის ნიშანი „ჰს“. იგი იხმარება განურჩევლად ყველანაირ ზმნასთან — როგორც გარდამავალთან, ისე გარდაუვალთან, თვით ერთპირიანთანაც კი. მაგ.: ჰსტირს, ჰსჩანს, ჰსწამს, ჰსჯობს, ჰსტყუვდებოდნენ, ჰსწყდებოდა, ჰსცემს, შეჰსწამეს, ვჰსთქვათ და სხვ. აქვე უნდა შევნიშნო, რომ, ვისაც ილიას ხელნაწერებზე და პირველნაბეჭდ წყაროებზე არ უმუშავნია, ისინი უნდა ენდონ ჩემს განცხადებას ილიასთან ზმნებში ორმაგი პირის ნიშნის ხმარების თაობაზე, რადგან ეს პირის ნიშნები საბჭოთა პერიოდის ყველა ნაბეჭდ წყაროში შესწორებულია.

2. ილია ზოგჯერ ორ თანხმოვანს ხმარობს არა მხოლოდ უცხოური წარმოშობის სიტყვებში, არამედ თვით ქართულშიაც კი. ასეთი შემთხვევები გვხვდება ამ „შინაურ მიმოხილვაშიც“. მაგ.: „ეკვლესია, მოელოდდა“. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც დაინტერესებულ მკითხველს მოუხდება პირველნაბეჭდში ჩახედვა. რადგან ნაწერების სრულ კრებულში ეს ფორმები არ გვხვდება.

3. საკვლევნი „შინაური მიმოხილვიდან“ ილიას ფორმებია აგრეთვე: ცნობულობოთ, ნაკულლოვანება, მოახწყვენ, განსამართლება, ყოვლისფერი, ცუდუბრალო. აღვიართო, შეამცნიეს, უბრყვილო, ამდვენი, გაუზღიან, და მრავალი სხვა, რომელთა შესახებაც აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მით უფრო, რომ ისინი შესაძლოა (და ალბათ ასეც არის), სხვა ავტორებთანაც შეგვხვდეს. მაგრამ აქ გვხვდება „ბავშვი“ სიტყვის ისეთი ფორმით ხმარება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ილიასათვის იყო დამახასიათებელი და, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მას იმ ხანად მხოლოდ ილია ხმარობდა. ეს არის ფორმა — „ბაშვი“.



ამ შინაურ მიმოხილვაში ეს სიტყვა 7-ჯერ იხმარება. აქედან 2-ჯერ მიმოხილვის დასაწყისში იგი „ბავშვი“ ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო მომდევნო 5 შემთხვევაში კი წერია „ბავშვი“. ანალოგიური შემთხვევები ამ ტყვის ხმარებისას ილიას სხვა თხზულებებშიც გვხვდება.

სამწუხაროდ, დაინტერესებულ მკითხველს ამ ფაქტის შემოწმებაც პირველნაბეჭდში (ჟურნ. „ივერია“, 1879 წ. № 3) მოუხდება, რადგან 1928 წლის ილიას ნაწერების სრული კრებულის მე-7 ტომში, სადაც ეს „შინაური მიმოხილვა“ „ივერიის“ შემდეგ ერთადერთხელ დაიბეჭდა, „ბავშვი“ შეცვლილია, მაგრამ არა „ბავშვით“, არამედ რატომღაც „ბავშვით“. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა თხზულებებშიც საბჭოთა პერიოდის ყველა გამოცემაში, სადაც „შესწორების“ ეს „ვარიანტია“ გამოყენებული. და კიდევ მეტიც — თვით „ბავშვი“ — პირველნაბეჭდის სწორი ფორმაც კი — „ბავშვითაა“ შეცვლილი (?).

საკვლევ „შინაურ მიმოხილვაში“ რამდენჯერმე გვხვდება აგრეთვე ილიას სტილისათვის დამახასიათებელი განმეორების ხერხიც. მაგ.: „ეს საქმე... მართო მგონიაობაზედ იყო აგებული, მგონიაობით შემოზღუდული, მგონიაობით თავდახურული და მგონიაობითაც გათავებული. რვა კაცის პატიოსნება... საფრთხეში იყო გამხდარი მავ მგონიაობით“.

ვფიქრობ, ზემოთთქვენილი ფაქტობრივი მასალა და ლექსიკურ-სტილისტურ-გრამატიკული პარალელები ადასტურებენ ჟურნალ „ივერიის“ 1979 წლის მარტის „შინაური მიმოხილვის“ ილიასეულობას.

Л. Г. САНАДЗЕ

ОБ АТРИБУЦИИ «ВНУТРЕННЕГО ОБОЗРЕНИЯ»,  
ОПУБЛИКОВАННОГО В ЖУРНАЛЕ «ИВЕРИЯ»  
В МАРТЕ 1879 ГОДА

Резюме

С точки зрения содержания, лексики и стилистики рассмотрено анонимное «Внутреннее обозрение», напечатанное в мартовском номере журнала «Иверия» за 1879 год.

Приведены примеры сопоставления биографии Ильи Чавчавадзе, его художественно-стилистических приемов с текстом данного «Внутреннего обозрения», из чего явствует, что автором данного обозрения является Илья Чавчавадзе.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

მ ა ნ ა ნ ა შ ა მ ი ლ ი ო შ ვ ი ლ ი

## ა მ ა რ ა და ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ზ ო ბ ა ლ ო მ ო ლ ვ ა ლ ე ნ ი

„ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძვე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსკვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“, — ასე ფიქრობდა შემოერთებულ აჭარაზე დღენიადაგ მზრუნველი, მისი გულშემატკივარი და მოამავე ილია ჭავჭავაძე.

სამშობლოსთან ერთ ისტორიულ უღელში შებმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული, დედა-საქართველოს ერთგული შვილი აჭარა ისტორიულ-გეოგრაფიულად ზემო ქართლის, კერძოდ, მესხეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

ბევრი დიდებული მამულიშვილი აღუზარდა მესხეთმა საქართველოს. იშვიათად მოიძებნება ნაშთი ჩვენი ცხოვრებისა, რომ ამ მხარის ბეჭედი არ აჩნდეს. ამ მხარის შვილები იყვნენ იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელები, რომლებმაც არა ერთი და ორი წიგნი თარგმნეს ქართულად და ხელი შეუწყვეს ჩვენი ერის კულტურის დაახლოებას მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან. რომელი ერთი დავასახელოთ: მესხები იყვნენ სახელგანთქმული გრიგორ ბაკურიანისძე, თორნიკე ერისთავი, ეფრემ და იოანე პეტრიწონელები, სარგის თმოგველი, საქართველოს დიდება შოთა რუსთაველი, აბუსერიძე ტბელი, სჯულმდებლები ბექა და აღბულა.

სამშობლოს თავისუფლების ფიზიკური დარაჯები — მესხები მტერს მუდამ გულდაგულ ზედებოდნენ. არაერთგზის სათავეში ედგნენ ქართველთა ლაშქარს.

დაწინაურებულმა მესხეთმა ადრეულ შუა საუკუნეებში თავს იდო საქართველოს გაერთიანება და X საუკუნის დასასრულს შეძლო კიდევ ერთ სახელმწიფოდ შეედუღაბებინა მესხეთი, დასავლეთ საქართველო და ქართლ-კახეთი. წინაკლასობრივ ხანაში, როცა საქართველოს მამასახლისები მართავდნენ, ეს მხარე ერთ სამამასახლისოს შეადგენდა, კლარჯეთად იწოდებოდა და მცხეთის მამასახლისს ემორჩილებოდა. შემდეგ მას ხან ზემო ქართლს უწოდებდნენ, ხან მესხეთს, ხან სამცხეს, ხან საათაბაგოს, ხან კიდევ სამცხე-საათაბაგოს.

III საუკუნეში აჭარა ახალშექმნილი ქართლის სამეფოს ოძრხის საერისთაოში შედიოდა. მემატიანეს სიტყვით, როდესაც საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა ალექსანდრე მაკედონელის მთავარსარდალს აზონს საქართველოს უკანასკნელი ნაწილი — კლარჯეთიც წაართვა, მან თავისი სამეფო ცხრა საერისთავოდ დაჰყო და ყველგან ერისთავები დასვა. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, ვითომცუ ფარნავაზმა „ერთი გავზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტაისის კარიბთან ვიდრე არსიანთამდის ნოსტის თავიდან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“<sup>1</sup>. მისივე ცნობით, ზოგჯერ „ქუეყანასა ოძრხევისასა... ეწოდებოდა სამცხე“. სამცხე საკუთრივ იწყებოდა თურმე ტაშისკართან და თავდებოდა არსიანის მთასთან. ჩრდილოეთით მას საზღვრავდა „მთა ღადოსი“, რომელიც ქართლის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს საზოგად-

<sup>1</sup> მროველი ლეონტი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა, „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1955, გვ. 21.



დო საზღვრად ითვლებოდა<sup>2</sup>. თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით, „სამცხე არს თვით ბუნებითა ქართლი, ესე იგი ზემო-ქართლი და მიმდგომნი მისნი ქვეყანანი ზემო ქართლისანი, ესე იგი: ხომსია, რომლისა არს ქალაქი ახალციხე საზღვრებით მისითურთ, ოძრხე, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი, ტაო, ჭავჭავთი და კერძონი მისნი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი; კვალად ქვეყანისა ამისვე ნაწილნი არიან: კლარჯეთი, ადგილებით და ქვეყნებით მათითურთ ჭოროხისა მდინარესა ზედა მსახლობელთა და ერთა მათ ადგილისათა, რომელ არიან თუითოეული ადგილთა მათგანნი: თორთობი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი; ხოლო აჰარაცა საკუთარი არს ხეობაი საკუთარსა თუისსა მდინარესა ზედა მდგომარედ, რომელიცა მდინარე მიერთის ჭოროხსა და ადგილნი იგი ყოველნი კერძოთა მათ შავის ზღვისანი, ხიონა და მიმდგომნი მისნი ადგილნი... ყოველთა ამათ ზემოხსენებულთა ადგილთა ზემო-ქართლისათა ეწოდების სამცხე ჭავჭავთი...“<sup>3</sup>.

ბიზანტიელი მწერლები აპირას მოიხსენიებენ X საუკუნეში. აპარა, მათი გადმოცემით, იყო იმ ოთხ საპრეფექტოთაგანი (ვერიასახი, კარნატაი, ყუელი და თვით აპარა), რომლებიც შეადგენდნენ ქართველთა მეფის სამფლობელოს და რომის იმპერიის საზღვრებზე მდებარეობდა: „...ხოლო აშოტ პატრიკიოსმა, კისკასმა, აიყვანა სიძედ, თავისი ქალის ქმრად, ის გურგენ მაგისტროსი, რომელმაც, ხელისუფლება რომ მიიღო, ძალით წაართვა თავის სიმამრს აშოტს აღრანუჯი და ამის საბადლოდ მისცა მას ტიროკასტრონი და აპარის წყლის გასწვრივი ქვეყანა, რომელიც რომანიის მოსაზღვრე იყო კოლორისთან“<sup>4</sup>. „ტიროკასტრონი“ ქართული „ყველისციხის“ ბერძნული თარგმანია. ეს ციხე შავშეთის, აპარისა და ჭავჭავთის საზღვარზე მდებარეობდა აპარისწყლის სათავეებთან, არსიანის მთის კალთაზე. მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და ხშირად იხსენიება ქართულ საისტორიო წყაროებში, ხოლო „აპარის წყლის გასწვრივ ქვეყანაში“, ცხადია, აპარა იგულისხმება. „უცხოელებისადმი მიმართვის წესთა სახეების“ ჩამოთვლისას კონსტანტინე პორფიროგენეტი (ბიზანტიის კეისარი 912—959 წლებში) ასახელებს ოთხ სამთავროს იბერიაში, რომელთა შორის მოიხსენიებს აპარის ერისთავსაც: „... კუროპალატს თავისადმი დაქვემდებარებული ჰყავს ოთხი სხვა სამთავრო. ვერიასახის ერისთავს, იბერიაში; კარნატაის ერისთავს, იბერიაში; ყუელის ერისთავს, იბერიაში; აპარის ერისთავს, იბერიაში“<sup>5</sup>.

პორფიროგენეტის ცნობით, პირველ ქართველთა მეფეს თავის ხელქვეით ოთხი მთავარი (არზონი), ანუ ერისთავი, ჰყოლია: ვერიასახის, კარნატაის, ყუელისა და აპარის. პირველი ორი ადგილის სახელწოდება იმდენად დამახინჯებულია, რომ მათი დადგენა არ ხერხდება. ივ. ჭავჭავიშვილის აზრით, როგორც ყუელის ციხე (ჭავჭავთი) და აპარა მესხეთის ქვეყნებია, ისე „ვერიასახი“ და „კარნატაისი“ მესხეთისვე სხვა თემების (ან შავშეთის, ან ტაოს, ან კოლას) ციხეების დამახინჯებული სახელები იქნება<sup>6</sup>. ბიზანტიის კეისრის მიმართვაში საყურადღებოა ისიც, რომ ის ყველის ციხის, ანუ აპარის, მფლობელს უწოდებს „არზონს“, ხოლო აფხაზეთის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) მფლო-

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>3</sup> ბატონიშვილი თეიმურაზ, ისტორია დაწვებითან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, ტფილისი, 1848, გვ. 22.

<sup>4</sup> ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკ. 2, თბ., 1952, გვ. 276.

<sup>5</sup> ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკ. 2, თბ., 1952, გვ. 294.

<sup>6</sup> ჭავჭავიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 114.

ბელს იხსენიებს „ექსუსიასტის“ სახელწოდებით, რომელიც ღირსებით „არ-  
ხოზზე“ მალა იდგა<sup>7</sup>. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ბერძნები არასოდეს  
არ ხმარობდნენ სახელწოდებას „მეფე“ (ბაზილევს). ისინი მიწოდებულნი  
მეზობელ მფლობელებს უწოდებდნენ ან „მთავარს“ (არხოზ), ან „ექსუსიას-  
ტეს“, რაც „მფლობელს“ ნიშნავდა. „ექსუსიასტი“ ღირსებით „არხოზზე“ მალ-  
ლა იდგა. საქართველოს მეფეთაგან მათ მხოლოდ აფხაზთა მეფე გახადეს ღირსი  
„ექსუსიასტეს“-ის სახელწოდებისა. მესხეთის მფლობელს ისინი მარტივად  
მთავარს, „არხოზს“ ეძახოდნენ.

ზიზანტიელი მწერლების ცნობები ამ მხარეზე ძირითადად ამითი ამოიწუ-  
რება. ეს ბუნებრივია. აჭარის მთიანეთს ისეთი მიუვალი (მთავორიანი) მდე-  
ბარობა ჰქონდა, არც საიმედო სავაჭრო გზად გამოდგებოდა და არც სხვა  
მხრივ იწვევდა ინტერესს. ასე რომ, უმეტეს შემთხვევაში, იგი უყურადღებოდ  
რჩებოდა. მემატინემ არა ერთი და ორი ცნობა შემოგვინახა ამ კუთხის არა-  
ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ. „ქართლის ცხოვრება“  
მოვეთხრობს: „...ვერ-ვინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს. რამეთუ შეუალი და  
მაგარი იყო ტყითა და კლდითა, და მკუიდრნი კლარჯეთისანი იყვნენ კაცნი  
მკვირცხლნი და მხედარნიცა...“<sup>8</sup>. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „...არს  
აჭარის ხეობა ევენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თუნიერ ბრინჯ-ბანბისა,  
ყოვლისა მარცვლითა, არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, ხრამოვან-ღრატოიანი.  
მთანი ტყიან-ნადირიანი; კაცნი ხელოვანი ხის მუშაკობითა“<sup>9</sup>.

ქრისტიანობამ პირველად აჭარაში მოიკიდა ფეხი. „ქართლის ცხოვრების“  
ერთი მინაწერი გადმოგვცემს: „მოვიდა... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რო-  
მელ არს სოფელი მეგრელთა, სადა-იგი დაპყო ყამი მცირედი, და იხილა უგუ-  
ნურება პირუტყუებრივი მკვიდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და  
შევიდა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სა-  
ხარებისა...“<sup>10</sup>. მოციქულმა თან მოიტანა ტილოზე აღბეჭდილი ღვთისმშობლის  
ხატი, რომელიც შემდეგ აწყურის სასწაულმოქმედი ხატის სახელითაა ცნობი-  
ლი. წმინდა მოციქულმა წასვლა რომ ინება, ევედრებოდნენ: „უკეთუ შენ  
წახვალ, ხატი ეგე ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა აქა დაგუსვენენ, სასო-  
ლ და მცველად ჩვენდა“. ანდრია მოციქულმა „შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა  
და დასვა ხატსა მას ზედა. და მეყუსეულად გამოისახა სახეუცვალეველი ხატისა  
მის და მისცა იგი მათ“<sup>11</sup>. აჭარიდან იგი მესხეთს გადავიდა, შემდეგ კლარ-  
ჯეთს, ტაოსკარს, ჭოროხის ნაპირებთან, სამეგრელოსა და აფხაზეთში. მის ქა-  
დაგებას ყველგან წარმატება ჰქონდა. მოსახლეობა ინათლებოდა, წარმართულ  
ტაძრებს ანგრევდნენ და კერპებს ამზობდნენ. მაგრამ როდესაც ადერკმა გაიგო  
მეგრელთაგან მამაპაპისეული რჯულის დატევება, გაუწყრა ერისთავებს და  
იძულებით წარმართობაზე მოაქცია ისინი. მეფის ბრძანებით კლარჯეთის ერის-  
თავს მოციქულების შეპყრობა და თავის სამთავროში ქრისტიანობის მოსპობა  
მოუწოდებია, მაგრამ ანდრია ბოსფორში დაუხვდა წასული, ხოლო სიმონ  
(კანანელი) ნიკოფსიაში გარდაიცვალა.

VII საუკუნიდან აჭარა ბაგრატიონთა სამფლობელოს ნაწილი ჩანს. საქარ-  
თველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს XI საუკუნის დასაწყისამდე მართავდნენ  
ქართველ ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები, რომლებიც რამ-  
დენიმე ოჯახად იყვნენ გაყოფილი და ბაგრატ მესამის გამეფებამდე თითქმის

<sup>7</sup> იქვე, გვ. 109—110.

<sup>8</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფილისი, 1897, გვ. 725.

<sup>9</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 134.

<sup>10</sup>, <sup>11</sup> მროველი ლეონტი, ქართლის ცხოვრება, გვ. 38—42.



დამოუკიდებლად ბატონობდნენ სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში.



ბაგრატიონთა განთქმული საგვარეულო წარმოშობით ძველისძველი თული თემიდან — სპერიდან (ახლანდელი ისპირი) იყო. ბაგრატიონებმა დიდი გავლენა მოიპოვეს VI—VIII საუკუნეებში. ამ გვარის გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ტაო-კლარჯეთის სამთავროს დამაარსებელი აშოტ კურაპალატი (786—826 წწ.). თავის რეზიდენციად აშოტმა არტანუჯი აირჩია, სადაც ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს აეშენებინა ციხე, რომელიც შემდეგ მურვან ყრუს აფხრებინა, ისე რომ აშოტის დროს მისი ნანგრევები ჩანდა. კურაპალატმა განაახლა არტანუჯის ციხე და იქვე ქალაქის შენება წამოიწყო. დიდ სავაჭრო გზასაყარზე მდებარე არტანუჯი მალე დაწინაურდა და სამხრეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ქალაქი გახდა. ენერგიულ და მოქნილ ბაგრატიონს ბიზანტიის კეისარმა ხელი შეუწყო ტაო-კლარჯეთში დასამკვიდრებლად. შემდეგ კეისარმა აშოტს უმაღლესი საკარისკაცო პატივი, კურაპალატობა, უბოძა.

ბაგრატიონთა საგვარეულოს მემკვიდრის სუბმატ დავითის ძის გადმოცემით აშოტ კურაპალატს დარჩენია სამი ვაჟი: „უხუცესი ადარნასე და შუათანა — ბაგრატი. ესე ორნი თანა ჰყვეს მას, რაჟამს — იგი მოიწია შავშეთ-კლარჯეთად. ხოლო უმრწემესი გუარამ არტანუჯის მოსლესაღა შინა დაეხადა“<sup>12</sup>. მამის სიკვდილის შემდეგ კურაპალატობა ბაგრატმა მიიღო. აშოტ დიდის შთამომავლობა ორ უმთავრეს შტოდ იყოფა: ერთს ეკუთვნოდნენ „კლარჯნი ხელმწიფენი“, რომლებიც ამავე დროს არტანუჯელები ყოფილან, მეორე უმთავრეს შტოს კი „მეფენი ტაოსანი“ შეადგენდნენ.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები მეფედ არ იწოდებოდნენ. მათ კურაპალატებად და „მამფალებად“ მოიხსენიებდნენ. უკანასკნელი შეესატყვისებოდა მთავარს, პატრიკს, ერისთავს, უფალს. ივ. ჯავახიშვილის აზრით „მამფალი“ იმგვარადვე არის ნაწარმოები, როგორც „დედოფალი“<sup>13</sup>.

ტაოელი ბაგრატიონების ბატონობა ბაგრატ მესამის მეფობისას დასრულდა. მან განიზრახა ბოლო მოეღო საქართველოს დაქსაქსულობისათვის — ბაგრატ არტანუჯელის ძენი სუბმატი და გურგენი ფანასკერტის ციხეში მიიწვია, ვითომ მოსათათბირებლად, შეიპყრო ისინი და სიცოცხლე მოუსწრაფა. ასეთივე ბედი ეწია მათ ცოლ-შვილსაც. გადარჩა მხოლოდ ორი ახალგაზრდა ბატონიშვილი — ბაგრატ სუბმატის ძე და დიმიტრი გურგენის ძე, რომლებმაც კონსტანტინოპოლში გაქცევით უშველეს თავს.

XIII საუკუნის შუა წლებიდან აჭარა სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა. „საათაბაგოს“ წოდება სამხრეთ საქართველოს ამ ადგილებს მას შემდეგ მიეცა, რაც საქართველოს მეფეებმა აქ მმართველებად თავისი ათაბაგები განაწესეს: „... გვარეულებასა მათ მთავართასა სახელებოდა ათაბაგთა გვარეულება, რომელიცა გაუკეთდათ მათ შემდგომად სახელად მთავრობისა. მთავარნი იგი არა თუ თვის უფალ ოდესმე იყვნეს, არამედ მეფეთა მიერ მმართველად იყვნენ დადგენილნი მესხთა ზედა: აქნდა ათაბაგსა მეფისა მიერ სპასალარობა ბოძებული და მსაჯული უხუცესობა და ვიდრე, ოსმალთა მიერ მიმძღავრებისა სამცხე საათაბაგოსა, იგინი მორჩილებდეს მეფეთა საქართველოსათა ფრიადითა ერდგულებითა“<sup>14</sup>. ათაბაგობა საქართველოში პირველად თამარ მეფემ შემოიღო 1212 წელს და მისცა ივანე მხარგრძელს.

<sup>12</sup> სუბმატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა (VI—XI ს.ს.), „ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955.

<sup>13</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, გვ. 113.

<sup>14</sup> ბატონიშვილი თეიმურაზ, ისტორია დაწყებითიან ივერისა..., გვ. 22.

ათაბაგი ერთსა და იმავე დროს გამგე იყო სამცხისა და სპასალარი მთელი საქართველოს სამეფოსი. ვიდრე საქართველოს ერთი მეფე განაგებდა, ათაბაგები მათი გამგეობის ქვეშ იყვნენ, ხოლო, როცა საქართველო სამეფოებად და ხუთ სამთავროდ გაიყო, ერთ უპირველეს სამთავროდ სამცხე იქცა, ხოლო მის მთავრებად კი ათაბაგნი, რის გამოც ეს მხარე საბერძნეთისა და სომხეთის საზღვრებამდე სამცხე-საათაბაგოდ იყო წოდებული.

პირველ ხანებში სამცხის ათაბაგები ერთგულად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, დიდ სამსახურს უწევდნენ საქართველოს მეფეს. მოგვიანებით კა ისინი განუდგნენ მეფეს, უარყვეს რჯული.

სამცხე-საათაბაგოს ათაბაგები შემდგომში ჯაყელებად იწოდებოდნენ. ეს გვარსახელი წარმომდგარი უნდა იყოს ხეობის სახელ „ჯაყიდან“, რომელიც ერთ დროს ყარსის, არტანისა და ზეგანის შუა მდებარეობდა. ოსმალები ამ ხეობას „ჯაყისმანს“ უწოდებდნენ. ჯაყელების სამკვიდრებელი და რეზიდენცია ახალციხეში მდებარეობდა. სამცხის პირველი დამოუკიდებელი მფლობელი იყოს სარგის ჯაყელი (გარდაიცვალა 1285 წ.), რომელმაც თამარისა და მისი მემკვიდრეების მეფობისას მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო შემოიკრიბა თავისი უფლების ქვეშ.

ქართველთა გამაჰმადიანების პროცესი ბექა ათაბაგის, ანუ საფარ ფაშის, მმართველობის დროიდან იწყება. 1625 წელს ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი, მანუჩარი, განუდგა ქრისტიანობას, მიიღო ორთულიანი ფაშობა, სამცხის გამგებლობა და საფარ ფაშა დაირქვა. ბევრმა სამცხელმა თავს უშველა ქართლში გაქცევით, დარჩენილთ 1626 წლიდან მაჰმადიანობა მიალბინეს. ოდესღაც ძლიერი ჯაყელები (ათაბაგები) უბრალო ფაშებად იქცნენ, მაგრამ მათ აღარც ფაშობა შერჩათ დიდხანს. ათაბაგთა გვარის ზეობა დასრულდა 1747 წელს უსუფ ფაშის გარდაცვალებით.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ზემო აჭარის სანჯაყის გამგებლობა ახლად დაწინაურებულ ხიმშიაშვილთა საგვარეულოს ხელში გადავიდა. წარმოშობით ხიმშიაშვილები არაგვის ხეობიდან უნდა ყოფილიყვნენ. თ. სახოკიას გადმოცემით აჭარელი ხიმშიაშვილები არაგვის ერისთავ ხიმშიაშვილებს ენათესავენოდნენ. არაგვის ხეობაში მათ ერთ-ერთ წინაპარს კაცი მოუტლავს და შურისძიების თავიდან ასაცილებლად აჭარაში შეუფარებია თავი. ამ გვარის გამორჩეული წარმომადგენელი იყო აბდულ ბეგი. სწორედ ის დანიშნა სულთანმა ამ მხარის მმართველად. აბდულ ბეგი იმამის ტიტულსაც ატარებდა თურმე.

აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელები, წინაპართა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები იყვნენ სელიმ და შერიფ ბეგ ხიმშიაშვილები. ისინი თავიანთ ამოცანად ისახავდნენ მხარის განთავისუფლებას ოსმალოს ბატონობისაგან და მის საქართველოსთან შეერთებას. ამ ბრძოლაში ისინი ქართველი მეფე-მთავრებისა და მთელი ქართველი ხალხის თანადგომით სარგებლობდნენ; საიდუმლო კავშირი ჰქონდათ რუსეთის სარდლობასთან, მათი დახმარებით სურდათ საქართველოსთან შეერთება განეხორციელებინათ. რუსული ორიენტაციის გამო თურქებმა სელიმ ბეგს თავი მოჰკვეთეს. მგზნებარე პატრიოტს, მშობლიური აჭარის განთავისუფლებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს თავის მოკვეთის წინ განუცხადებია: „მე მჭირთ თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დაეუტოვებო“<sup>15</sup>. მაღლიერ შთამომავლობას

<sup>15</sup> ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი, ბათუმი, 1972, გვ. 21.

არასოდეს დავიწყებია სამშობლოსათვის წამებული მამულიშვილის უკანასკნელი სიტყვები. ეს ხსოვნა მათ დღემდე მოიტანეს.

დიდი დამსახურება ჰქონდათ ერის წინაშე მრავალრიცხოვან სამცხელ თავადაზნაურებსაც. ესენი იყვნენ: ავალიშვილები, ფალავანდიშვილები, შერვაშიძეები, აბაშიძეები, ბეჟანიძეები, დიასამიძეები, თავდგირიძეები და სხვ. ოსმალთა ბატონობისას უმრავლესობამ სახელი და გვარი შეიცვალა, „შვილისა და ძეთა“ მაგიერ „ოღლები“ იწოდეს: „...ვინც იყო ერისთავი, ზოგი დროების მიხედვითაც, ის შექმნილა ხამურ-ოღლი (ეს გვარები ჰსცხოვრებენ ქვაბლიანში), ვინცა ყოფილა ფალავანდიშვილი ის შექმნილა ფაჰლევან-აღა და ეს გვარები ჰსცხოვრებენ ახალქალაქში; ვისაცა ჰქონია გვარი აბაშიძეებისა, ისინი წერებიან შარიფ-ბეგად და სცხოვრებენ სოფელს აწყურში. ჰსცხოვრებენ კიდევ ბეგები ხერთვისში, გვარად ხერხეულიძეები და მრავალნი საქართველოს თავადისშვილების გვარები. თვითანვე ანბობენ, ჩვენ ესა და ეს გვარი ვართო... აქ არიან ამილახვრები, რომელნიცა იწერებიან ახლა, — ხიდირ-ბეგებად; ფალავანდიშვილები, რომელთაცა გადაუსხვაფერებით გვარი და იწოდებიან ახლა ფაგარად-ბეგ, მუთუ-ბეგ-ზადე, ან კიდევ ზოგნი ფაჰლევან-აღა“<sup>16</sup>. სამცხელმა თავადაზნაურობამ პირველმა თქვა უარი სარწმუნოებაზე, რადგან ეს მამულის შენარჩუნების პირობა იყო. თანდათანობით იმავე გზას დაადგა ბატონყმობის უღელში შებმული მშრომელი მოსახლეობაც.

საუკუნე ნახევარს ებრძოდნენ მესხები ოსმალებს, ვიდრე ეს უკანასკნელნი მოახერხებდნენ ამ უძველეს მიწაზე თავისი მმართველობის დამყარებას. ამის შემდეგ კიდევ ორასი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ოსმალები მესხების სრულ გადაგვარებას, გათურქებას. დევნიდნენ ყველაფერს, რასაც ქართული იერი ჰქონდა, მაგრამ, თუმცა ხალხს სარწმუნოება შეუცვალეს, ქართველობა მაინც ვერ ამოძირკვეს.

XV საუკუნის შუა წლებიდან გიორგი VII-სა და ყვარყვარე II ჯაყელს შორის მომხდარი ბრძოლის დროს, რომელიც ათაბაგის გამარჯვებით დამთავრდა, გურიის მთავარი ათაბაგს ეხმარებოდა, რისთვისაც ყვარყვარე II აჭარა გურიელს გადასცა. აჭარა რომ გურიელის სამფლობელოში შედიოდა და გურიის ნაწილს შეადგენდა, კარგად მოწმობს ეგნატაშვილი ბერის „ახალი ქართლის ცხოვრება“: „ხოლო გურიელსა ეყურა რიონს გაღმართი საჯავახო, იმასა აქათი გამოსწორივ ღომის ციხეს ვადმოღმართი, ერგე, აჭარა და ჭანეთი, რკინის პალოს აქათი“<sup>17</sup>. ხოლო ათაბაგის მფლობელობის საზღვრებში რჩებოდა „გურიელის სამძღვარს ზეითი, ფერსათის მთის ვადაღმართი, დვირს ზეითი, აქათ ქართლის სამძღვრამდის, იქით კარის სამძღვრამდის, აზრუმისაკენ გურჯი ბოლახს აქეთი“<sup>17</sup>. ვახუშტი თავის „აღწერაში სამეფოსა საქართველოსა“ გურიის სამფლობელოს აღწერისას ამბობს, რომ „... სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღვამდე და განი ჭოროხიდან რიონამდე“<sup>18</sup>.

XVI ს. დასაწყისში ყვარყვარე ათაბაგის შვილმა მზეჭაბუკ დიდმა (1502—1516) აჭარა გურიელს წაართვა და კვლავ სამცხე-საათაბაგოს შეუერთა.

ვახუშტი ბატონიშვილი ვადმოგვცემს: „... ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩრდილოთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი. აწ უპყრავთ ოსმალთა. ამის ზეით, ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესა ზედა, არს ერგე, და ბათომის პირისპირ, ჭოროხის სამხრით კიდეზე, არს გონია, მცირე

<sup>16</sup> ქერესელიძე ივ., სამცხე-საათაბაგო (მოგზაურობითგან), „ცისკარი“, 1870, № 2, 4, გვ. 63, 152.

<sup>17</sup> ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი I, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 49.

<sup>18</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 174.

ქალაქი და ციხე. უპყრავთ ოსმალთა...<sup>19</sup>. ეს იყო შედეგი იმ მძიმე მარცხისა, რომელიც საქართველომ XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე განიცადა. უცხო-დამპყრობლებთან ბრძოლაში. ოსმალებმა მოგლიჯეს საქართველოს სამსუქი საზოგადო და ენერგიულად შეუდგნენ აქ „ქართველობის“ ამოგდებას.

აქარა, მაკახელი, ზეგანი და ლივანა ოსმალ დამპყრობლებს დიდხანს უმკლავდებოდა. 1630 წლიდან 1740 წლამდე აქარლები შეუპოვრად იბრძოდნენ, მაგრამ XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ისე გაუჭირდათ, რომ ისლამის მიღება დაიწყეს. იყვნენ ისეთები, რომლებმაც მამა-პაპის რწმენა 1800-იან წლებამდე შეინახეს. აქარაში დღესაც იტყვიან ხოლმე, — რჯულის გამო ას წელიწადზე მეტი გვიბრძოლია აქარლებსო. ამის არა ერთი და ორი მაგალითი შემოგვინახა ისტორიამ. საფარ-ფაშას აქარლები მოდი ნახეს ციხიდან ებრძოდნენ თურმე. მამაცურად იბრძოდნენ ძველი თავადიშვილები ბეჟანიძეები (ბეჟან-ოღლები). მართალია, ეს ციხე დაეცა, მაგრამ აქარელთა სულით დაცემას მტერი ვერ მოესწრო. მათ ისე გაუჭირეს საქმე საფარ ფაშას, რომ მას დროებით შეუჩერებია აქარლების გამაჰმადიანების ღონისძიებები. სასტიკად დაუბრუნებია აქარლები ისაკ-ფაშას. მას ქედის ეკლესია დაუქცევია და სახარობელა და თავსაკვეთი აღუმართავს. აქარლებს სასტიკად უბრძოლიათ რჯულისათვის, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში აბა რას გახდებოდნენ. ნათქვამია: „ძალა აღმართს ხნავსო“ — საქართველოს ეს უძველესი და უღამაზესი კუთხე თანდათან ისლამის მომწინველ ბურჟუსში გაეხვია.

1690 წელს ბათუმში პირველი ჯამე აუშენებიათ. მალე ქართველი მაჰმადიანი მოლები და ხოჯებიც გაჩნდნენ. თანდათანობით სიტყვა „ქართველი“ ქართველი ქრისტიანის გამომხატველ ცნებად იქცა. ოსმალთაგან მიტაცებულ ქართულ მხარეში მოისპო ქართული სკოლა, ქართული წიგნები, დაქვეითდა ეროვნული თვითშეგნება.

ოსმალთა დაეინებული მცდელობა — დაეიწყებინათ მუსულმანი ქართველებისათვის მშობლიური ენა, გვარ-ტომობა, წარმომავლობა — მარცხით დამთავრდა. მართალია, ხალხს სარწმუნოება შეუცვალეს, მაგრამ ეროვნულად ვერ გადააგვარეს. მუსულმანმა ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში ხან ბრძოლით, ხან მალევით შეინახეს დედა-ენა, წეს-ჩვეულებანი, ერთგულები დარჩნენ წინაპართა ტრადიციებისა. „...თურქთა ბატონობას, მართალია, ქრისტიანობა განუდევნია აქარიდან და აქარლები ძლიერ მმოსაენი გამხდარან მაჰმადისა, მაგრამ ქართული ენა მაინც შერჩენიათ, ერთმანეთში სულ ქართულად ლაპარაკობენ. მაგრამ ყური უნდა შეაჩვიოთ. პირველ ხანში გაგიძნელებდით მათი ნათქვამის გაგება. დიდი განსხვავებაა გურულ სხაპასხუბით ლაპარაკსა და აქარების დინჯ ლაპარაკს შორის. ამ მხრივ აქაური ქართულს უფრო მოგავიწყებთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მკვირცხლ მკვიდრსა“<sup>20</sup>.

1828 წელს განთავისუფლდა მესხეთის ნაწილი — ახალციხე და ჯავახეთი. ადრიანოპოლის 1829 წლის ტრაქტატით საქართველოს შემოუერთდა ახალციხის მაზრის მხოლოდ ხუთი სანჯაყი. ამ ზევით აქარა ოსმალეთის საზღვრებში დარჩა. რამდენადაც ახალციხის საფაშოს უმეტესი ნაწილი რუსეთის ხელში გადავიდა, ეს საფაშო გაუქმდა და აქარა ყარსის საფაშოს შეუერთდა. ოსმალთა ხელში დარჩა: ფოცხოვი, ჩილდირი, ორთული, ლაზეთი, შავშეთი, არტანანი, ლივანა, ზემო აქარა, ქვემო აქარა, ბათუმი და ქობულეთი. არსებობს გადმოცემა, თუ როგორ მოახერხეს თურქებმა ამ ტერიტორიების შენარჩუნება. საქმე შემდეგში ყოფილა: ადრიანოპოლის ზავის პირობებით ოსმალეთი რუ-

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> სახოკია თედო, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 117.



სეთს დათანხმებია, ყველა ადგილს დაგიტომბ ლაზისტანისას, სადაც ქართველები არიან დასახლებული მდინარე ჭოროხამდეო. მორიგების წერილში მის რუსულ თარგმანში ეს მდინარე „Чорокх“-ად დაუწერიათ. როცა სახლერის დადგენი კომისია მოსულა, ოსმალებს ჭოროხის მაგივრად ჩოლოქზე (Чолокх) მიუთითებიათ და მთელი ის მხარე, ჩოლოქსა და ჭოროხს შუა რომ პდებარეობს, შერჩენიათ<sup>21</sup>.

სამშობლოში დაბრუნებულ მესხებს, საუბედუროდ, დედის გულით არავინ მიგებებია. რუსეთის მთავრობამ ახალციხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებული ქართველები მტრულად მიიღო, შეავიწროვა, ხალხს თურქები უწოდა და უბრძანა, თქვენ ქართველები არა ხართ და ქრისტიან ქართველებთან კავშირი არ დაიკაეთოთ. ასეთმა დახვედრამ მესხები ძლიერ შეაშინა. ბევრმა მიყიდ-მოყიდა სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი და ოსმალეთში გადასახლდა, მათ ნასახლარზე კი რუსეთის მთავრობამ სომხები დაასახლა, თუმცა ამ კუთხეში საიდუმლოდ ქართველობის შემნახველნიც არასოდეს მოსპობილან. ბევრ მათგანს 1829 წლამდე საიდუმლოდ შეუნახავთ მამა-პაპათა ზნეობანი, ენა და გვარ-ტომობა. როცა 1827 წელს შეიტყვეს, რუსეთ-ოსმალეთის ომი იწყებოდა და ახალციხესაც აიღებენო, მათ ძლიერ გაიხარეს და მოუთმენლად ელოდნენ მესხეთ-ჯავახეთის საქართველოსთან შეერთებას.

მოსახლეობის დიდი ნაწილი გაქრისტიანების შიშით აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. ამას ზოჯებისა და მოღების გარდა დიდად შეუწყო ხელი რუსეთის მთავარსარდალმა ვასილ ბებუთოვმა. ბებუთოვსა და მის თანამზრახველებს მოლაპარაკება ჰქონიათ გამართული ეჩმიადინის სასულიერო ხელმძღვანელობასთან და პირობა მიუციათ, რომ თუ რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოს მიწებზე არზრუმისა და ვანის სომხები გადმოსახლდებიან, მაშინ ჩვენ ვეცდებით, რომ აქაური მაჰმადიანობა ავეყაროთ და ოსმალეთში გადავსახლოთო. სულ მალე პირობაც შეასრულეს. ქართველი მოსახლეობა აპყარეს და გადაასახლეს. ყოველი მოხელე აქეზებდა თურმე მათ ოსმალეთში წასასვლელად. მესხეთ-ჯავახეთის იმ სოფლებში, სადაც წინათ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, ოსმალეთის სომხეთიდან სომეხი გრიგორიანები და კათოლიკები გადმოასახლეს: „რაც დღეს მესხეთ და ჯავახეთში სომხები ცხოვრობენ, ესენი სულ მაშინ არიან გადმოსახლებულნი, თორემ მანამდის სომეხთა ხსენებაც არ იყო აქ“<sup>22</sup>. ასე უკუღმართოდ დატრიალდა ქართველობის საქმე მესხეთ-ჯავახეთში. ასე უღვთოდ და უმიზეზოდ დაეკარგა საქართველოს ამდენი თვისტომი.

1851 წელს აჭარა ლაზისტანის სანჯაყში შევიდა. აჭარის მართვა-გამგეობა და ადმინისტრაციული დაყოფა ოსმალურ ყაიდაზე იყო მოწყობილი. ოსმალეთის იმპერია დაყოფილი იყო ვილაიეთებად. თითოეული ვილაიეთი რამდენიმე სანჯაყისაგან შედგებოდა, რომელიც თავის მხრივ კაზებად იყოფოდა, ხოლო კაზები — ნაჰიებად. ვილაიეთი, დაახლოებით, რუსეთის იმპერიის გუბერნიას შეესაბამებოდა, სანჯაყი — ოლქს, კაზა — მაზრას, ხოლო ნაჰიე — თემს<sup>23</sup>. ვილაიეთს ვალი განაგებდა, რომელსაც სულთანი ნიშნავდა და უშუალოდ მას ემორჩილებოდა. ვალი პირადად ნიშნავდა და ათავისუფლებდა მუთესარიფს — სანჯაყის გამგებელს. კაზას სათავეში კაიმაკამი ედგა, რომელსაც მუთესარიფი ნიშნავდა.

ლაზისტანის სანჯაყი ტრაპიზონის ვილაიეთის შემადგენლობაში შედიოდა. მას სპეციალური კანონებით პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან განაგებდნენ

<sup>21</sup> ნ. ნიკოლაძე, სხვათა შორის, „ქრებული“, 1873, № 4.  
<sup>22</sup> ჰიკინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია, თბ., 1922, გვ. 70.  
<sup>23</sup> Казбег Г., Военно-статистический и стратегический очерк Лазистанского сан-джака, Тифлис, 1876, გვ. 37, 38.



მუთესარიფის საშუალებით, რომელიც ქ. ბათუმში იმყოფებოდა<sup>24</sup>. როგორც მ. სვანიძე თავის ნაშრომში „გიორგი ყაზბეგის ცნობები აჭარის წარსულზე“ აღნიშნავს, ის ფაქტი, რომ ლაზისტანის სანჯაყი ტრაპიზონის ვეჯდემქინე გეგებელს (ვალის) კი არ ექვემდებარებოდა, არამედ მას სპეციალური კანონებით პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან განაგებდნენ მუთესარიფის საშუალებით იმაზე მეტყველებდა, რომ ოსმალეთის მთავრობა ლაზისტანის სანჯაყს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით<sup>25</sup>. მას სურდა ეს ტერიტორია რუსეთის საზღვარზე თავის საყრდენად ექცია.

ლაზისტანის სანჯაყი ხუთ კაზად იყოფოდა: ბათუმის კაზა, მასში შედიოდა ბათუმი და ჩურუქ-სუ (ქობულეთი); აჭარის კაზა, (იგი შედგებოდა ზემო და ქვემო აჭარისაგან), ლევანის კაზა, აქ შედიოდა მაჭახელი და ლევანა; ხოფას კაზა, მასში შედიოდა გონიო და ხოფა; ათინას კაზა, იგი შედგებოდა არხავეს, ათინასა და ხემშინესაგან.

სოფლის მმართველობა მეჯლისის (სასამართლო, საბჭო) ხელში იყო, რომელსაც ყადი თავმჯდომარეობდა და რამდენიმე არჩეული პირისაგან შედგებოდა. კვირაში ერთხელ, პარასკეობით, მართლმორწმუნეები მეჩეთში იკრიბებოდნენ, სადაც ლოცვის შემდეგ მეჯლისი მცხოვრებთა საჩივრებს არჩევდა. სოფლის მეჯლისი ადგილობრივი ადმინისტრაციის უმაღლესი ინსტანცია იყო. შემდეგ მოდიოდა სასამართლო და მუდირის მმართველობა (ხულოში). მას მისდევდა სასამართლო და კაიმაკამის მმართველობა (ქედაში), დაბოლოს, — მუთესარიფი (ბათუმში)<sup>26</sup>.

იმდროინდელი აჭარის შესახებ XIX საუკუნეში ძალზე მცირე ლიტერატურა არსებობდა, რის გამოც გიორგი ყაზბეგი სამართლიანად შენიშნავდა: „გეოგრაფიულმა მეცნიერებამ უნდა აღიაროს, რომ თურქეთის საქართველოს ზოგიერთი ნაწილის, მაგალითად, შავშეთის ან მთიანი ლაზისტანის შესახებ — უფრო ცოტა რამ იცის, ვიდრე შიდა აფრიკაზე“<sup>27</sup>. ამას შესაბამისი პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. რუსეთთან დამაბული ურთიერთობის გამო ოსმალეთის მთავრობა მტრულად უყურებდა იქ მივლინებულ მოგზაურებსა და გეოგრაფებს. მხოლოდ მე-19 საუკუნის 40—50-იან წლებში შეძლო ემოგზაურა თურქეთის ცალკეულ პროვინციებში — კონსტანტინოპოლში რუსეთის საელჩოს იმდროინდელ ატაშეს პეტრე ალექსანდრეს ძე ჩიხაჩოვს. მან რვატომიანი ნაშრომი უძღვნა მცირე აზიას, მაგრამ პ. ა. ჩიხაჩოვი თავის ნაშრომებში თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს, კერძოდ აჭარას, თითქმის არ შეხება.

1869 წელს აჭარაში სხალთის ხეობამდე იმოგზაურა ფურნალ „ციცკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ, 1873 წელს — აჭარის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის მიზნით — დიმიტრი ბაქრაძემ. ამ მოგზაურობის შედეგად მან დაწერა კაპიტალური ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. მეტად საინტერესო ცნობები მოგვცა აჭარის შესახებ გიორგი ყაზბეგმა, რომელმაც აქ 1874 წელს იმოგზაურა. თავისი შთაბეჭდილებები მან გადმოგვცა ნაშრომებში: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევი“. გ. ყაზბეგის ნაშრომი, ისევე როგორც დ. ბაქრაძისა, რუსულ ენაზე გამოვიდა. გ. ყაზბეგის

<sup>24</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>25</sup> ამირან ავალიანი, გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960, გვ. 52.

<sup>26</sup> Казбег Г., Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОИРГО, кн. X, вып. I. Тиф., 1876, გვ. 6.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 1.



„სამი თვე თურქეთის საქართველოში“ ი. გოგებაშვილმა „ბუნების კარის“ შედგენისას გამოიყენა. დედა-ენაზე აქედრებული ნაწყვეტი პატარებს „ყოფრანული ოსმალეთის საქართველოს ანუ ძველ მესხეთის“ შესახებ მოუთხრობდა. მოვიყვანთ ყაზბეგის გოგებაშვილისეულ თარგმანს: „სოფელ ღორჯომს რომ დავეშვით, შორიდგან ნახირი დავინახეთ; თანაც პატარა ბიჭების გროვა შევამჩნიეთ. მალე იმათი ქვიცილ-ხივილი ცხადად მოგვესმა. აქარლები პირველად ვნახე და ვფიქრობდი, ნუ თუ ერთმანეთს თათრულად ელაპარაკებინან? ნუ თუ საქართველოს არსება აქარაში გაქარწყლდა? ბოლოს, ახლო მივედი, და, ღმერთო ჩემო, თურმე ისევ ქართველები ყოფილან: ბალები ქართულად ილანძღებოდნენ. ჩვენი მისვლა რომ დაინახეს, ბავშვები დაჩუმიდნენ და ფიცხლავ გზაზედ შეიკრიბნენ ჩვენს საყურებლად, ჩვენც დავდექით. თხუთმეტობედ ყმაწვილი ბიჭი ერია მათ შორის და რამდენიმე უფრო კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უნდა შეგეხედათ, რა მშვენიერის სახისა იყვნენ. ძონძები რომ ვაჰხადოთ, გვეგონებათ დიდ-კაცის დარბაზებში გაზრდილანო, ისეთი თეთრ-წითელნი და ლამაზები არიან; ჩვენს მთიულებსა ჰგვანან, მთიულების სახის იერი მისდევთ. ვინც კი შეგვხვდა, სულ ტანადი, მხარ-ბეჭიანი და თვალადნი იყვნენ“<sup>28</sup>.

1878 წელს რუსეთმა ოსმალეთს მიტაცებული ქართული მიწების მეორე დიდი ნაწილიც ჩამოაცილა. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით საქართველოს დაუბრუნდა ოსმალების მიერ დიდი ხნიდან მიტაცებული ბათუმი და მისი ოლქი. იმავე წლის ივლისში ხელშეკრულების ეს ნაწილი ბერლინის კონგრესმა დაადასტურა. რუსეთმა შემოიერთა აქარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი — ოლთისი. ამათგან აქარა-ქობულეთს, შავშეთსა და კლარჯეთს რუსული ადმინისტრაციული დაყოფით ეწოდათ ბათუმის ოლქი (1886 წლიდან ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა), ხოლო კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი ყარსის ოლქის შემადგენლობაში შევიდა.

ქართველმა საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა აქარის შემოერთება, როგორც დიდი ეროვნული მოვლენა. 1878 წლის ნოემბერში თბილისს ეწვია განათავისუფლებულ თანამოქმეთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შერიფ-ბეგ და ნური-ბეგ ხიმშიაშვილები და ჰუსეინ-ბეგ აბაშიძე. თბილისმა გულში ჩაიკრა დიდი ხნის მონატრებული შვილები. „ჩვენი ძმანი, ძველნი ქართველნი, აქარა, ლივანა, ქობულეთი ბათუმით განათავისუფლდა ოთხასის წლის ტყვეობიდან და შეუერთა დედასაქართველოსა, და აღესრულა იგი სასწაული, რაცა არა გვეგონა!“<sup>29</sup> — წერდა გრიგოლ ორბელიანი სოფიო ორბელიანს.

ომის დაწყებამდე და მისი მსვლელობის პერიოდში პრესის საშუალებით დიდი ეროვნული სააგიტაციო საქმიანობა გააჩაღეს ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა — ი. ჭავჭავაძემ, ს. მესხმა, ა. ყაზბეგმა, ა. წერეთელმა, გ. გურიელმა, გ. მეფისაშვილმა, პ. უმიკაშვილმა, ა. ფურცელაძემ, ალ. ყიფშიძემ, ს. ფირცხალავამ და მრავალმა სხვამ. დიდად შეუწყო ხელი აქარელთა ეროვნული გრძნობების გამოღვივებას ქართულმა პრესამ. 1879 წელს „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „...ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენას უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა, და თუ კარგად მოექცევიან — ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდევ სამუდამოდ“<sup>30</sup>.

<sup>28</sup> გოგებაშვილი იაკობ, ბუნების კარი, ტფილისი, 1882, გვ. 329.  
<sup>29</sup> მეუნარგია იონა, ქართველი მწერლები, წიგნი I, თბ., 1954, გვ. 111.  
<sup>30</sup> ჭავჭავაძე ილია, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, ტფილისი, 1927, გვ. 18.



ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!“ ეხლა გამოჩნდება ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავეს საქმეა!..“<sup>33</sup> — მოუწოდებდა თანამემამულეებს ილია.

აჭარელთა დახმარების პირველ აუცილებელ პირობად ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მორალური თანაგრძნობა, ნივთიერი დახმარება, ქართული სკოლების დაარსება და წერა-კითხვის გავრცელება მიაჩნდათ. ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ნოე ჟორდანია აზრით, ქართველი მუსულმანები ორ წყალს შუა იდგნენ, ორ მათთვის გაუგებარ ოსმალურ და რუსულ კულტურას შორის. მათთვის ორივე უცხოა, შორეულია და არც ერთი არ უხსნის განვითარების კარებს. ერთად ერთი მისი გზა და ხილია ქართული სკოლა, ქართული კულტურული ავლადიდება, ეს შესაძლებელია მხოლოდ ქართული ენისა და ქართული სკოლის საშუალებით. „სკოლა, ბეჭდვითი სიტყვა, მკვიდრო კავშირი ვაჭრობა-მრეწველობისა, — აი დამაახლოვებელი საშუალებანი ერთის სისხლისა და ერთის ხორცის ადამიანთა“<sup>34</sup>.

მაჰმადიან მოძმეთა გასაჭირი, მათთან დაკავშირებული ყოველი პრობლემა გულთან ახლოს მიიტანეს ერის მესვეურებმა. უდიდესი გულისხმიერებითა და წინდახედულებით განიხილებოდა აჭარასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ღრთა ბრუნვისაგან გაყოფილ, იარაღიყენებულ ერს ქრილობები თანდათან უშუშდებოდა. ვაშორებულ ძმებს შორის არსებული იღუმალი ერთობა ძლიერდებოდა. „თუნდ ღრთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემსკვალებლობა, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭეჭოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო“<sup>35</sup>. დიდი ქართველის ეს სიტყვები კარგად მოწმობს ისტორიული, გვარ-ტომობრივი და ენობრივი ერთიანობის უდიდეს სიძლიერეს. სამსაუკუნოვანი ტყვეობისაგან განთავისუფლდა ქართველებით დასახლებული ქართული მიწა, იფეთქა ერთსულოვნებამ, იყივლა სისხლმა, ფრთა გაშალა ერთგულებამ!

ყველა ქართველმა მაჰმადიანმა როდი მოახერხა შეენახა ქართული ენა და ქართველური იერსახე. ბევრი დაეკარგა ქართველობას, დაივიწყა ქართული ენა. აჭარლებმა მტკიცედ შეინახეს დედა-ენა, ქართული ფიზიკური სახე, ხნე-ჩვეულებანი. „ქობულეთში, ბათუმში, აჭარაში, შავშეთში — ესე იგი მთელს ბათუმის ოლქში ქართული ენა გაისმის და ხალხი თავის თავს ქართველს ეძახის...“<sup>36</sup>. გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის მოსე გოგობერიძის შეხედულებით, „მართალია, ცხელ უდაბნოში წარმოშობილმა მაჰმადიანური სარწმუნოების სულმა და ტრანსკასპიის უბოლოვადო, მკვდარ სტეპებში დაბადებულმა თურქოგენულმა ეთნოგრაფიულმა ელემენტმა საქართველოს უბედურების საუკუნეებში ქართულ მესხეთს აზიის უდაბნოს ხალხებისათვის ჩვეული პროფილის იერი და ხასიათი მოახვიეს, მაგრამ აჭარას მაინც ვერაფერი დააკლეს. აჭარელმა მხოლოდ გარეგნულად მოასწრო ტრანსკასპური ფსევდომორფოზის შეთვისება. რადგან საქართველოს ეს განუყრელი ნაწილი ოსმალებმა ყველაზე გვიან იგდეს ხელთ, „აჭარელის სული თავის სიღრმეში დარჩა გურული კოლორიტის მქონე სახედ ქართული ნაციონალური მეობისა“. ამიტომ იგი სულ ადვილად იშორებს უცხოეთიდან შემოტანილ შავ ლაქას და „როგორც კი აჭარელი მისთვის ბუნებრივს ქართულს ეროვნულს კულტურას ეზიარება, სარ-

<sup>33</sup> ჭავჭავაძე ი., ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, ტფ., 1927, გვ. 36.  
<sup>34</sup> წულაძე ა., ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს, თფილისი, 1915, გვ. 157.  
<sup>35</sup> ჭავჭავაძე ი., ოსმალის საქართველო, „ივერია“, 1877, № 8.  
<sup>36</sup> „მაჰმადიანი ქართველები“, ტფ., 1920, გვ. 16.

წმუნობების მხრივ მას შეუძლია დარჩეს მაჰმადიანი, — იგი მყისვე იქცევა რულად, მისი ქართული კი გურულისათვის ჩვეული ენამკვეთობისა და აზროვნების კონად გადაიქცევა. დუმისლს შეცვლის აზრმახვილობა „უცხოეთიდან შემოტანილი შავი ლაქის“ მოშორება და აღმოფხვრა ადვილად შეიძლება ქართული ეროვნული რეზონანსის მეშვეობით.

სიფრთხილედ, ზომიერება, მოძმის რჯულის პატივისცემა — ასეთი ლოზუნგებით ხელმძღვანელობდნენ ერის მოძღვრები, ამასვე მოუწოდებდნენ ყველას. მათ კარგად ესმოდათ, რომ ერთი გაუაზრებელი, წინდაუხედავი ნაბიჯიც კი გაქრისტიანების შიშით შეპყრობილი მოსახლეობის უნდობლობასა და ეჭვს გამოიწვევდა. ფანტიკოსი სამღვდელთაგან ასეთ შემთხვევას ელოდებოდა. არა ერთხელ და ორჯერ უთქვამს ილიას, რომ სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა არ ნიშნავს ეროვნულ სხვადასხვაობას, რომ მაჰმადიანი რჯულით და ქართველი ისტორიით, ერთი — იგივე ქართველია. რისი საპირისპიროს დამტკიცებაც სურდა საქართველოს ყველა მტერს. „არ გავშინდეს, მეოქი, ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევეერთდეთ, ერთმანეთი ვიძმით და ქართველი ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდნეს, თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს, ჯერ ჩვენი სისხლი დაიდვაროს, ნუ თუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა?!“<sup>37</sup>

აჭარის საკითხი კვლავ მთელი სიმწვავეით დადგა ერის წინაშე, როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართველი ხალხი დღესასწაულობდა ამ დღეს, მაგრამ სიხარულს ერთი დიდი მწუხარება ჩრდილავდა; საქართველოსთან ერთად არ დღესასწაულობდა აჭარა: ოსმალთა ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, არდაგანი, ოზურგეთი და ახალციხე. ჯერ კიდევ 30 აპრილს, ბათუმთან ბრძოლის დროს ოსმალებმა საქართველოს მთავრობას ულტიმატუმი წაუყენეს, რომ თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ბათუმის ოლქს ვიკავენბო. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ეცნო აღნიშნული ხელშეკრულება. ოსმალები ბათუმის ოლქით არ დაკმაყოფილდნენ და ოზურგეთიც დაიკავეს. საქართველოს მთავრობამ პროტესტი განაცხადა<sup>38</sup>, რაზედაც ვეხიბ-ფაშამ ცინიკურად უპასუხა: „ოზურგეთს მაშინ დაგიბრუნებენ, როცა ბათუმის საზავო მოლაპარაკება დასრულდება“<sup>40</sup>.

თურქი ოკუპანტები ყველაფერს ანგრევდნენ, აჩანაგებდნენ, ძარცვავდნენ მოსახლეობას, შეურაცხყოფდნენ მათ მშობლიურ ენას. თურქოფილები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ აჭარლები ოსმალეთის მხარეზე გადაებირებინათ. დადიოდნენ ხალხში და ოსმალეთის სასარგებლო აგიტაციას ეწეოდნენ, მაგრამ აღმფრთვებული მოსახლეობა საქართველოსთან ერთიანობას და ოსმალთა განდევნას მოითხოვდა: „...თქვენ ჩვენ ვურჯებს გვიწოდებთ და ამავე დროს გვეუბნებით, იარაღი ავიღოთ და ქართველების სისხლი დავღვაროთ,

<sup>37</sup> გოგობერიძე მ., ხედი სიბრძნისა და პროფილი ცხოვრებისა ამოქარგული სულის ხალიჩაზე (გამოუქვეყნებელი წერილი, დატულია მ. გოგობერიძის პირად არქივში).

<sup>38</sup> ქავჭავაძე ი., ოსმალოს საქართველო, „ივერია“, 1877, № 9.

<sup>39</sup> ახვლედიანი ხ., საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917—1921), ბათუმი, 1971, გვ. 34.

<sup>40</sup> გახეთი „ერთობა“, 1918, № 92.





ჩვენ ვადაპტირებთ გეუბნებით, რომ ვართ გურჯები და იმათ სისხლს არ დავაღწევთ“<sup>41</sup>, — ასე უპასუხა ხასან თხილაიშვილმა ჯემალ-ბეგის აგენტებს „სელაი-მილეტელებს“ ხულოში გამართულ დამფუძნებელ კრებაზე.

მარცხით დამთავრდა მაშინდელი მთავრობის ყოველგვარი ცდა — აჭარა საქართველოსათვის დაებრუნებინა. 1918 წლის შემოდგომაზე, საქართველოდან და ამიერკავკასიიდან გერმანელ და თურქ იმპერიალისტთა ჯარების ევაკუაციის შემდეგ, საქართველოში ანტანტის ჯარები შემოვიდნენ. აჭარაში ინგლისელთა საოკუპაციო ჯარის ნაწილი დაბანაკდა, რომელიც 15 ათასი კაცისაგან შედგებოდა. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, ნოე ჟორდანიას მთავრობამ არაერთხელ წარუდგინა დასაბუთებული მოხსენება ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას, რომ აჭარა საქართველოს გარეშე ვერ იარსებებს, ისევე როგორც საქართველო აჭარის გარეშე, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შეუერთდეს საქართველოსო, მაგრამ უშედეგოდ. ბათუმში შეიქმნა სამხედრო საგუბერნატორო, დამყარდა კოლონიური რეჟიმი.

1918 წლის მაისში ოსმალთა მიერ დევნილმა პროგრესულმა აჭარელებმა მოღვაწეობა თბილისში დააარსეს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს იმ დროს ტრაპიზონის ციხეში დაპატიმრებული მემედ აბაშიძე. მალე იგი ციხიდან გამოაპარეს და კომიტეტს ჩაუყენეს სათავეში. განმათავისუფლებელი კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ჰაიდარ აბაშიძე (მოადგილე), სულეიმან დიასამიძე (მდივანი), ხასან თხილაიშვილი, ზია აბაშიძე, ქემალ ნოღაიდელი, ყადირ შერვაშიძე, იუსუფ ქათამაძე, სულეიმან ბეჟანიძე და სხვ. აჭარასთან ახლოს რომ ყოფილიყო, კომიტეტმა ოზურგეთში გადაინაცვლა. მან შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა და ინსტრუქცია, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა: სამუსლიმანო საქართველო შეერთებულიყო დედასაქართველოსთან ავტონომიური უფლებით და ამით საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა გაემტკიცებია. მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით 1918 წელს დაარსდა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრები ამ გაზეთის ირგვლივ შემოიკრიბნენ. ისინი აქტიურად იბრძოდნენ სელაი-მილეტელების, დენიკინელებისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც არააქართული ორიენტაციისა იყო. კომიტეტის ხელმძღვანელობით 1919 წლის 31 აგვისტოს ჩატარდა ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობამ დაადგინა სამუსლიმანო საქართველოს დედასაქართველოსთან შეერთება. ყრილობა აღნიშნავდა, რომ ბათუმის ოლქის მკვიდრნი სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიულად, სისხლით და ხორციით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ, ტერიტორიულად და ეკონომიკურად ჩვენი მხარე ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდაო. ამიტომ ყრილობა მოითხოვდა, რომ ეს დადგენილება პარიზის საზავო კონფერენციისათვის გაეგზავნათ<sup>42</sup>.

დამფუძნებელი კრების ერთ-ერთი კომისიის გამოცემაში ვკითხულობთ: „...მაჰმადიანი ქართველები ჩვენი ღვიძლი ძმები არიან, ჩვენი სისხლის და ხორცის, ერთი დედის შვილები ვართ, ერთი ენა, ერთი სამშობლო გვაქვს. ცალცალკე მტრები ორივეს მოგვსპობს, ერთად უნდა ვიყოთ, თუ გვინდა ჩვენათვის სიკეთე. სამუსლიმანო საქართველო დღესვე უნდა შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკას, უნდა შეადგენდნენ ერთს განუყოფელს სახელმწიფოს, ხოლო მუსლიმან ქართველებს შინაურ საქმეებისათვის მინიჭებული ეჭნებათ თვითმმართველობა, ავტონომია.

<sup>41</sup> გაზეთი „ერთობა“, 1918, № 58.

<sup>42</sup> ახელედ იანი ხ., საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში, გვ. 50.

ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მამადიან ქართველების ერთობას. რჯული რჯულია, მაგრამ სისხლი დევნება კიდევ სხვაა... პატივს უნდა ვსცემდეთ ყოველი ადამიანის რჯულს მისი კმისას...“<sup>43</sup>.

აჭარამ ბევრი ავბედობა გამოიარა, ბევრი გაპირება და სიმწარე იგემა, მაგრამ მომხდურთა წინაშე ქედი არასოდეს მოუხრია. იგი მუდამ საქართველოსთან იყო და არც მისი ზრუნვა არასოდეს მოკლებია. ამ ძველი ქართული მიწა-წყლის შვილებმა წმინდად შემოინახეს ქართული ენა, წინაპართა ტრადიციები, თავიანთი გვარტომობა, ქართული ხასიათი. მათ არასოდეს შეპპარვიათ ეჭვი თავიანთ გვარტომობაში. თუ მალაღმთიან აჭარას ეწვევით და იქაურ მკვიდრთ — ძირძველ ქართველებს მოუსმენთ, ისინი ცურტაველის, რუსთაველის ენით დაგელაპარაკებიან, თავიანთ წარსულსაც მოგიყვებიან, იმასაც გეტყვიან, ვინ იყო მათი პაპის პაპა, ვისი სისხლი უდუღთ ძარღვებში...

მოწამებრივი გზა განვლო დედასამშობლოსაგან მოწყვეტილმა აჭარამ, მაგრამ სასიკვდილოდ დაქრილსაც არასოდეს დაუკარგავს აღორძინების იმედი.

დიდი განსაცდელის ქამს ითქვა საამაყო მამულიშვილის ჰაიღარ აბაშიძის დაუეიწყარი სიტყვები: „...ჩვენ გულწრფელად ვალიარებთ: ჩვენ ვართ გურჯები — ქართველები. ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოსისა და ამიტომ ჩვენ გეწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედღელებაში... გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ მომავალს — მთლიან საქართველოს!“<sup>44</sup>.

М. А. ШАМИЛИШВИЛИ

## ВОПРОСЫ ИСТОРИИ АЧАРИИ В ГРУЗИНСКОЙ ЖУРНАЛИСТИКЕ XIX ВЕКА

Резюме

Рассмотрена проблематика истории Ачарии в грузинской журналистике XIX века, обращено внимание на особенно значительные моменты истории, приведены новые аргументы.

Оценки отдельных периодических изданий основываются на исследованиях вспомогательной литературы и архивных источниках, что дает возможность осветить некоторые нерешенные вопросы. Большую научно-историческую ценность имеют статьи и очерки Н. Николадзе, И. Кереселидзе, И. Чавчавадзе, Г. Церетели, П. Умикашвили, Г. Казбеки и др., опубликованные в «Цицкари», «Дроеба», «Иверия», «Кребули» и других периодических изданиях.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ეურნალისტიკის ისტორიის განყოფილება

წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

<sup>43</sup> „მამადაიანი ქართველები“, დამფუძნებელი კრების საპროგრამო კომისიის გამოცემა, ტფ., 1920, გვ. 16.

<sup>44</sup> ვაზ. „ერთობა“, 1918, № 238.

დარბაზი ბუჩქიძე

ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობების  
სათავეებთან

ქართველი და ლიტველი ხალხების მეგობრობას, მათ შორის კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია არ გააჩნია, რადგან მორი ერის დაახლოებას სხვადასხვა სფეროში ხელს უშლიდა როგორც ტერიტორიული სიწორე, ასევე უაღრესად რთული ისტორიული სვე-ბედი.

ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება, მაშინ როცა საქართველოც და ლიტვაც მეფის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდნენ, მაგრამ მოიპოვება უფრო ადრეული ცნობებიც. კერძოდ, ცნობილია რომ ლიტვა მოხსენიებული აქვს ვახტანგ ბაგრატიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომში „ქართველ თავადაზნაურთა აღწერილობა“<sup>1</sup>. გარდა ამისა, ლიტვაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გრიგოლ ბაგრატიონიც თავის დღიურში — „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე“<sup>2</sup>.

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების გრიგოლ ორბელიანისა და გიორგი ერისთავის შემოქმედებით ბიოგრაფიკული ლიტვამ გარკვეული ადგილი დაიკავა. როგორც ცნობილია, ისინი 1832 წლის სათავადაზნაურო შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით მეფის მთავრობამ ლიტვაში გადაასახლა.

შორეული ლიტვისადმი ინტერესზე მეტყველებს აგრეთვე 1862 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი მიხეილ ჩივიანის მოთხრობა „პოლშის კაროლი და ლიტვის გეტმანი“<sup>3</sup>, რომელშიც აისახა ლიტველი ხალხის ისტორიული ბედი.

ასე ნელ-ნელა ეყრებოდა საფუძველი ქართულ-ლიტვურ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას, რომელიც შემდეგ უფრო გაღრმავდა და ახალ განვითარებას მიაღწია.

ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობანი ჯერჯერობით სამეცნიერო დონეზე არაა შესწავლილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოსა და ლიტვაში ამ საკითხისადმი მიძღვნილ ცალკეულ წერილებსა და შენიშვნებს.

ნაშრომში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ გრიგოლ ორბელიანისა და გიორგი ერისთავის ლიტვაში ცხოვრების პერიოდზე, კერძოდ, მათ შემოქმედებით ბიოგრაფიაში ლიტვასთან დაკავშირებულ ლიტერატურულ ფაქტებზე.

ჩვენ მიზანია შევისწავლოთ და ვუჩვენოთ, თუ როგორ აისახა ლიტველი ხალხის ყოფა-ცხოვრება, კულტურა და ეროვნული ზნე-ჩვეულებანი ზემოაღნიშნულ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში.

ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობის სათავეებთან ცნობილი ქართველი პოეტები გრიგოლ ორბელიანი და გიორგი ერისთავი დგანან.

<sup>1</sup> ვახტანგ ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, თბ., 1983, ტ. IV, გვ. 51.

<sup>2</sup> გრიგოლ ბაგრატიონი, მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საისტორიო ფონდი (H, 2178).

<sup>3</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1862, XI, გვ. 191—206.

1832 წლის სათავადაზნაურო შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით ჩრდილოეთში გადასახლებული გრ. ორბელიანი და გ. ერისთავი პეტერბურგში და ლიტვლებმა შეიფარეს და თბილი, მეგობრული გული უჩვენეს. ლიტვან-დელი ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი, ანუ, როგორც მას ძველად ეძახდნენ, ვილნო, არაერთგზის მოიხსენიება ზემოხსენებულ ქართველი პოეტების ბიოგრაფიაში. გრ. ორბელიანი მსახურობდა პოლკში, რომელიც ვილნოში იყო დაბანაკებული. აქ იგი ხშირად ხვდებოდა ადგილობრივ მკვიდრთ და მათთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მანანა ორბელიანისადმი 1834 წელს მიწერილ წერილში გრ. ორბელიანი აღწერს ქალაქ ვილნიუსის მაშინდელ ყოფა-ცხოვრებას და სხვათა შორის აღნიშნავს: „ამას წინათ მოგწერეთ ვილნოდან და აღვიწრეთ მოკლეთ ქალაქი ესე. აქ, ვილნოს, არის თეატრი და ძალიან აქებენ აქაურს ორდანოს საყდარში; მაგრამ ჯერ არც ერთში არა ვყოფილვარ. როდის იქნება ჩუენც ასე ვიცხოვროთ კაცურად — განა ზოგიერთს ჩუენში შეძლება არა აქვს — მარამა ჯერ უშკოლონი და უბიბლიოტეკონი ვართ“<sup>4</sup>.

გადასახლებულის პოეტურ შთაგონებაზე ბალტიისპირეთში, საკმარისია ვთქვათ, რომ ვილნიუსში დაიწერა ლექსი „სალომეს“ (1834 წ.), რომელიც ავტორმა მიუძღვნა ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლეს — სალომე ორბელიანს. იგი იშვიათი დოკუმენტია პოეტის იმდროინდელი სულიერი განწყობის გასაცნობად.

გრ. ორბელიანის პროზაული შემკვიდრებოდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი წერილები და დღიურები, სადაც საკმაოდ ვრცელადაა გადმოცემული გადასახლებაში მყოფი პოეტის ცხოვრებისეული ეპიზოდები, ლიტვის თვალწარმატაცი ბუნების პეიზაჟები და ლიტველი ხალხის ეროვნული წესჩვეულებანი. აღსანიშნავია, რომ მათ იგივე იდეები, ცხოვრების ცოდნა, აზრის სიღრმე და რომანტიკული განწყობილებანი ახასიათებთ, ავტორმა პოეზიაში რომ უკვდავყო განსაკუთრებული ძალით.

დღიური, როგორც განსაკუთრებული ლიტერატურული ფორმა, უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის. უკვე მე-18 საუკუნის დამდეგს სულხან-საბა ორბელიანი თავისი „ვერობაში მოგზაურობით“ ამის ჩინებულ ნიმუშს იძლევა. ე. წ. „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაშიც გრძელდება ეს ტრადიცია ისეთი ძეგლის სახით, როგორიცაა გრიგოლ ბატონიშვილის „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე“.

გრიგოლ ორბელიანის 1836—1839 წლებში დაწერილი დღიურებიდან ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ფრაგმენტს, რომელიც დაწერილია 1836 წელს. მართალია, ეს ნაწილი თავისი მნიშვნელობით ვერ შეედრება მისსავე „მოგზაურობას“ („მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“), მაგრამ იგი ჩვენს ყურადღებას იქცევს იმით, რომ მასში საკმაოდ ვრცელადაა გადმოცემული პოეტის ლიტვაში ცხოვრების ეპიზოდები, გამომჟღავნებულია ის პოლიტიკური თუ სოციალური შეხედულებები, რომლებიც იმხანად გრ. ორბელიანს ჰქონია.

ეს დღიური ერთი მთლიანი ნაწარმოებია, როგორც ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით, ისე შინაარსისა და განწყობილების მხრივაც. მას შენარჩუნებული აქვს დღიურის თხრობის ქარგა, რაც ნაწარმოებს დოკუმენტური პროზის ხასიათს ანიჭებს. დღიურის მიხედვით, პოეტის მოგზაურობა იწყება სოფელ კლაუსტუციდან და მთავრდება დინაბურგში მისვლით, სადაც იგი პოსპიტალში წვება. დღიურიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანი ამ ხანებში კონოსა და ვილენსკის გუბერნიებში იმყოფება. ამ განუწყვეტელი მოგზაურობის

<sup>4</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, თბ., 1936, გვ. 21—22.



მიზანი, როგორც თვით პოეტი გვაუწყებს, სამხედრო მანევრებია. ამ დროს გრ. ორბელიანის დაკვირვებულ თვალს არაფერი ეპარება და მისთვის საინტერესოსა და ღირსშესანიშნავს ინიშნავს დღიურში. ამ ჩანაწერების მიხედვით ჩვენს თვალწინ ცოცხლდება პოეტის ფიგურა.

დღიურის ავტორი დაკვირვებული მწერალი და ღრმა ფსიქოლოგია. მასში გვხვდება პასაჟები, რომლებშიც გადმოცემულია ცხოვრების პრობლემებზე დაფიქრებული მწერლის განცდები, მისი რელიგიური მრწამსი. საინტერესოა დღიურში აღწერილი ის ეპიზოდი, რომელიც ვამენდელის მონასტერში ყოფნისას პოეტში აღძრულ განცდებს ეხება. ერთ ლიტველ თვადს შეჰყვარებია საკუთარი და; ისე ძლიერი ყოფილა ეს გრძნობა, რომ ორივე ცოდვაში ჩავარდნილა. მერე კი ცოდვის მოსანანიებლად მონასტერი აუგიათ. მონასტერში მისულმა პოეტმა გამძლე კუბოში შენახული ცოდვილთა ძვლები საკუთარი თვალთ იხილა და მძიმე ფიქრები აღეძრა: „სად არის სიმშვენიერე ქალისა, რომელმაც დააბრძა ვონება ძმისა? აწ მხოლოდ რამოდენიმე ძვლები და რამოდენიმე ნაგლევი ტანისამოსისა მოუთხრობენ ამაოებას ამა სოფლისასა!“<sup>5</sup>.

ვამენდელის მონასტერშივე უხილავს პოეტს მლოცველი ყრმა — იესოს ფერწერული ძეგრფასი ტილო. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს ისე მოსწონებია ეს სურათი, რომ ბერებისათვის ხუთი ათასი ოქრო შეუძლეგია, მაგრამ ლიტველ ბერებს მოხერხებული პასუხი გაუციათ: „სურათიც შენია და ჩვენც შენი ვართო“. იმპერატორი უსიტყვოდ გაბრუნებულა.

საინტერესოდ მიგვაჩნია დღიურის ის ეპიზოდი, რომელიც ცხოვრების ამაოებაზე ფიქრს შეეხება: ორბელიანი კოვნოშია (კაუნასში), წირვას ესწრება, ჰისპიტალს ნახულობს და დიდხანს ათვალეირებს ოთახს, რომელშიც ოცდაოთხი წლის წინ ნაპოლეონს ღამე გაუთევია. ადგილობრივმა მღვდელმა, რომელსაც პირადად ენახა ფრანგი იმპერატორი, პოეტს ყოველი წვრილმანი აუხსნა, მაგრამ მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემა კი გაუძნელდა: „წავედით ღოშპიტლის სანახავად. აქ ვნახე ის ოთახი, სადაც საშინელის ჭეჭისა და წვიმის გამო შეეფარა და დაჰყო ერთ ღამეს ნაპოლეონმა. აქ იყო თვით იგივე კსენზი, რომელსაცა ეხილვა ნაპოლეონი. მე ვკითხე: ისიც ჩვენსავით კაცი იყო მეთქი? ჰო! მიპასუხა, ჩვენსავით იყოო, Такой все замысленный...“<sup>6</sup>.

აქვე არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ფრაგმენტი დღიურიდან, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს გრ. ორბელიანის ტკობას ლიტვის ბუნების ნაზი პეიზაჟით, იგი მას საქართველოს აგონებდა: „დილით, მესამე საათზე გამოვედით პონევეჟით..., თორმეტს ან ცამეტს ვერსტზე გამოჩნდა მშვენიერი სახილველი: მრავალნი სოფელნი განზნულნი ვაკესა ადგილსა ზედა, შემკობილნი ღამაზის ქალაქებით ფრიად აამებდა თვალთა — ერთის შეხედვით ემსგავსებოდა საქართველოსა!“<sup>7</sup>.

დღიურებში პოეტი მოკლედ და ცოცხლად გადმოგვცემს სცენებს, რომელთაც თავისი მხედრული ცხოვრების გზაზე ხედავს — საღამოებს, ებრაელთა ქორწილს და ერთ მორიგ მარცხს, რაც სიყვარულში უიღბლო პოეტს უცხო ქვეყანაში შეემთხვა. მისი პირდაპირობა და გულახდილობა ინტიმური ამბების თხრობისას გასაოცარია. პოეტი შეუფარავად გადმოგვცემს თავისი პატარა რომანის სამწუხარო დეტალებს. 1837 წელს გრ. ორბელიანი შეგებულებას იღებს და სამშობლოში მიემგზავრება. აქ არსებითად წყდება პოეტის დღიურები და კონტაქტები ლიტვასთან.

<sup>5</sup> გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 269.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 270.

<sup>7</sup> იქვე.





აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანი ლიტერატურული მიმართულებების თვალსაზრისით თავის დღიურებში მიჰყვება არა ნ. მ. კარაშინის ეგვიპტურ-აზიურ „განცდების მიმართულებას“, არამედ დეკაბრისტულ მიმართულებას. პროფესორ ვ. შადურის ჭეროვანი შენიშვნით, „„დღიურების“ ავტორი მოვლენებს აღიქვამს და აფასებს არა კარაშინის კონსერვატიული თვალთახედვით, არამედ დეკაბრისტული თვალთახედვით“<sup>8</sup>.

გრ. ორბელიანის „დღიურები“, მიუხედავად მათი კერძო ხასიათისა, საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მნიშვნელობას მოკლებული არ არის. დღიურები იძლევიან მდიდარ მასალას არა მხოლოდ მწერლის პირადი ცხოვრებისა და მისი განწყობილების შესასწავლად, არამედ ამავე დროს შეიცავენ საუკეთესო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წყაროებს იმ ეპოქის საქართველოსა და ბალტიისპირეთის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გასაცნობად.

გაორგი ერისთავს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა XIX საუკუნის 50-იან წლებში. იგი ცნობილია, როგორც პოეტი, დრამატურგი, ქართული პროფესიული თეატრის სულისჩამდგმელი, მსახიობი, ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი, მისი პირველი რედაქტორი და გამოცემელი. ამავე დროს იგი პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც გრიგოლ ორბელიანთან ერთად ლიტერატურული ურთიერთობა დაამყარა ლიტევასთან.

გაორგი ერისთავის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ პერიოდს, როცა ის სათავადაზნაურო შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, დააპატიმრეს და 1834 წლის 9 იანვარს დანაშაულის მოსახდელად გადაასახლეს ქალაქ ვილნოში. იმ დროს პოეტი სრულიად ახალგაზრდა, 17 წლისა იყო.

გადასახლებაში ყოფნას გ. ერისთავისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მან შეისწავლა პოლონური ენა, გაეცნო ადამ მიცკევიჩის შემოქმედებას, დაუკავშირდა პოლონეთისა და ლიტვის ლიტერატურულ საზოგადოებას. ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა პოეტის განვითარებასა და შემდგომ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

გადასახლებაში მყოფ პოეტს არ ასვენებდა ფიქრი სამშობლოზე. მისთვის უდიდესი სიხარული მოუტანია გრიგოლ ორბელიანთან შეხვედრას ვილნოს მახლობლად მდებარე სამხედრო ბანაკში, როცა გ. ერისთავის კარავში მისულა მისივე ბედის თანაზიარი, სახელოვანი პოეტი გრ. ორბელიანი, რომელმაც თავის მხრივ არ იცოდა თუ ვის ხვდებოდა. „ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ბედნიერება იქნებოდა მათთვის ერთმანეთის ნახვა უცხო ქვეყანაში“, — წერდა ამ შეხვედრის შესახებ გ. ერისთავის ბიოგრაფი იონა მეუნარგია<sup>9</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ორბელიანსა და გაორგი ერისთავს ბალტიისპირეთის სხვადასხვა ადგილებში უხვდებოდათ სამსახური, ხშირად წერდნენ ერთმანეთს წერილებს, უგზავნიდნენ ახალ ლექსებს და ზოგჯერ ახერხებდნენ კიდევ შეხვედრას.

გადასახლებაში გ. ერისთავმა მრავალი ლექსი დაწერა. უცხო ქვეყანაში პოეტი გულთბილად მიუღიათ. „ბედით ჰპოვნინი ახალნი მეგობარნი“ იწვევენ მას თავისთან, სთხოვენ შესვას ღვინო ნიშნად მეგობრობისა:

„გიწვევთ ახალნი მეგობარნი, ბედით პოვნინი,  
რომ შესვა ღვინო, წინდაღ ჩვენი მეგობრობისა“<sup>10</sup>.

ლექსში — „უცხო ქვეყნის ჭაბუკს“ (რომელიც დაიწერა ქ. ვილნოს, 1835

<sup>8</sup> ვ. შადური, დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართული საზოგადოებრიობა, თბ., 1958, გვ. 526.  
<sup>9</sup> ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, II, თბ., 1944, გვ. 21.  
<sup>10</sup> გ. ერისთავი, თხზულებანი, თბ., 1966, გვ. 11.

წლის 15 თებერვალს), მის სურვილზე — „იგემოს სიტკბო“ თავისი მამულის, — გ. ერისთავი უპასუხებს:



„სიღრმისა გულით გრძნობილთ ვარ მადლობელი ჩემის ესრეთის ალერსითა მიღებისათვის, მაგრამ არ ძალმიძს დავიფიწყო მხარე მშობელი და სიხარულად მიმაჩნია ვიტყრო მისთვის“<sup>11</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახლებაში გ. ერისთავი მუდმივ ზედამხედველობაში იმყოფებოდა, იგი მაინც ახერხებდა მოწინავე ლიტერატურულ ოჯახებთან დაახლოებას, სადაც მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ირკვევა, რომ გ. ერისთავი მონაწილეობდა ოჯახებში გამართულ შეკრებებზე. ამ მხრივ საინტერესოა მკვლევარ ი. კაკაბაძის სტატიაში<sup>12</sup> მოხმობილი ვილნიუსის მუზეუმში დატული ცნობა, სადაც აღნიშნულია: „დამსწრე, რომელიც აგვიწერს 1836 წელს ვილნიუსში გამართულ ბალს, მონაწილეთა შორის ასახელებს ახალგაზრდა ქართველ თავადსა“<sup>13</sup>. ი. კაკაბაძის აზრით, ის ქართველი თავადი ოჯახებში გამართული შეკრებების მონაწილე გ. ერისთავია.

ვილნიუსში პოეტი განსაკუთრებით დაუახლოვდა ბიშპინგების ოჯახს. ეს დიდად განათლებული, ინტელიგენტური ოჯახი იყო და ახალგაზრდა ერისთავიც სულიერ სიახლოვეს გრძნობდა მასთან. მან ლექსიც უძღვნა პოეტს — როზალია ბიშპინგს. ლექსს ასეთი შენიშვნა აქვს: „როზალია ბიშპინგს — პასუხად მისი ლექსებისა, ეამს მოშორებისას“. როგორც ჩანს, როზალიასაც უძღვნია გ. ერისთავისათვის ლექსი. „როზალია ბიშპინგს“ დათარიღებულია 1838 წლის 10 ივლისით, ლექსში პოეტი ეთხოვება ქალს და უხსნის თავის დამოკიდებულებას მის მიმართ:

„მე აღვიარებ, რომე სიყვამდის ჩემთა თელთავან განშორებულად არა იქნებო, მით რომე ხატად გულსა ჩემსა ხარ ღრმად დასახატად“<sup>14</sup>.

ვილნიუსში, 1837 წელს დაწერა გ. ერისთავმა კიდევ ერთი შესანიშნავი ლექსი „პელაგია არციმოვიჩს (14 წლის მშვენიერ ქალს ეამსა სიმღერისასა)“. ამ ლექსში ვკითხულობთ:

„უცხო ქვეყანას მე სვისავან ვადმოვდებულსა შენი ციური მღერა ესრეთ მანუგეშებდეს, ვითა პატიმარს სასიკვდილოდ გამზადებულსა რა უეცარად თავისუფლების ნება ეცემის“<sup>15</sup>.

აქედან თვალნათლივ ჩანს, თუ რაოდენი შვება აგრძნობინეს სამშობლოდან გადასახლებულ პოეტს იქაურმა ლიტერატურმა და პოლონურმა ოჯახებმა.

საინტერესოდ მიგვაჩნია გ. ერისთავის ერთი წერილი გრ. ორბელიანისადმი. იგი 1837 წლის მაისით არის დათარიღებული და ასე მთავრდება: „მშვიდობით, ძმაო. ასე მეგონა გნახამ მეთქი... ყარაულში სული მძვრება, სანამ საქართველოში წახვიდოდე (გრ. ორბელიანი ამ დროს ბრუნდებოდა საქართველო-

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> ი. კაკაბაძე, გ. ერისთავი და პოლონური მწერლობა, ჟურნ. „მნათობი“, 1972, № 3, გვ. 179—187.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 183.

<sup>14</sup> გ. ერისთავი, თხზულებანი, თბ., 1966, გვ. 25.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 18.

ში. — დ. ბ.), თუ ფული გეგნება გზად Вильно нельзя ли проехать, ა?<sup>16</sup>  
ეს ნაწყვეტი უკომენტაროდაც კარგად მეტყველებს გადასახლებაში უსულოების  
ყოფისა და მისი სულიერი ტანჯვის შესახებ.

1838 წლიდან გ. ერისთავს ერთი წლის შვებულება საქართველოში გაუტარებია და შემდეგ კვლავ გამგზავრებულია ლიტვაში, სადაც იგი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა 1839 წლის დამდეგიდან 1842 წლამდე. ამ ხანებში დაწერილი ლექსებიც ადასტურებენ, რომ ისინი ბალტიისპირეთის იმ ადგილებშია შექმნილი, სადაც პოეტს სამხედრო სამსახური უხდებოდა.

გ. ერისთავის ლიტვაში შექმნილი როგორც ორიგინალური, ისე თარგმნალი ლექსები საინტერესოა თემატიკურად, პატრიოტულ-რომანტიკული განწყობილებითა და გულწრფელობით. პროფესორ დ. გამეზარდაშვილის სამართლიანი მითითებით, ლიტერატურული მიმართულების თვალსაზრისით გ. ერისთავი თავიდანვე რეალიზმის პრინციპებისაკენ იხრებოდა, თუმცა საკმაო ხარისხში იხდოდა რომანტიზმსაც<sup>17</sup>.

1832 წლის შეთქმულების ტრაგიკულმა დასასრულმა ახალგაზრდა პოეტის ოცნებას ფრთები შეაკვეცა. ცხოვრების მკაცრმა დღეებმა თავისი გამოხატულება პოვა გ. ერისთავის პოეზიაშიც. ამიტომ 1834—1838 წლებში დაწერილ ლექსებში პოეტი უმთავრესად გადმოგვცემს იმ სევდა-მწუხარებას, რომელიც მას გადასახლებაში ყოფნისას დაუფლებია და უშუალოდ სამშობლოს მონატრებას უკავშირდება.

შესაძლოა, გ. ერისთავის ორიგინალური ლექსები მხატვრული თვალსაზრისით ვერ იდგეს იმ დროის ქართული პოეტური კულტურის დონეზე, მაგრამ ისინი ძალიან კარგად გამოხატავენ სამშობლოდან განდევნილი პოეტის სულიერ მდგომარეობას, აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ მან ბალტიისპირეთში ბევრი მეგობარი შეიძინა, რომელნიც ყოველმხრივ დახმარებას უწყევდნენ ქართველ პოეტს და ცდილობდნენ არ ეგრძნობინებინათ მისთვის უსამშობლოობა.

გიორგი ერისთავის ცხოვრების ფაქტები ლიტვაში, მისი წერილები, თარგმანები და ორიგინალური ლექსები, რომლებშიც გამოხატულია პოეტის სიყვარული და ღრმა პატივცემა ლიტველი ხალხისადმი, მნიშვნელოვანი წვლილია ქართულ-ლიტვეური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში და დავაწყებას არასდროს მიეცემა.

როგორც ვხედავთ, ქართულ-ლიტვეურ ლიტერატურულ ურთიერთობებს ხანმოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო ისტორია აქვს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ქართული ლიტერატურა ძველთაგანვე დიდ ინტერესს იჩენდა სხვა ერების ლიტერატურებისადმი, შემოქმედებითად ითვისებდა მათგან ყოველივე პროგრესულსა და საუკეთესოს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ-ლიტვეურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების ისტორიას თავიანთი ცხოვრებითა და შემოქმედებით სათავე დაუდეს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველმა მწერლებმა — გრიგოლ ორბელიანმა და გიორგი ერისთავმა. მათ მიერ საძირკველჩაყრილ კავშირ-ურთიერთობას განაგრძობენ თანამედროვე თაობები. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა საქართველოში ლიტვეური ლიტერატურისადმი მიძღვნილი წერილები და ნარკვევები, ლიტვეური ლიტერატურის საუკეთესო ძეგლთა ქართული თარგმანები, ქართველი მწერლების ლიტვისა და ლიტველი ხალხისადმი მიძღვნილი მალამხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც შესანიშნავად წარმოაჩენენ ქართულ-ლიტვეურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიას და მის მნიშვნელობას თანამედროვე ეტაპზე.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 414.

<sup>17</sup> ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწილი I, თბ., 1972, გვ. 258.

## У ИСТОКОВ ГРУЗИНО-ЛИТОВСКИХ ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ

### Резюме

Работа посвящена недостаточно разработанной теме по истории грузино-литовских литературных взаимосвязей. Имеются лишь отдельные статьи и заметки на грузинском и литовском языках.

Рассматривается один конкретный аспект литературных взаимосвязей двух народов — отражение литовской темы в грузинской литературе I половины XIX века. Показано, как отразилась жизнь литовского народа, его национальный дух в художественных произведениях выдающихся грузинских писателей — Гр. Орбелиани и Г. Эристави, стоявших у истоков этих связей.

Исследуются их личные письма и созданные в Литве произведения, в которых широко представлены эпизоды из их жизни, впечатления, переживания, описываются картины литовской природы, характер, нравы и обычаи литовского народа.

Произведения Гр. Орбелиани и Г. Эристави, посвященные литовской теме, анализируются как составная и органичная часть всего их творчества.

Затронутая тема актуальна и способствует укреплению братских уз грузинского и литовского народов.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული ურთიერთობების ცენტრის ცენტრის ლიტერატურული ურთიერთობების განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული ურთიერთობების ცენტრმა

## ლიზია ჰუმბურძიძე

 არჩილ ბაგრატიონი და ქართული მესიანიზტური  
ტრადიცია

ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმოშობის მესიანიზტური კონცეფცია საქართველოში არსებულ ძლიერ ტრადიციას დაემყარა. იგი უნდა შექმნილიყო IX—X საუკუნეთა მიჯნაზე, ე. ი. იმ დროს, როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა ერთიანი ფეოდალური მონარქიისათვის<sup>1</sup>.

აღნიშნული ტრადიციით ქართველი მეფეები ბიბლიური იესეს, დავითისა და სოლომონის შთამომავლებად ითვლებოდნენ. მათი მოვლინება ამქვეყნად, თითქოს, თავიდანვე იყო განსაზღვრული.

მეფის ღვთაებრივი წარმოშობის ტრადიციული იდეის ქადაგებას პირველად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვხვდებით. გრიგოლი ასე მიმართავს აშოტ კურაპალატს: „დავით წინასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შეილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობა და სათნობანიცა მისნი დავიმკვდრენ ქრისტემან ღმერთმან...“<sup>2</sup>.

სასულიერო მწერლობაში დამკვიდრებულ გამოთქმებს — ძე დავითისა, შტო სოლომონისა, ძირი იესესი — ვხვდებით როგორც ქართველ მემკვიდრეებთან, ისე კლასიკური ეპოქის სახოტბო პოემებში.

ჩვენს წინაპრებს ქართველ მეფეთა ამგვარი ნათესაობის აღიარების უფლებას საღვთო წერილი აძლევდა. ადამიანის გაღმერთებას გულისხმობს 81-ე ფსალმუნის მე-6 მუხლი: „მე ვთქვი, ღმერთი სამე ხართ“. იოანეს სახარების მე-10 თავის 34-ე მუხლშიც იგივე აზრია გატარებული.

დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქებში, როდესაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურ-კულტურულმა ვითარებამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, საზოგადოებრივმა აზროვნებამ მეფე არა მარტო ღვთაებრივ არსებად, არამედ ღვთის სწორადაც კი გამოაცხადა. ეს კარგად ჩანს არსენ ბერის სიტყვებში, რომლითაც იგი დავით აღმაშენებელს ახასიათებს: „კაცთმოყვარე, ვითარცა ჩემი იესუ ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთმქმნულთა შორის“<sup>3</sup>.

„ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი თამარს არათუ ღვთისსწორად, არამედ სამების მეოთხე წევრადაც კი აღიარებს. იგი ასე მოიხსენიებს მას: „მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანა აღხვეებულისა, რომელი ეთერონ იქმნა ხელმწიფეთა შორის, რომლის სახე და სახელი თვისსა ადგილსა სიტყუამან საცნაურ ყოს“<sup>4</sup>.

ქრისტიანული დოგმატის მიხედვით, გაუგონარი მკრეხელობა იყო სამების მეოთხე წევრად ადამიანის გამოცხადება და მისი გათანაბრება იესო ქრისტესთან, მაგრამ თამარის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო საშინაო თუ საგარეო

<sup>1</sup> შ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966, გვ. 69.

<sup>2</sup> გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V—X სს.), თბ., 1963, გვ. 262.

<sup>3</sup> ქართული მწერლობა, ტ. II, თბ., 1987, გვ. 233.

<sup>4</sup> „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილ ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის შივრ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 3.





ასპარეზზე, რომ თანამედროვენი მას თამამად მიიჩნევენ მეორე ქრისტედ და ამკობდნენ ღვთისსადარი ეპითეტებით. მაგალითად, „სამგზის სანატრულე“ „ღმრთისაგან ღმერთ-ქმნილი“, „ქრისტე შემოსილი ხელმწიფე“, „ცხებულ ღმრთისა“ და ა. შ.

ოფიციალური ეკლესიაც იწყნარებდა თამარის ღვთაებრიობის მესიანისტურ იდეას. თვით კათალიკოსი — ორთოდოქსთა მეთაური ქიაბერის სიგელს ხელს რომ აწერდა, თამარს ღვთისწორად მოიხსენიებდა.<sup>5</sup>

კლასიკური ეპოქის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მიერ თამარის ზეღმატებულ მეფედ — ღვთისწორად გამოცხადება ამავე ეპოქის ისტორიულ-კულტურულმა მოვლენებმა განსაზღვრეს. საქართველო ამ დროს წინაზღვის წამყვან სახელმწიფოდ იქნა აღიარებული, მას დაეკისრა უდიდესი მისია — ურჩულოთაგან ქრისტეს საფლავის განთავისუფლება, ყოველივე ამან კი ქართველ ხალხში ეროვნული გრძნობის მოზღვაება გამოიწვია, ეროვნულმა სიამაყემ კი დასაბამი მისცა მეფის ღვთისწორობის მესიანისტურ კონცეფციას — თამარი მესია, თამარი კაცობრიობის მხსნელი, ერთგული დამცველი ქრისტიანობისა, ხორცმეხსმული ღმერთი, ქრისტიანული ღვთაების სწორი. მე-12 საუკუნეში აღმოცენებული ასეთი იდეოლოგია სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის დაცვის საფუძველი გახდა.<sup>6</sup>

მეფეთა ღვთისწორობის მესიანისტური იდეა იმდენად მიღებული იყო თამარის ეპოქაში, რომ რუსთველი თავისი თანატაყობით გამონაგონ მეფე-პერსონაჟებს არა მარტო ღვთისსადარი ეპითეტებით ამკობდა, არამედ მათ ღვთისწორადაც აცხადებდა.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანი ამქვეყნიური ნიშან-თვისებათა სრულყოფით აღწევს ღვთაებრიობას. მართალია, ადამიანის განღმრთობა უპირველესად სულიერი ბუნების სრულყოფას გულისხმობს, მაგრამ რუსთველი „იდეალურ გმირთა ხორციელ ბუნებასა“ ოვთაებრივად სახაგს.<sup>7</sup>

სწორედ კლასიკური ხელოვნების თავისებურებაა სინთეზი სულიერისა და ხორცისმეგრისა, ე. ი. სინთეზი იდეალურისა და რეალურისა, რაც, როგორც თამარის ეპოქის მხატვრული აზროვნების თავისებურება, რუსთველის პოემაშიც დასტურდება.

ჩვენს მწერლობაში მესიანისტური იდეის ჩასახვა და განვითარება ეროვნული ინტერესების დასაცავად იყო საშირო. მაგრამ თუ თეოდალური საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანაში ეს იდეა ხელს უწყობდა ერის ძლიერებას, მის თვითანმტკიცებას და ნაციონალურ-პოლიტიკური ფიზიონომიის გამოვლენას, ქვეყნის ბედოკლდმართობის ჩამს იგი იმედის რწმენით ასაზრდოებდა ქართველ ხალხს და მის სიმტკიცეს ძალას ჰმატებდა.

აღორძინების ხანაში ქრისტიანული რელიგიის შესუსტებასა და ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების დაცემასთან დაკავშირებით მეფის ღვთაებრიობის მესიანისტურმა იდეამ თავისი პირვანდელი შინაარსი დაკარგა. მეფის ღვთისწორობის იდეაც, რომელიც ცენტრალიზებული მონარქიული სახელმწიფოს იდეოლოგია იყო, დაეიწყებას მიეცა. მეფის მაღალხეობრივი თვისებები, პოლიტიკური სიბრძნე, სარწმუნოებისადმი ერთგულება, ქვეყნის ძლიერებისა და

<sup>5</sup> კ. ევაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის, კრებ. შოთა რუსთველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966, გვ. 227.

<sup>6</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II (XII—XVIII სს.), თბ., 1966, გვ. 125—126 (სტატია ალ. ბარამიძისა).

<sup>7</sup> რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 193—207.

ერთიანობისათვის ბრძოლის სურვილი ამ იდეასთან ერთად დასამარდა<sup>8</sup>. ქართველი მეფეები იმ ხობტა-დიდებას ველარ იმსახურებდნენ, რომელსაც ქვეყნის კური ეპოქის ძეგლებში ვხვდებით.

სულხან-საბა ორბელიანი მკაცრად კიცხავს ქართველ მეფეებს იმისათვის, რომ მათ დივიფყეს რჯული და მაჰმადიანობის მიღებით საქვეყნო საქმეს უღალატეს, სიმკაცრესთან ერთად საბა მობოღიშებით აცხადებს: „მრცხვენიან, საყვარელნო, ვინაითგან ესოდენი ბოროტნი ვთქვი თქვენდა მიმართ, მეშინის, უფალნო ჩემნო და მთავარნო, ვინაიდგან ვიკადრე მე, უღარესმან თქვენმან, უღარესისა მიმართ ჩემთასა ესრეთი კადნიერება, მაგრამ არა სიძულელიისათვის თქვენისა მიქმნიეს, არცა მტერობისა შურითა.“

თქვენცა უწყით, რამეთუ აღშენებისა თქვენისათვის ვიტყვი, ნუ უკვე რომელმანცა სიტყვამან შეგაკდინნეს“<sup>9</sup>.

აღორძინების ხანის ქართველ პოეტთაგან არჩილმა პირველმა გააცოცხლა ქართული მესიანისტური ტრადიცია. ამით იგი შეეცადა, აღედგინა თანამედროვეთა შორის ის სულიერი სიმტკიცე, რომლითაც ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე თავის არსებობას ინარჩუნებდა.

არჩილმა, უფრო ნათლად რომ ეჩვენებინა თეიმურაზ I-ის ეპოქის სავალალო მდგომარეობა, თავის ისტორიულ პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ ჩართო თამარისდროინდელი საქართველოს ისტორია. თეიმურაზთან რუსთველის პაექრობის დროს ყურადღება გაამახვილა ჩვენი წარსულის იმ დიდებულ პერიოდზე, როცა საქართველო აყვავების გზაზე იდგა და ქართველებს ღირსეული ადგილი ეჭირათ ცივილიზებულ ერთა შორის, რაც უფლებას აძლევდა ჩვენს წინაპრებს, გამოეთქვათ მესიანისტური შეხედულებები არა მარტო ბაგრატიონთა ღვთაებრივ წარმოშობაზე, არამედ იმის შესახებაც, რომ ქართველი ერი ღვთის მიერ იყო ამორჩეული.

არჩილი თუ რუსთველის პირით აღადგენდა ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმოშობის მივიწყებულ იდეას, მისი თანამედროვე იოსებ სააკაძე არჩილის შესამკობად ღვთისსადარ ეპითეტებს აღარ მიმართავდა. იგი ასე ახსიათებდა მას:

„მეფე, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეო, პირმშოე შვილო, ღმრთის სიტყვისა ამოცნობო და ძნელისა გამადვილო...“<sup>10</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აღორძინების ხანის პოეტები — ფეშანგი, იოსებ სააკაძე, იესე ტლაშაძე — ღვთაებრივი ეპითეტებით აღარ ამკობენ ქართველ მეფეებს, რაც არსებული პოლიტიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული, არჩილმა, როგორც თავისი კლასის იდეოლოგმა, საჭიროდ ჩათვალა იმ უძველესი რწმენის განახლება, რომელიც ბაგრატიონებს ღვთაებრივ საწყისთან აკავშირებდა. ამ მიზნით მან პოემის იმ მონაკვეთში, სადაც თამარისდროინდელი ისტორიაა გადმოცემული, თამარის შესამკობად გამოიყენა ქრისტიან სიმბოლური მეტაფორები, რითაც აღადგინა მივიწყებული მესიანისტური ტრადიცია, რომელიც ბაგრატიონთა ღვთაებრიობასა და მათ ღმერთთან გათანასწორებას გამოხატავდა.

მეფის ღვთაებრიობით გამოწვეული სიამაყე რომ კიდევ არსებობს ბაგრა-

<sup>8</sup> მ. კარბელაშვილი, მეფის ღმრთისწორების იდეის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, „მაცნე“, ელს, თბ., 1971, № 2, გვ. 21.

<sup>9</sup> ს.-ს. ორბელიანი, თხზულებები, III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1963.

<sup>10</sup> იოსებ სააკაძე, დღემოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 3.

ტიონთა სულში, ეს კარგად ჩანს თეიმურაზ I-ის გამეფების ეპიზოდში. თეიმურაზი აცხადებს:



„მიველ და დავჯექ ტახტზედა ნათელმოსილი მზიანი“<sup>11</sup>.

მართალია, თეიმურაზთან დაკავშირებით ასეთი ეპითეტები ნაკლებად გვხვდება პოემაში, მაგრამ, თუ არჩილი სოფლისაგან გატანჯულ მეფე თეიმურაზს ერთხელ მაინც აქვეყინებს, რომ ის დავითის შთამომავალია და „ნათელმოსილი და მზიანია“, ეს, რა თქმა უნდა, წარსულის იმ ნათელი დღეების მოგონებაა, როცა მეფის წარმომავლობის ღვთაებრივ იდეას ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერე ასაზრდოებდა. არჩილი ვერ ელევა ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმოშობის მესიანისტურ ტრადიციას და მის გაცოცხლებას ცდილობს.

არჩილი თამარის ეპოქის ისტორიული მოვლენების ხატვისას მარტო საისტორიო ძეგლით არ იფარგლება, იგი ჩახრუხადის „თამარიანის“ გავლენასაც განიცდის.

თამარის ფიზიკური და სულიერი მშვენიერების გამომხატველი ეპითეტებიდან აშკარად ჩანს, რომ არჩილი საფუძვლიანად იცნობს კლასიკური ეპოქის მწერალთა როგორც მსოფლმხედველობრივ, ისე მხატვრულ სისტემას.

რუსთველის ეპოქის ამსახველ ისტორიულ ეპიზოდებში არჩილი ინარჩუნებს აღნიშნული ეპოქისათვის დამახასიათებელ იდეოლოგიურ სულისკვეთებას.

მიუხედავად იმისა, რომ „გაბაასებაში“ თამარის ღვთაებრივი ეპითეტებით მოხსენიება არჩილს მკრეხელობად არ ეთვლებოდა, ვინაიდან იგი გააზრებული იყო როგორც რუსთველის ეპოქის მსოფლმხედველობრივი სისტემა, თამარის IV ჰიპოსტაზობის იდეისაგან მან თავი შეიკავა; ჩანს, ივარაუდა, რომ ეკლესიის მიერ იგი გაგებული იქნებოდა, როგორც ქრისტიანული დოგმატის ხელყოფა.

„გაბაასებაში“ გატარებულია ის აზრი, რომ მეფე ღმერთის შთამომავალია, მისი სადარია, მეფე ღმერთს უნდა ემსახურებოდეს, ვინაიდან სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღმერთი არა მარტო განაგებს სამეფო ხელისუფლების საქმიანობას, არამედ მეფეები მტერზე მისი დახმარებით იმარჯვებენ.

მოვიხმობთ მაგალითებს პოემიდან:

„გამარჯვებულნი, ნაშვნი მოვიდენ წინაშე მისა,  
შაღალის, გულით შაღალისა მეფის ღვთივ განბრძნობილისა“<sup>12</sup>.

ეს სტროფი თამარის პირველ ლაშქრობას ეხება. ნათქვამია, რომ გამარჯვებული ლაშქარი ეახლა დიდი ნადავლით „ღვთივ განბრძნობილ“ მეფეს, თამარს.

თამარის სრულყოფილებას, მის სულიერ ამაღლებულობას პოეტი იმიო ადასტურებს, რომ იგი წვდება ღვთაებრივ სიბრძნეს. ეს თვალსაზრისი რომ კლასიკური ეპოქის საზოგადოებრივი აზროვნების ნაყოფია, შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. რ. სირაძე წერს: „შვეთელი თამარს სახავს ქრისტეს მსგავს მხსნელად, ღვთაებრივ სიბრძნედ“.

არჩილი თამარს ბიბლიური დავითის შთამომავლად, მის მემკვიდრედ აცხადებს:

<sup>11</sup> „არჩილიანი“, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1937, გვ. 35, 287.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 92, 791.

„შვიდი ათასი ყათარი აქლემი ლარ-კიდებულო,  
მოართვა თამარს, ვინ-არის დავითიანი ცხებული“<sup>13</sup>.



დავითის შთამომავლადაა მიჩნეული პოემაში თამარის ოჯახის წევრები,  
მაგალითად ლაშა გიორგი:

„ქე მისცა დავითიანი, მსგავსი მისისა გვარისა,  
ცა ნათობდა და ქვეყანა, იხარბეს მოსაგვარისა“<sup>14</sup>.

მათეს სახარებაში ნათქვამია, რომ ქე ღმერთი არის „ნათელი“, მაგალითად,  
„ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი და რომელი სხდეს ბნელს  
და აჩრდილთა სიკვდილისათა, ნათელ გამოუჩნდა მათ ზელა“ (მათე 4, 16).

იოანეს სახარებაში თვითონ ქრისტე ამბობს: „მე ნათელი სოფლად მოვივ-  
ლინე, რათა ყოველსა, რომელსა პრწყმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს“  
(იოანე, 12, 6).

როგორც სახობტო ძეგლებში, ისე არჩილის „გაბაასებაშიც“ თამარი ღვთა-  
ებრივი ნათელია:

„სძლიეს მხარგრძელთა მომწვეთა, მათ ხორცთა ექმნეს ამქნელი,  
გამარჯვებულნი მოვიდეს, აქ თამარ დახვდა ნათელი“<sup>15</sup>.

„შეშოიყარეს ყოველნი, დადიანიცა, შაქარი,  
ივინი იქით წამოდგეს, თამარ ნათელი აქ არი“,

„გამარჯვებაში ლაშქრისას მსუფვედა თამარ ნათელი,  
უმალღეს ყოვლთა მეფეთა, არვისგან არ განათელი“<sup>16</sup>.

როგორც ცნობილია, მზე საქრისტიანო მწერლობაში უზუნესი არსების  
სიმბოლურ-მეტაფორული სახელია. მზე ხატია ქრისტესი, რომელიც „ფიზიკურ-  
მზესთან კი არ არის გაიგივებული, არამედ უხილავ, სულიერ მზესთან, მზის  
სულიერ არსთან“<sup>17</sup>.

არჩილის პოემაში ქრისტეს სიმბოლურ-მეტაფორული სახელი „ნათელი“,  
„მზე“ თამარს მიემართება და მისი ღვთიური ნათელმოსილებაა გახაზული:

„აიღეს დროშა სვიანი, მალალი, გორგასლიანი,  
მის სპათა ღმერთსა ვედრებდა თამარ ნათელი მზიანი“<sup>18</sup>.

„საქმე გააგო აქეთი, მიმართა ეტლმან მის მზესა,  
მეფედ ხმობილსა დედოფალს, მას ზელმწიფესა ზესთ-ზესა“<sup>19</sup>.

პოეტი თამარის შესამკობად იყენებს მხატვრულ სახეებს: „მზის შარავანდი“  
და „ნათელი უბინდო“, რომელიც ქრისტეს აპოფატკური სიმბოლოა:

„მოვიდნენ სამნიე მეფეს წინ, მათ მოახსენეს: ძლიერო,  
ზელმწიფე მზის შარავანდო, უმჯობევე, უნათლიერო“<sup>20</sup>.

„ამახარობღეს თამარსა ნათელსა მას, უბინდოსა“<sup>21</sup>.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 102, 881.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 96, 829.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 93, 798.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 96, 828.

<sup>17</sup> შ. გიგინეიშვილი, მზე — „ხატი ღვთისა“ ვეფხისტყაოსანში, კრებ. ძველი ქარ-  
თული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, ტ. VII—VIII, თბ., 1976, გვ. 111.

<sup>18</sup> „არჩილიანი“, ტ. II, გვ. 95, 820.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 102, 879.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 108, 929.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 105, 906.

ამრიგად, არჩილის პოემაში „მზე“, „მზის შარავანდი“, „ნათელი“, „ნათელი უბინდო“, „ნათელი მზიანი“ თამარის ლეტაბრიობას განაზავს.

„გაბაასებაში“ გვხვდება აგრეთვე უზენაესი არსების — მამა ღმერთის სიმბოლო — „მზესა მზეთასა“.

„მოკბაძა რუსმან ევასა, განვარდა სამოთხისაგან,  
შესცოდა მზესა მზეთასა სიტყვითა სამ-ოთხისაგან“<sup>21</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა შენიშნული, რომ „მზესა მზეთასა“ მართო უზენაესის სიმბოლო არ არის, ის ამავე დროს თამარის სიმბოლოცაა<sup>22</sup>.

ზემომოყვანილ სტროფში გატარებულია ის აზრი, რომ როგორც ევამ შესცოდა „მზესა მზეთასა“, ე. ი. სამყაროსა და ადამიანის შემოქმედ ღმერთს, ისე გიორგი რუსმა შესცოდა თამარს — „მზესა მზეთასა“.

„გაბაასებაშიც“, როგორც კლასიკური ეპოქის ძეგლებში, თამარი თავისი ფიზიკური და სულიერი მშვენიერებით გამოირჩევა. იგი თავისი ადამიანური ბუნებითაც ღვთაებრივი არსებაა და ზეაღმატებულია ყოველ მეფეზე. ამის მიზეზი კი, პოეტის აზრით, თამარის ადამიანური სრულყოფაა. მის პიროვნებას ამშვენებს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სილამაზე. თავისი დიდი წინაპრით აღფრთოვანებული არჩილი ასე ახასიათებს მას:

„მუნ შიგან მყოფთა საუნჯეთ და ტყვეთა მოგერის თამარსა,  
სულსა ნათელსა, ბრწყინვალეს, წინაშე მას მის ამარსა,  
მას თაყვანისცეს, ვინ იპყრობს ყველასა მისსა დამარსა,  
ესრეთ სვე-ბედთა უკლები თქვიან თუ „საიდამ არსა?“<sup>23</sup>.

„როს თამარ, დიდი ზელმწიფე, სრულ ხმელთა პირთა ნათობდა,  
სხვათა მნათობთა უმჯობე, მზესა მით ეკამათოდა“<sup>24</sup>.

„შემოკრბა ჯარი ჯავახეთს, ვარძიას მივლენ მეფენიც,  
თვით დავით სოსლან ძლიერი, თამარ ბრწყინვალე, შუქ-მეფენიც“<sup>25</sup>.

არჩილი „გაბაასებაში“ პროვიდენციალურ შეხედულებასაც გამოთქვამს, რომ ქართველები მტერთან ბრძოლაში ღმერთის დახმარებით იმარჯვებდნენ:

„რაზმს აპობდეს სულტანისას, ძლევას ჰყოფდეს ღვთითა ამაღ“<sup>26</sup>.

„ამოვლეს კარი განძისა, შეიქმნა ომი ძლიერი,  
გალანამც გავაქციენით ჩვენ ღვთითა იმათი ერი“<sup>27</sup>.

„ღვთის წყალობა გაქვს, ომის დღეს რამდენჯერ მით ევარგისა“<sup>28</sup>.

არჩილის სიტყვით, ქართველები იმარჯვებენ არა მართო ღმერთის ძალით, არამედ ღვთაებრივი თამარის ჭკრეტითაც:

„აქ ისახელეს ბუნ-ბერაზთ ჭკრეტითა თამარისითა“<sup>29</sup>.

არჩილი ქვეყნის გაერთიანებასა და ცენტრალიზებული მონარქიის აღდგენის ლეგლობას ქადაგებდა, სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლების მიზ-

<sup>22</sup> ტიტე მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ., 1986, გვ. 124.

<sup>23</sup> „არჩილიანი“, ტ. II, გვ. 93, 801.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 92, 785.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 104, 892.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 105, 901.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 98, 839.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 98, 840.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 94, 807.



ნით მეფობის ღვთაებრივ წარმოშობაზე საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებ-  
ას:

„ღმერთმან განაგებ მეფობა თქვენი, მრავალწელ გრძელობდეს“<sup>30</sup>

„გაბაასებაში“ გატარებული მესიანისტური შეხედულება მარტო თამარსა და მისი ოჯახის წევრებს არ ეხება, პოეტი მტერთან გამარჯვებულ ქართველ ერს ღვთისაგან ამალღებულ, რჩეულ ერად თვლის:

„გარდვიდენ ლიხსა, სუფედენენ, ნადირობდენ და ბურთობდენ,  
ამალღებულნი ღვთისაგან კილით კიდეშდის ნათობდეს“<sup>31</sup>.

ქართულ მესიანისტურ იდეას — საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა — დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართველი ხალხის შეგენებაში იგი ისე მყარად განმტკიცდა, რომ მისი გაქრობა ვერც უამთა სიავემ შეძლო, მან ცხოველმყოფელი ძალა შემდგომ ეპოქებშიც შეინარჩუნა, რადგან იგი ქართველთა ეროვნულ თვითმყოფობასთან იყო დაკავშირებული.

არჩილი ავითარებს იმ აზრს, რომ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას დამარცხება არ უწერია, ვინაიდან მას მფარველობს ქრისტეს დედა, მარიამი.

„თუცა არის საქართველო, ღვთისმშობლისა წილხდომილი,  
აქ გასინჯე საფარველი მარიამის მისი ტბილი“<sup>32</sup>.

„ვით სძლიოს მტერმან ბოროტმან წმინდის ღვთისმშობლის მიმდღოსა“<sup>33</sup>

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არჩილი ქართული მესიანისტური ტრადიციის გახსენებით მარტო აწმყოთი გამოწვეული ტკივილის დაამებას კი არ ცდილობდა, არამედ მიზნად ისახავდა, თანამედროვეებში განემტკიცებინა რწმენა შინაგანი ძალებისა, რომ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას დალუპვა არ ეწერა, ბაგრატიონთა დინასტია თავისი ღვთაებრივი ძალმოსილებით კვლავ აღდგებოდა.

Л. А. ЧУМБУРИДЗЕ

## АРЧИЛ БАГРАТИОНИ И ГРУЗИНСКАЯ МЕССИАНСКАЯ ТРАДИЦИЯ

Резюме

Арчил Багратиони в своей исторической поэме «Спор Теймураза и Руставели» оживил мессианские воззрения в традиционном духе: на основе мировоззренческой и художественной системы классической эпохи возродил идею божественного происхождения Багратионов, укрепил веру своих современников в свои силы и возможности и в то, что страна, избранница богоматери, не может быть обречена на гибель.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ

<sup>30</sup> იქვე, გვ. 102, 974.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 105, 907.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 105, 904.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 105, 906.

ინესა კიკნაძე

## ატმორიკული მატყველების ზოგი საკითხი XIX ს. შუა წლების ძართულ დრამატურგიაში — რამარკა

რემარკა ავტორისეულ მეტყველებას განეკუთვნება. ტრადიციული განმარტებით, ეს არის 1. „დრამატულ ნაწარმოებში: ავტორის შენიშვნა (ჩვეულებრივ ფრჩხილებში), რომელიც შეიცავს სცენის მოწყობილობის, პერსონაჟთა გარეგნობისა და ქცევის მოკლე დახასიათებას. 2. შენიშვნა, მინაწერი“<sup>1</sup>. მაშასადამე, რემარკა ისეთი შენიშვნაა, რომელიც რაღაც ინფორმაციით ავსებს ტექსტს. ეს ინფორმაცია კი, როგორც განმარტებიდანაც ჩანს, სხვადასხვა შინაარსის მატარებელია. ბუნებრივია, ეს განსხვავებული შინაარსები შესაბამის ფორმაშია მოცემული.

ავტორისეულ მეტყველებაში (მხედველობაში გვაქვს დრამატურგია) ძირითადად ორი რიგის ტექსტი გამოიყოფა: ერთი დიალოგს გარეთ დგას (პერსონაჟთა ჩამოთვლა-დახასიათება, სცენის აღწერა — ის, რაც მოქმედებასა და გამოსვლებშია წარმოდგენილი), მეორე უშუალოდ პერსონაჟის მეტყველებაშია ჩართული და „საკუთრივ რემარკებს“ უწოდებენ. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ, რას წარმოადგენს თითოეული მათგანი, როგორია მისი სტრუქტურა და რა ურთიერთმიმართებაში არიან ისინი ერთმანეთთან. საკითხთა წრე ერთობ ფართოა, ჩვენ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

1. 1. დიალოგს გარეთ, პიესის დასაწყისში არის მითითება მოქმედ პირებზე. ავტორი გვაწვდის მოკლე ინფორმაციას მონაწილეთა შესახებ. ესენი არიან როგორც წამყვანი პერსონაჟები, ისე ე. წ. მასობრივ სცენებში მონაწილენიც, რომლებიც გარკვეულ ფონს ქმნიან და დამხმარე საშუალებაა პიესაში. ინფორმაცია, როგორც წესი, მოკლეა, აქცენტი გაკეთებულია ძირითადად. ეს შეიძლება იყოს ხასიათის თვისებებზე, პერსონაჟის სოციალურ წარმომავლობასა თუ რაიმე სხვა ნიშანზე, **მახასიათებელზე** მითითება.

პიესის დასაწყისში მოცემული მოქმედ პირთა ჩამოთვლა-დახასიათება ერთგვარი გასაღებია პერსონაჟის სახის ამოცნობისათვის. ავტორის ეს ინფორმაცია, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სრულია იგი, მკითხველს წარმოდგენას უქმნის ამა თუ იმ პერსონაჟზე, მაგრამ არამც და არამც არ ზღუდავს მას, რადგან ჩვენ წინასწარ არ ვიცით, როგორ წარიმართება მოქმედება, როგორ გამოაველენს თავს ესა თუ ის პერსონაჟი სხვადასხვა სიტუაციაში, ე. ი. არ ვიცით, რა სიურპრიზს გვიმზადებს ავტორი.

სიტყვათა რიგი პიესის მოქმედ პირთა ჩამოთვლა-დახასიათებაში სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება და არსებითად გამოირჩევა ავტორისეული სხვა ტექსტიდან.

ავტორისეული მეტყველების ამ მონაკვეთისათვის ნიშანდობლივია ის, რომ პირველ ადგილზე დგას სიტყვა, რომელიც მოქმედ პირზე მიუთითებს, მას მოჰყვება მახასიათებელი. ფორმულა ასეთია: **სახელდება + მახასიათებელი**. პერსონაჟის სახელდება, როგორც წესი, სასვენი ნიშნით არის გამოყოფილი მახასიათებლისაგან. სასვენი ნიშნებიდან გამოყენებულია: წერტილი, მძიმე ან ღეფიზი სხვადასხვა ავტორთან ან ერთი ავტორის ფარგლებშიც; მახასიათებელი

<sup>1</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, თბ., 1964, გვ. 333.

შეიძლება იყოს მოკლე და ლაკონური, ან საკმაოდ ვრცელი, გამოვლინებული, ვ. ი. წარმოდგენილი მოკლე ფრაზებით ან წინადადებებითაც კი.

მაგ., თ. ბაგრატიონის პიესის<sup>2</sup> პერსონაჟების მახასიათებელი წარმოდგენილი ჩამოთვლისას:

- ა. რაინდი, სწავლული და მეცნიერი სწუწროის დარბაისელთაგანობასა;
- ბ. სირაძე, ბრმა მოხუცებული. მეჩონგურე, მოწამე სხვათა და სხვათა დროთა;
- გ. მეხაძე, გამოცდილი აზნაურებითსა ხუმრობასა შინა. ხელოვან მეპასუხე: რაინდისა თანა აღზრდილი და გულითადი მეგობარი მისი;
- დ. თავჭვაძე, წლისა სამაისა, მუშაშეღებულთაგანი, მყოფი მოსკოველთა სამსახურშიდ, დამოსილი ვითარცა ასისტავი მათი;

ტექსტის ამ მონაკვეთიდან ჩანს: წინა პლანზე პერსონაჟი (ასეთია მიზანდასახულობა). ერთ შემთხვევაში (ტექსტის სქოლიოში) მითითებაა საქმიანობაზე („რაინდი ნიშნავს ცხენთა მწვრთელსა“). პიესის მსვლელობით დგინდება, რომ იგი ერთგვარი თანამდებობაა. რაინდი საკუთარი სახელით არსად მოიხსენიება. სამ შემთხვევაში პერსონაჟები გვარებით არიან მოხსენიებული (მეხაძე და თავჭვაძე შერქმეული სახელებია).

მახასიათებლებიდან წინა პლანზე წამოწეულია უმთავრესი. რაინდის მთავარი ნიშანია ის, რომ იგი „სწავლული და მეცნიერია“, სირაძე — ბრმა მეჩონგურეა, მოხუცებული, მეხაძე — გამოცდილია „აზნაურებითს ხუმრობაში“, ხელოვან მეპასუხეა, თავჭვაძე კი 30 წლის მემამულეა, მოსკოველთა სამსახურში მყოფი. არანაკლები მნიშვნელობისაა სხვა ნიშნებიც, მაგრამ, როგორც ითქვა, უმთავრესი მინც ისაა, რაც უშუალოდ მოსდევს სახელდებულ პერსონაჟს.

როგორია სიტყვათა რიგი მახასიათებელში და რით არის იგი შეპირობებული?

მახასიათებელი, იქნება ის ერთი სიტყვა, ფრაზა თუ მთელი წინადადება უქვევლად მოსდევს პერსონაჟზე მითითებას, ეს უკვე ერთგვარი განმსაზღვრელი ნიშანია მახასიათებლის წვერთა სინტაქსისა, რადგან თავისთავად გულისხმობს მთლიანი მახასიათებლის პოსტპოზიციას განსასაზღვრი სიტყვის მიმართ. ამიტომ მახასიათებელი სასვენი ნიშნით არის გამოყოფილი მისგან. მათ შორას გამოტოვებული სიტყვის (ძირითადად ზმნის), ან სიტყვათა ჯგუფის შემავსებელია სწორედ ეს პუნქტუაციური ნიშანი. ჩვენთვის სახელდებული პერსონაჟი და მახასიათებელი ერთ მთლიანობაში წარმოდგინება და განიხილება კიდევ. ამიტომ მახასიათებელს, რომელიც უშუალოდ მოსდევს პერსონაჟზე მითითებას, პირობითად უახლოეს მახასიათებელს ვუწოდებთ, — გარკვეული სახის განკერძოებაა, ხშირად — განკერძოებული განსაზღვრება.

დალაგების ეს პრინციპი, პერსონაჟთა მახასიათებლების პოსტპოზიციას, ტრადიციული და მყარია. იგი არ არის მხოლოდ ქართული დრამატურგიისათვის დამახასიათებელი. იგი ძირითადი და განმსაზღვრელია, საერთოდ, ნებისმიერი დრამატურგიული ნაწარმოებისა. იგი, შეიძლება ითქვას, დრამატურგიული ნაწარმოების აგებულების ზოგად პრინციპთა რიგში უნდა იყოს განხილული და დრამატურგიული თხზულების სინტაქსის ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც საინტერესო ჩანს. მაგრამ ყოველ ზოგადს კონკრეტულა გამოხატულებაც ახლავს. ამიტომ საკითხს ასეც განვიხილავთ: რას წარმოადგენს მახასიათებელი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული? როგორ არიან

<sup>2</sup> ტექსტი მოგვეყვას წიგნიდან: „სამსახეობა რაინდისა“, ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1947.

განლაგებული სიტყვები მახასიათებელში და რით არის იგი შეპირობებული? მაგ., რაინდის მახასიათებელია „სწავლული და მეცნიერი სწყუროის დარბაისელთაგანობასა“. უახლოესი მახასიათებელი — „სწავლული და მეცნიერი განსასაზღვრებელი სიტყვის მიმართ შეიძლება გადავარდინოთ განსაზღვრება, ავტორის მიერ სასვენი ნიშნით რომ ყოფილიყო გამოყოფილი მახასიათებლის მომდევნო ნაწილისაგან: „სწყუროის დარბაისელთაგანობასა“. ახლა კი მახასიათებელი განიხილება ქვემდებარეების მიხედვით შერწყმულ წინადადებად ასეთი რიგით: ქვემდებარეები + შემასმენელი + დამატება (მიც. ბრ.).

სირაძის მახასიათებლები მხოლოდ განსაზღვრებებია.

მომდევნო პერსონაჟთა მახასიათებლებიც ასეთივე ხასიათის არის; არც ერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი ზმნა-შემასმენელი. რით შეიძლება იყოს გამოწვეული ზმნის უგულებელყოფა? განსამარტავი სიტყვის შემდეგ ჩავარდნილია ზმნა-შემასმენელი, სავარაუდებელია „ყოფნა“ ზმნის სხვადასხვა დროის ფორმა. უმეტესად აწმყოს მესამე პირის ფორმისა. იქ, სადაც ზმნის პირიანი ფორმა შეიძლება აღდგეს, ჩვენ სრული სახის წინადადებას ვიღებთ, მის გარეშე კი უშემასმენლო წინადადებასთან გვაქვს საქმე. „არის“ ზმნა განსასაზღვრ სიტყვას (პერსონაჟზე მითითებას), ე. ი. სახელდებას, აკავშირებს მახასიათებელთან. პირველ რიგში კი უახლოეს მახასიათებელთან. ზმნა-შემასმენელი აზრობრივად იგულისხმება. ამიტომ არის საჭირო, ჩვენი აზრით, სახელდების შემდეგ პუნქტუაციური ნიშანი (წერტილი, მძიმე ან დეფიზი). რეკონსტრუქციის შემდეგ მივიღებთ სრულ წინადადებას. მაგ., „რაინდი (არის) სწავლული და მეცნიერი“, „სირაძე (არის) ბრმა მოხუცებული“, „მეხაძე (არის) გამოცდილი ანაურებითსა ხუმრობასა შინა“, „თავჭაძე (არის) წლისა სამათისა“ და ა. შ.

მაშასადამე, მახასიათებელი გულისხმობს შემასმენელსაც. რეკონსტრუირებული სახით მიღებული წინადადების ქვემდებარე კი განსასაზღვრი სიტყვაა, სახელდებული წევრი, ე. ი. პიესის პერსონაჟი.

რასაკვირველია, რეკონსტრუქციის ეს სახე შეიძლება სრულყოფილი არ იყოს და ამიტომ სხვაგვარადაც წარმოვიდგინოთ. მაგ., რაინდის შემთხვევაში: „რაინდი — სწავლული და მეცნიერი, სწყუროის დარბაისელთაგანობასა“ — არც მოითხოვს რეკონსტრუქციას, რადგან მახასიათებლის მეორე ნაწილში ზმნა-შემასმენელი გვაქვს, რომელთანაც განსასაზღვრი სიტყვა — „რაინდი“ — სინტაქსურ კავშირშია, როგორც ქვემდებარე, და ამდენად სამწვერა წინადადება გვაქვს: „რაინდი სწყუროის დარბაისელთაგანობასა“ (ქვემდებარე + შემასმენელი + ირიბი დამატება), სადაც შემასმენლის ადგილი (რიგით მეორე) ქვემდებარის შემდეგ და დამატების წინ, კლასიკური მაგალითია მარტივ მოკლე წინადადებაში წევრთა რიგისა<sup>3</sup>.

მთავარი წინადადების ქვემდებარეს ახლავს განსაზღვრებები, რომლებიც განსაზღვრებული განსაზღვრების სახით არიან ჩართული წინადადებაში, ამიტომ მოსდევნენ ქვემდებარეს და, როგორც განსაზღვრება, მთელი წინადადებადიან სასვენი ნიშნებით, მძიმეებით გამოიყოფა.

იმის გამო, რომ მახასიათებლის ერთი ნაწილი წინადადების სახეს ატარებს, სხვაგვარი რეკონსტრუქციის საჭიროება არ დგება, რასაც ვერ ვიტყვით ისეთ შემთხვევებზე, სადაც მახასიათებელში ზმნა-შემასმენელი არა გვაქვს და რე-

<sup>3</sup> იხ. შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986, გვ. 13. წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით ახალ ქართულში პროცენტულად მეტია შემასმენლის მესამე ადგილი.

კონსტრუირება გულისხმობს მის აღდგენას. მაგ., „მეხადე (არის) გამოცდილი აზნაურებისა ხუმრობასა შინა. (არის) ხელოვან მეპასუხე. (არის) ეფენდისა თანა აღზრდილი და გულითადი მეგობარი მისი“. „არის“ ზმნისპირა კრთხელ (განსასაზღვრი სიტყვის შემდეგ) ხმარებაც კი საკმარისია, წინადადება შერწყმული იქნება. „არის“ ზმნა, როგორც დამხმარე ზმნა, შეიძლება ქმნიდეს შედგენილ შემასმენელსაც: გამოცდილია, ხელოვან მეპასუხეა, აღზრდილია, მეგობარია.

ის, რაც თ. ბაგრატიონის მაგალითზე წარმოვადგინეთ, შეიძლება განივრცოს სხვა ავტორებზეც. მაგ. გ. ერისთავის „გაყრის“<sup>4</sup> პერსონაჟები ასე არიან წარმოდგენილი:

თავადი ანდუყაფარ, ქვრივი  
ძმანი მისნი: პავლე,  
ივანე, რუსეთში გაზრდილი და ვარშაიდან ახლად მოსული } დიდებულები

მაკრინე, ცოლი პავლესი  
ნინო, ქალი პავლესი  
მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი, მეგობარი ანდუყაფარისა  
თათელა, ამისი ცოლი  
შუშანა, ქალი მიკირტუმისი  
რამაზ, სეკრეტარი სუდისა  
ბარძიმ, ნათესავი დიდებულებითა  
ბარამ, მოურავი ანდუყაფარისა  
კომისიონერი, ღმა თათელასი  
გაბრიელ, მსახური ივანესი  
ყარაშვერდი, გოგო ნინოსი  
მედიატორები, სტუმრები, მსახურები  
მოქმედება — სოფელში

- ამონაწერიდან აშკარად ჩანს:
1. განსასაზღვრი სიტყვა მახასიათებლისაგან გამოყოფილია სასვენი ნიშნით (მძიმით, უმეტესად წერტილით).
  2. მახასიათებელი იშვიათ შემთხვევაში გავრცობილია, ძირითადად მოკლეა, გაუვრცობელი.
  3. მახასიათებელი არც ერთ შემთხვევაში არ შეიცავს ზმნა-შემასმენელს.
  4. ამიტომ ყველგან, რეკონსტრუქციის შემთხვევაში, შეიძლება აღვადგინოთ დამხმარედ „არის“ ზმნა.
  5. მახასიათებელში პირველ ადგილზეა აქცენტირებული სიტყვა, ე. ი. ის სიტყვა, რომელიც აზრობრივად ძირითადია და მთავარი ავტორისათვის. მაგ, შესაღარებლად: მაკრინე, ცოლი პავლესი; თათელა — ამისი (ე. ი. მიკირტუმის. — ი. კ.) ცოლი.
  6. აქედან გამომდინარე: პოსტპოზიციურია წყობა მსახვრელ-სახვრულისა მახასიათებელში.
- ასეთივე სურათი გვაქვს ნებისმიერი დრამატურგის პიესაში, როცა საქმე ეხება მოქმედ პირთა ჩამოთვლას, იქნება ეს ივანე კერესელიძე, ბარბარე ჯორჯაძე თუ სხვა. რასაკვირველია, აუცილებელი არ არის მახასიათებელში მსახვრელ-სახვრული ყოველთვის პოსტპოზიციურად იყოს წარმოდგენილი. მაგ.

<sup>4</sup> გ. ერისთავის პიესებს აქაც და შემდგომაც ვიმოწმებთ წიგნიდან: გ. ერისთავი, თხზულებანი, ტექსტი შეადგინა, გ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ, თბ., 1966, გვ. 188.



ბარბარე ჯორჯაძის „რას ვეძებდი და რა ვპოვე“<sup>5</sup> მოქმედ პირებს ასე წარმო-  
ვედგენს:



თავადი იულონ სიმირაძე  
დათია, მოურავი იულონისა  
სოსია, მსახური მისივე  
ოსანა, ქალი მესანთლოვისა  
მაქთალა, ყასბის დედა  
თალალა, მექთალას შვილისშვილი  
ფოჩტალიონი.

სამი პერსონაჟის მახასიათებელი მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციუ-  
რი წყობით არის წარმოდგენილი, ორისა კი — პრეპოზიციურით. ერთი პერ-  
სონაჟის — იულონ სიმირაძის — მახასიათებელი საერთოდ არ არის გამოყო-  
ფილი, წარმოდგენილია ჩვეულებრივ მსაზღვრელად. აქაც სიტყვათა რიგი გან-  
პირობებულია ავტორის მიერ აქცენტირებული სიტყვის წინა პლანზე წამო-  
წევით.

ივანე კერესელიძის გადმოკეთებული პიესის „შვილი უმანკობისა“<sup>6</sup> მოქ-  
მედი პირნიც ამავე პრინციპით აღიწერებიან. მაგ., „დიონისე, დიაკვანი იმე-  
რეთს აღზრდილი“, „თავადი მიხეილ შერაშიძე, ფრანტი, რუსეთში აღზრდი-  
ლი“; პერსონაჟთა ამ მოკლე დახასიათებაშიც განსამარტავ სიტყვას მოყვება  
მახასიათებელი, სადაც წინა პლანზე, ე. ი. პირველ ადგილზეა, ლოგიკური მახ-  
ვილის მქონე სიტყვა: „დიაკვანი“, „ფრანტი“, რაც შესიტყვებაში სიტყვათა  
რიგის განმსაზღვრელია. აქვე პირდაპირი წყობაც არის გამოყენებული: „გრი-  
გოლ, ახალგაზრდა მილიციონერი“. ასეთივე ვითარებაა პიესაში „ცოლები დაე-  
კარგეთ“ („ცისკარი“, 1860, № 10).

ეს ტრადიცია დარღვეული ჩანს კონდრ. კლდიაშვილის პიესაში „კომედია  
იმერეთის ხალხის ცხოვრებითგან“<sup>7</sup>, სადაც მოქმედ პირთა მახასიათებელი ყო-  
ველთვის პირდაპირი წყობით არის წარმოდგენილი:

გვრიტია, ქალიშვილი  
შია, გვრიტიას დედა  
ანუსია, ქალიშვილი (ებრაელი)  
ნინო, ანუსიას დედა  
ოქროპირ, ანუსიას მამა და ა. შ.

ანალოგიური ვითარება გვაქვს აკაკი წერეთლის კომედიაში „ძველი ამხა-  
ნაგები“<sup>8</sup>:

თ. კვხაძე, ბეროკაცი  
ნიკო, ამისი შვილი, კანდიდატი, რუსეთითგან მოსული  
სოსო შერეკილაძე, გადამწერელი

ბარამ რაბასაძე } აფიცრები  
კოსტა ფანტაძე }

ივანე აგარიძე, კვარტალი  
გიგო ცუციაშვილი  
ელენე, გიგოს და  
მაქსიმე, კვხაძის მსახური

აკაკის პიესის პერსონაჟთა მახასიათებლები მხოლოდ პრეპოზიციური წყო-

<sup>5</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1865, № 9, გვ. 1—60.

<sup>6</sup> „ცისკარი“, 1858, № 1, გვ. 16—52; № 3, გვ. 185—213; № 4, გვ. 246—278.

<sup>7</sup> „ცისკარი“, 1869, № 11—12, გვ. 65—95; 1870, № 1, გვ. 1—26.

<sup>8</sup> „ცისკარი“, 1861, № 7, გვ. 208.

ბით ხასიათდებიან. ასეთივე ვითარებაა აკაკის დრამაში „არსენა“ („ცისკარი“, 1868, № 8) და კომედიაში „ძველსა და ახალს შუა“ („ცისკარი“, 1868, № 10).

რაც შეეხება რ. ერისთავის კომედია-ვოდევილს „ბრუნავი სტატიკოსი“<sup>9</sup> მელიც ამჟამად წელს გამოქვეყნდა („ცისკარი“, 1868, № 11), მის მოქმედ პირთა მახასიათებლების წევრები მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული რიგით, პოსტ-პოზიციურად არიან წარმოდგენილი. მაგ.:

გრიგოლ სალმასტაძე  
ელისაბედ, ცოლი მისი  
კეკელა, ქალი მათი  
სოლომონ მშენაძე, მოყვარული კეკელასი  
ფრიდონ ხანგრძლიაძე, მსურველი კეკელას შერთვისა  
ალექსანდრე მინდვრაძე, ნათლია კეკელასი  
სალომე, მამიდა ალექსანდრე მინდვრაძისა  
ელენე, ქვრივი უტკინისა და ა. შ.

ამრიგად, ავტორთა უმეტესობასთან (მათ შორის ზ. ანტონოვთანაც) მახასიათებელში ჭარბობს მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიცია. საპირისპირო ვითარება გვაქვს აკაკი წერეთლისა და კონდრატ კლდიაშვილის პიესებში. ისინი საერთოდ არ მიმართავენ მახასიათებლის აგების ტრადიციულ გზას, ე. ი. მახასიათებელი ამ ავტორებთან მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური რიგით, ახალი ქართულის ნორმით არის წარმოდგენილი. ასეთსავე ტენდენციას ამჟღავნებს თავის პიესებში ალ. ჯ.-ორბელიანი. მაგ., „დავით აღმაშენებელში“<sup>9</sup> (დაიწერა 1846 წ.) გვაქვს:

აბულელი, ტფილისის მამასახლისი...  
ანასტასია, ამისი ცოლი  
ელენე, ამათი ქალი  
ლიპარიდ, ელენეს საქმრო და ამის ამხანაგი სამოცი... და ა. შ.

ასევეა პიესაში „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო“ („ცისკარი“, 1864, № 3). ოცდაათამდე პერსონაჟის (სათვალავში არ შეგვაქვს მასობრივ სცენებში მონაწილენი) მახასიათებლის მსაზღვრელ-საზღვრული პრეპოზიციურად არის შეწყობილი და მხოლოდ ორი პერსონაჟის მახასიათებელია პოსტპოზიციური რიგისა: ზაქარია, მოძღვარი მეფისა და სახლეულებისა; იოანე — ბერი ალავერდისა.

რით შეიძლება აიხსნას ის, რომ XIX ს. შუა წლების ქართულ დრამატურ-გიაში პერსონაჟთა ჩამოთვლა-დახასიათებისას ჭარბობს მახასიათებლის მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიცია? ამის განმარტობებელი რამდენიმე ფაქტორი შეიძლება იყოს. მათ შორის დრამატურგიული ნაწარმოების, კერძოდ ამ ნაწილის, აგების გარკვეული ტრადიცია, რაც შეიძლება მოდიოდეს სხვა (ევროპული, რუსული...) ენებიდან და რასაც შესაბამისი ნიადაგი დახვდა ძველი ქართული ენობრივი ნორმის სახით. გასათვალისწინებელია მიზანდასახულობაც ავტორისა — წინ წამოსწიოს არსებითი. ამით შეიძლება, მაგ., აიხსნას ის, რომ ხშირად პირველ ნომრად დასახელებულ მოქმედ პირს მახასიათებელი არც ახლავს, მაშინ, როდესაც ყოველი მომდევნო წინას მონაცემებს შეიცავს რალაც დოზით (მდრ. ზევით, რ. ერისთავის პიესას). მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ პერიოდისათვის ტრადიცია უკვე ირღვევა. ავტორთა ერთი ნაწილი (ალ. ჯ.-ორბელიანი, აკაკი წერეთელი, კონდრ. კლდიაშვილი) ახალი ქართულის ენობრივი პოზიციის გამტარებლები არიან.

<sup>9</sup> „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ეპიო საქართველოსი“, ისტორიული დრამა ოთხ მოქმედებად თ. ალექსანდრე ჯამბაჯურ-ორბელიანისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, Тифლის, 1891, გვ. 111.



1. 2. სცენის აღწერა და გამოხვლები. მას შემდეგ, რაც ავტორმა მოგვწოდა მოკლე ინფორმაცია პიესის პერსონაჟების შესახებ, იწყება მოქმედება მაგრამ პერსონაჟთა ამოქმედება-ამეტყველებამდე ავტორი გვაცნობს სამოქმედო ასპარეზს (გავიხსენოთ თ. ბაგრატიონის „ასპარეზი სასახიბოე“), ე. ი. იმ კონკრეტულ დროსა და ადგილს, გარემოს, სადაც უნდა განვითარდეს მოქმედება. ჩვეულებრივ ამას სცენის აღწერას უწოდებენ. შემდეგ და შემდეგ ავტორს პიესის გამოხვლებში (თუ კი ასეთი არის) შემოჰყავს ახალი პერსონაჟები, რის შესახებაც გზადაგზა დამატებით ინფორმაციას გვაწვდის. იმის მიხედვით, თუ რა ინტერესები აქვს ავტორს, ე. ი. რა არის მისთვის მთავარი, სცენის აღწერა შეიძლება იყოს ზოგადი და ძალზე დეტალურიც. მაგრამ დრამატურგს მაინც ერთი ძირითადი მიზანი აქვს — წარმოაჩინოს პერსონაჟთა სამოქმედო ასპარეზი და ჩვენც, მკითხველიც, გარკვეულწილად შეგვაშალოს და მოლოდინითაც აგვავესოს იმის გამო, რაც პიესაში უნდა მოხდეს.

თბრობის ტონი ავტორისა ამ მონაკვეთში ჩვეულებრივ დინჯია, აუჩქარებელი, განსაკუთრებული ემოციური დატვირთვისაგან თავისუფალი, რასაც სავსებით შეესატყვისება შინაარსით თბრობითი წინადადებები. სცენის აღწერაში ავტორს ეთმობა ასპარეზი, ისაა მთბრობელი, პერსონაჟი არ არის აქ აქტიური. ავტორი ანაწილებს თავის ნებისამებრ ყველაფერს, წვრილმანსა და თითქოს უმნიშვნელოსაც კი ადგილს მიუჩენს, რომ შემდგომ, როცა დრო მოვა ამისა, სადაც საჭირო იქნება, წინა პლანზეც კი წამოსწიოს ის დეტალი, მაგ., გ. ერისთავი „დავაში“ სცენის ასეთ აღწერას გვთავაზობს: „ოთახში ჰჰის მოკეცილი ამირინდო, დაფიქრებული; მოშორებით ქეჩახუდ ძირს — ლომისეული, გამღელი, და ყაჰს ართავს. ფარდა რომ აიხდება, შემოვა სოროზან“ (გვ. 137), ხოლო ზ. ანტონოვი<sup>10</sup> პიესაში „მე მინდა კენინა გავხდე“ წერს: „სცენა წარმოადგენს ზალას მებელით მორთულს, ზალასა აქვს კარები აქეთ-იქით და შუაზედ მარჯვნივა აქვს ფანჯარა, ფანჯრის წინა სდგას დივანი, დივანს წინ რკვალი სტოლი, სტოლზედ ძეგს ქალაღი და საწერკალამი, სტოლს აქეთ-იქით უდგია კრესლოები, მარცხნივ დგას ლომბერნის სტოლი, სტოლზედ ძეგს დიდი ფულის ყუთი და აქეთ-იქით უდგია სანთლებით შანდლები. ვაჰარი მინას არის მისვენებული დივანზედ ნალელიანის სახით, ყელზედ ოქროს მედალი ჰკიდია. ფარდა აიხდება და გავარებით ამბობს პუბლიკისაკენ“.

ამ ორი ავტორის შედარებიდანაც კარგად იკვეთება მათი ინტერესები და მეტყველების სტილი. გ. ერისთავი მოკლედ და ლაკონურად მიგვითითებს პერსონაჟის მდგომარეობაზე — ორივე ზის, ერთი დაფიქრებული, მეორე — საქმიანობს, მესამე — შემოვა. დეკორაციული ელემენტები თითქმის არ არის, მხოლოდ ქეჩა და, ალბათ, თითისტარი („ყაჰს ართავს“), რომელიც დასახელებულიც არ არის. ზ. ანტონოვთან კი საოცარი დეტალიზაციაა: ოთახი წარმოადგენს ზალას. დაწვრილებითაა აღწერილი, სად რა დევს, სად კარია, სად ფანჯარა და ა. შ. ამ ფონზე ვაჰარი მინას — მისვენებული დივანზე, ნალელიანი, ყელზე ჯვრით და სხვ. ასეთი დეტალიზაციით ავტორი, ერთი მხრივ, ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის და თითქოს გვხმარება კიდევ ორიენტირებაში, რადგან მერე, მოქმედების მსვლელობისას, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ რომელი კარიდან შემოვა და გავა. იმ ფულის ყუთსაც და შანდლებსაც გარკვეული დანიშნულება აქვთ და ა. შ. მაგრამ ამავე დროს გვზღუდავს კიდევ, რადგან თავისუფალი მოქმედების არჩევანის საშუალება აღარ არის, რითაც გამოირჩევა გ. ერისთავის სცენის აღწერა. ახლა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთი დეტალიზაცია ზ. ანტონოვს იძულებულს ხდის მიმართოს გამეორებას:

<sup>10</sup> ზ. ანტონოვი, პიესები, თფილისი, 1876, გვ. 3.

მარჯვნივ ფანჯარა, ფანჯრის წინ დივანი, დივანის წინ სტოლი, სტოლზე კა-  
ლალი და ა. შ. ცხადი ხდება, რით არის განსაზღვრული ავტორის კომპოზიციის  
ენობრივი სტილი.

სამეცნიერო

სცენის აღწერა ერთი შეხედვით ყველაზე ახლოს დგას ჩვეულებრივ პრო-  
ზასთან. ეს არის ავტორის გაბმული ტექსტი. მაგრამ იგი ერთობ სპეციფიკუ-  
რია თავისი მიზანდასახულობით, რადგან პიესის შესავალია და მასში ძუნწად  
აუცილებელზეა მითითება. ავტორი მრავალიტყვაობის უფლებას არ აძლევს  
თავს. რასაკვირველია, ყველა ავტორის მეტყველება თანაბარი არ არის, ყველა  
არც არის სათანადო ნიჭით დაჯილდოებული, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი  
როცა ავტორი გამოუცდელია, იგი ცდილობს პიესისათვის დამახასიათებელ  
ენობრივი ყალიბი დაიცვას. ვეცდებით უჩვენოთ ეს გ. ერისთავის მაგალითზე.

„დავა“ ასე იწყება: „ოთახში ჰზის მოკეცილი ამირინდო, დაფიქრებული;  
მოშორებით ქეჩაზედ ძირს — ლომისეული, გამდელი, და ყაქს ართავს. ფარდა  
რომ აიხდება, შემოვა სოროზან“.

რას წარმოადგენს პირველი წინადადება? ეს არის მარტივი გავრცობილი  
წინადადება, წინადადების მთავარი წევრების გარდა არის ადგილის გარემოება,  
ვითარების გარემოება და პრედიკატული განსაზღვრება. მეორე წინადადება  
შერწყმულია შემასმენლების მიხედვით. ერთი შემასმენელი იგულისხმება  
(ჰზის), მის ადგილს იჭერს დეფიზი. ქვემდებარეს ახლავს განკერძოებული  
სიტყვა. მესამე წინადადება რთული ქვეწყობილია; დამოკიდებული (დროის  
გარემოებითი) წინ უსწრებს მთავარს. ე. ი. წინადადებები შედგენილობის მი-  
ხედვით — მარტივიდან რთულისაკენ მიისწრაფვიან.

ზმნა-შემასმენელი პირველ ორ წინადადებაში აწმყოს მწკრივის მესამე პი-  
რის ფორმით არის მოცემული, მესამეში — მყოფადის მწკრივის ფორმით.

მეორე მოქმედების სცენა ასეთია: „ოთახი ნინოსი. ერთ მხარეს ფორტე-  
პიანი დგას კარვის მებლითა. ზის ფორტეპიანზედ, უკრავს და მღერის“.

პირველი ორი სიტყვა — სახელდებაა. ორ სიტყვას შორის მსაზღვრელ-სახ-  
ღვრულის ურთიერთობაა; მართულია, წყობა პოსტპოზიციური. მეორე წინა-  
დადება მარტივი გავრცობილია. მესამე უქვემდებაროა, შერწყმული შემასმენ-  
ლების მიხედვით. აქაც სვლა მარტივიდან რთულისაკენ შეინიშნება. ერთგვა-  
როვანი წევრები შემასმენლებია.

ზმნის ფორმები მარტივსა და შერწყმულშიც მხოლოდ აწმყოს მწკრივისაა.  
მესამე მოქმედება: „ოთახი ბეგლარისა. წიგნები კედლებზედ, ტახტქვეშ,  
სტოლზედ. პისმენი სტოლი დგას, წიგნები აწყვია არეულათ, ერთი საქმე ძეგს  
ძველი და ერთი ღერბოის ქალალი ძეგს ზედა“.

იწყება სახელდებით, მსაზღვრელ-საზღვრულია, მართული, პოსტპოზიციუ-  
რი წყობა. მას მოსდევს უშემასმენლო წინადადება შერწყმული ერთგვაროვანი  
ადგილის გარემოებებით. ბოლო წინადადება თანწყობილია, უკავშიროდ არის  
შეერთებული, მარტივი გავრცობილი და შემასმენლების მიხედვით შერწყმუ-  
ლი. შემასმენლები მიემართება ადგილის გარემოებას, რომელიც აზრობრივად  
გავრცობილი წინადადების ქვემდებარეა. გზა აქაც ასეთია შერჩეული: მარტი-  
ვიდან რთულისაკენ.

დატვირთვა შერწყმულ წინადადებაზეა. სამი ადგილის გარემოებაა ერთგან,  
მეორეგან სამი შემასმენელია. ზმნა-შემასმენელი, სადაც კი არის, გამოხატულია  
აწმყოს მესამე პირის ფორმით.

მეოთხე მოქმედება (მხოლოდ სცენის აღწერაა ქართულად, დანარჩენი რუ-  
სულ ენაზეა დაწერილი): „ოთახი სტრაფჩისა. პისმენი სტოლზედ ზის სტრაფ-  
ჩი“. ერთობ ლაკონიური მითითებაა.

სახელდების შემდგომ — მსაზღვრელ-საზღვრული, მართული, პოსტპოზი-

ციური წყობა, — მარტივი გავრცობილი წინადადებაა. გზა — მარტივიდან რთულისაკენ.

ზმნა-შემასმენელი ამ შემთხვევაშიც აწმყოს მესამე პირის ფორმით არაფრადგენილი.

მეხუთე მოქმედებას სცენის აღწერა არა აქვს, რადგან დეკორაცია უცვლელია. მოქმედება ნინოს ოთახში მიმდინარეობს (შდრ.: მეორე მოქმედებას).

ზევით აღვნიშნეთ, რომ დიალოგს გარეთ, გარდა სცენის აღწერისა, არის აგრეთვე „გამოსვლა“. ისიც ავტორისეულ მეტყველებას განეკუთვნება ისევე, როგორც სცენის აღწერა, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება როგორც შინაარსით, ისე — ფორმით, თუმცა მოქმედების შემადგენელი ნაწილია, უკეთ, იმ სცენისა. „გამოსვლა“ „მოქმედებაში“ შეიძლება არც იყოს მითითებული, ან რამდენიმეც კი გვექონდეს. გამოსვლა ძირითადად პერსონაჟთა ცვლაზე (მოქმედების მსვლელობაში პერსონაჟის მიმატებასა ან დაკლებაზე) მიგვანიშნებს. ახალი პერსონაჟები, ჩვეულებრივ მითითებულნი არიან, ძველი, ე. ი. წინა გამოსვლაში მონაწილენი, უმეტესად ერთი სიტყვით: „იგივე“ ან „იგივენი“ — აღინიშნება, მაგრამ პერსონაჟთა სახელდება ზოგჯერ საკმარისი არ არის და რაიმე ინფორმაციაც ახლავს თან.

მაგ., „დავას“ პირველი მოქმედების პირველ გამოსვლაში სამი მოქმედი პირია: ამირინდო, ლომისეული და სოროზან. ამ უკანასკნელს ფრჩხილებში ახლავს „შემოდის“. ეს დამატებითი ინფორმაციაა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მოქმედების მსვლელობაში მესამე პერსონაჟი მოგვიანებით ჩაერთო. სხვათა შორის, სცენის აღწერაში ეს ყველაფერი გათვალისწინებულია, მაგრამ როგორც ჩანს, დრამატურგიის კანონი მოითხოვს „გამოსვლაში“ იგი საგანგებოდ იყოს გამოკვეთილი, რადგან მომდევნო „გამოსვლაში“ უკვე ახალი პერსონაჟი ჩნდება: „ივინივე და ბერუა“. მეორე სურათის ბოლოს სოროზან, გამდელი ლომისეული და ბერუა გადიან. ე. ი. ძველი პერსონაჟებისგან რჩება მხოლოდ ამირინდო. ამიტომ მესამე „გამოსვლა“ ამ პერსონაჟზე მითითებით იწყება: „ამირინდო, რაფიელ, სარქისა და სოროზან“, გასული სოროზან კი კვლავ დაემატა და ბოლოში მოექცა.

ზოგჯერ პერსონაჟი სცენაზე მარტო რჩება. ასეთ შემთხვევაში დრამატურგი ჩვეულებრივ მიუთითებს ხოლმე, რომ იგი მარტოა: მაგ., „ამირინდო (მარტო): ნინო (მარტო), ნენე (მარტო) და მერე აბრაამა“.

ინფორმაცია, რომელიც „გამოსვლაში“ ახლავს პერსონაჟს, შეიძლება სხვა სახისაც იყოს. მაგ., „ბეგლარ და აბრაამა (შემოვა სერთუქდახეული)“; „ამირინდო, სოროზან და ბეგლარ (მგზავრულათ ჩაცმული)“. აქ ყურადღებაა გამახვილებული პერსონაჟის გარეგნობაზე.

ინფორმაცია შეიძლება უფრო ვრცელიც იყოს: „გამდელი, გოგოები (შემოცივიან, მისცივიდებიან ბეგლარს, ლილებს უხსნიან, გულში უბერავენ)“; ან „ნინო (ზის თავის ოთახში, წიგნი უჭირავს, დაფიქრებულია)“.

ერთი რამ არის საყურადღებო — დამატებითი ინფორმაცია იშვიათი გამოწვევისის გარდა, მაგ., „ივინივე და სიდონია შემოვარდება“, ფრჩხილებშია მოქცეული. იგი უმეტესად მოსდევს პერსონაჟზე მითითებას.

მაშასადამე ფორმულა ასეთია: **სახელდება + დამატებითი ინფორმაცია.**

ფრჩხილების გახსნის შედეგად ვიღებთ თხრობით წინადადებას, რომელშიც სახელდება პერსონაჟი წარმოჩნდება წინადადების წევრად — ქვემდებარედ. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ზმნა-შემასმენელს შეიცავს.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როცა ზმნა-შემასმენელი წინ უსწრებს მოქმედ პირზე მითითებას; იგი ავტორის მიერ არ არის გამოყოფილი როგორც ინფორმაცია (ე. ი. ფრჩხილებში არ არის ჩასმული): „გამოვლენ ამ“



რინდო და რაფიელ“, მაგრამ ასეთი რამ არ არის დამახასიათებელი და შემთხვევითი ხასიათისა.

შეგვიძლია დავასკვნათ: ა) სახელდება ყოველთვის ფრჩხილებში მოცემულ ინფორმაციას; ბ) სახელდება წინ უსწრებს ფრჩხილებში მოცემულ ინფორმაციას; გ) სახელდება ფრჩხილების მოხსნის შემთხვევაში წინადადების წევრი — ქვემდებარე; დ) ფრჩხილების გახსნა ყოველთვის არ იძლევა ამის შესაძლებლობას, ე. ი. სახელდება მარტივი შესიტყვების წევრია; ე) სახელდება ერთმანეთთან შეერთებული „და“ კავშირით; ვ) სახელდება ერთმანეთისაგან გამოყოფა მძიმით; ზ) სახელდება პერსონაჟთა ჩამოთვლის გამოვლების თავიდან აცილების მიზნით ფართოდ არის გამოყენებული ნაცვალსახელი „იგივე“ („იგინივე“); თ) ინფორმაციული ნაწილის ზმნა-შემასმენელი ყოველთვის აწმყოს ან მყოფადის მწკრივის მესამე პირის ფორმა.

2. 1. „საკუთრივ“ რემარკა. პერსონაჟის მეტყველებაში ჩართული რემარკა, ჩვეულებრივ ფრჩხილებშია მოქცეული. ამით მინიშნებულია, რომ იგი პერსონაჟს კი არა, ე. წ. ავტორისეულ მეტყველებას განეკუთვნება და უმკველად წაკითხულ უნდა იქნეს, რადგან შეიცავს დამატებით ინფორმაციას. რემარკათა ეს სახეობა, როგორც წესი, მოკლე და ლაკონიურია. მაგრამ, ისევე, როგორც ეს სცენის აღწერის დროს შევნიშნეთ, ავტორთა შორის ამ შემთხვევაშიც სგრძობი სხვაობაა. მაგალითისათვის გ. ერისთავსა და ალ. ორბელიანს მივმართავთ. საკუთრივ რემარკები „ღვთაში“ წარმოდგენილია ერთი სიტყვით: ამირინდო (გ ა ი ც ი ნ ე ბ ს); სარქისა (რ ა ფ ი ე ლ ს).

ორი სიტყვით: ბიჭი შემოვა; ამირინდო... (გ ა მ დ ე ლ ს ე ძ ა ხ ი ს); ლომინ... (მ ო ი ხ დ ი ს ქ უ ლ ს); სარქისა... (ყ ე ლ ზ ე დ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ს); ბეგლარ (უ ყ უ რ ე ბ ს ფ ა ნ ჭ რ ი დ ა ნ). გარემოებები სხვაგვარიც გვხვდება.

სამი და მეტი სიტყვით: ბეგლარ მოეხვევა სოროზანს; მოწყალისეული... (ა ხ ლ ა ი ს მ ი ე რ დ ე ბ ა ნ ი ო ს).

შერწყმული წინადადებით (ერთგვაროვანი წევრები სხვადასხვა შეიძლება იყოს): გავლენ რაფიელ და სარქისა; ლომისეული სათვალებს გაიკეთებს და უყურებს და ატრიალებს; იშვიათია შერეული სახის შერწყმული წინადადება: ბეგლარ (შემოვლენ ბიჭები, ზოგი ხელზედ, ზოგი კალთაზედ ჰკოცნიან).

წინადადების ტიპებზე საუბარს ქვევით განვაგრძობთ, აქ კი აღვნიშნავთ, რომ, გ. ერისთავისაგან განსხვავებით, ალ. ორბელიანის რემარკებში მკვლევანდება ავტორის საოცარი სწრაფვა დეტალიზაციისაკენ (შდრ.: სცენის აღწერა ზ. ანტონოვთან). დრამატურგი ცდილობს პერსონაჟის ყოველი მოძრაობა — თავის ოდნავ მიბრუნება, ხელის შეხება თუ უმნიშვნელო გადაადგილებაც კი აღნიშნოს, რაც ძაბავს და ლლის მკითხველს, ამიტომ ზოგჯერ გამაღიზიანებელიც კი არის, რადგან მოქმედების თავისუფლებას ზღუდავს. დრამატურგი თითქოს აიძულებს მსახიობს (და ალბათ რეჟისორსაც) დაემორჩილოს მის ყოველ მოთხოვნას. თვითონ ავტორს კი ისე იტაცებს ასეთი დაწვრილებითი აღწერა, რომ მისი რემარკები ჩვეულებრივ თხრობაში გადადის და პროზას ემსგავსება. მოვიყვანოთ მცირე მონაკვეთს პიესიდან „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო“. მოქმედება ხდება ალავერდის ეკლესიაში. აქ არიან ბერი იოანე, ბატონიშვილი ირაკლი და სხვა ქართველები. „ბერი იოანე... (გულხელდაკრფით, ძალიან დაღონების შემდგომ). არა, არა, მე აქ ველარ დავდგები საცოდაობით, ვერა ენახამ ამოწყვეტილთ სახლულობათა (და გიყსავით გავარდება. ამ დროს ეკლესიის კარების სრული კედელი, ესე იგი ფარდა, უეცრად გადაიწევა, ნახვენ, რომ მთელი ეკლესია განათებულია წმინდა სანთლებითა, საკურთხეველის კარები ღია, ტრაპეზზე სანთლები ანთია ბრწყინვალედ.



შუა ტრაპეზზე დიდი ჯვარცმა ასვენია. საკუთხეველის გარეთ ამბიონზე აღ-  
ვერდელს დაუჩოქნია, პორფირ წამოსხმული ხელგაპყრობით, ამის გვერდით  
ცოტა უკან ირაკლისა აქეთ-იქით ამბიონის ქვემოთ დაჩოქილნი არიან მწკრი-  
ვით სახლეულამოწყვეტილნი კაცნი და დედაკაცნი, ხნიანი და ყმაწვილნი. ერთს  
მხარეს დედანი შავ ჩაცმულნი არიან და თავი მოხდილი აქვთ, თმები გადმოშ-  
ლილი მხარებზე. მეორეს მხარეს კაცებს პერანგის საკინძი ჩამოუწყვეტიათ და  
გულისპირი გადმოფენილი აქვთ მარჯვენას მეკრძზე. ესენი სულერთიან ხელ-  
გაშლილ ჯვარცმას უყურებენ დაღონებულები. ამათ უკან აქეთ-იქით ირაკლის  
ქართველებს დაუჩოქნიათ იმათ მზგავსებრივ და გალობასა აუშვებენ სულ-  
ერთიან ამას) "... აღავერდელი ბერის სიტყვები გრძელდება.

ამდაგვარი გაშლილი რემარკები ამ პიესაშიცა და „დავით აღმაშენებელშიც“  
მრავლადაა. ამ უკანასკნელში ავტორს ზოგჯერ რემარკა აღარც კი აქვს გამო-  
ყოფილი პერსონაჟის მეტყველებისაგან. მაგრამ ცხადია, აღ. ორბელიანთან  
უფრო მოკლე რემარკებიც გვხვდება.

რით განსხვავდება უშუალოდ დიალოგში ჩართული ავტორის რემარკა მოქ-  
მედების დასაწყისში წარმოდგენილი ე. წ. სცენის აღწერისაგან? პირველ რიგში  
იმით, რომ ავტორის ტექსტი ამ უკანასკნელში უფრო ვრცელია, რადგან სწო-  
რედ აქ ეძლევა ავტორს საშუალება თხრობის მეთოდს მიმართოს. ამ მონა-  
კვეთში, ჩვენი აზრით, დრამატურგი ახლოს დგას პროზაიკოსთან. დრამატურ-  
გის აზრთა მდინარებას სცენის აღწერაში ეძლევა საშუალება გამოხატული  
იყოს უფრო გაშლილი, ვრცელი ფრაზებითა და წინადადებებით. აქ იგი შეზ-  
ღუდული არ არის პერსონაჟის მეტყველებით, რადგან ასპარეზი ძირითადად  
მას აქვს დათმობილი, მაშინ, როცა პერსონაჟის გამოჩენისთანავე ავტორი იზ-  
ღუდება: დიალოგში ჩართული მისი მეტყველება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ავ-  
ტორი ძირითადად ინტერპრეტატორია პერსონაჟის მოქმედების, ქცევის თუ  
ნათქვამ-სათქმელისა და, ცხადია, ერთგვარი წარმმართველიც — სცენა პერს-  
ნაჟს ეთმობა, ავტორი თითქოს უკანა პლანზე გადადის, უჩინარი ხდება; მაგ-  
რამ რემარკა ვგახსენებს, რომ იგი მუდამ აქ არის და საჭიროებისდა მიხედვით  
მოქმედებს. ამიტომ ავტორის რემარკების როლი დრამატურგიულ ნაწარმოებ-  
ში დიდია.

2. 2. გ. ერისთავის რემარკები, როგორც ვთქვით, ლაკონიურობით ხასიათ-  
დება. ეს რომ ზეპირ ნათქვამად არ დარჩეს, „დავას“ მაგალითზე წარმოვაჩინოთ,  
რას წარმოადგენს პერსონაჟის მეტყველებაში ჩართული რემარკა სინტაქსის  
თვალსაზრისით. „საკუთრივ“ რემარკების უდიდესი ნაწილი მარტივი (გა-  
უფრტობელიცა და გავრცობილიც) წინადადებაა. სტატისტიკური მონაცემებუ-  
კლებადი მაჩვენებლის მიხედვით ასეთია: მარტივი წინადადება, შერწყმული,  
რთული თანწყობილი. იშვიათია რთული ქვეწყობილი წინადადება.

მარტივი წინადადების ფარგლებში რემარკა შეიძლება წარმოდგენილი იყოს  
ერთი, ორი, სამი და მეტი სიტყვითაც, მაგრამ სიტყვათა შეკავშირება (მით  
უფრო, ერთი სიტყვა) ყოველთვის წინადადება არ არის. ამიტომ საჭიროდ მი-  
ვიჩნით ცალკე გამოგვეყო **ერთსიტყვიანი** რემარკები (სულ 72), აქედან:  
ზმნის პირიანი ფორმაა 43 (აწმყოს მწკრივი — 20, მყოფადისა — 23), შესა-  
ბამისი პირთა კომბინაციით; სუბიექტური პირი ყოველთვის მესამეა, რიცხვი —  
შესაბამისი. ერთი და იგივე ზმნური ფუძე ხშირად მეორდება. მაგ., გავა, გავ-  
ლენ, გადის — 8; იცინის, იცინიან, გაიცინებს — 7; შემოვა, შევლენ — 5;  
ყვირის, უყვირის, დაიყვირებს — 4; დაფიქრდება — 3; ტირის — 2; ზოგი  
ზმნა თითოჯერ არის ნახმარი: ოხრავს, ეხვევა, დაიღრიჯება, ართმევს და ა. შ.

**სახელი** — 12 (10 — მიც. ბრუნვა, უთანდებულო; თითო შემთხვევა — გან

თანდებულისანი მოქმედებისა და -კენ თანდებულისანი ნათესაობითისა; საკუთარი სახელია 5, საზოგადო — 7).

**ვითარების გარემოება** — 13 (გაუფორმებელი ფუძე — 2, ბრუნვის ფორმით — 7, მოქმედებითისა — 4; ზოგი სიტყვა-ფორმა მეორდება, მაგ., ორ-ორჯერ — მარტო, ჩუმათ, ერთათ, შეწუხებით).

**პრედიატული განსაზღვრება** (ახლოს დგას ვითარებით გარემოებასთან) — 4 შემთხვევაა სახელობითი ბრუნვის ფორმით. აქედან: შეშინებული — 3, დაფიქრებული — 1.

როგორც ვხედავთ, ერთსიტყვიანი რემარკების ნახევარზე მეტი (59, 72%) ზმნური ფორმებია, შემასმენელი.

**ორი სიტყვით წარმოდგენილია** 51 რემარკა. ამთგან მხოლოდ ორია მსახლერელ-სახლერულის ურთიერთდამოკიდებულებაში: „სიადუმლო ხმითა“ (გვ. 147) და „მომეტებულის გაჭაგრებით“ (გვ. 166) და ვითარების გარემოებას წარმოადგენენ (კითხვაზე როგორ? — მოქმედ. ბრ-ში). ერთი შემთხვევაა სახელდებისა — „ხმა კარებთან“ (გვ. 144), დანარჩენი 48 რემარკის შემადგენელი კომპონენტია ზმნა-შემასმენელი, ე. ი. წინადადებასთან გვაქვს საქმე.

**ზმნასთან** (შემასმენელთან) ერთად წარმოდგენილი სახელი წინადადების სხვადასხვა წევრი შეიძლება იყოს. ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან, ბუნებრივია, მხოლოდ ქვემდებარე გვაქვს. მაგ., სოროზან დაჭდება, გველენ ყველანი, ბეგლარ მოსულიერდა, ბიჭები შემოცვივიან და ა. შ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ერთპირიანი ზმნის გვერდით მეორე სიტყვა წინადადების მეორეხარისხოვანი წევრია. მაგ., იყურება ფანჯარაში, მივა ახლო. ამ მაგალითებში პოტენციური ქვემდებარე (S<sub>2</sub>) ზმნის პირიან ფორმაშია ასახული, იგი იგულისხმება. ზმნა-შემასმენელს ამიტომ მხოლოდ ადგილის გარემოება ახლავს. ამ პიესაში სხვა არამთავარი წევრი არ შეგვხვედრია; ცხადია, გამორიცხული არ არის სხვა სახის გარემოებების გამოყენებაც.

ორ- და სამპირიანი ზმნები ვარიეტების მეტ შესაძლებლობას ფლობენ, რაც კარგად ჩანს საანალიზო მასალიდანაც.

ზმნა-შემასმენლის გვერდით წარმოდგენილია: 1. ქვემდებარე — მიხილ კითხულობს; ნინო უჩუჩჩულესს; 2. პირდაპირი დამატება — თვალზე დააქყყტს; ხელს უშვერს, პირჯვარს იწერს; იღებს ბეჭედს; აძლევს წიგნს; გულს უფრიალებს; 3. ირიბი დამატება — მივარდება დედას; უძახის ნინოს; 4. უბრალო დამატება — ყელზედ აჩვენებს; აჩვენებს ნინოზედ; წაიშენს მუხლებში; 5. გარემოება (ვითარების) — უეცრად დაიყვირებს; მივარდება სიანჩხლით; ვითომ ებუტება. (ადგილის) — აქეთ-იქით იყურება, დაეცემა დივანზედ.

დასკვნა ასეთია: ორ- და სამპირიანი ზმნა-შემასმენელთან ყველაზე ხშირად შეწყობილია (წარმოდგენილია სახელით) პირდაპირი დამატება-ობიექტი (16-ჯერ), შემდეგ ირიბი დამატება-ობიექტი (4-ჯერ) და ბოლოს ქვემდებარესობიექტი (2-ჯერ). მრავალპირიანი ზმნასთან სხვა შემთხვევებში ქვემდებარე აბიორრულად იგულისხმება. **დამატებების ბრუნვა ყოველთვის მიცემითია.** ეს იმითაა გამოწვეული, რომ ზმნა-შემასმენელი ყოველთვის I სერიის მწკრივის ფორმებით (აწმყო-მყოფადი) არის წარმოდგენილი, რაც არსებითი და განმსაზღვრელია სახელის მორფოლოგიური გაფორმებისათვის.

**ორსიტყვიანი რემარკა** იშვიათი გამოწვევისაა გარდა, მარტივი წინადადება — გაუვრცობელი ან გავრცობილი. ხშირად უქვემდებარე, იშვიათად — უშემასმენლო. არამთავარ წევრთაგან უფრო ხშირად გვაქვს გარემოებები (ვითარების, ადგილის, დროის...) და უბრალო დამატება, უმეტესად თანდებულდართული.

**სამ და მეტსიტყვიანი რემარკა** თითქმის ყოველთვის მარტივი გავრცობი-

ლი წინადადება. ასეთი 20 შემთხვევა დავთვალეთ. წინადადებები შინაარსის მიხედვით ყოველთვის თხრობითია.

**შერწყმული წინადადება** ავტორის რემარკებში საკმაოდ ბევრი გვხვდება უფრო მეტი, ვიდრე თანწყობილი, მაგრამ მარტივ წინადადებაზე ნაკლები. შერწყმული წინადადება ზოგჯერ თანწყობით არის დაკავშირებული მარტივთან. შერწყმული წინადადებების საერთო რიცხვია 43. აქედან: შემასმენლების მიხედვით შერწყმული — 31; ქვემდებარეების მიხედვით — 7; დამატებების: ირიბისა — 2, უბრალოსი — 1; განსაზღვრების (პრელიკატული) — 1; შერეული სახის (შემასმენლებისა და პირდაპირი დამატებების მიხედვით) — 1. როგორც ვხედავთ, ერთგვაროვან წვერთაგან სიხშირით შემასმენელი ჯობნის დანარჩენებს.

თანწყობილი წინადადებების საერთო რიცხვია 9; ქვეწყობილის კი მხოლოდ 2 შემთხვევა მოვიძიეთ.

კომბინაციები სხვადასხვაგვარია და სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩვენთვის ცნობილ ჩარჩოებს არ სცილდება. აღნიშვნის ღირსია ის, რომ რთული წინადადების (11-დან 5 შემთხვევაში) ერთი შემადგენელი შერწყმული წინადადებაა და ისიც მხოლოდ შემასმენლის მიხედვით.

ზმნა-შემასმენლის აქტიური პოზიცია აშკარად გამოიკვეთება მთელ საანალიზო მასალაში. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ზმნის პირიანი ფორმების სიუხვე სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით, ჩვენი აზრით, შეპირობებულია ქართული სპეციფიკით. პიესაში საზოგადოდ, და არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მთავარია მოქმედება. ავტორის რემარკების ძირითადი დანიშნულებაა ამ მოქმედების წარმართვა დროსა და სივრცეში, ამიტომ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა, ზმნა, უფრო ხშირად იხმარება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართული ზმნა მრავალპირიანობის გამო განსაკუთრებით ტევადი, ბევრის მტვირთველია.

2. 3. ადგილის მიხედვით ავტორისეული მეტყველების გამოყოფა შემთხვევითი არ არის. ადგილს გარკვეული ფუნქციონალური დატვირთვა აქვს, თუმცა იგი საკმარისი არ არის რემარკების დასახასიათებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ რემარკების სინტაქსი (სიტყვათა განლაგება, წინადადების ტიპები და სხვ.) დრამატურგიულ ნაწარმოებში ჩარჩოებით არის შემოფარგლული, რასაც მხოლოდ ავტორის მიზანდასახულობა კი არ განსაზღვრავს, არამედ პიესის ავტორის ზოგადი კანონები.

ამ კუთხით თუ შევხედავთ „საკუთრივ“ რემარკას, ადგილმდებარეობის მიხედვით მას ასეთი პოზიციები უკავია „დავას“ მიხედვით:

**წინ უხსწრებს პერსონაჟის მეტყველებას:** „ამირინდო (გ ა ი ც ი ნ ე ბ ს) ეე, შეჩვენებულო, სულ უნდა იმასხარაო? ახალ ამბავსა გკითხამ!“

**ჩართულია პერსონაჟის მეტყველებაში:** „ამირინდო. დაბრძანდით! (ს ხ დ ე ბ ი ა ნ). ახალი რა არის ჩვენ გორში?“.

**ბოლოშია,** პერსონაჟის მეტყველების დასასრულსაა: „რაფიელი. კვლავ გიანლებით, ეს საშური საქმეა, ვადა არ გაგივიდეთ, მშვიდობით (გ ა ვ ლ ე ნ რ ა ფ ი ე ლ დ ა ს ა რ ქ ი ს ა)“.

რემარკების მოსალოდნელი კომბინაციებიდან (ერთდროულად თავსა და ბოლოში; შუაში და ბოლოში; თავსა და შუაში; თავსა, შუასა და ბოლოში) ყველა შემთხვევა დასტურდება.

თავსა და ბოლოში: „ამირინდო. (თ ა ვ ს უ ქ რ ა ვ ს). დრაპტი, დრაპტი, ლოსპოდა სუდი, დრასტი, იზბოლით, იზბოლით (ხ ე ლ ს უ შ ვ ე რ ს)“.

შუაში და ბოლოში: „ამირინდო. ეგ არის რალა (ო ხ რ ა ვ ს). შემოდით ერთი, რჩევაცა გკითხოთ და ფულს მოგცემთ (შ ე ვ ლ ე ნ)“.

თავსა და შუაში: „სიღონია. (გ ა მ დ ე ლ ს) ნუ ჰყვირი, გადიავ, გენაცვალე

(ნი ნ ო ს), შე წყულო! უკანასკნელ მაგალითში ჩვენთვის არსებული მწიკ-  
ვენლობა არა აქვს იმას, რომ მიმართვის ობიექტი სხვადასხვაა — ვამდებულადა  
ნი ნ ო ს.

ერთდროულად სამსავე პოზიციაში: „ამირინდო. (და იყვირებს) ოჰ,  
შვილო ბეგლარ! (მოეხვევა ტირილით). მამაჩემი არ წამიწყდება,  
ჰო, შვილო, ბედნიერი ვარ, რა რიგათ დაკაცებულხარ. ბიჭო, მამა არ წამიწყდე-  
ბა, სულისა ჰგებხარ (ბეგლარ მოეხვევა სოროზანს. სორო-  
ზან ხელზედ ცდილობს კოცნას, არ აძლევს ჰკოც-  
ნოს)“.

რემარკების პოზიციის ასეთი ვარიანტი მოსალოდნელი იყო და თითქოს აქ  
ახალი არც არაფერია, თუ პროზასთან მიმართებაში შევხედავთ საკითხს, მაგ-  
რამ, ვფიქრობთ, წარმოსაჩენი და ასახსნელია, რით არის გამოწვეული ასეთი  
მრავალფეროვნება, ე. ი. საძიებელია მიზეზი ამ ფაქტისა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დრამატურგიული ქანრის ნა-  
წარმოები ძირითადად დიალოგურ მეტყველებაზეა აგებული (მონოლოგი ერთი  
სახეა და მთელის ნაწილად გამოიყოფა. მხოლოდ მონოლოგად დაწერილი პიესა  
არც არსებობს და თუ პიესაში მონოლოგი ჭარბობს, ერთმანეთის მიმართ ისინი  
უშუალოდ დიალოგურ ურთიერთობაში არიან), ამიტომ პერსონაჟის მეტყვე-  
ლებისა და მოქმედების ურთიერთ დასაკავშირებლად მასში ერთგვარადაა ავტორი.  
მისი რემარკები წარმართავს პერსონაჟის მეტყველებას და ქცევას. იმის მიხედ-  
ვით, თუ რას, როგორ და რა საჭიროებისათვის მიემართება დიალოგში ჩართუ-  
ლი რემარკა, განისაზღვრება მისი ადგილმდებარეობაც პერსონაჟის ნათქვამში.

ზემოთ მოყვანილი ნიმუშების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, რემარკა, რო-  
მელიც უშუალოდ მოხდევს პერსონაჟის სახელდებას, ე. ი. პერსონაჟის სა-  
თქმელს, თავშია, წინ უსწრებს სათქმელს, თითქმის ყოველთვის მიემართება  
სახელდებას პერსონაჟს და მიუთითებს: რას შერბებს: მაგ., ამირინდო თავს  
უკრავს); მიხეილ (შემოვა). რა ვითარებაშია პერსონაჟი: სოროზან (მარტო), ან  
როგორია მისი გუნება-განწყობა: ბეგლარ. (უსიამოვნებით) და მისთანანი, ე. ი.  
გვიჩვენებს მდგომარეობასა და ვითარებას.

სახელდებას წევრს შეიძლება მოსდევდეს რემარკა, რომელიც სხვა პერ-  
სონაჟზე მიითქვამს შეიცავს. მაგ., სარქისა (რაფიელს).

სახელდებას წევრის უშუალო სიახლოვეს (მისი მომდევნო) მყოფი რე-  
მარკა უშუალოდ ამ წევრთან (ე. ი. ამ პერსონაჟთან) არის დაკავშირებული, მას  
მიემართება, რაც არ არის აუცილებელი რემარკათა სხვა პოზიციის შემთხვე-  
ვაში.

ზემოთქმული თანაბრად ვრცელდება როგორც გ. ერისთავის, ისე XIX საუ-  
კუნის შუა პერიოდის სხვა ავტორთა პიესებზე. ჩვენი აზრით, ფაქტის უფრო  
მეტად განზოგადებაც შესაძლებელია. მაშინ იგი საერთოდ დრამატურგიულ  
ნაწარმოებში ავტორისა და პერსონაჟის მეტყველების ურთიერთდამოკიდებუ-  
ლების ერთ-ერთი განსაზღვრელი ნიშანი აღმოჩნდება. ე. ი. ნებისმიერ პიესა-  
ში დიალოგში ჩართული რემარკებიდან ის, რომელიც უშუალოდ მოხდევს  
პერსონაჟის სახელდებას, დაკავშირებულია მასთან, მიხვან გამომდინარეობს ან  
მიემართება მას.

რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პერსონაჟის მე-  
ტყველებაში ჩართული სხვა პოზიციის მქონე რემარკები არ არის დაკავშირე-  
ბული სახელდებას წევრთან (იმ პერსონაჟთან, რომელიც ამ კონკრეტულ  
შემთხვევაში მოქმედებს), მაგრამ ეს რემარკები ხშირად მოქმედებაში შემო-  
სულ ახალ პერსონაჟს უკავშირდება ან ახალ სიტუაციურ ვითარებაზე მიუთი-  
თებს. ყოველი კონკრეტული შემთხვევის ანალიზი შეუძლებელია და არც არის  
აუცილებელი. ერთი კი ცხადია — რემარკა განუყოფელი ნაწილია ტექსტისა





და მის გარეშე არ იკითხება არანაირი ნაწარმოები, მით უფრო პიესა, საღამო  
სიტყვა და მოქმედება განსაკუთრებით თვალსაჩინოებას მოითხოვს. აქ თვალი  
და ყური თანაბრად აქტიურია. ამით აიხსნება ის, რომ ავტორის რემარკების  
ერთი ნაწილი მხედველობით ხატზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას. ამის გამო  
ავტორის რემარკებში განსაკუთრებით აქტიურია „მოქმედება-მდგომარეობის“  
წრის ზმნები და ვითარების გარემოებები.

2. 4. „საკუთრივ რემარკა“ თუ სახელდებულ წევრს მიემართება, ჩვეუ-  
ლებრივ ზმნით (შემასმენლით) იწყება (არას ვამბობთ ერთსიტყვიან რემარკა-  
ზე), არა აქვს მნიშვნელობა რამდენი წევრისაგან შედგება რემარკა და როგო-  
რი ტიპის წინადადებით არის გადმოცემული — მარტივით, შერწყმულითა თუ  
რთულით. იგივე შეიძლება ითქვას ბოლო პოზიციის მქონე რემარკაზე, რომე-  
ლიც უმეტესად ასევე სახელდება მიემართება.

ე. ი. რემარკა, რომელიც სახელდებულ წევრთან არის დაკავშირებული,  
ზმნა-შემასმენლით იწყება. ასეთი რემარკის პოზიციას ამ სახელდებულ წევ-  
რის ნათქვამში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ნიმუშებს:

**რემარკა უშუალოდ მოსდევს სახელდებულ წევრს<sup>11</sup>:** სიღონია (დაეცე-  
მა დივანზედ), — ნინო (მივარდება დედას) — ; მოწყალისეული  
(აძლევს წიგნს) — ; მიხეილ (კითხულობს და იცინის) — ;  
სიღონია. (მივა მიხეილთან ალერსით) — ; სოროზან (მივა  
და უყურებს ქალადში) — ; ლომინ (გადაიჯვარედინებს  
ფეხებს, მოიხრება და დაუკრავს თავს) — ; მოწყალისეუ-  
ლი (დაჯდება ხალიჩაზედ ძირსა, იცემს მუხლებში) — .

თუ ზმნა-შემასმენელს ახლავს გარემოებები ან დამატებები, შემასმენელი  
ბოლო პოზიციისაგან მიისწრაფვის: ლომინ. (აქეთ-იქით იყურება) — ;  
სარქისა. (ჩუმათ ეტყვის ლომინს) — ; მარქიტა. (ხელსახოცით გულს  
უზომავს, ულოცავს, ამთქნარებს და ტირის) — .

**რემარკა, რომელიც ჩართულია პერსონაჟის ნათქვამში და მიემართება სა-  
ხელდებულ წევრს, ჩვეულებრივ ზმნა-შემასმენლით იწყება:** ამირინდო. (დაა-  
ყვრებს) — (მოეხვევა ტირილით) — ; მიხეილ. — (ჩაუდებს ხელს  
ხელში) — ; ლომისეული. — (ამოიღებს წიგნს, სათვალევს გაისწორებს  
და ჩათვლით კითხულობს) — ; ამირინდო. — (ამოიღებს ერთ ლერბოის  
ქალღღრღე დაწერილს წიგნსა, აძლევს რაფიელს) — ; სიღონია. (უძახის ნი-  
ნოს) — (შეგადებს ოთახში და დაუეკრავს კარებს) — ; აბრამა. — (გა-  
აგრძელებს, ვინამ გამდელი ლაპარაკობს) — .

ზმნა-შემასმენელს წინ უძღვის პირმომართი და პირმიუმართავი დამატებე-  
ბი: სარქისა. — (თვალებ დააყუცტს) — ; ლომისეული. — (სათვალეებს  
ჩამოიღებს) — ; ლომისეული. — (სათვალეებს გაიკეთებს და უყუ-  
რებს) — ; ლომისეული — (პირჯვარს იწერს) — ; სარქისა. — (ყელ-  
ზედ აჩვენებს) — .

თუ რემარკა, რომელიც სახელდებულ წევრს მიემართება, **ბოლოშია**, ე. ი.  
მოსდევს პირდაპირ ნათქვამს, ზმნა-შემასმენელს უმეტესად ბოლო პოზიციას  
უკავია. მაგ., ამირინდო. — (გამდელს უძახის); თუმცა შეიძლება უს-  
წრებდეს წინ დამატებებს: ამირინდო. — (შემოკრავს ტაშს); ონოფ-  
რე. — (აჩვენებს ნინოზედ).

ერთი რამ არის აღსანიშნავი: ბოლოში დართული რემარკების დიდი ნაწი-  
ლი არ არის მიმართული სახელდებულ წევრთან. უფრო ზუსტად — **ბოლოში**

<sup>11</sup> ტირითი აღნიშნავთ გამოტოვებულ ტექსტს.

დართული რემარკა, თავკიდური რემარკისაგან განსხვავებით, მთქმელის მოქმედების პროცესში შემოსული ახალი წევრისავენ შეიძლება იყოს მდგომარეობით, ან ორივეს ერთდროულად გულისხმობდეს. აზრის ნათელსაყოფად მივმართოთ „დავას“ (მეორე მოქმედების მერვე გამოსვლიდან): „სიღონია. (უძახის ნინოს) აქ მობრძანდი, ქალბატონო (შეაგდებს ოთახში და დაუკეტავს კარებს). აქა ბრძანდებოდე, მზის სხივს არ დაგანახვებ, შე, შე, გასაქრობო! (გამდელი და სიღონია დასხდებიან, ტირიან, იცემენ მუხლებში)“.

ტექსტის ამ ნაწილში სამი მოქმედი პირი ფიგურირებს: სიღონია, ნინო და გამდელი. პირდაპირი ნათქვამი სიღონიას ეკუთვნის, ნინო და გამდელი მხოლოდ მოქმედების მონაწილენი არიან. იმისდა მიხედვით, თუ რას აკეთებს და რთ არის შეპირობებული სიღონიას ეს მოქმედება, პირდაპირ ნათქვამში ჩართულია ავტორის რემარკები.

თავკიდური რემარკა გვამცნობს, რომ სიღონიას სიტყვები მიმართულია ნინოსკენ: „აქ მობრძანდი, ქალბატონო“. მეორე რემარკა გვევარაუდებინებს, რომ ნინო მიუახლოვდა სიღონიას, მან ეტყობა ხელიც შეახო ნინოს, რასაც ადასტურებს მომდევნო წინადადება: „შეაგდებს ოთახში და დაუკეტავს კარებს“. ბევრის მთქმელია ეს რემარკა — აქ მინიშნებულია სიღონიას გააგებაც და მისი უხეშობაც ნინოს მიმართ. კარის დაკეტვის შემდეგ, ე. ი. პერსონაჟის მოქმედების შესრულების შემდეგ, უკვე შეიძლება პირდაპირი ნათქვამის გაგრძელება და სიღონია ამბობს კიდევ: „აქა ბრძანდებოდე...“ ე. ი. მოქმედებას მოსდევს სიტყვა და ეს ერთი უწყვეტი პროცესია, მოქმედება და სიტყვა მთლიანობაშია, ოღონდ რემარკაში, ავტორისეულ მეტყველებაში, პერსონაჟის (სიღონიას) მოქმედება აისახება, სიტყვა (ნათქვამი) კი პერსონაჟს ეკუთვნის მხოლოდ.

მაშ, სახელდებული წევრი (პიესის პერსონაჟი) მეტყველებს, ლაპარაკობს და მოქმედებს კიდევ, თუმცა მისი მოქმედების (ან მდგომარეობის) გამომხატველი ავტორის რემარკაა.

„...მზის სხივს არ დაგანახვებ, შე, შე, გასაქრობო!“ — ამით დამთავრდა სიღონიას სათქმელი ამ მონაკვეთში, მოქმედება კი გრძელდება. ამის შესახებ გვამცნობს ბოლოში დართული რემარკა, რომელშიც ავტორმა შემოიყვანა ის პერსონაჟი (გამდელი მოწყალისეული), რომელსაც ეკუთვნის ამ გამოსვლაში შემდგომი სიტყვა.

როგორც ვხედავთ, ავტორის რემარკა არ მოისმინება, რადგან არ წარმოითქმის, სცენაზე მისი დანახვა შეიძლება მხოლოდ. მაშასადამე, ა) „საკუთრივ“ რემარკის პოზიციები პირდაპირ ნათქვამში ნაირგვარია. ბ) თავკიდური რემარკა თითქმის ყოველთვის მიემართება სახელდებულ წევრს; სხვა პოზიციებში ეს აუცილებელი არ არის. გ) თუ რემარკა სახელდებულ წევრთან არის დაკავშირებული, ზმნა-შემასმენლით იწყება. ასეთი რემარკის პოზიციას პირდაპირ ნათქვამში არა აქვს მნიშვნელობა. დ) ბოლო პოზიციის რემარკა ხშირად მიმართულია მთქმელის მოქმედების პროცესში შემოსული ახალი პირისაკენ (პერსონაჟისაკენ). ე) ერთსიტყვიანი რემარკების უდიდესი ნაწილი გადმოცემულია ზმნა-შემასმენლით (აწყმოსა და მყოფადის მესამე პირის ფორმით). ე) შეინიშნება პირდაპირ ნათქვამში ჩართული რემარკების სწრაფვა მარტივიდან რთულისაკენ.

როგორც მასალა გვიჩვენებს, დიალოგს გარეთ მდგომ და პერსონაჟის მეტყველებაში ჩართულ რემარკებს აქვთ საერთო ნიშნები. იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქცია აკისრია რემარკას, როგორია მისი შინაარსი (მაგ., პერსონაჟთა ჩამოთვლა-დახასიათებაა თუ სცენის აღწერა ან „საკუთრივ“ რემარკა) და ფორმა, იგი სპეციფიკური ნიშნების მქონეა.



XIX ს-ის შუა წლების ქართული დრამატურგიის ავტორისეულ მეტყველებ-  
 ბაზე დაკვირვებამ ერთი საყურადღებო ფაქტიც გამოავლინა: ზოგი ავტორი  
 (ალ. ორბელიანი, აკ. წერეთელი, კონდრ. კლდიაშვილი) **მახასიათებელში** მსაჯულ-  
 ღვრელ-საზღვრულს პრეპოზიციურ რიგს ამჯობინებს, რაც დრამატურგიული  
 ნაწარმოების ერთ-ერთი აქამდე მყარი ტრადიციის რღვევაზე მიუთითებს; მა-  
 შასადამე, ფეხს იკიდებს ახალი ქართულის ენობრივი ნორმა.

И. Г. КИКНАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ АВТОРСКОЙ РЕЧИ В СРЕДНЕМ ПЕРИОДЕ ДРАМАТУРГИИ XIX ВЕКА (РЕМАРКА)

Резюме

На материале грузинской драматургии XIX века представлены некоторые вопросы авторской речи. Изучена ремарка в целом, ее виды, место и функция, а также ее составные части в отдельности и в соотношении друг с другом. Выявлены некоторые морфологические и синтаксические особенности; в частности: употребляемая глагольная форма третьего лица исключительно настоящего или будущего времени объясняется жанровой спецификой, а постпозиция определяющего в ближайшем из информационной части («махასიათებელი») — не только традицией построения ремарки в пьесе — выдвинуть на первое место слово с логическим ударением, т. е. акцентированное автором, — но и древнегрузинской языковой нормой. Замечено стремление некоторых авторов (Ал. Орбелиани, Ак. Церетели, Кондр. Клдიაшвили...) следовать не старой традиции, а норме новогрузинского языка.

В статье указаны также статистические данные о ремарках на примере пьесы Г. Эристави «Дава» («Спор»).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-  
 ვერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა  
 წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩი-  
 ქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა



## ბ რ ძ ნ ო ბ ა დ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ის ა ს ა ხ ვ ა ს ა ხ ბ რ ა მ ბ ა ს ა დ ა მ ა რ ტ ი რ ო ლ ო გ ი უ რ ი შ ა ნ რ ის ქ ა რ თ უ ლ ჰ ა გ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ძ ე ბ ლ ე ბ ა შ ი

ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლა მასზე ბიბლიური წიგნების, კერძოდ, სახარების, გავლენის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. კ. კეკელიძე მიუთითებდა: „ლიტერატურის ისტორიაში, როგორც საერთოდ ყველგან, ისე ჩვენიშიც, ბიბლიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან მისცა ძველ სასულიერო მწერლობას ნიმუშები ლიტერატურული ჟანრებისა, პოეტური ფორმისა, მხატვრული გემოვნებისა და ჩამოქნილი, დახვეწილი პროზაული ენისა. ძველი მწიგნობრები ბიბლიაში ეცნობოდნენ ლიტერატურული სიტყვას ხერხებსა და შემოქმედების ტექნიკას, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ორიგინალური საქმიანობის განვითარებისათვის. ისინი ცალი თვალთ იყურებოდნენ ბიბლიაში, სადაც პოულობდნენ საჭირო ნიმუშებს“<sup>1</sup>. ცხადია, რომ ჩვენი მწერლობის მიმართება ბიბლიური ლიტერატურისადმი შეიძლება მრავალი ასპექტით იქნეს განხილული.

ერთ-ერთი საყურადღებო მომენტი, ვფიქრობთ, უნდა იყოს, თუ როგორ და რამდენად იზინა თავი გრძნობად-კონკრეტულმა სინამდვილემ სახარებასა და ქართველ ჰაგიოგრაფთა შემოქმედებაში, რადგან, როგორც ვიცით, ქრისტიანული მწერლობის ინტერესი ძირითადად სულიერი პროცესებისაკენ არის მიმართული.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ სახარების ავტორთა დამოკიდებულება გრძნობადი სამყაროსადმი პოზიტიურია. შეგვიძლია დავიმოწმოთ მათე და ლუკა:

„და სამოსლისათვის რაჟსა ჰზრუნავთ? განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნის! არა შურებინ, არცა სთავნ.“

ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას ღიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი“ (მათე, 6, 28—29).

„ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისა, რაჟ სჰამოთ, და ნუცა კორცთა თქუენთა, რაჟ შეიმოსოთ... განიცადენით შროშანნი, ვითარ-იგი აღორძნის: არცა შურების, არცა სთავს. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ: არცა სოლომონ ყოველსა ღიდებასა თვისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი“ (ლუკა, 12, 22—27). ამ სიტყვებში, რომელსაც მაცხოვარი წარმოთქვამს, სავსებით ნათლად არის მინიშნებული შროშანის მშვენიერებაზე. შროშანის სახეში კი თავს იყრის ხელული ქვეყნის მთელი მშვენიერება. ამასთან არ შეიძლება უყრადღება არ მიიპყროს პოეტური ხატის საოცარმა სინატიფემ, დახვეწილმა ხელოვანებამ.

გრძნობადი სინამდვილის ამგვარი აღქმის პრეცედენტი მოიძებნება ძველ აღთქმაში. ბიბლიის პირველ წიგნში მოცემული შეფასება სამყაროსი აშკარად გამოკვეთილ ესთეტიკურ მომენტს შეიცავს. შემოქმედს მოსწონს თავისი ქმნილება. „დაბადებაში“ არაერთხელ მეორდება: „და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“. იქვე კვითხულობთ: ედემის ბაღში დამკვიდრებულ ადამს ღმერთმა აღმოუცენა „ქვეყნით ყოველი ხე შუენიერ ხილვად“ (2—9). ევა სამყაროს აღიქვამს, როგორც მშვენიერებას: „და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, ტ. I, გვ. 428.

არს ხე ჰამად და სათნო თვალათვის ხილვად და შუენიერ განცდად“ (3, 6).

ხოლო რაც მშვენიერია, რაც ესთეტიკურია, ის ამავე დროს ეთიკური, ქრისტიანული მსოფლმხედველობით. „სამყაროს მთელი სისავსე მთლიანად ფასდებოდა, როგორც რაღაც „კეთილი“, რაღაც მიზანშეწონილი და აზრიანი... მთელი ერთობლიობა მატერიალური საგნებისა შექმნილია ღმერთის მიერ და „ფრიად კეთილია“, მაშინ, როცა ეშმაკმა სიცოცხლე მიანიჭა ერთ ბოროტ და ამასთან სავსებით არასაგნობრივ, სავსებით სულიერ მოვლენას — ცოდვას“<sup>2</sup>. მაგრამ, მაინც, გრძნობად-კონკრეტული სინამდვილე არ ასახულა არც ძველი და არც ახალი აღთქმის წიგნებში, ანდა თუ ასახა, ძლიერ მკრთალად.

იმ ტიპის პროზის პოეტიკა, რომელსაც სახარება ეკუთვნის, „გამორიცხავს პლასტიკურობას... საგნობრივი გარემო დაყვანილია ნულამდე... მოქმედება ხდება დეკორაციების გარეშე... მოქმედ ადამიანებს არა აქვთ გარეგნული თვისებები“<sup>3</sup>.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს გარემოება სახარების მხატვრულ ღირებულებაში დაეკეცების საფუძველს არ იძლევა. დღეს, ალბათ, არავინ დაეთანხმება ლესინგის შეხედულებას: „ევანგელისტები მოგვიტოვებენ მოვლენათა შესახებ მშრალად და უბრალოდ... მათ ნაამბობში პოეტური გენიის ნაპერწკალიც არ არის“<sup>4</sup>.

ევანგელეს ესთეტიკურ-ემოციური ზემოქმედების ძალა უპირველესად მის ლირიკულ ბუნებაში იჩენს თავს. „ამ პროზის მხატვრული შესაძლებლობანი არა გამოსახვის სისავსეშია, არამედ ექსპრესიის ძალაში, არა ფორმის მწყობრ ზასიათში, არამედ ინტონაციის გულში ჩამწვდომობაში“<sup>5</sup>.

მიუზბრუნდეთ ისევ ზემოთ თქმულს. სახარებაში არ ჩანს პერსონაჟთა გარეგნული თვისებები. მთელ წიგნში ერთადერთი შემთხვევაა, სადაც აღნიშნულია, რომ ვინმე ზაქე ყოფილა ტანდაბალი. ძალიან სურდა იესოს ხილვა, და რადგან გარშემორტყმული ხალხი მას ამის საშუალებას არ აძლევდა, ხეზე ასულა. „და ამა ესერა, კაცი ვინმე და სახელად მისი ზაქე... და უნდა ხილვად იესუსი, ვინ-ძი არს და ვერ უძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ პასაკითა იყო მკირე“ (ლუკა, 19, 2—3).

მოქმედების არენა მაქსიმალურად დაცლილია საგანთაგან. ფონი ძლიერ ლარიბი და პირქუშია. სახარებაში წარმოდგენილი მატერიალური სამყარო, ძირითადად, სიმბოლური შინაარსის მქონეა და ამასთან ერთად ის თითქმის მოკლებულია თვისებებს, მეტად უღიმამოდ, უფერულად გამოიყურება. აქა-იქ ძუნწად გვხვდება განსაზღვრებები, რომელთაც ვერავითარ შემთხვევაში ეპითეტს ვერ ვუწოდებთ.

რამდენიმე მაგალითს მოვიყვანო მხოლოდ მათეს სახარებიდან, რადგან სურათი არც სხვა თავებში იცვლება:

„ხოლო საზრდელად მისი იყო მკალი და თაფლი ველური“ (3, 10).

„ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღის“ (7, 17).

„არავინ დაადგის სადგმელი უმურკვენილი სამოსელსა ძუელსა... არცა შთასხიან ლეინოა ახალი თხიერთა ძუელთა... არამედ შთასხიან ლეინოა ახალი თხიერთა ახალთა“ (9, 16—17).

<sup>2</sup> С. С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977, გვ. 106.

<sup>3</sup> История всемирной литературы, М., 1983, т. I, გვ. 507.

<sup>4</sup> Лессинг, Лаокоон, М., 1957, გვ. 182.

<sup>5</sup> История всемирной литературы, т. I, გვ. 508.



„და რომელმან ასუას ერთსა მცირეთავანსა სასუმელი ერთი წყალი გარდილი სახელად მოწფისა, ამენ გეტყვ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი“ (მათე, 10, 42).

„რამსა გამოხუედით ხილვად? კაცისა ჩჩვლითა სამოსლითა შემოსსსსსსსსსსს“ (11, 8).

„და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და დაიწყო დანთქმად“ (14, 30).

„და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შემოსეს მას“ (27, 28).

„და მოილო გუამი იგი მისი იოსებ და წარგრაგნა იგი ამრენაქსა წმიდასა“ (27, 59). ვფიქრობთ, საკმარისია.

რაც შეეხება პლასტიურობას, მისი გამორიცხვა სახარების პოეტიკიდან, ალბათ, მართებული არ იქნება.

ამ საკითხის შესახებ ძლიერ საყურადღებო დაკვირვებებს იძლევა ე. აუერბახი: „ახალ აღთქმაში... გრძნობად-თვალსაჩინო არ არის შედეგი სინამდვილის ცნობიერი მიბაძვისა და ამიტომ იშვიათად გამოისახება. ის გამოვლინდება მხოლოდ იმიტომ, რომ მჭიდროდ უკავშირდება მოვლენებს, რომლებზეც ყვებიან, ის იხსნება შინაგანად აღელვებულ ადამიანთა ქესტებსა და სიტყვებში, მაგრამ ავტორები სრულიადაც არ ზრუნავენ იმაზე, რომ კონკრეტულ-გრძნობადს გარკვეული ფორმა მისცენ“<sup>6</sup>.

აქედან ნათელია, რომ გრძნობად-თვალსაჩინოს გამოსახვისათვის თუმცა არ ზრუნავენ სახარების ავტორები, ის მაინც გამოვლინდება. ავიღოთ, მაგალითად, მათეს სახარების მე-14 თავი. იესომ მოწაფენი აიძულა ნაეში ჩამსხდარიყვნენ და გასულიყვნენ გაღმა. თვითონ დარჩა, ერი განუტევა. მთაზე ავიდა და ილოცა. შეღამდა, ის კი მარტო იყო. „ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან და იგუემებოდა ღელაათაგან, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო.

და მეოთხესა საკუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვითა ზღუასა მას ზედა.

ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს, ვილოდა რაჲ ზღვასა მას ზედა, შეძრწუნდეს და თქუს: ვითარმედ: საოცარ რაჲმე არს და შიშისაგან დაღად-ყვეს.

მეყსეულად ეტყოდა მათ იესუ და ჰრქუა: კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!

მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: უფალო, უკეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა.

ხოლო მან ჰრქუა: მოვედ! და გარდამოვიდა პეტრე ნავით და ვილოდა წყალთა მათ ზედა და მოვიდოდა იესუსა.

და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დანთქმად, ღალად-ყო და თქუა: უფალო, მიცსენ მე!

და მეყსეულად განყო კელი იესუ და უპყრა მას და ჰრქუა: მცირედმორწმუნეო, რამსა შეორგულდი?

და ვითარცა აღვიდეს იგინი ნავსა მას შინა, დაცხრა ქარი იგი“ (14, 25—32).

აქ შეიძლება დავინახოთ ზღვაზე მავალი მაცხოვარი, ღელვისაგან ატორტმანებული ნავი და შეშინებული მოწაფეები, მერე პეტრე, რომელიც მიდის მოძღვრისაკენ ზღვა-ზღვა, მაგრამ ეშინია ძლიერი ქარისა და იწყებს დანთქმას. უფალი ხელს უწყდის თავზარდაცემულ მოწაფეს.

ამ სურათის წარმოდგენა აღელვებულ ადამიანთა სიტყვებისა და ქესტების საშუალებით შეიძლება.

<sup>6</sup> Э. Ауербах, Мимесис, М., 1976, 33-67.



სახარებაში მეტი პლასტიკური სიციხადით აღბეჭდილი სურათებიც შეიძლება დაიძებნოს:

„და ვითარცა გამოვიდა იგი ნავით, მეყსეულად მოეგებვოდა მას საფლავსა და ბისაგან კაცი, რომლისა თანა იყო არაწმიდად სული, რომელსა საყოფლობდნე აქუნდა საფლავები და არცალა ჭაჭუეებით ვის კელ-ეწიფა შეკრვად იგი.“

რამეთუ მრავალ-გზის ჭაჭუთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და განხეთქის და შემუსრის, და არაეის ეძლო დაყენებად მისა.

და მარადის ლამე და დღე საფლავებსა და მათთა გარე იქცევიან, ლალადებნ და დაიკოდნ თავსა თვსსა ლოდითა.

და ვითარცა იხილა მან იესუ შორით, მორბიოდა და თაყუანის-სცა“.

ცხადია, ავტორს არ ჰქონია მიზნად, გრძნობად-კონკრეტული სინამდვილის ხატი შეექმნა, მაგრამ მაინც საკმაოდ თვალსაჩინო სურათი მივიღეთ.

აქ დროული იქნება გავიხსენოთ, რომ, ლესინგის დაკვირვებით, პოეზია ხილულ სახეებს ქმნის მოძრაობა-მოქმედებათა ხატვის საშუალებით. საგნის ან მოვლენის აღწერა სიტყვიერ ხატს ვერ მოგვცემს. გამოსახულება უნდა ამოძრავდეს<sup>7</sup> და მხოლოდ ამ გზით იქცევა გამოსახულებად.

„ჰომეროსი არაფერს გამოსახავს თანმიმდევრული მოქმედების გარდა და ყველა ცალკეულ საგანს იგი ხატავს მოქმედებაში მათი მონაწილეობის საზომით, ამასთან ჩვეულებრივ ერთი თვისებით... თუ ჰომეროსს სურს, მოგვითხროს, როგორ იყო ჩაცმული აგამემნონი, იგი აიძულებს მას, ჩვენ თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით ჩაიცივას მოკაზმულობის ნაწილები: რბილი ქიტონი, განიერი ლაბადა, ლამაზი სანდლები, ხმალი, მხოლოდ ჩაცმული იღებს მეფე სკიპტრას. ჩვენ ვხედავთ ტანსაცმელს მაშინ, როცა პოეტი თვით ჩაცმის პროცესს გამოსახავს“<sup>8</sup>.

რაც შეეხება მახარებელს, მას სულაც არ სურს, გვითხრას, როგორ არიან ჩაცმული მისი გმირები, თუ არ ჩავთვლით ორიოდ გამოჩაყლისს.

„ნოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისთა“ (მათე, 3, 4). ანალოგიურად აღწერს იოვანეს სამოსელს მარკოზიც.

მატხოვრის შესახებ მათე გვეუბნება, რომ წამების წინ „განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას“ (27, 28).

„შეჰმოსეს მას ძოწეული და დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გვრგვნი“ (მარკოზი, 15, 17).

„განკიცხეს იგი და შეჰმოსეს მას სამოსელი ბრწყინვალე“ (ლუკა, 23, 11).

„და ერისაგანთა მათ შეთხზეს გვრგვნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და სამოსელი ძოწეული შეჰმოსეს მას“ (იოანე, 19, 2). ეს არის და ეს.

სახარებაში, ჯერ ერთი, საგნობრივი სამყარო წარმოდგენილია ძლიერ ძუნწად, და თუ მახარებელი მაინც ახსენებს მატერიალურ საგნებს სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ, არ ხატავს მას, არ უძებნის ეპითეტს, მკითხველის თვალს არ აჩერებს მასზე, ჰომეროსი კი, რომ გამოაჩინოს საგანი, ამ შემთხვევაში ტანსაცმელი, მარტო ამოძრავებას არ სჯერდება მისას. მივაქციოთ ყურადღება, რომ ქიტონი რბილია, ლაბადა — განიერი, სანდლები — ლამაზი. ეპითეტი ჰომეროსისათვის აუცილებელია, რათა წარმოაჩინოს „ყველა მოვლენა ნათელი, გრძნობად-კონკრეტული სახით“<sup>9</sup>.

მოძრაობა-მოქმედებას მახარებელიც გამოსახავს, სახარების პასაჟებში

<sup>7</sup> გ. ფარულავა, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982, გვ. 137.

<sup>8</sup> ლესინგ, ლაოკოონ, გვ. 188.

<sup>9</sup> Э. Ауэрбах, Мимесис, გვ. 26.

მოდრაობს სხეული, მაგრამ მკითხველი ვერ ხედავს მის ვერც ერთ გარკვეულ თვისებას. ამიტომ, რასაკვირველია, არ გვაქვს ის სინათლე, გრძნობადი კონკრეტულის იმგვარი თვალსაჩინოება, რაც დამახასიათებელია ჰომეოპათიისთვის. მოქმედება სახარებაში თითქოს თხელი ნისლის საფარველის მიღგამგებლობაა. მაგრამ ზოგჯერ დაჰყრილია პერსონაჟის ისეთი მეტყველი მოძრაობა, რომელიც შემძლეა, ანაზღაუროს ნებისმიერი ეპითეტის, ან სხვა პოეტური საშუალების დანაკლისი და შექმნას მკაფიო პლასტიკური ხატი. ასეთია იესოს უსიტყვო მზერა, პეტრესაქენ მიმართული, ლუკას სახარებიდან. როგორც ვიცით, მოწაფე ჰპირდება საყვარელ მოძღვარს, რომ თავს დადებს მისთვის, მაგრამ ვერ შეასრულებს თავის სიტყვას. ახდება უფლის წინასწარმეტყველება — დღეს ქათმის ყვილიამდე სამგზის უარმყოფო.

„და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყვანეს და შეიყვანეს სახლსა მდღელთ-მოდღურისასა. ხოლო პეტრე მისდევდა შორით.

და აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა მას და გარემოასხდეს იგინი; დაჯდა პეტრეცა შორის მათსა.

და იკილა მკველამან ვინმე მჯდომარე ნათელსა მას, მიჰხედა მას და თქუა: ესეცა მის თანა იყო.

ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: დედაკაცო, არა ვიცი იგი.

და მცირედ-რე შემდგომად იხილა იგი სხუამან და თქუა: და შენცა მათთანაა ხარ. ხოლო პეტრე თქუა: კაცო, არა ვარ მათთანაა. და ვითარცა წარჯდა ყამი ერთი, სხუად ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა: ჰეშმარიტად ესეცა მისთანავე იყო, და რამეთუ გალილეველ არს.

ხოლო პეტრე ჰრქუა მას: კაცო, არა ვიცი რასა იტყვ. და მეყსეულად ვიდრე იტყოდალა ამას, ქათამმან იყივლა.

და მოიქცა უფალი და მიხედა პეტრეს.

და მოეცენა პეტრეს სიტყუად იგი უფლისაჲ, რომელ ჰრქუა მას, ვითარ-მედ: ვიდრე ქათმისა გმობადმდე სამგზის უვარ-ყო მე.

და განვიდა გარეთ და ტიროდა მწარედ“ (ლუკა, 22, 54—62).

თავისებური პლასტიკური სიცხადე ამ პასაჟს არც საერთოდ აკლია, მაგრამ მის ფონზე განსაკუთრებით მკაფიოდ მაინც ეს მზერა იხატება. გამოიკვეთა მოვლენის გარეგნული მხარე, მაგრამ ეს ისევ და ისევ სულიერი შინაარსის წარმოჩენას ემსახურება. ამგვარ მეტყველ სხეულებრივ ყესტებს ხშირად ვერ ვხედავთ სახარებაში. შეიძლებოდა მოგვეყვანა პლასტიკური ხატვის კიდევ ერთი მშვენიერი მაგალითი. იოანე მოგვითხრობს: მწიგნობრებმა და ფარისეველებმა იესოს წარუდგინეს მრუში დედაკაცი „და ჰრქუეს მას, რამეთუ გამოს-ციდიდეს: მოძღუარ, ესე დედაკაცი ცხადად მრუშებასა დაეპყრა. და მოსე ამცნო სჯულსა შინა ჩუენსა ესევეითართა ქვისა დაკრებაჲ. შენ უკუე რასა იტყვ?... ხოლო იესო ქუეყანად დადრკა და თითითა ქუეყანასა წერდა და არარას ეტყო-და. და ვითარ მყოვარ დგეს და ჰკითხვიდეს მას, აღემართა ზე და ჰრქუა მათ: ვინ უცოდველ არს თქუენგანი, პირველად მან დაუტევენ ქვაჲ მაგას ზედა. და კუალად ქუე დადრკა და წერდა ქუეყანასა“ (იოანე, 8, 4—8).

„იესუ ქუეყანად დადრკა და თითითა წერდა და არარას ეტყოდა... აღემარ-თა ზე და ჰრქუა მათ... და კუალად ქუე დადრკა და წერდა ქუეყანასა“, — სხე-ულის მოძრაობის დაფიქსირება ასეთი ნიუანსებით საერთოდ არ არის დამახა-სიათებელი სახარებისათვის. ეს ერთადერთი გამოჩენილია.

საბოლოო ჯამში მდგომარეობა ასეთია: მატერიალურ საგანთა სამყაროს სურათი სახარებაში მაინც გვაქვს, მაგრამ იგი არ არის შედეგი გრძნობადი სუ-ნამდვილისადმი ცნობიერი და გამიზნული მიბაძვისა. ვნახოთ, რას გვიჩვენებს



ლად ეკლესიასა<sup>14</sup>, სასახლეში დაბრუნებული „არა დაჯდა იგი თვისსა მის გელიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა“<sup>15</sup>. „და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, მოვიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა იხია მცირემ სენაკი და მუნ დაეყუდა, იყო სენაკსა მას მცირემ სარკმელი და დაყო“<sup>16</sup>.

მდიდრულ სასახლეში დედოფალი სწორედ მცირე სენაკებს ეძებს, რომ განმარტოვდეს თავის სევდა-ნაღველთან, უკანასკნელ ამქვეყნიურ თავშესაფრადაც მცირე და ბნელ სენაკს მიუჩენენ. ესაა მთელი დეკორაცია მოქმედებისა. დასასრულს, ამას ემატება „ალიზი ერთი“, „გირჩაკი ძველი“, „სასათული ერთი ხალენისა“, „კილიკი ერთი მცირემ“: „და მიერ დღითგან ვინაითგან პურობილ ყვნეს იგი ციხესა მას შინა, სასათულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა ალიზი ერთი დაიდვის სასთუნალ და ქუესავებელად იყო გირჩაკი ერთი ძველი და კაცთა თულისა სასათული ერთი ხალენისა უცნ სასთუნლით კერძო. და თავუანისსაცემელად კილიკი ერთი მცირემ წარუღვებდი“<sup>17</sup>.

თუ მატერიალური საგნის აღწერა მისი პლასტიკური ხატის შექმნის გარანტიას ვერ იძლევა, იმაზე მაინც მიგვანიშნებს, რომ ეს საგანი მწერალს აინტერესებს. „შუშანიკის წამების“ ზემოთ მოხმობილ მონაკვეთებში საგნები აღწერილი არ არის, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ახლავს განსაზღვრება, თანაც თითონ ორი — ჰომეროსისებურად: „სახლაკი ერთი მცირემ“, „სენაკსა შინა მცირესა“, „სახლაკი მცირემ და ბნელი“, „გირჩაკი ძველი“, „კილიკი ერთი მცირემ“. თვალშისაცემია განსაზღვრებათა (ძნელია მათ ეპითეტები ვუწოდოთ) ერთფეროვნება, სიმწირე. რა თქმა უნდა, გარკვეული თვალსაზრისით ეს საგნები იაკობ ხუცესს აინტერესებს. მათ უნდა წარმოაჩინონ ზორციელ პატივზე ამალეებული დედოფლის სული. მაგრამ ამავე დროს ხაზგასმულია მატერიალური გარემოთი მწერლის დაუინტერესებლობა. ამას ადასტურებს თუნდაც მრავალგზის გამეორებული განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი — „ერთი“.

უქველად გრძნობად-კონკრეტული სიციხადით გამოირჩევა პეიზაჟი „შუშანიკის წამებიდან“: „ქამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუფელი იგი მხურვალეზა მზისა, ქარნი ზორშაკი და წყალნი მავნებელნი...“<sup>18</sup>. მაგრამ თვალისათვის არ არის გამიზნული ეს ხატი. მატერიალური სამყარო აქ სხვა თვისებებით შემოდის მკითხველის აღქმაში. გრძნობ მზის მხურვალეზას, სახეში გეხლება ცხელი ქარების სუნთქვა და მხოლოდ ამის მეორე, თუმცა არსად ფერის ხსენება არ არის, ასოციაციით ჩნდება ფერი ხვატისა, გვალვისა, მტერის ფერი და ამ მოყვითალო მტვერში გახვეულნი ნაღვლიანად შემოგაქცევრდებიან „მკვდრნიცა მის ადგილისანი საცხენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამქნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი“<sup>19</sup>.

სახარებაშიც ვაკრთება დროდადრო რაღაც ჩანასახი პეიზაჟისა. ამჟერად თავი დავენებოთ იმას, თუ რა აქვს მიზნად ამ დროს ავტორს, ან რა კონტექსტში გვხვდება ბუნების სურათი, თვითონ ფაქტზე შეგჩერდეთ. აი, ერთი მაგალითი: „ხოლო თავადმან მიუგო და პრქუა მათ: შე-რაად-მწუხრდის, თქუთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ.“

<sup>14</sup> ძეგლები, I, გვ. 13.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> იქვე.



და განთიად თქუთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კინავს მწუხარედ ცაჲ“ (მათე, 16, 2—3). „კინავს მწუხარედ ცაჲ“, — ეს უკვე მხატვრობაა.

როგორც ვთქვით, იაკობ ხუცესი პერსონაჟთა გარეგნულ სახეს არ ქმნის, მაგრამ მოვიგონოთ, როგორ ჩივის შუშანიკი: „მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჰნო, შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა“<sup>20</sup>. ესე იგი, ის მეტად მომხიბლავი ქალი ყოფილა. ამ პასაჟში ნათლად ვლინდება, რომ მწერალი ადამიანის მატერიალურ, ხორციელ ბუნებას აღიქვამს, როგორც სილამაზეს.

ჩვენ არ ვიცით, როგორი სხეულებრივი სახე აირჩია მაცხოვარმა ამქვეყნად მოვლინებისათვის, ლამაზი იყო იგი თუ ულამაზო. რომანტიკული (ქრისტიანული) ხელოვნების შესახებ ჰეგელი ამბობს: „ის თავის შინაგანს გარეგანად შემთხვევით ქმნილებაში აწნავს და საკმაო ადგილს უთმობს ულამაზოს მკვეთრად გამოხატულ ხაზებს... გარეგანს უკვე აღარ შეუძლია ემსახუროს შინაგანის გამოხატულებას... ხელოვნება ნაკლებ ყურადღებას უთმობს გარეგნულ მხარეს. ის ამ უკანასკნელს ღებულობს იმ სახით, როგორც უშუალოდ შეხვდებოდა“<sup>21</sup>. შემთხვევითობა არ გამოირიცხავს იმას, რომ მშვენიერი სული მშვენიერ სხეულში მოთავსდეს. ოღონდ აშკარად ჩანს, რომ „შუშანიკის წამების“ ავტორისათვის ლამაზი გარეგნობა არის გარკვეული უპირატესობა, ხელოვანი სულაც არ უვლის მას გვერდს გულგრილად, როგორც რაღაც შემთხვევითსა და უმნიშვნელოს.

ხილული სამყაროს გამოსახვისათვის ოდნავადაც არ ზრუნავს „ევსტათი მცხეთელის წამების“ ავტორი, მაგრამ მის თხზულებაშიც არის ერთი შემთხვევა, რომელიც არ შეიძლება ჩვენთვის ინტერესმოკლებულად ჩაითვალოს.

როგორც ვიცით, ევსტათის სამოელ არქიდიაკონი ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შინაარსს უამბობს. აქ ვკითხულობთ: „და მერმე მოვიდოდა ადგილსა ერთსა და იყო მუნ ველი შუენიერი და მოხედა ერსა მას, რომელი უკუანა შეუდგა მას“<sup>22</sup>. ამას მოსდევს მოთხრობა ერის ხუთი პურიტა და ორი თევზით გაძღომის შესახებ.

ენახოთ, რას გვეუბნებიან მხარებლები:

„და უბრძანა ერსა მას დასხდომად თივასა ზედა“ (მათე, 14, 19).

„და უბრძანა მან დასხდომად მათ ყოველთაჲ პურისმტედ-პურისმტედ მწუანვილსა ზედა თივისასა“ (მარკოზი, 6, 17).

„და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ველსა“ (ლუკა, 6, 17).

„და იყო თივაჲ ფრიად ადგილსა მას და დასხდა კაცები იგი“ (იოანე, 6, 10).

აქ ჩვეულებრივზე მეტ ყურადღებას იჩენენ მატერიალური გარემოსადმი მხარებლები: მიუთითებენ, რომ ველზე ბალახი ყოფილა, იოანეს თქმით კ, ეს ბალახი ხშირიც არის. მაგრამ განზრახვისაგან — განგვაცდევინონ ბუნების მშვენიერება — ისინი ძალიან შორს არიან. „ევსტათი მცხეთელის წამების“ ავტორზე კი მაინც ასეთი ზემოქმედება მოუხდენია ადგილმდებარეობის ზემოხსენებულ აღწერებს. პაგიოგრაფი აღიარებს, რომ მშვენიერია სამყარო, რომელიც მთლიანად დარჩა მისი თვალთახედვის გარეთ, მაგრამ ეს აღიარებაც ფასეულია.

იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებაჲ“ მკითხველის თვალს ბევრს არაფერს სთავაზობს. მწერლის „სიტყუათა“ სამასპინძლოდ უწინარეს ყოვლისა „სასმენელთა“ და „გულისა და გონების ყურთა“ გამახვილებაა საჭირო,

<sup>20</sup> იქვე, გვ. 26—27.

<sup>21</sup> Гегель, Лекции по эстетике, Соч., Т. XIII, М., 1940, გვ. 96.

<sup>22</sup> ჭეგლევი, I, გვ. 39.



როგორც თვით ითხოვს ჩვენგან, მაგრამ მის თხზულებაში ისეთი სურათები შეინიშნება, რომლებიც თვალსაჩინოებას არ არის მოკლებულნი.

აბოს ამირა სიკვდილით აშინებს, წმინდა მოწამე კი უპასუხებს: „უკუეთო მოკვლე, მრწამს მე, რაათა ქრისტეს თანა ვცხოვნდე, ზოლო შენ რასა განაგრძობ? რაჲ გებულების ჩემ ზედა, იქმოდე, რამეთუ მე ვითარცა კედელს მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუან შენნი, რამეთუ გონება ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცასა“<sup>23</sup>.

კედელს მიყრდნობილი ამირა — ეს სავსებით მიწიერი, კონკრეტული ხატია მკითხველი მას ხედავს და სწვდება ამ სურათის უკან მდებარე შინაარსობრივ ნიუანსსაც. აბოს სულიერ შემართებას, სიმტკიცეს, წამებისათვის მზადყოფნას ამირას გულგრილი, არზენი, უზრუნველი განწყობილება უპირისპირდება, რაც ამ ზანტი მოძრაობით — კედელზე მიყრდნობით — არის წარმოჩენილი. სულს ხვავა, როცა შუშანიკი ეყრდნობა „ყურესა ერთსა“ და ტირის.

უეჭველია, ამირა ასე მანამდე დგას, სანამ წონასწორობიდან არ გამოიყვანს აბოს სიტყვები: „უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაჲ მისი (ქრისტესი), შენცა გრწმენინ ქრისტმ და ნათელ-ილე მისა მიმართ და მაშინდა ღირს იქმნე ცნობად სიტკბოებისა მისისა“<sup>24</sup>.

აქ საინტერესოა ისიც, რომ კონკრეტული სიცხადით აღბეჭდილი სახე ამირას მკითხველის ცნობიერებაში შემოდის აბოს აღქმაში არეკვლის გზით. „ეს არის ხატი ერთი პერსონაჟისა, როგორც იგი მეორის აღქმაში აირეკლება, ერთი გმირის პროექცია მეორეში“<sup>25</sup>.

აბოს თავი მოჰკვეთეს, მისი გვაში დაწვეს და ძვლები მტკვარში გადაყარეს. „მაშინ იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტეანეთამან და განავდეს შიში მძლავრთაჲ მათ და განვლიდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაცა დაიწუნეს კორცნი იგი წმიდისა მოწამისანი; მოხუცებულნი მორბიოდეს კუერთხებითა თვისთა, მკელობელნი წვდომით, ვითარცა ირემნი, ჭაბუკნი სრბით, ყრმანი კდომით ურთიერთას...“<sup>26</sup>.

აქ კონკრეტულ-გარძნობადს გარკვეული სახე აქვს და ისიც ცხადია, რომ სურათი სინამდვილისადმი ცნობიერი მიზანძვის შედეგად დაიხატა. იოანე საბანისძემ „იზრუნა“, რომ თვალსაჩინო გაეხადა სანახაობა. აღელვებულ ადამიანთა ეს სრბოლა მან გაანათა. შუქი ხან კვერთხზე დაყრდნობილ მოხუცებულებს ხედება, ხან კოკლებს, ხან ირმეებით მორბენალ ჭაბუკებს, ხანაც ბავშვებს, რომლებიც ცდილობენ, ერთმანეთს არ ჩამორჩნენ.

იოანე საბანისძე განაგრძობს: „დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მოაქუნდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა საფლავს, ნანდკლვე იყვნეს ესენიცა მსგავს მათა, რამეთუ რბიოდეს ცრემლითა და მიაქუნდა მათ თანა სანთლები და საკუმეველი ქელითა თვისთა“<sup>27</sup>.

ქრისტეს საფლავზე ნელსაცხებელი ქალებს მიაქვთ მარკოზისა და ლუკას მონათხრობით:

„და ვითარცა გარდაცდა შაბათი იგი, მარიამ მაგდალენელმან და მარიამ იაკობისმან და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, რაათა მოვიდენ და სცზონ მას. და ნიად განთიადსა მას ერთშაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა მერმე აღმოსლვასა ოდენ მზისასა“ (მარკოზი, 16, 1—2).

<sup>23</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>25</sup> გ. ფარულავა, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

<sup>26</sup> ძეგლები, I, გვ. 74.

<sup>27</sup> იქვე.

„და წარვიდეს (დედანი) და დაჰმზადეს სურნელი ნელსაცხებელი და შაბათი იგი და-ლა-იდუმეს მცნებისა მისთვის.“

ხოლო ერთსა მას შაბათსა მსოფლად მოვიდეს საფლავსა მას და მოაქუნდა, რად-იგი მოემზადა სულნელები და სხუანი ვინმე მათ თანა“ (ლუკა, 23, 56; 24, 1).

როგორც ვხედავთ, არც მარკოზთან, არც ლუკასთან არ არის ნათქვამი, რომ მენელსაცხებლუ ქალებს „სრბით მოაქუნდათ სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა“. ისინი მხოლოდ მას შემდეგ გარბიან, რაც შეიტყობენ, რომ მოძღვარი მკვდრეთით აღდგა, გარბიან, რათა ეს ამბავი მოწაფეებს გააგებინონ: „ხოლო ივინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა, მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა“ (მათე, 28, 8).

„გამოვიდეს და ივლტოდეს მიერ საფლავით...“ (მარკოზი, 16, 8).

ლუკას მონათხრობის მიხედვით, პეტრე გარბის ქრისტეს საფლავზე, რომ სიმართლესი დარწმუნდეს: „ხოლო პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად და შთახედნა საფლავსა მის...“ (ლუკა, 24, 12).

როგორც იოანე გვიამბობს, მარიამ მაგდალენელი მიირბენს მოწაფეებთან და ეუბნება, რომ „აღიღეს უფალი საფლავისაგან“. „რბიოდა და მივიდა სიმონ-პეტრესა და სხვა მის მოწაფისა, რომელი უყუარდა იესუს...“

გამოვიდა პეტრე და სხუად იგი მოწაფე და მოვიდოდეს საფლავად. რბიოდეს ორნივე ზოგად. ხოლო სხუად იგი მოწაფე წინა რბიოდა უადრეს პეტრესსა და მოვიდა პირველად საფლავად“ (იოანე, 20, 2—3—4).

ასე რომ, იოანე საბანისძემ ცოტათი შეცვალა სახარების ეს პასაჟი და მცვლილებით უფრო დინამიკური და უფრო თვალსაჩინო გახადა სურათი, რაც ისევ იმავე სახარების სხვა პასაჟების გავლენით აიხსნება.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუმცა მწერლის მიზანი იყო, გამოესახა სულიერი „სრბა“, მას არც სანახაობრივი მხარის გამოსახვისათვის დაუკლია ზრუნვა და ეს, მეორე, გამოიყენა, როგორც საშუალება პირველად მისაღწევად.

ჩვეულებრივ, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება სასწაულები. ღვთის მოვლინება მიწიერ სინამდვილეში უშუალო ბუნებრივ არსებობას გარდაქმნის, ბუნების კანონებს არღვევს.

აბოს მოკელის შემდეგ, „ვითარცა შემწუხრდა დღე იგი და იყო ყამი პირველი დამისაჲ მის, გარდამოავლინა უფალმან მას ზედა ვარსკულავი მოტყინარჲ, ვითარცა ლამპარი ცეცხლისაჲ... რომელი გამოუტევებდა ბრწყინვალეობასა არა თუ ვითარცა ცეცხლი ესე ქუეყანისაჲ, არამედ ვითარცა საშინელეობაჲ ელვისაჲ, რომელსა ჰხედვიდეს ყოველი მოქალაქენი, მსაჯულიცა-იგი და ყოველი ერი და მკვდრნი იგი ქრისტეანეთანი და ყოველნი სარკინოზნი და მწირნი, სხვთ მოსრულნი... ხოლო კუალად მეორესა ღამესა უმეტესლა წყალთა გამოსცეს განსაკრევებელი ნათელი, რომელთა-იგი საუცარ ეგონა ქუეყანასა ზედა და ჰაერსა ქუეშე ცეცხლი იგი ზეცისაჲ, უნდა დაფარვად საკრეველებათა მათ, კუალად წყალთა ვერვე დააყენეს და ვერცა დაშრიტეს ფიცხელთა მათ მფოფიარეთა ღელეთა და სიღრმეთა, სადა-იგი შთაყარნეს ღმრთივ-პატივ-ცემულნი იგი ძუალნი სანატრელისა მის მოწამისანი, კიდსა მას ქუეშე, აღმობრწყინდეს ნათელნი სუეტისა მსგავსად, ვითარცა ელვანი, რომელი კუალად მყოვარ-ყამ დგეს და განათლებულ იყო გარემოჲს კიდეთა მის მდინარისათა კლდე იგი და კბოდენი და კიდი იგი, ზმთვან ვიდრე ქუედმდე, რომელსა ეგრევე ყოველი სიმრავლემ ქალაქისაჲ ჰხედვიდა“<sup>28</sup>.

<sup>28</sup> ძეგლები, I, გვ. 74—75.

ასე რომ, სასწაული „აბოს წამებაში“ წარმოდგენილია როგორც ზილული დიდება ღვთისა, მისი აღქმა შეიძლება ხორციელი მზერით. ამიტომ მისი, რომ იოანე საბანისძის მიერ აღწერილ ამ სასწაულებს ხედავს ყოველი ერი, ხედავენ ქრისტიანებიც და სარკინოზებიც და არა რჩეულნი მხოლოდ, რომელთაც სულიერი მოღვაწეობით მოამზადეს თავი ღვთის უხილავი დიდების სახილველად.

ქრისტეს მეორედ მოსვლა მათეს სახარებაში შემსგავსებულია ელვის გამობრწყინებასთან: „რამეთუ ვითარცა ელვაა რაა გამობრწყინდის მზისა აღმოსავლით და ჩანან ვიდრე დასავალამდე, ეგრეთ იყოს მოსლვაა ძისა კაცისაჲ“ (24, 27).

ასევე ელვის სახით ეცხადება ქრისტეს საფლავის მცველებს უფლის ანგელოზი: „ხოლო იყო ხილვაა მისი, ვითარცა ელვაა და სამოსელი მისი სპეტაკი, ვითარცა თოვლი“ (მათე, 28, 3).

იოანე საბანისძე სურათებს სახარების სახეთა კვალობაზე ქმნის, მაგრამ წყაროსაგან განსხვავებით მის თხზულებაში „სუეტის მსგავსი ნათელნი... ვითარცა ელვანი“ ცარიელ, შეუფხვებელ სივრცეს კი არ ანათებენ, არამედ მისდგომიან „გარემოას კიდეთა მის მდინარისათა“ და მათ შუქზე მოჩანს „კლდე იგი და კბოდენი და კიდი იგი, ზმთვან ვიდრე ქუეღმდე“.

სასწაული ამ შემთხვევაში გადაშლილია როგორც სანახაობრივი სურათი. თუ ჰაგიოგრაფის თვალს ჩვეულებრივი, ბუნების კანონებს დამორჩილებული საგნობრივი სამყარო მაინცდამაინც არ იზიდავს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასწაულის ძალით სახეცვლილი სამყარო მისთვის მშვენიერია და ამ მშვენიერების გამოსახვისათვის იგი ცნობიერად ზრუნავს.

აქვე იოანე საბანისძე ძლიერ მოხდენილ ეპითეტებს იყენებს მატერიალური მოვლენის დახატვისათვის: „ცეცხლი იგი ზეცისაჲ... კუალად წყალთა ვერე დააყენეს და ვერცა დაშრიტეს ფიცხელთა მათ მფოფინარეთა ღელვათა და სიღრმეთა“. ეს ეპითეტები იმაზე მეტყველებს, რომ მწერალმა იზრუნა, კონკრეტულ-გარკმობადისათვის გარკვეული ფორმა მიეცა. როცა რომელიმე მახარებელი აღწერს ზღვის ღელვას, ეპითეტს არ ეძებს: „ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან და იგუემებოდა ღელვათაგან, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო“ (მათე, 14, 24). მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა მარკოზის (4, 37), ლუკას (8, 23), იოანეს (6, 18) სახარებათაგან.

რასაკვირველია, მდინარის ზვირთებს მშვენიერების გამო არ მიუპყრია იოანე საბანისძის ყურადღება. მატერიალური მოვლენის დახატვა მას სწორედ იმისთვის დასჭირდა, რომ მისი უძლურება ეჩვენებინა ღვთის ნების წინაშე.

ს. ავერინცევი შენიშნავს, რომ „სანახაობრივი“ მიდგომა საგნებისადმი არის დომინანტა ანტიკური კულტურისა და ცხოვრებისა<sup>29</sup>. რომანტიკული (ქრისტიანული) ხელოვნების შესახებ კი ჰეგელი წერს: „შინაგანი დაყვანილია ისეთ სინატიფემდე, რომ წარმოადგენს გარეგნულობას მოკლებულ გამოთქმას, ის თითქოს უხილავად უსმენს მხოლოდ თავის თავს. ეს არის ხმოვანება საგნობრიობისა და სახის გარეშე“<sup>30</sup>.

ჩვენ ნაწილობრივ უკვე ვაჩვენეთ, რომ სახარებასა და ქართულ ჰაგიოგრაფულ თხზულებებში აი ასეთ ფონზე (როცა „შინაგანი დაყვანილია ისეთ სინატიფემდე, რომ წარმოადგენს გარეგნულობას მოკლებულ გამოთქმას“) დროდადრო საგნობრივი სამყაროს საკმაოდ ნათელი სურათები იკვეთება.

როცა თვალი ვერაფერს ხედავს, შინაგანი ცხოვრება თავისთავს უსმენს,

<sup>29</sup> С. С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, с. 54.

<sup>30</sup> Гегель, Сочинения, т. 13, с. 97.

საგნობრიობისა და სახის გარეშე ხმოვანებს, მკითხველი იძაბება, იღლებს. მოვლენათა სანახაობრივი მხარის იმგვარი გამონათება, სახარებასა და ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში რომ ვხვდებით, გვასვენებს, ურადღების გადართვაც ხდება სულიერი პროცესებიდან ვიზუალურ მხარეზე, რაც იმავე სულიერი პროცესებისადმი ინტერესის კვლავ განახლებასაც უწყობს ხელს.

ხელშესახებ პლასტიკურ ხატებს ვხვდებით სტეფანე მტბევარის „გობრონის მარტილობაში“: „მოვიდეს და მოადგეს ციხესა მას ყველისასა, რომელნი ხუთისა სოფლისა საზღვართა და ოდენ ეტიენეს იწროებით და საბელნი იგი კარვებისა მათისანი განეთხზნა ურთიერთას... და სიმრავლმ ტყორცებულთა მათ ისართამ შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა... და ბრძოლასა მას ფიცხელსა მკნე იქმნეს ციხოვანი იგი და დავოცდეს მბრძოლთა მათ, დაჰყრიდეს კორცთა მათთა, ვითარცა სკორესა ქუეყანასა“<sup>31</sup>. აქ დიდი მხატვრული ძალით არის ამტყვევებული გრძნობადი სინამდვილე, „მოძრაობათა დინამიკურ რიტმში... მკითხველის თვალწინ გადაიშლება ადამიანების ფიგურებით, საგნებით, შუქ-ჩრდილებით... მდიდარი ეპიური ტილო“<sup>32</sup>.

საყურადღებოა, რომ მიწიერი მოვლენის გათვალსაჩინოებისათვის ჩვენ მიერ განხილული ჰაგიოგრაფიული თხზულებების არც ერთ ავტორს არ მოუბნია ფერი. ამ მხრივ გამოწაკლისია „გობრონის მარტილობის“ ეს პასაჟი: თოვლთან შედარების გზით სწორედ არაბთა კარვების ფერზეა მიითებული.

მოძრაობათა დინამიკურ რიტმში ჩართული თოვლით თეთრი კარვები, მზის დამაბნელებელი სიმრავლე ნატყორცნი ისართა, მიწაზე სკორესავით დაყრილი გვამები, რა თქმა უნდა, „ჩანს“. საესებით ცნობიერად ბაძავს აქ მწერალი გრძნობად სინამდვილეს და ასე ხდის მას მისაწვდომს მკითხველისათვის.

მოქმედება-მოძრაობათა განსახიერებით იხატება სარკინოზთაგან ტყვე ქართველების უღმობელი ხოცვა-ჟლეტის სურათი: „მაშინ ვითარცა მკენი ბოროტნი განძნებულნი შეერივნეს აღრეულად და ურთიერთას უსწრობდეს, რომელნიმე მახვლითა სცემდეს, რომელნიმე ჰოროლითა და ისრითა შესჩხუტდეს და დასკრიდეს კორცთა მათთა, დანებითა განაპებდეს, და ღვიძლები იგი მათი, ვითარცა ძაღლთა პირთა განეტაცა და ესრქით დასთხივნეს სისხლნი მათნი... და კუალად წარიყვანეს ნეტარი გობრონი და დაადგინეს შორის დაშთომილთა მათ მოყუასთა და ურიდად შეერივნეს მათ მახვლითა და ცემასა მას უწყალოდ სისხლი მათი ეკურებოდა მას, და რომელიმე გუამი დავარდის მას წინაშე და რომლისამე გუამი შეგორდის ქუეშე ფერკთა მისთა“<sup>33</sup>. ამ საშინელ, ამბრზუნ სანახაობას ზემოქმედება უნდა მოეხდინა გობრონზე, უნდა შეეშინებინა იგი. ამიტომ, ცხადია, ავტორი, საესებით შეგნებულად და გამიზნულად გამოკვეთს მას, გვითვალსაჩინოებს.

„კონსტანტი კახის მარტილობის“ შესახებ უნდა ითქვას, რომ მასში საესებით წაშლილია კვალი ყოველგვარი სანახაობისა, ყოველგვარი საგნობრიობისა. არ არის არავითარი დეკორაცია.

ობიექტური სინამდვილის კონკრეტული სიცხადით გამოკვეთის ცოტად თუ ბევრად შესაძენვე ცდას ვერ ვხვდებით „ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამებაში“, არც „აბიბოს ნეკრესელის წამება“ გვაძლევს ამ მიმართებით მსჯელობისათვის ხელშესახებ მასალას.

ამრიგად, სახარებასა და ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მარტი-როლოგიური ენარის ძეგლებში მატერიალური სამყარო შეფასებულია როგორც

<sup>31</sup> ძეგლები, I, გვ. 176.

<sup>32</sup> გ. ფ ა რ უ ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

<sup>33</sup> ძეგლები, I, გვ. 180—181.



მშვენიერება და სიკეთე, ვითარცა ანარეკლი ღვთაებრივი სრულყოფილებისა („შუშანიკის წამებასა“ და „ეესტათი მცხეთელის წამებაში“ ამგვარად მოხსენიებულია საკმაოდ ნათლად არის გამოხატული, სხვა ძეგლების შესახებ კი ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ საპირისპირო დამოკიდებულებების კვალი მათში არ ჩანს); გრძობადი სინამდვილე სახარებაში არ არის შედეგი მისი გამოსახვისათვის ცნობიერი ზრუნვისა; ქართველი პაგიოგრაფები მახარებლებთან შედარებით მეტ ინტერესს ამჟღავნებენ მატერიალური სამყაროსადმი და ხშირ შემთხვევაში უფრო ხელშეშახებად წარმოაჩენენ მას, მაგრამ სახარების სურათებში მეტია დინამიკა, სწრაფია თვით ამ სურათთა ურთიერთმონაცვლეობა, ამიტომ საბოლოო ჯამში, ეს ძეგლი პლასტიკური სიცხადის უფრო მთლიანსა და მრავალფეროვან შთაბეჭდილებას გვიქმნის, ვიდრე პაგიოგრაფიული თხზულება.

Г. А. ЧХАИДЗЕ

ОТРАЖЕНИЕ ЧУВСТВЕННОЙ ДЕЙСТВИТЕЛЬНОСТИ  
В ЕВАНГЕЛИИ И В ПАМЯТНИКАХ ГРУЗИНСКОЙ  
АГИОГРАФИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ  
МАТИРОЛОГИЧЕСКОГО ЖАНРА

Резюме

Чувственно-конкретный мир не представляет собой предмета интереса евангелистов и агиографов, но он все же проявляется в их творениях. В евангелии такая действительность не отражается в результате сознательного подражания. Она выявляется только потому, что тесно связывается с явлениями, о которых рассказывают, разъясняется в жестах и словах внутренне взволнованных людей. Грузинские агиографы больше заботятся о придаче конкретно-чувственному определенной формы, но в конечном счете евангелие показывает картину, отраженную все же «большей пластичной явственностью».

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის ძველი ქართული მწერლობის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-  
კორესპონდენტმა ალ. გვახარიაშვილმა



Дзѳуауа, Дзѳуауа  
 Дзарикуакуа мыркылдыш!  
 Дочь владетеля жаждет воды,  
 Ручьи обходит...  
 За немного воды не можем пожертвовать,  
 За много воды жертвуем,  
 За много воды, за много воды, за много воды!<sup>2</sup>

(VIII)

Песня исполняется коллективно, в наибольшей части являясь рецитативной, с элементами протяжности, что вполне соответствует настоятельности или «повелительности» самого текста. Во всех вариантах песня начинается восклицанием:

Дзѳуауа, Дзѳуауа  
 Дзарикуакуа мыркылдыш!

Смысл этих наиболее устойчивых в песне стихов до известной степени остается нерасшифрованным, не ясным. Предполагается, что Дзѳуауа — имя богини, являющейся властителем водного мира [28, с. 117]. В первой строке народ обращается к Дзѳуауа. Аналогичный по функции персонаж известен у многих народов Кавказа (и не только Кавказа), однако идентичное имя мы обнаружили лишь у абазин и мингрельцев. Слова второй строки песни, по-видимому, эпитет, но точному толкованию не поддается. С. Т. Званба «Дзарикуакуа мыркылдыш» объяснял как «Воду дождевую, маргаритку красную» [12, с. 41]. Н. С. Джанашиа переводил так: «(Ты) жемчужная дождевая вода» [9, с. 161—162]. Это толкование правдоподобное. Далее в песне «Дзѳуауа» речь идет о дочери или сыне владетеля, т. е. этот персонаж предстает в женской (II, IV, V, VI, VII, VIII, IX) или мужской (I, III) ипостасях. Видимо, первая ипостась все же древнее, поскольку и у других народов выступает именно она. Во всех абхазских вариантах данной песни говорится, что дочь владетеля (или его сын) жаждет воды:

Дочь владетеля жаждет воды,  
 Ручьи обходит...

Приведенные строки, как правило, сопровождаются усилительным повтором:

Нежного воды, немного воды!  
 (II, III, IV, VI, VII, IX)

Иногда усиление выражается строкой:

(Он) не пьет вина, не пьет воды.  
 (I)

В некоторых текстах сохранилось описание дальнейшего действия:

Все семь ручьев (он) обходит...  
 (III)  
 Обходит следы копыт лошадей (ища в них воды)...  
 (III)  
 Опускается в высохшие русла ручьев...  
 (III)

Содержание этих стихов в какой-то мере отвечает самому обрядовому действию: участники обряда с куклой обходят ручьи, тем са-

<sup>2</sup> Подстрочные переводы текстов, кроме особо оговоренных случаев, принадлежат автору.

мым подчеркивая отсутствие воды. Последнее звено песни выражает настойчивую просьбу об обильном дожде:

Дай, нам воды, дай нам воды!

(I, II, IV, VI, VIII)

Часто коллективная просьба выражается по-иному или получает некое игровое истолкование:

За немного воды не можем пожертвовать,  
За много воды пожертвуем.

(III, IV, VI, VIII, IX)

В этих строках, как и в описанном выше обряде, погружение или потопление куклы, связанном с земледельческим культом, исследователи видят отголосок пережитка человеческих жертвоприношений [13, с. 525], [28, с. 117].

При некотором варьировании песни «Дзиуауа», в принципе, очень стабильна в своем композиционном построении. Что касается ее содержания, то оно, очевидно, было более прозрачным, но с разрушением традиционного обряда вызывания дождя сопровождавшая его песня постепенно трансформировалась, утрачивая заодно функцию магического воздействия. Понемногу пение ее приобрело характер детской игры, хотя этот процесс завершился лишь в самое последнее время [26, с. 67—68].

б) Песня «Джаджы» исполнялась во время жертвоприношения богине полеводства и огородничества<sup>3</sup>. О существовании в языческом пантеоне абхазов этой богини отмечали многие авторы еще с XIX в., в том числе С. Т.Званба [12, с. 39], однако при этом никогда не упоминалось о бытовании песни, посвященной Джаджы (Джаджа). В 1984 году от 92-летней Машки Арстаа из села Хуап Гулдаутского района нами была записана единственная до настоящего времени песня, посвященная этой богине. Исполнительница сообщила нам подробности проведения обряда, вполне отвечающие этнографическим источникам. Обряд совершался обычно в ноябре месяце после уборки урожая. Приготовленную пищу из всех видов урожая (кукуруза, овощи, и пр.) ставили на стол. Старшая в семье женщина, обращаясь к Джаджы, исполняла песню, в которой благодарила богиню за ее щедрость, за обильный урожай. Рассматриваемый обряд нашел яркое отражение в романе известного абхазского писателя Б. В. Шинкубы «Рассеченный камень» [29, с. 93].

Как и предыдущая («Дзиуауа»), записанная нами «Джаджы» тоже монолог-обращение, на этот раз к Джаджы. В сравнении с первой, песня «Джаджы», состоящая из 25 строк, богаче по содержанию. Хотя песня зафиксирована уже в наши дни и в единственном варианте, в ее композиционном построении выявляются древние традиционные черты. В частности, таким элементом является повтор, в основе которого лежит вера «в магическую силу слова» [19, с. 19]. Имя богини Джаджы в песне повторяется более сорока раз, что усиливает просьбу, содержащуюся в обращении.

Ведущий компонент построения песни — монолог-обращение. С этой точки зрения песню можно разделить на две части. В первой части обращения акцент делается на перечисление видов яств и предметов труда, принесенных в жертву богине:

Эту тыкву — твою долю — вот здесь спрятала, Джаджы,  
Джаджы, любимую тобой фасоль,

<sup>3</sup> По своей функции Джаджы сближается с адыгским Тхагаледжем, грузинским Оровелой и осетинским Уащиллой [20, с. 37].

Утром встав, для тебя приготовила, Джаджы.

Также и остальное, что я смогла приготовить, здесь находится, Джаджы.



Во второй части песни содержится мысль, которая непосредственно связана с предназначением этого произведения. Это — просьба, адресованная Джаджы:

Джаджы, самую быструю твою дочь или невестку, дай в помощь мне, Джаджы!  
Джаджы, присматривающая за нивой, Джаджы, присматривающая за огородом,  
Дозвольные обильным урожаем, на тебя будем смотреть, Джаджы,  
Джаджы, бедную сорняками, обильную плодами (ниву сделай), Джаджы,  
Джаджы, дорогая Джаджы!

Как видно, в песне фигурирует и другой персонаж — женщина, которая любит плоды своего труда и надеется на новый богатый урожай и благоденствие. Примечательно, что образ «богини» в песне получается довольно «сниженным», вроде приятельницы, помощницы женщины-хозяйки.

Сквозным в песне является обращение: «Джаджы, дорогая Джаджы!». Протяжное исполнение, перемежающееся с речитативом, вполне соответствует содержанию песни, которое раскрывается посредством монолога-обращения. Что немаловажно, обращение к богине выражается словами не в переносном его значении (метафорой, сравнением, эпитетом и пр.), а в их прямом значении — характерная черта абхазских обрядовых песен в целом.

В) «Врачевальные» песни включают такие произведения, как «Песня оспы» («Ацэыршызашэ»), «Песня лихорадки» («Аршыра шэ»), «Божья песня» («Ацэа рашэ»), «Песня ранения» («Ахура шэ»). Перечисленные песни исполнялись при болезнях оспы, св. Вита, кори, эпилепсии и т. д. Существовали представления, что каждая болезнь имеет своего покровителя. Считалось, что больные провинились чем-либо. Отсюда — единственный способ выздоровления больных: обращение к покровителю с заклинательной песней, имеющей целью задобрить, умиловить его. В честь покровителя в семье приготавливались яства, а больного одевали в белый наряд [16, с. 44]. В течение болезни родственники и соседи, особенно молодежь, должны были развлекать больного песнями и танцами. Во время болезни в семье не допускалось уныния, т. к. «могло разгневаться божество». Существовало представление, согласно которому от степени веселья и радости зависело скорейшее выздоровление. У адыгов и осетин было почти такое же представление о божестве оспы, в честь которого и у них пелись песни [7, с. 131—132], [27, с. 147—151].

Из «врачевальных» песен абхазов следует остановиться на песне о покровителе оспы — Золотом Зосхане (Ахы Зосхан), представленной в нескольких записях. Нами будут рассматриваться четыре наиболее полных варианта<sup>4</sup>. Из них три варианта являются разновременными записями от одного и того же исполнителя (II, III, IV).

Песня о Золотом Зосхане исполняется запевадой и хором. Партия запевады подхватывается импровизационным припевом хора типа «Уа хей-хей, уа!..». Начальная часть песни наиболее устойчива:

<sup>4</sup> Принятые нами обозначения вариантов: (I) — первый вариант песни, записанный Д. И. Гулиа в 1920 г., состоит из 15 стихов [2, с. 18]; (II) — второй вариант песни, записанный Б. В. Шинкубой в 1934 г., содержит 13 стихов [1, с. 283]; (III) — третий вариант песни, записанный Д. Ашубой в 1935 г., состоит из 12 стихов [2, с. 18—19]; (IV) — четвертый вариант песни, записанный Б. В. Шинкубой в 1940 г., содержит 13 стихов [1, с. 286—287].



Какая забота у того, кого посетил бог,  
По их разумению услугу (богу) оказывают...  
(I, IV)

Какая забота у той, кого посетил бог,  
(Ты) прости за ее недоразумение (За услугу,  
не оказанную по ее незнанию)...  
(II, III)

Далее передаются требования и наказания Золотого Зосхана, которым в прошлом действительно следовали во время обрядового церемониала. Эта часть характеризуется императивной формой:

Нужно одеть ее (больную) во все белое,  
Темное (траур) не подносите близко,  
Золотые парни, подхватите дружно песню,  
Нужно привести в жертву белого козла...  
(подстрочный перевод Ш. Х. Салакая)

(I, II, III)

В песне непосредственно не говорится о страданиях, мучениях, связанных с болезнью, а, напротив, в ней налицо веселые нотки, шутки. Характерно, что ярким и, пожалуй, единственным художественно-выразительным средством выступает идеализирующий эпитет «золотой»: золотые сверстники (ахьыкулацаа), золотые парни (ахьыр-Царцаа), золотая услуга (ахьымац). В настоящее время песня о покровителе болезни оспы — Золотом Зосхане, как и другие «врачевальные» песни, постепенно отходит от обряда, выполняя эстетическую функцию.

К «врачевальным» песням абхазов примыкает «Песня ранений» («Ахура ашэа»), которая исполнялась как «обезболивающее» и утешающее средство, когда человек получал ранение или увечье. В таких случаях, как правило, тут же начинал петь песню один человек, а остальные подхватывали припев. Нередко сам раненый, подпевая остальным, забывал про свою боль. К. В. Ковачем записаны три песни, исполнявшиеся в трех случаях: при ранениях; во время операции (вынимания пули); после операции или перевязки [15, с. 45]. К сожалению, эти песни, как и в целом сборник К. В. Ковача, представлены в виде нотных записей без соответствующих текстов.

Специфика «Песни ранения» состоит в том, что она имеет ряд устойчивых тем и мотивов, словесное выражение которых в некоторой степени является импровизационным. Проследим это на трех текстах, записанных в период 1947—1956 годов<sup>5</sup>.

В песне следующие устойчивые мотивы: мужчина должен скрывать свою боль; стоны — признак слабости духа.

Боль от тяжелой раны — испытание для мужчины,  
Боль переносят только мужчины (герои),  
Кто допускает стоны — те слабы духом...

(I, II, III)

Иногда этот мотив становится сквозным и повторяется в начале и конце песни:

Уа райда-райда тот не мужчина,  
Кто не может скрыть свою боль...

(I)

<sup>5</sup> Принятые нами обозначения вариантов: (I) — первый вариант песни, записанный М. Лакрбой в 1947 г., состоит из 10 стихов [2, с. 49]; (II) — второй вариант песни, записанный И. Лакрбой, содержит 6 стихов [1, с. 199]; (III) — третий вариант песни, записанный И. Кортуа, состоит из 8 стихов [3, с. 222].

В песне наличествуют мотивы, развивающие тему мужества. Наиболее типичны в этом смысле строки, в которых истинный герой, воспринимает пулю «как дуновение ветерка» (II, III), а выходящая кровь «кажется ему потом» (II, III). В довольно подвижном словесном тексте выступают устойчивые доминанты песни. В художественном отношении, например, следующие строки можно выделить как афористические:

Боль от раны — испытание для мужчины.

(I, II, III)

Кто допускает стоны — те слабы духом.

(I, II)

Если бы страх помогал, то сколько бы зайц прожил!

(II)

г) **Охотничьи песни** — наиболее полно представленный вид культурно-мифологических песен. Они исполнялись исключительно охотниками в определенное время. К началу охотничьего сезона охотники совершали жертвоприношения в честь Ажвейпцаа (Ажвейпшаа) — покровителя лесов, диких зверей и животных [12, с. 37]. Накануне охоты охотники исполняли песню, обращенную к богу Ажвейпцаа<sup>6</sup> с просьбой предопределить удачу в предстоящей охоте. По уверению информатора, охота будет безусловно успешной, если песня будет спета сто раз<sup>7</sup>. Убив зверя, охотники в знак благодарности тут же исполняли охотничью песню. Приближаясь к месту стоянки, они пели эту же песню, тем самым извещая товарищей об удачной охоте. В этом и состоит сигнальный характер песни, который, по мнению специалистов, справедливо считается ее древней чертой [6, с. 5]. Когда дичь варилась, исполнялась особая песня [16, с. 32].

Следует подчеркнуть, что в настоящее время разные виды абхазских охотничьих песен в значительной степени смешиваются и даже контаминируются. Поэтому сейчас трудно определить, к какому моменту охоты приурочены те или иные охотничьи песни, дошедшие до нас.

С музыкальной точки зрения охотничьи песни абхазов — протяжно-мелодичные, в особенности песни, исполняющиеся в Абжуйской Абхазии. В охотничьих песнях Бзыбской Абхазии в той или иной степени наблюдается декламация и речитативность, чем и объясняется своеобразие их мелодии. Свообразие и неповторимость охотничьих песен двух регионов в музыкальном отношении обусловлено наличием в них разных рефренов-припевов. В абжуйских песнях присутствует рефрен-припев типа «Уаа раайд, уаа раайд!..», являющийся «классическим» в песенном творчестве абхазов, а в бзыбских — «Даади, даади уаа!»; он может считаться специфичным, характерным лишь только для этого региона (и то исключительно для данного вида песни).

Таким образом, изучение абхазских охотничьих песен должно охватывать особенности региональных версий, хотя необходимо подчеркнуть, что яркие региональные отличия наблюдаются скорее в мелодии, нежели в поэтическом содержании и композиционном построении. Охотничьи песни абжуйцев и бзыбцев сближаются по форме исполнения, являясь хоровыми. Обычно запеваля воспроизводит основной текст, раскрывающий содержание песни, а другие (хор) подхватывают припевом, состоящим из импровизационно повторяющихся восклицательных слов: «Уаа раайд, уаа раайд!.. Уараад уарадара хаа!..», «Даади, даади уаа!»

<sup>6</sup> Аналогичные божества охоты представлены у адыгов — Мезитха, у грузин — Асват или Дали, у осетин — Афсати [20, с. 2].

<sup>7</sup> Зап. нами в 1984 от 64-летнего Шугяна Аджинджала из села Члоу Очамчирского района.

Из многочисленных записей охотничьих песен рассмотрим пять наиболее выразительных текстов (первые три текста записаны в Абжуйской Абхазии, остальные — в Бзыбской)<sup>8</sup>.

Зачин охотничьих песен — один или два стиха — обычно представляет восклицание, которое обращено к Ажвейщцаа:

Уа, золотой Жвейщцаркан всемогущий!  
(IV, V)

Такое восклицание иногда бывает сквозным (V), т. е. о нем можно говорить как о типическом, традиционном элементе композиции охотничьих песен. Следует конкретная мольба-просьба, адресованная покровителю:

Уа, если косуля — крупнее крупной,  
Уа, если медведь — из породы широколапых,  
Уа, если кабан — из породы густошерстных,  
Уа, если мелкая дичь — бесчисленное множество шкур...  
(I, II, III, IV, V)

Прием перечисления — обязательный компонент композиции охотничьих песен абхазов. Часто такими перечислениями ограничивается вся песня (II). Завершаются охотничьи песни обычно строкой:

Кто поет об этом, взаимной радости им!  
(III, V)

Важным структурным элементом охотничьих песен выступает рефрен-припев «Уарада уараид, хаа!..» или «Даади, даади уаа!». Повторяясь после каждой строки, несущей смысловую нагрузку, рефрен-припев объединяет стихи в одно цельное произведение. Можно сказать, что без рефрена внутренняя связь между строками будет потеряна. Каждая строка песни — законченное, самостоятельное в смысловом отношении предложение, связанное с определенным мифологическим контекстом. Не зная этнографических реалий, связанных с охотничьими обрядами, трудно понять содержание той или иной строки песни. Возьмем, к примеру, следующие не до конца ясные строки:

Уа, не дай упустить, что ты брал и ел,  
Даади, даади уаа!  
Уа, не завлекай к той, что сам не видел и не ел,  
Даади, даади уаа!..  
(V)

По древнему предстанию абхазских охотников, Ажвейщцаа «допускает убийство только тех зверей, которых он сам уже съел и оживил после» [8, с. 4].

Следует отметить, что в анализируемых песнях используются лексические элементы, характерные для искусственной речи абхазских охотников — т. н. «лесного языка» (абна абышшәа). Он служил средством общения охотников между собою в продолжение всей охоты. В этом «языке» обычные названия предметов и действий заменяются искусственными словами и фразами, которые представляют собой

<sup>8</sup> Принятые нами обозначения вариантов: (I) — первый вариант песни, записанный А. Н. Генко в 1928 г., состоит из 13 стихов [2, с. 16—17]; (II) — второй вариант песни, записанный Х. С. Бгажбой в 1935 г., содержит 11 стихов [2, с. 14—15]; (III) — третий вариант песни, записанный Д. Ашубой в 1935 г., состоит из 12 стихов [2, с. 17]; (IV) — четвертый вариант песни, записанный Ш. Х. Салака в 1962 г., содержит 20 стихов [4, с. 20—21]; (V) — пятый вариант песни, записанный нами в 1984 г. от 64-летнего Джамфера Царгуша из села Ачандара Гудаутского района.

описание каких-либо признаков, качеств предметов и явлений. Определенная часть охотничьей лексики представлена эпитетами. Приведем несколько примеров: **Ашьапкыкыа** (букв. широколатый медведь; **Ахуцаца** (букв. грубошерстный) — кабан; **Ахушка** (букв. мягкошерстная) — куница<sup>9</sup>.

Охотничий язык является отголоском анимистических и тотемистических представлений человека, основанных на вере в магическую силу слова; скрывая от зверей свои намерения, охотники прибегали к этим словам и выражениям, которые должны были обеспечить им успех [28, с. 89].

Из вышеизложенного явствует, что при определении культово-мифологических песен как особого раздела обрядового фольклора абхазов первостепенное значение имеет такая доминирующая черта, как их функциональная приуроченность. Каждый вид песни связан с определенным обрядом, выполняя строго присущую ему функцию. Поэтому содержание и идея этих песен могут быть непонятными, если не учитывать их связь с обрядами.

Анализ абхазских культово-мифологических песен показал, что известная общность их структурно-композиционного построения и поэтического языка обусловлены функциональностью данного жанра. В этом легко убедиться при рассмотрении ведущего компонента песен — обращения (к божествам — Дзиуауа, Джаджы, Ажвейпшаа и т. д.), характеризующегося обычно как монолог.

Говоря о структуре культово-мифологических песен, необходимо подчеркнуть отсутствие в них ясного, конкретного сюжетосложения, т. е. в песнях сравнительно невысокая степень поэтического содержания — характерная особенность архаических произведений народно-песенного фольклора. В сравнении с другими жанрами песенной поэзии рассматриваемые песни намного ярче выделяются восклицательными интонациями, что, очевидно, обусловлено верой в магическую силу слова и заклинательным характером самих текстов.

В культово-мифологических песнях обнаруживается архаическая лексика, особенность которой заключается в ее магической или символической окраске. Символизм песен выражен в самом обряде, где каждый предмет и каждое действие вызывают определенные ассоциации и дополняют содержание произведения. Например, в обряде, посвященном богине плодородия Джаджы, кукуруза, овощи, плоды символизируют благосостояние, изобилие. Отправляясь на охоту, охотники проводили свой посох через очажный огонь, что должно было способствовать, по их мнению, удаче [14, с. 156]. Таким образом, символика непосредственно вытекает из самого обрядового действия. В песнях символика основывается на широко распространенном приеме антропоморфизации божеств. Символическое содержание этих образов божеств дополняется магическими сопровождениями в процессе исполнения обряда.

Художественно-образительные средства в абхазских культово-мифологических песнях занимают незначительное место. Можно сказать, что в них распространен автологический стиль — употребление слов и выражений в их прямом значении<sup>10</sup>. Причину этого явления в фольклоре исследовательница русских народных песен В. И. Еремина объясняет следующим образом: «В обрядовой поэзии ярко выраженная практическая основа песен препятствовала зарождению в ней иносказания как системы. Иносказательная система начнет развиваться лишь тогда, когда, оторвавшись от быта, рассмотренного сквозь призму магических верований, преодолев скованность обрядовой ус-

<sup>9</sup> Зап. нами в 1984 году от 96-летнего Куты Агумаа из села Лдзаа зоны г. Гагры.

<sup>10</sup> Такой же стиль отмечается исследователями в заклинательных песнях русского обрядового фольклора [17, с. 31].

ловностью, песня коренным образом изменит свою функцию — станет выражением только внутреннего мира человека» [11, с. 70].

В абхазских культово-мифологических песнях редки, но все же встречаются развернутые сравнения:

Выступившая кровь показала ему потом,

Полученную пулю воспринял он, как дуновение ветерка.

(I, с. 199)

Изредка употребляются такие эпитеты, как «красное солнце» (мрацшь), «красная скала» (бахуа цаль), «золотые рукава» (ахы наркуа), «золотой подол» (ахь калт) и др.

В целом, как мы видели, характерной чертой поэтического языка культово-мифологических песен является употребление слов и сочетаний в их прямом, повседневном значении, хотя и не редки символы, эпитеты, сравнения, специфичные для каждой разновидности песен.

1. Абхазская народная поэзия, сост. Б. В. Шинкуба, Сухуми, 1959 (на абх. яз.).
2. Абхазская народная поэзия, сост. Д. И. Гулиа, Х. С. Бгажба, Сухуми, 1972 (на абх. яз.).
3. Абхазские песни, сост. В. Ахобадзе, И. Кортау, М., 1957.
4. Абхазское народное поэтическое творчество, Хрестоматия, Учебное пособие для вузов, сост. Ш. Х. Салакая, Сухуми, Тбилиси, 1975 (на абх. яз.).
5. Аишба А. А., Абхазский фольклор и действительность, Тбилиси, 1982.
6. Аишба А. А., Предисловие к сб.: Абхазская народная поэзия, Сухуми, 1983, с. 3—10.
7. Бгажноков Б. Х., Адыгский этикет, Нальчик, 1978.
8. Гулиа Д. И., Божество охоты и охотничий язык у абхазов, Сухуми, 1926.
9. Джанашия Н. С., Абхазский культ и быт, «Христианский Восток», 1917, вып. 3, с. 157—192.
10. Дирр А. М., Божество охоты и охотничий язык у кавказцев, СМОМПК, 1915, вып. 44, с. 1—16.
11. Еремина В. И., Специфика художественного образа в песнях земледельческого календаря, «Русский фольклор», 1974, вып. 14, с. 61—73.
12. Званба С. Т., Абхазские этнографические этюды, сост. Г. А. Дзидзария, Сухуми, 1982.
13. Инал-ина Ш. Д., Абхазы (Историко-этнографические очерки), Сухуми, 1965.
14. Инал-ина Ш. Д., Очерки об абхазском этикете, Сухуми, 1984.
15. Ковач К. В., 101 абхазская народная песня (этнографическая запись с историческими справками), Сухум, 1929.
16. Ковач К. В., Песни кодорских абхазцев, Сборник этнографических материалов с нотными записями, Сухум, 1936.
17. Круглов Ю. Г., Русские обрядовые песни, М., 1982.
18. Маркс К., Энгельс Ф., Об искусстве, т. I, М., 1983.
19. Мелетинский Е. М., «Эдда» и ранние формы эпоса, М., 1968.
20. Мижаев М. И., Мифологическая и обрядовая поэзия адыгов, Черкасск, 1973.
21. Салакая Ш. Х., Обрядовый фольклор абхазов, «Фольклор и этнография», Л., 1974, с. 19—26.
22. Сказы Маадана Саканиа, сост. К. С. Шакрыл, Сухуми, 1970 (на абх. яз.).
23. Тэйлор Э. Б., Первобытная культура, М., 1939.
24. Фрезер Д., Золотая ветвь, Исследование магии и религии, М., 1980.
25. Хашба М. М., Жанры абхазской народной песни, Сухуми, 1983.
26. Хашба Р. А., Абхазский детский фольклор, Сухуми, 1980.
27. Чибиров Л. А., Народный земледельческий календарь осетин, Цхинвали, 1976.
28. Чурсин Г. Ф., Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957.
29. Шинкуба Б. В., Рассеченный камень, Сухуми, 1984 (на абх. яз.).

Представил Абхазский Институт языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа АН ГССР.



ბადრი ცხადაძე

 წყლის ხმაურობის გამომხატვესთან დაკავშირებულ  
 ზოგი ლექსემა ქართულსა და მებრულ-ხანურში

ქართველურ ენებში ხმაბაძვითი ფუძეებისაგან ნაწარმოებ სიტყვებს გამოჩეული ადგილი უჭირავს. ამ მხრივ საინტერესო ჩვენებას იძლევა „ჩანჩქერის“ გამომხატველი ლექსემები. როგორც ცნობილია, ჩანჩქერი კლდეზე გადმონადენი წყალია [1; 2]. იგი ხმაბაძვითი სიტყვაა, რომელშიც გამოიყოფა (ნ)ჩქერ ფუძე, ხოლო ჩა ზმნისწინი უნდა იყოს, რასაც გვაფიქრებინებს ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში „ჩხრიალ“ სიტყვის განმარტებისას ნახმარი დანჩქერ ფორმა: ჩხრიალი — წყალთ დანჩქერის კმა [1]. ამ ფორმას, რომელიც ქველ-ში ვერ აისახა, ვხვდებით გ. ლეონიძის ნაწერებშიც: — ცრემლის ღვარჩქედს დაგიყენებთ, თუ გინდა დანჩქერსაც (გ. ლეონ. 32, 25). ამ სიტყვაშიც და ზმნისწინია, ხოლო ნ განვითარებული ბგერაა. შდრ. ჩქერ-ა მდინარის ჩქარი სიარული [1]. გამოყოფილი ჩქერ ფუძე ქართულ ენაში დამოუკიდებელი ლექსემაცაა და ნიშნავს მდინარის სწრაფ დინებას კალაპოტის დაქანებულ და ქვიან ადგილას [3]. რაც შეეხება ჩანჩქარ (ჩქეფა, ჩხრიალი წყლისა) და ჩანჩქარა (ჩანჩქარით მიმავალი, მოჩუხჩუხე, მჩქეფარე წყალი) სიტყვებს, ისინიც ხმაბაძვითებია, რომლებშიც ჩა ზმნისწინი უნდა იყოს წარმოშობით, ნ განვითარებული ბგერა, ხოლო ჩქარ ჩქერის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ვარიანტი. ეს ფუძე ისეთივე მონაცვლეა (ჩქერ-ჩქარ), როგორიც ქერ-ქარქრ (განქერ-განქარვება, გაქარვა, ქარი, ქროლა, ქრიალი), თუმცა შესაძლოა ჩანჩქარი ჩქანჩქარ (\*←ჩქარჩქარ) ფორმიდან მიღებულადაც დავევსახა, მაგრამ, ვფიქრობთ, სარწმუნო უფრო პირველი ახსნა უნდა იყოს. ჩქერ ფუძე ჩქრ შეკუმშული ვარიანტით წარმოდგენილია ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: 1. ჩქრ-იალ-ი „ჩქერის ხმა; 2. ჩქრ-იალ-ა, რასაც ჩქრიალი გააქვს; 3. ჩქრ-ო „ხმის მოჩვენება... 4. ჩქრ-ილ-ვ-ა „ჩქარებით ძვერა გულისა, ტოკვა. ჩქერ ფუძე ძველი ქართული ენისათვისაც უცხო არაა: ანუ სიმგზგულე ვარსკულაეთა, ანუ მჩქერვალემა წყლისა“ (სიბრძნ. 5 236, 2; 7-შია: ს ი მ ძ ა ფ რ ტ).

ჩქერ || ჩქარ ფუძე ქართულში ჩხერ || ჩხრ ვარიანტითაც გვევლინება. მაგ., ჩხერ გამოიყოფა ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: ჩხერ-ა, ა-ჩხერ-ება (ქვიშისა), ჩხრ-იალ-ი: 1. სწრაფად ჩადენის ხმა ნაკადულისა ან 2. მაგარი პატარა საგნების ერთმანეთზე მიხლა-მირტყმით გამოცემული ხმა-ჩხარუნე: ჩხრ-იალ-ა (ჩხრიალით მომდინარე, აქედან ჩხრიალა გველი — ზოოლ. ტროპეული ქვეყნების შხამიანი გველი, რომელიც კუდის ბოლოთი ჩხრიალის ხმას გამოსცემს [3]).

აღსანიშნავია, რომ ჩხერ ფუძე დასტურდება პიდრობიექტებშიც: ჩხერის ხეობა, სა-ჩხერ-ე და პიდრონიშში: ჩხერიშელა. საფიქრებელია, ჩხერ ფუძის ვარიანტი იყოს ჩხარ (შდრ. ჩხარა-ჩხური, ჩხარ-უნ-ი), რომელიც დამოუკიდებლად დასტურდება ჩხარ-ში (ტოპონიმი იმერეთში).

<sup>1</sup> სიტყვაწარმოების თვალსაზრისით საინტერესოა ლ. გოთუას ნაწერებში ნახმარი კომპოზიტი ჩანჩქერ-უჩქერი, რაც ჩანჩქერიან და უჩანჩქერო, ანუ უწყლო, ადგილებს ნიშნავს: მაშინ ირკვევა, რომ თოვლის გარდა, მთას ალპური ზონაც ახლავს, ტყეც, ხეობაცა და ჩანჩქერ-უჩქერიც (ლ. გოთ., 8, 2—3).



ჩარ || ჩერ-ის ვარიანტად უნდა დავსახოთ \*ჩერ ფუძე, რომელიც უხმოვ-<sup>ქართული</sup>ნა-<sup>ქართული</sup>ნა ვარიაციული ფორმითაა შემონახული **ხრ-იალ**ში (შდრ. ჩახრიალებს, ჩა-<sup>ქართული</sup>ხრიალა, ხარ-ხარ-ი).

წყლის ხმაურობის გამომხატველია **ჩქევ** ლექსემა, რომელიც ძველ ქართულშიც გვაქვს **ჩქუფ** || **ჩქუფ**ის სახით. იგი ფუძემონაცველია: ჩქეფ-ი (-შხეფ-ი), მჩქეფ-არ-ე, ჩქაფა-ჩქუფი, ჩქაფ-უნ-ი. ჩქევ გვხვდება ძველ ქართულშიც: და სახედ მძაფრისა წყმისა საშინელებით **მჩქეფროს** აღრეული წუნწუნასა თანა (დ. სჯულ., 555, 7). ჩქევის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-ლექსიკური ვარიანტია **შხეფ** ლექსემა, რომლის ფუძემონაცველ ფორმებია: შხაფ-ი || შხაპ-ი (შდრ. სა-შხაფ-ე || სა-შხაპ-ე, შხაპ-უნ-ი, შხაპ-უნა წვიმა); მაგ., ნაღმიეთ ავარდნილი დამძლავრებული **შხაპი** მარგალიტს იტყორცნებოდა (გ. ლონ., 225, 25); ბიჭებმა **შხაპითაც** განიბანეს ოფლიანი სხეულები (ხ. რატ., 33, 24).

წყლის ხმას გამოსცემს **ქუხ** ფუძეც, რომელიც დამოუკიდებელი ლექსემა; გვხვდება იმერულში; ნიშნავს — გრგვინვას, ქუხილს. მაგ., ოო, **ქუხია**, მამა, **ქუხი**, რავა გაფუქდა ამიდი (ჩვენი მასალ.). აქედან მივიღეთ ჩაქუხა-ჩანჩქერის აღმნიშვნელი სიტყვა (შდრ. ჩა-ქუხ-ს, სადაც ჩა ზმნისწინია). **ქუხ**და **ჩაქუხა** ჩანჩქერი (გ. ლონ., 226, 4).

**შხივი** იმერულის კუთვნილებაა, ნიშნავს მდინარის იმ ადგილს, სადაც წყალი ისე გადადის, რომ **შხ-შხ-** ისმის [4]. აქედან: **შხივის**, **შხივილი**, **შხუ-**ის, **შხული**: არც ვარსკვლავები ჩამოცვენილა, არც წყლები **შხიოდნენ** (გ. ლონ., 177, 32); სისხლის ნაკადი **შხივილით** დაეშვა მარჯვენა ბუქის სიღრმეში (ჯ. დავლ., 69, 13).

ზემოთ წარმოდგენილი წყლის ხმაურობის აღმნიშვნელი ლექსემები საფუძვლად დაედო ჩანჩქერის გამომხატველ ნაირგვარ ფორმებს ქართული ენის დიალექტებში, რაც მეტ-ნაკლებად აისახა ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში და ზოგიერთი მათგანი კიდევ დამკვიდრდა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ჩანჩქერის აღსანიშნავად თ. ბატონიშვილი თავის ნაწერებში ხმარობს **გადმოსაჩქერ**, **ჩქერ**, **დიდჩქერ**... ლექსემებს: ხიდს რომ გახვალ, მარცხენეს მხარეს ცოტას რომ წარვლი, მეორე იგი ტოტიც კლდეზედ **გადმოსჩქერს** და იმას გრძლათ ირიბათა აქვს **გადმოსაჩქერი** (მოგზ. 18, 23—24); **კახკადასა**, რომელსა რუსულად ვაღობადი ეწოდება, ქართულად **ჩქერი** ანუ **დიდჩქერი** ეწოდების (მოგზ., 18, 31—32) [5].

გარდა ზემოთ წარმოდგენილი ფორმებისა, ჩანჩქერის სინონიმებად სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია — ნაჩხატი, წყალსაცემი, შხეფი, წყალვარდნილი [6], რაც მთლად ზუსტი არაა. კერძოდ, ნაჩხატის „ჩანჩქერობა“ ამ კონტექსტიდან არ უნდა ჩანდეს: არც იმ ამაყ აყუდებულ მთებს ხედავდა, არც მშვენიერად გადაფენილ ტყეებს, არც **ნაჩხატებს**, არც მწვანედ მოდებულ ველებს (ა. ყაზბ.). რაც შეეხება **წყალსაცემ** და **წყალვარდნილ** ლექსემებს, ისინი ხელოვნური ფორმებია (resp. რუსული ენის მიხედვით შექმნილი კალკები), რაც ქართული ენის სალიტერატურო ნორმების თვალსაზრისით მიუღებელია, თუმცა სალიტერატურო ენაში მაინც იხმარება: ხოლო, როდესაც მოაღწია პროზაელთა ურცხვება და უთვალავმა ჯარმა, დაიბანაკა უტის გავარაში მახლობლად **წყალვარდნილისა**, რომელიც სოფელ კალანკატუქის საზღვრებშია (ალვ. ისტ., გვ. 67); იქიდან წავიდნენ და დაბანაკდნენ ტრტუს **წყალვარდნილთან** (ალვ. ისტ., გვ. 67).

ნ. დუმბაძის ნაწერებში ჩანჩქერის გვერდით ნახმარია **გადასაჩქერა** (რომელშიც **გადა** ზმნისწინია, **სა-** მიმღობის საწარმოებელი პრეფიქსი), რაც

პატარა ჩანჩქერს ნიშნავს: — შუადღეა ახლა და რაც თხებიცა ~~გადასანჩქერაზე~~ არიან ჩასული (მე ვხ. მზეს, 21, 8); — გესმის? — მკითხა ხატუ~~ქუეუქუე~~ვი-  
ვეუდღე, დაბლობიდან ჩანჩქერის ყრუ გუგუნი მოისმოდა. ~~გადასანჩქერაზე~~  
გუნებს (იქვე, 219, 1—3).

ჩქერნალი მთარაქულში ჩქარად მსრბოლი წყალია [7]. ქართულში ცნობი-  
ლია ჩქერალიც — პატარა ჩანჩქერის მნიშვნელობით: ღელეს მივადექ... და  
როცა ჩქერალს შევეუდგე ტავანი... (მ. მაქაე., 239, 11). ვტკებობიდი წყლის  
ჩქერალის ფრქვევით (გ. ლეონ., 41, 21). ისეთი ლამაზია ეს მშობი დაფერილი  
მოლურჯო, კლაკნილი ჩქერალი, ისეთი ანკარა... (ს. ქეთ., 100, 14—19);  
შუაზე ივრის მოლილისფრო, ჩქერალიანი ზოლი მიიკლავნებოდა (ს. ქეთ.,  
127, 25); ხალხის ხალისობა მზის ჩქერალში ისმოდა (გრ. რობ., 66, 1);  
მესმოდა გაყინულ ლანჩქერთა შუა მოშვებულ მთიდან მოხეტქილ ჩქერალთა  
ხმაური (გრ. რობ., 77, 24—26).

ჩახრიალაც ქართულში პატარა ჩანჩქერის აღმნიშვნელია: ბავშვებს არა-  
სოდეს არ ენახათ არც ჩანჩქერი, არც ჩახრიალა (გ. ლეონ., 220, 14); ჩახრი-  
ალასთან რომ მივდივართ, მარცხნივ უხვევს კავთის გზა, ახოებს თავზე გადა-  
უვლის და ბილიკად იქცევა (გ. პაპ., 6, 22—23); წინანდებურად ჩანდა სოფე-  
ლი... წისქვილის ღარი, ჩახრიალა... (გ. დავლ., 221, 26); ახლა მდინარის მო-  
მეტებელი ნაწილი ამ ახალი გზით ჩახრიალებს. ხოლო, მეორე მცირე ნაწი-  
ლი მიდის ისევ ძველი გზით და ორივე ისევ ერთდება ჩახრიალას ქვემო  
60—100 საყენის მანძილზე (უიარაღო, 600, 11—14); ესევე რომ ჩავდგამ კა-  
ლიათს ჩახრიალაში, თავისთავად გაირეცხება (გ. გელ., 80, 6); ფეხსაცმელებ-  
ზე ვაიხადა, ორ ლოდს შუა ჩახრიალაში ჩადგა (გ. გელ., 48, 6—7); ისე  
გემოზე აბანავა ესტატემ ჩახრიალაში, რომ ახალს დაემსგავსება (გ. გელ.,  
81, 13).

ჩახრიალა'ს ნაცვლად გ. წერეთელი პატარა ჩანჩქერის აღსანიშნავად  
ჩხრიალას ხმარობს: ჩანჩქერები და ჩხრიალები გადმოჰქუხდნენ მთების  
ხეობაში („რუხი მგელი“).

ქართულ დიალექტში პატარა ჩანჩქერის აღსანიშნავად იხმარება ჩახუილა:  
მდლობიდან რო ჩამექანება წყალი დაბლობშია, მოსხლექითა. ან კლდიდანა,  
ან თუ ქედიდანა და გადმოიხუის, იმას ვეტყვით ჩახუილასა (ქართლ. დიალ.,  
ლექს. გვ. 474).

მთიულურში ჩანჩქერის მნიშვნელობით დასტურდება საჩქეფი, რაც უცხო  
არაა ქართული ენის სხვა კილოებისათვის: კიდათ ვეძახით, მთა არის, ისეთი  
საჩქეფია (კაიშ., მთიულ., 99, 8); აი, აქ სოღინზე საჩქეფზე იყო გზა (კაიშ.,  
მთიულ. 197, 4);

აღსანიშნავია, რომ ზემოთ წარმოდგენილი ლექსემები თუ ჩანჩქერის სინო-  
ნიმებად გვევლინებიან. ზოგჯერ მათთვის პიღრობიექტების და პიღრონიმთა  
აღნიშვნაც არ არის უცხო. მაგ.: ჩახრიალა ჩანჩქერია სოფ. ბერულაში (ცხინ-  
ვალის რ-ნი), ჩახრიალო წყაროს სახელია სოფ. პატარა დმანისში. ასევე  
აქარაშიც ჩხრიალო წყაროს სახელია (ეიმ გალმა ომ წყარო მოჩხრიალოფს,  
იმა ჩხრიალოს ვეტყვით (ქართ. დიალ. ზემოაქ.). საჩქეფელა მდინარეა  
იმერეთში (სოფ. კურსები) და მისთ. როგორც ჩანს, ასეთი რამ უცხო არაა  
ქართული ენის დიალექტებსა და ტოპონიმიშიაც.

ანალოგიური სურათი გვაქვს მეგრულ-ქანურშიც. კერძოდ, მეგრულში  
„ოგურვინე“ მცირე ჩანჩქერია, ის ადგილია, სადაც წყალი გრილით ჩამოე-  
დინება [8, გვ. 28]. ძირია გურგინ, რაც ქართული გრგვინვის ტოლფარდია.  
ცხადია, სიტყვა ხმაბაძეითია. ბანძურ-მარტვილური თქმის ზონაში დამოწმე-  
ბულია მსგავსი წარმოების სიტყვებიც: ო-გვარგვალ-ე, ო-ჩხარჩხალ-ე, ო-ყა-





მე ვხ. მზეს. — ნოდარ დუმბაძე, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი; მე ვსენდავ/მზეს, თბ., 1966.

მ. მაქავ. — მუხრან მაქავარიანი, ლექსები, თბ., 1973.

მოგზ. — თემურაზ ბატონიშვილი, მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1944.

სიბრძნ. — სიბრძნე სოლომონისი: ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, გამოსცა ც. ქუტციანიძემ, თბ., 1970.

ს. ქეთ. — სულხან ქუთელიაური, გზანიშყა აუკავადებიან, თბ., 1982.

უიარაღო — უიარაღო (კონდრატე თათარაშვილი), თხზულებათა სრული კრებული, ორ ტომად, ტ. 1, მოთხრობები, ნარკვევები და წერილები, თბ., 1957.

ქართ. დიალ. ზემოაჭ. — ი. გივინიშვილი, ვ. თოფურიკა, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ზემოაჭარული, ტექსტები, თბ., 1961.

ქართლ. დიალ. ლექს. — ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შეადგინეს თ. ბეროზაშვილმა, მ. მესხიშვილმა, ლ. ნოზაძემ, თბ., 1981.

ჩვენი მასალ. — ჩვენ მიერ შეკრებილი მასალები.

ჩ. დავლ. — ჯემალ დავლიანიძე, წონასწორობა, თბ., 1981.

Б. А. ЦХАДАДЗЕ

О НЕКОТОРЫХ ГРУЗИНСКИХ И МЕГРЕЛО-ЧАНСКИХ  
ЛЕКСЕМАХ, ПЕРЕДАЮЩИХ ШУМ ВОДЫ (ЖУРЧАНИЕ)

Резюме

Большинство лексем, передающих в грузинском языке журчание воды, являются звукоподражательными словами, которые стали исходными для выражения значения „ჩანჩქერი“ (водопад): груз. ჩანჩქერი || დანჩქერი, ჩქერი, დიდჩქერი, ჩხრაილა, ჩახრაილა, ჩახულია, საჩქეფი, ვადასანჩქერა, ჩქერჩხალი.

Большая часть приведенных слов в диалектах грузинского языка служит для обозначения маленького водопада; аналогичная картина представлена в мегрело-чанском, где водопад также обозначается звукоподражательными основами (мегр. ო-ჩხრაილა-ე, ო-გურგინ-ე; чан. გე-ჩხრაილა-ონ-ი, ო-ჩხრაილა-ონ-ი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჭიქიამ.



ი ა ვ ა ზ ა კ ი მ ი

მ ა მ რ ა დ ის ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ის ფ უ ნ კ ც ი ე ბ ი თ ა ნ ა მ ე ღ რ ო ვ ე  
პ ა რ თ უ ლ შ ი

ცნობილია, რომ სერიების ჩამოყალიბებამდე ქართული ზმნის უღვლილების სისტემას საფუძვლად ედო ასპექტური დაპირისპირება: განირჩეოდა დიურატიული ასპექტი, იგივე ხოლმეობითი, რომელსაც აწარმოებდა -ი სუფიქსი, და მომენტობრივი ასპექტი, გამოხატული აორისტით<sup>1</sup>. ერთი ტიპის აორისტს -ე სუფიქსი აწარმოებდა (ვაშენ-ე, ვაკეთ-ე), II ტიპისას კი საკუთარი მაწარმოებელი არ გააჩნდა და სწორედ უნიშნობით უპირისპირდებოდა ხოლმეობითს (ე-კალ შდრ.: ხოლმ. ვ-კლ-ი)<sup>2</sup>.

ისტორიულად ხოლმეობითის ძირითად ფუნქციას განგრძობითი ხაზოვანი ასპექტის გამოხატვა წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სტატიკურ ზმნათა გარკვეული ნაწილის აწმყო ხოლმეობითის -ი სუფიქსით არის ნაწარმოები: იც-ი-ს, უწყ-ი-ს, ზ-ი-ს, არ-ი-ს... სტატიკური ზმნა, რამდენადაც სახელის მდგომარეობას გვიჩვენებს და არა მოქმედებას, საკვებით გამოირჩევა მრავალგზისობის გაგებას. ეს უკანასკნელი დინამიკურმა ზმნამ იკისრა შემდგომ, რადგან მისი ბუნებიდან გამომდინარეობს აქტის ჩვეულებითობა, განმეორებითობა. დღეს ხოლმეობითის ეს ორი ფუნქცია — განგრძობითობა და მრავალგზისობა — „იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი გამიჯვნა ჭირს“<sup>3</sup>.

„ხოლმეობითი შეიცავდა ერთგვარად გაუდიფერენცირებელ შინაარსს, კერძოდ: 1. ეწეოდა მერმინდელი აწმყოს მავივრობას ფუნქციითაც და ნაკვთთა წარმოების მხრივაც“<sup>4</sup>; 2. შეეძლო II კავშირებითის როლშიც გამოსულიყო<sup>5</sup>, ხოლო II კავშირებითის ფუნქციათაგან ორგანულია მომავლის გამოხატვა<sup>6</sup>.

კილოს თვალსაზრისითაც ჭირდა ხოლმეობითის ფარგლების მკვეთრად გამოიჯვნა; „მას შეეძლო ეტვირთა როგორც თხრობითი, ისე კავშირებითი კილოს ფუნქცია“<sup>7</sup>.

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, V საუკუნისათვის ძირითადად დასრულებულია გარდატეხა უღვლილების სისტემაში, ენის განვითარების შინაგანი ტენდენციების შედეგად, ასპექტური დაპირისპირება შეცვალა განვითარებულ დრო-კილოთა სამწევროვანმა სისტემამ, რომელმაც უფრო დააკონკრეტა ზმნით გამოხატული მოქმედების საუბრის მომენტისადმი მიმართება.

აღნიშნულმა მოვლენამ შეასუსტა ხოლმეობითის პოზიციები. ცვლილება ხელშესახები გახდა ზმნურ ფუძეთა წარმოებაში; რომელიმე ბორგ-ი-ს,

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 126.

<sup>2</sup> გ. შაქავეარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.

<sup>3</sup> გ. შაქავეარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

<sup>5</sup> დ. მელიქიშვილი, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობისათვის, წილობილი, თბ., 1980.

<sup>6</sup> გ. შაქავეარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

8. მ ა ც ე ნ ი, ე ნ ის ა და ლ ი ბ რ ა ტ უ რ ის ს ე რ ი ა, 1990, № 3

უბრძან-ის ფორმებში -ი სუფიქსის პარალელურად გაჩნდა სხვა სუფიქსები: -ებ, -ავ... (ბორგ-ავ-ს, უბრძან-ებ-ს...), რომელთაც, ამავე დროს, გააფორმეს აწმყოს ჯგუფი.

ბოლმეობითის -ი სუფიქსის -ებ, -ავ... თემატური ნიშნებით ჩანაცვლებას არ დაურღვევია ზმნაში მოქმედების მრავალგზისობის გაგება. ფაქტობრივად, ბოლმეობითის ადგილი აწმყომ დაიკავა და მისი ფუნქცია იკისრა (ოდინდელი ბოლმეობითის ფორმებმა: უწყ-ის მან ის, იც-ის მან ის..., რომლებიც წარმოებითა და სინტაქსური კონსტრუქციით ნაკეთთა II წყებას განეკუთვნებიან, მოგვიანებით აწმყოს გაგება შეიძინეს).

დროის კატეგორიის განვითარებას ქართულში არ გამოუწვევია საერთოდ ასპექტის კატეგორიის მოშლა, პირიქით, ასპექტის კატეგორიამ განვითარების ახალი სახე მიიღო, რაც შემდეგში გამოიხატა: ზმნური ფუძე მიგვეითებეს არა მარტო დროს მოქმედებისას, არამედ იმასაც, დასრულებულია თუ არა მოქმედება. ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული ბოლმეობითის ფორმები აწმყოს, უწყვეტელისა და წყვეტელის, აგრეთვე II თურმეობითის ფორმებთან. სადაც ძველ ქართულში ვადასტურებთ საპირისპირო ფორმებს: წერდა - წერდის, დაწერა - დაწერის, დაეწერა - დაეწერის...

მოქმედების სრულობა — უსრულობა (ისევე როგორც წყვეტილობა — უწყვეტილობა, ერთგზისობა — მრავალგზისობა) „ასპექტის კატეგორიის ნაირსახეობას წარმოადგენს“<sup>8</sup>, რომელიც განვითარდა დროის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ. მისი გაფორმება ზმნისწინმა იკისრა, როდესაც აწმყოს წრსაგან აწარმოა მყოფადის წრე; წარმოიქმნა მომავლის გადმოსაცემი სპეციალური მწკრივები; დაცალკევდა მომავალი დროისა და კავშირებითობის გამოხატვა. ბოლმეობითი, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩა. ამან იმოქმედა მის არსებობაზეც.

„ძველ ქართულში პრევერბების როლი ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით მინიმალური იყო“<sup>9</sup> (აშენა და აღაშენა ორივე წყვეტილი ასპექტის ფორმას წარმოადგენდა). ძველი ქართულის პირველ და მეორე სერიას შორის ასპექტის წარმოების მხრივ დაახლოებით ისეთივე მიმართება იყო, როგორაც დღესაა აწმყოს წყებასა და მყოფადის წყებას შორის; I სერია უსრულ ასპექტს გამოხატავდა, ხოლო II სერია — სრულს.

თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომ ძველი ქართულის უღვლილები სისტემაში ოთხი ბოლმეობითი იყრის თავს: 1. აწმყოს, 2. უწყვეტლის, 3. II ბოლმეობითი და 4. III ბოლმეობითი. მათთვის საერთოა ის, რომ ოთხივე თხრობითი კილოს წარსულ დროზე მიგვეითებეს, აქვს ძირითადი მაწარმოებელი -ი სუფიქსი და გამოხატავს მრავალგზის მოქმედებას.

ყველაზე ძველია II ბოლმეობითი. ამ მწკრივის არსებობა დადასტურება იმისა, რომ დრო-კილოთა სისტემის ჩამოყალიბების მიუხედავად, თვით II სერიის შიგნით არ მოხსნილა ასპექტური დაპირისპირება მწკრივთა შორის. „არსებითად, ბოლმეობითი გადმონაშთია უკვე ძველი ქართულისათვის, გადმონაშთი იმ ეპოქისა, როდესაც ზმნის უღვლილება პირველ რიგში ასპექტის მიხედვით ცვლას გულისხმობდა“<sup>10</sup>. ახალ ქართულში II ბოლმეობითი მყოფადის ბოლმეობითმა შეცვალა, რომლის „შემუშავებაც პარალელურად ხდებოდა II ბოლმეობითის გადავარდნასთან ერთად“<sup>11</sup>.

<sup>8</sup> გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 122.

<sup>10</sup> გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

<sup>11</sup> ა. შანიძე, საფუძვლები, თბ., ტ. III, თბ., 1980, გვ. 221.

ხოლმეობითი არაა დრო, არამედ ასპექტი, რომელიც მოქმედების განვრცობითობას მიუთითებდა (იხ. ზემოთ). მისი არსებობის აუცილებლობა ზმნის, როგორც მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის, ბუნებიდან გამომდინარეობს. დროის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგაც რჩება საჭიროება მოქმედების განვრცობითობის გამოხატვისა, მაგრამ ამ ფუნქციას თავად ხოლმეობითიდან კონკრეტიზებული ნაკვთები კისრულობენ, რის გამოც უფუნქციოდ რჩება პერმანსივი, უფუნქციობა განსაზღვრავს მისი კატეგორიის მოშლას.

„არსებობად ხოლმეობითი ემთხვევა თავისი ფუნქციით აწმყო ზოგადი (-ს, -ე)... აწმყო ზოგადს დაცული აქვს აწმყოს ძველისძველი ფუნქცია“<sup>12</sup> — მიუთითებს მოქმედებაზე, რომელიც ჩვეულებრივ ხდება. ამრიგად, ხოლმეობითისა და აწმყოს ასპექტი აერთიანება. სერიების ჩამოყალიბების შემდეგ აწმყომ არა მარტო ფუნქცია იკისრა ხოლმეობითისა; თუ მანამდე ხოლმეობითის ფუძე იყო ამოსავალი ნამყო უსრულისათვის (ე. წ. „არქაული ნამყო უსრული“), ახლა აწმყოს ფუძე გახდა (შდრ.: ხოლმ. ვიდ-ი-ს, ნ. უსრ. ვიდ-ო-და — აწმყ. ვალ-ს, ნ. უსრ. ვიდ-ო-და-ა<sup>13</sup>; ენის განვითარების მანძილზე იკარგება აწმყოს ხოლმეობითი, რადგან საკუთრივ აწმყოს ფორმები შეიცავენ მრავალგზისობის გაგებას. III სერიის მიმართაც ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე; III სერიის მწკრივთათვის ამოსავალია I თურმეობითი, რომელიც ვნებითის ინვერსიამქმნილ აწმყოს წარმოადგენს (გარდამავალი სამპირიანი ზმნისათვის). თურმეობითი, ისევე როგორც ხოლმეობითი, განვრცობითი ზაზოვანი ასპექტის გამოხატველია. სწორედ ამიტომ, რომ მას ძირითად ფუნქციასთან ერთად (წარსული დროისა და თბრობითი კილოს აღნიშვნა) ახლანდელი ან მომავალი დროისა და კავშირებით-ბრძანებითი კილოს გამოხატეც შეუძლია<sup>14</sup>. არნ. ჩიქობავა თავის წიგნში — „ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (I ნაწ.) — I თურმეობითის წარმოების მეორე, უფრო ძველ, წყვეტილის ფუძეზე დამყარებულ ტიპსაც გამოყოფს; შდრ.: ა-შენ-ებს-ს — აა-შენ-ა — უ-შენ-ებ-ი-ა; ა-ქ-ებ-ს — ა-ქ-ო — უ-ქ-ი-ა... უქია ტიპი იმ ვითარების ამსახველია, როცა აწმყოს ადგილი ხოლმეობითს ეკავა, II წყვეტილის ნაკვთს<sup>15</sup> (დასტურდება წყვეტილისა და I თურმეობითის პარალელური ხმარება ერთსა და იმავე კონტექსტში, „რაც აიხსნება მათი შინაარსობრივი სიახლოვითა და ზოგჯერ ფუძეთა ერთიანობით“<sup>16</sup>). ორივე ტიპით, აწმყოს ან წყვეტილის ფუძით წარმოების შემთხვევაში I თურმეობითში არის მოქმედების მრავალგზისობის გაგება, რასაც შესაბამისად იძენენ III სერიის დანარჩენი მწკრივებიც. ამის გამო III ხოლმეობითის არსებობა ზედმეტი აღმოჩნდა. იგი ძველ ქართულშიც იშვიათად იხმარებოდა, ხოლო საშუალ ქართულში დი-კარგა.

თანამედროვე ქართულმა შეინარჩუნა მხოლოდ მყოფადის ხოლმეობითი, რომელიც უწყვეტლის ფუძეს იყენებს, ხოლო „მყოფადი“ ეწოდება იმიტომ, რომ მის წრეს განეკუთვნება.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი საკითხი ხოლმეობითთან დაკავშირებით; ეს არის მისი წარმოება.

XVIII საუკუნემდე ხოლმეობითისათვის სპეციფიკურია ორგანული, ე. წ. მორფოლოგიური, ფორმანტის საშუალებით წარმოება (დაწერა — დაწერია);

<sup>12</sup> გ. მაქავეარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

<sup>13</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., დასკვნა, გვ. 127.

<sup>14</sup> ე. ფეიქრიშვილი, თურმეობითის მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში, ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974, გვ. 69.

<sup>15</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., დასკვნა, გვ. 127.

<sup>16</sup> ე. ფეიქრიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

შემდეგ, ხოლმეობითის გადავარდნასთან დაკავშირებით, გაბატონდა „ხოლმე“ ნაწილაკიანი აღწერითი წარმოება: ერთგზისის ფორმა + ხოლმე = ხოლმეობითს<sup>17</sup> (ხატავს ხოლმე...). ასეთი წარმოება იმდენად მოქნილი აღმოჩნდა, რომ მისი საშუალებით მრავალგზისობის გამოხატვა მოხერხდა თვით ზმნისწინაპარს სრულასპექტიან ფორმებში. „ხოლმე“ ნაწილაკის გამოყენების აუცილებლობა გამოიწვია აგრეთვე „უფუნქციო“-ი სუფიქსიანი ნაშრომის გავრცელებამ სალიტერატურო ენაში ერთი ტიპის ზმნებთან ყველა გვარის ფორმებში, როცა ერთგზისი — მრავალგზისი აშკარად აირია და ორპარაგრაფი გახდა. შდრ.: ვთხოვდი-ი, ვაეზბი-ი, ვავუშვი-ი ტიპის ზმნები, რომელთა ფუძეზე „ხოლმე“ ნაწილაკის დართვა ქმნის საპირისპირო გაგებას<sup>18</sup>.

XVII—XVIII საუკუნეების სალიტერატურო ქართული გარდამავალი საფეხურია ხოლმეობითის წარმოებაში; გვხვდება მრავალგზისობის ორმაგად ნაწარმოები ფორმები: აკეთებდ-ი-ს ხოლმე, წერდ-ი-ს ხოლმე, რაც თავისთავად საინტერესოა.

XIX საუკუნეში ორგანული წარმოების ხოლმეობითი სპორადულად გვხვდება და ისიც მხოლოდ იმ მწერლებთან (ვაჟა, რ. ერისთავი), რომელთა დიალექტშიც დღემდე შემონახულია ასეთი ფორმები.

„ხოლმე“ ნაწილაკი სალიტერატურო ქართულში ფუძედიალექტიდანაა დამკვიდრებული; მის, როგორც სიხშირის ნაწილაკის, საჯულისხმო დახასიათებას გვაწვდიან: ჯერ კიდევ სულხან-საბა თავის ლექსიკონში, პლ. იოსელიანი, პოლ. კვიციანიძე.

ფშავურ და ხევსურულ დიალექტში არ გვხვდება „ხოლმე“ ნაწილაკიანი ხოლმეობითი. აქ დაცულია ხოლმეობითის ისტორიული წარმოება ზოგიერთი სიახლით: „-ი-დ, -ო-დ სუფიქსების დართვით ნაშრომ უწყვეტლის ფუძეზე მრავალგზისობის ახალი ფორმა განვითარდა: ვაკეთებდ-ი-დ-ი, ვწერდ-ი-დ-ი (ხევს.); დაწერდ-ო-დ-ი, ვიხარებდ-ო-დ-ი (ფშავ.)<sup>19</sup>.

ზოგ დიალექტში (მოხეურთ, მთიულ-გუდამაყრული, ფერეიდნული, ინგილოური, ნაწილობრივ კახური) ხოლმე ნაწილაკს ენაცვლება -ყე || -კე ნაწილაკი: აკეთებსყე — აკეთებსყე — აკეთებს ხოლმე. -ყე ნაწილაკის ხოლმეს მნიშვნელობით გამოყენება პირველად მ. ჯანაშვილმა შენიშნა.

ხოლმე და -ყე || -კე ეტიმოლოგიურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ისინი ერთი და იმავე ძირის სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიაციას უნდა წარმოადგენდნენ (ხუ-ალ-მე)<sup>20</sup>.

ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით თუ მივუდგებით ყოველივე ზემოთქმულს, თვალსაჩინო ხდება ენის განვითარების შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე 2 ძირითადი ტენდენცია: 1. რამდენიმე სინონიმური ფორმიდან ერთი რჩება, დანარჩენი იკარგება, ან თუ არ იკარგება, განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს, ენაში მოქმედებს განზოგადების პრინციპი.

ძველი ქართული უღვლილების სისტემაში არსებული 4 ხოლმეობითიდან მხოლოდ ერთი შეინარჩუნა თანამედროვე ქართულმა — მყოფადის ხოლმეობითი, რომელიც თავის მხრივ, ისტორიული ხოლმეობითის ბაზაზე განვითარდა; რაც შეეხება დანარჩენ ხოლმეობითებს (აწმყოს ხოლმ., II ხოლმ. და III ხოლმეობითს), ისინი დაიკარგნენ, რადგან მათი ფუნქცია სხვა მწკრივებმა იკისრეს.

2. ქართული ენის ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როცა

<sup>17</sup> ი. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 10.

<sup>18</sup> ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>20</sup> ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.



ხდება გადასვლა ახალ ნორმებზე, შეიმჩნევა აღწერითი ფორმების მოძალადეობა რაც თავის ახსნას პოულობს როგორც ენის განვითარების შინაგან ბუნებრივ მოძრაობაში ისე ენათა კონტაქტებში.

ჩვენი მიზანია, გავარკვეოთ მყოფადის ხოლმეობითის ფუნქციები და გამოყენების არე თანამედროვე ქართულში. მასალა ამოკრებილია ო. ჭილაძის, გ. ფანჯიკიძის, რ. ინანიშვილის, ა. სულაყურის, ნ. დუმბაძის, გ. რჩეულიშვილის, გ. დოჩანაშვილის ცნობილი ნაწარმოებებიდან.

საანალიზო მასალა ცხადყოფს, რომ მყოფადის ხოლმეობითი თანამედროვე ქართულში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მწკრივია. იგი ხშირად მონაწილეობს სინტაქსურ ურთიერთობაში, გვხვდება მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებებში (როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ნაწილში), აგრეთვე რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში და ავლენს მეტად საინტერესო ფუნქციებს.

**1. მყ. ხოლმეობითი თხრობითი კილოს (წარსული დროის) ფუნქციით.** მყოფადის ხოლმეობითისათვის ორგანულია წარსული მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა; კილო ასეთ შემთხვევაში თხრობითია. ამ ფუნქციით იგი გვხვდება:

1. ხოლმე ნაწილაკის თანხლებით; დღეს არცთუ ისე იშვიათია აღწერითი წარმოების მყ. ხოლმეობითი. ადგილის მიხედვით, ხოლმე ყოველთვის მოსდევს ზმნის ფორმას (განსხვავებით თურმე ნაწილაკისაგან, რომელიც შეიძლება წუნაც დაერთოს). საგულისხმოა, რომ მისი დიალექტური ეკვივალენტიც -ყე II -კე ბოლოში ერთვის ზმნას: აკეთებს ხოლმე II აკეთებსყე II აკეთებსკე.

როგორი აგებულებისაა არ უნდა იყოს წინადადება. რამდენი ხოლმეობითის ფორმაც არ უნდა იყოს მასში წარმოდგენილი, ხოლმე ნაწილაკი მხოლოდ ერთი იქნება (ამითაც განსხვავდება თურმე ნაწილაკისაგან): შავ პატარა უღვაშს აიკრება, წისკვილი გადახედავდა და ამაყად იტყოდა ხოლმე [ა. სულ., 40]; მაშინვე ასტეხდა ხოლმე განგანს, როგორც კი მამა-შვილი ხმას აუწევდა [ო. ჭილაძ., 297].

საკუთრივ მყ. ხოლმეობითი შინაგანად, ხოლმე ნაწილაკის გარეშეც გამოხატავს მრავალგზის მოქმედებას, მაგრამ ვერც მხოლოდ კეთილხმოვანების მიზნით ავხსნით ხოლმეს ხშირ ხმარებას მასთან; როგორც ჩანს, ეს ფუნქციური აუცილებლობითაცაა გამოწვეული — ხოლმე ნაწილაკი ამყარებს, ამტკიცებს ხოლმეობითში მრავალგზისობის გაგებას. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ხოლმე ნაწილაკიანი მყ. ხოლმეობითი ყოველთვის წარსულ მოქმედებას (თხრობ. კილ.) გამოხატავს, რომელ მწკრივთან მიმართებაშიც არ უნდა იყოს: ...დარეჯანი და ავთანდილი იმ მწვანე მატარებელს უნდა ჩამოეყვანა, ... მდინარის აკოლებზე რომ გაივლიდა ხოლმე და კვამლის თეთრ ნაფლეთებს გადააპენტავდა ვერხვებს [რ. ინან., 155]; ...ხშირად ვფიქრობდი მთვარისაზე, ისე ხშირად, რომ ზოგჯერ ცოცხლადაც კი წარმოვიდგენდი ხოლმე [ა. სულ., 28].

II. ხოლმე ნაწილაკის გარეშე: II. I. მარტივ წინადადებაში: ათი პატიმარი ზეავივით მიაწყდებოდა კარს [ნ. დუმბ., 28].

ხოლმეობითის მიერ მრავალგზისი მოქმედების გამოხატვას აძლიერებენ ვითარების ზმნიზებები: იშვიათად, კანტიკუნტად: ...იშვიათად თუ დაეთანხმებოდნენ ერთმანეთს [გ. დოჩ., 28]; ...ქუჩაში კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდნენ ქოლგიანი ქალები [გ. ფანჯ., 159].

ზმნიზება „იშვიათად“ როგორ „გაიშვიათებულ“ გზისობაზეც არ უნდა მგვითითებდეს, ეს გზისობა მაინც ერთზე მეტია. ანალოგიურია ზმნიზება „კანტიკუნტად“.

II. II. შერწყმულ წინადადებაში: აქ მოქმედების მრავალგზისობასთან ერთად გადმოცემულია თანმიმდევრობაც: დაიჩხვლებდა თუთიყუში, ამოძებულ





კუდს ნისკარტთან მიიტანდა და ბორბალივით დატრიალდებოდა ხარბახზე, მერე ერთს კიდევ დაიჩხავლებდა „მასპინძლო“ და თვალებს ბრაზიანად დაუხურებლებდა ქვეყანას [ო. ჭილ., 5]; მანქანას შეამოწმებდა, გადაიბარებდა და მუშაობას შეუდგებოდა [გ. ფანჯ., 60].

ხოლმეობითის მიერ მრავალგზისი მოქმედების გამოხატვას აძლიერებენ ისეთი დამატებითი კომპონენტები, როგორცაა:

II. II. I. ჯერობის ზმნიზედები: სამჯერ, ათჯერ, ათასჯერ... დღეში სამჯერ გამოგვიდა სახლს,... ათჯერ ავიდოდა სხვენში, ათასჯერ დახედავდა საქათმესა და ბოსტანს [ო. ჭილ., 58].

II. II. II. ვითარების ზმნიზედები: იშვიათად, ისევე: ... გვერდზე იშვიათად თუ გაიხედავდა და მაშინაც ინჯინრის თეთრ პერანგს თუ შეავლებდა თვალს [გ. ფანჯ. 10]; ...პერი არ ჰყოფნიდა, მოკცავდა ფეხებს... აუძგერდებოდა გული, გაშლიდა ისევ მუხლს [გ. დოჩ., 174].

II. II. III. დროის ზმნიზედები: ხანდახან, დროდადრო: ...ხანდახან ფრთების ფრთხილით გამოიშლებოდა, ქუჩას ჩაუქროლებდნენ [ა. სულ., 59]; დროდადრო შეჩერდებოდა, თვალებს გაახელდა და ისევ განაგრძობდა გზას [გ. ფანჯ., 86].

II. II. IV. კავშირი ხან...ხან: ...თავუნა ხან წინ წამოიწედა, ხან უკან დაიხედა [რ. ინან., 97]; ...ლევა ღრუბლები ხან გაიწელებოდა, ხან შეიკუმშებოდა [გ. ფანჯ., 84].

ხან... ხან კავშირი დროსთან ურთიერთმიმართებაშია შინაარსობრივად. დრო განმეორებადია (წამის განმეორება წუთის ქმნის, წუთის განმეორება საათს) და, თუმცა ხან...ხან კავშირი მიუთითებს მოქმედებას დაცალკეებულ დროის მომენტში, თავად მასში, კავშირში დაცულია დროის მუდმივობის, განმეორებადობის გაგება. იგივე ითქმის ხანდახან და დროდადრო ზმნიზედებზე, რომლებიც რედუქციაციის გზითაა მიღებული.

მოყვანილი კავშირისა თუ ზმნიზედების სემანტიკა თანხვედა მყ. ხოლმეობითისას.

ზმნიზედებმა, როგორც დამატებითმა კომპონენტებმა, შეიძლება გაამყარონ თხრობითი კილოს გაგება მყ. ხოლმეობითში: ...დაისახლისი დასასვენებელი სახლის შინაგანაწესს შეახხენებდა და უხათუოდ დააბრუნებდა პალატაში [ა. სულ., 281]; ...პატრონის მომლოდინე ძალცივით მაშინვე წამოწედა თავს და წყვედა მიაშტერდებოდა [ო. ჭილ., 100].

ზმნიზედასთან ერთად კონტექსტში შეიძლება იყოს გაძლიერებითი ნაწილაკი მაინც: ...ორ კვირაში ერთხელ მაინც აუცილებლად ჩავივლო და რაბაზში, ნახევარ საათს წავივარჯიშებდა, მერე ხელთათმანებს გაიკეთებდა [გ. ფანჯ., 518].

მყ. ხოლმეობითი, ძირითადად, უწყვეტლის ფუძეს იყენებს საწარმოებლად და ფუნქციურადაც ახლოს დგას მასთან. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ხშირად შეინიშნება მყ. ხოლმეობითისა და უწყვეტლის პარალელური ხმარება ერთსა და იმავე წინადადებაში. ასეთ დროს მყ. ხოლმეობითი ინარჩუნებს თავის ძირითად ფუნქციას — წარსული მრავალგზისი და თანმიმდევრული მოქმედების გამოხატვას (თხრ. კილ.), თუ უსწრებს უწყვეტელს დროის თვალსაზრისით: ...დაჭდებოდა ნავში, შიშველ ფეხებს წყალში ჩაყრიდა და მდგროდა [გ. რეულ., 72]; ...წააგლეჯდნენ ტოტს ნორჩ ყლორტებს და დიდხანს დეპავდნენ [რ. ინან., 178]; ...გრძელ მაგიდას მოუსხდებოდა, თითო ლიტრა კახურ ღვინოს დაამშრალდნენ და ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს [ნ. დუმბ., 9].

მოყვანილ წინადადებაში მაგვფუგებელი და კავშირი აერთებს საანალიზო ფორმებს. ამოკრებილი მასალა არ ადასტურებს ხოლმეობითისა და უწყვეტ-



ლის ისეთ პარალელურ ხმარებას და კავშირის (აგრეთვე მაცალკევებელი ხან...ხან, ან...ან კავშირების) გამოყენებით, როცა ჯერ უწყვეტლით გადმოცემული მოქმედება ხდებოდა, ხოლო შემდეგ — ხოლმეობითი. ასეთი კონსტრუქცია ბუნებრივია უკავშირო (ან მაგრამ კავშირით) შეერთების დროს. მაგ.: დილით ადრე **დგებოდა**, ხელ-პირს **იხანდა**, მერე **ისაუზმებდა** (**კითხულობდა**, მაგრამ წაითხულს არავის **მოუყვებოდა**), მაგრამ ხელოვნური იქნება და კავშირის შემთხვევაში, რომელიც აჯგუფებს უწყვეტელსა და ხოლმეობითს, როგორც ერთგვარ, დროის მიხედვით თანმიმდევრულ ფორმებს (შევაბრუნოთ ზემოთ მოყვანილი რომელიმე წინადადება, ჯერ უწყვეტლის ფორმები მოვათავსოთ, მერე ხოლმეობითისა: „გრძელ მაგიდას **უსხდებოდნენ**, თითო ლიტრა კახურ ლეინოს **ამშრალედნენ** და ამბებს **მოუყვებოდნენ** ერთმანეთს“; ფაქტი თავისთავად მეტყველებს). თუ ასეთი შემთხვევა მაინც იქნება, ხოლმეობითი ვერ გამოხატავს თხრობით კილოს (წარსულ დროს); არამედ — კავშირებითს, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია S III მრავლობითში, ეს უკანასკნელი ემთხვევა მყოფადის კავშირებითის S III მრავლობითს. შდრ.: ხოლმ.: რას იხამდნენ? — გააკეთებდნენ; მყ. კავშ.: რას იხამდნენ? — გააკეთებდნენ.

აღსანიშნავია ისეთი შემთხვევებიც, როცა ცოტაოდენ ჰირს გარკვევა, უწყვეტლის თუ ხოლმეობითის ფორმასთან და გაგებასთან გვაქვს საქმე: ...**მივდგებოდი**, ...ერთ კაკალს მთელი ნახევარი საათი **ვეწვალეობდი** და მაინც **ჩამოვადგებდი** [რ. ინან., 152]; ...დაეჭვებული სარკეს **მივადგებოდი** და საკუთარ თავს დიდხანს **ვათვალიერებდი** სარკეში [ა. სულ., 158]. ზოგჯერ ხოლმეობითი უწყვეტლით (ან მის გარემოც) უკავშირდება სხვა მწკრივებს, მაგალითად, II თურმეობითს (რომელიც წინარე წარსულს გამოხატავს): ...**ჩაეძინებოდა**, **ეღვიძებოდა** ისევ, **შუბლი დაცვაროდა** [გ. დოჩ., 194]; ...**ორი** საფეხურით უნდა **ჩასულიყავი** დაბლა, მერე **კარს შეადებდი** და **ოთახში შეხვიდოდი** [ნ. დუმბ., 20].

II. III. რთულ წინადადებაში (როგორც თანწყობილში, ისე ქვეწყობილში), როცა:

II. III. I. მოცემულია რთული წინადადების ყველა შემადგენელ ნაწილში: ...**წამოედებოდნენ** რომელიმე ხეს და თქრიალით **ჩამოშვავდებოდა** ტოტებიდან თოვლი [რ. ინან., 62]; ...სადაც მისი ნაწილი **გადავიდოდა**, ჩვენც დედაბუღიანად **ავიწრებოდი** და იმ ქალაქში **დავსახლდებოდი** [ა. სულ., 161]; ...ქორს ყველგან **წაიყვანდა** ფრთები, სადაც **მოისურვებდა** [გ. დოჩ., 100].

II. III. II. მოცემულია რთული წინადადების ერთ ნაწილში და დროის თვალსაზრისით ყოველთვის უსწრებს მეორე ნაწილში წარმოდგენილ რომელსავე მწკრივს, იქნება ეს უწყვეტელი, წყვეტილი თუ თურმეობითი (I—II): ...**დაგორდებოდნენ** ბალახიან ფერდობზე, კისკისით **მიგორავდა** გოგონაც, **გაძვრებოდნენ** ბარდებში, **მიძვრებოდა** ისიც [რ. ინან., 59]; ...**უბრძანებდა** და მიწაზე **დააწვენდა**, **მოინდომებდა** და **წამოახტუნებდა**, **ანიშნებდა** და ძალით თვდაყირა **კოტრიალობდა** [გ. დოჩ., 29].

შეიძლება თანწყობილი წინადადების ერთ ნაწილში ერთდროულად იყოს მოცემული მყ. ხოლმეობითი და უწყვეტელი. დროის აღნიშვნის თვალსაზრისით, აქ ისეთსავე მდგომარეობასთან გვაქნება საქმე, როგორც გვექონდა ზემოთ, შერწყმული წინადადების განხილვისას, სადაც მყ. ხოლმეობითი და უწყვეტელი ასევე პარალელურად იყო ნახმარი: ...ახლა თელავში **დავიწყებდი** ტირილს, მაშინ პაპა სადმე **მომიძებნიდა** ჩოკინას და **მპირდებოდა** [გ. რჩეულ., 110]; ...დროდადრო რომელიმე **შეუძახებდა**, ...**მაგრამ გრიშა უკანმოუხედავად ჩაიქნევდა** ხელს და ნაბიჯს **უმატებდა** [გ. დოჩ., 215].

როგორც მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, მოქმედება თანმიმდევრულია და წარსულში მიმდინარეობს, ზოგჯერ მყ. ხოლმეობითისა და უწყვეტლის

მიერ თანმიმდევრული მოქმედების გამოხატვას ხელს უწყობს დროის ზმნივნე-  
და ან ფუნქციით მასთან გათანაბრებული სიტყვათა კომპლექსი **სანამ, მანამ, ხანამ**  
ქარი **ახმაურებდა** ფოთლებს, რაღაც **გაიფანუნებდა** ბუჩქებში, **ხანდახან**  
საკუთარი ჩრდილი თითქოს უკნიდან **ეპარებოდა** ყაჩაღებს [გ. დოჩ., 43];  
...ამასობაში კუკარაჩად **გამოჩნდებოდა** დაბარებულივით და მოსე **იმ წუთში**  
(= მაშინვე) ხაერდად იქცეოდა [ნ. დუმბ., 46].

II. III. III. მოცემულია რთული წინადადების ერთ ნაწილში და დროის  
თვალსაზრისით მას უსწრებს მეორე ნაწილში არსებული:

ა) უწყვეტლის მწკრივი, რომელიც გრძობა-აღქმის გამომხატველი ზმნი-  
ბითაა წარმოდგენილი: ...**არ სიამოვნებდა**, როცა სხვის გზას **გაჰყვებოდა**,  
სხვის რჩევას **დაუჭერებდა** [გ. ფანჯ., 189]; ...**არ უყვარდა**, როცა ვინმე მის  
მიზნებს **ჩასწვდებოდა** [გ. ფანჯ., 184]; ...**ბავშვივით უხაროდა**, როცა რაიმე  
ხუმრობა **მოუვიდოდა** თავში [გ. რჩეულ., 44].

ხოლმეობითის (რომელიც დამოკიდებულ ნაწილშია) ფუნქციის გარკვევისას  
არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მთავარ ნაწილში წარმოდგენილ გრძობა-აღ-  
ქმის გამომხატველ ზმნებს (უხაროდა, უყვარდა...), გრძობა-აღქმა უცვალბე-  
ლია; როცა ადამიანს არ უყვარს, სხვა რომ მის მიზნებს ჩაწვდება, არ უყვარს  
საერთოდ და არა ერთხელ; ამიტომ ზემოთ წარმოდგენილი ხოლმეობითის  
ფორმები მრავალგზისობის გაგებას შეიცავენ, ხოლო მათ მიერ წარსული დრო-  
ის გამოხატვა დასაშვებია იმდენად, რამდენადაც მთავარ ნაწილში ფორმები  
წარსულს გამოხატავენ.

ბ) უწყვეტლის, წყვეტილის ან თურმეობითის (I—II) მწკრივები, რომლე-  
ბიც წინარე წარსულს გამოხატავენ. ქვემოთ მოყვანილია დროის გარემოებითი  
დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობის ნიმუშები **სანამ, მანამ,**  
**ვიდრე** კავშირების გამოყენებით; დასახელებული მწკრივებით გადმოცემუ-  
ლი წინარე წარსული დროის გაგება შეიძლება გაამყაროს დროის ზმნიშვნელებმა:  
**ადრე, კარგა ხანს, უკვე, წინასწარ...** ...**ადრე ვიდრე ინახავდა** ხალხი, **სანამ**  
**სისხლში გაისვრიდა** ხელს [ნ. დუმბ., 26]; ...**ვიდრე** აჩიკო ყავის სმას **შეუღ-**  
**ვებოდა**, მე **უკვე გამოვცალე** ჩემი ფინჯანი [ნ. დუმბ., 158]; ...**სანამ** სიმაღ-  
ლის მიხედვით **ჩაემწკრივდებოდათ**, **კარგა ხანს ვიბოდილათ** [გ. დოჩ., 92].

III. **თურმე** ნაწილაკის თანხლებით; მყ. ხოლმეობითი ამ შემთხვევაში უნა-  
ხოობის გაგებას შეიცავს (**თურმე** ნაწილაკს, მსგავსად **ხოლმე** ნაწილაკისა,  
თითქმის ყველა მწკრივთან შეუძლია აწარმოოს უნახაობის აღწერითი ფორმე-  
ბი): ...**მოღვებოდა თურმე** მოაჯირთან, არწივივით **დაჰყურებდა** ეზოში აფუს-  
ფუსებულ მსახურებს [რ. ინან., 54].

საინტერესოა ისეთი შემთხვევა, სადაც ერთსა და იმავე კონტექსტში ხოლ-  
მეობითი გვხვდება როგორც **ხოლმე**, ისე **თურმე** ნაწილაკების თანხლებით:  
...**ჩიბუჩი რომ ჩაუჭებოდა ხოლმე**, ...**შვილიშვილს გასძახებდა თურმე...** **მო-**  
**ურბენინებდა თურმე** ცაცა დაჩხირს. ისევ რომ **ჩაუჭებოდა**, ახლა ყალიონს  
**გაატანდა...** **გაიქცეოდა** ცაცა **თურმე** და სულ ფშუქუნ-ფშუქუნით **მოარბენი-**  
**ნებდა** ყალიონს [ნ. დუმბ., 63].

IV. ავტორის სიტყვებში: ...**მე, მაგალითად, — ჩაფიქრდებოდა** და **სახე**  
**მოუქმუნებოდა**, — შურიანი ნამდვილად არა ვარ [გ. დოჩ., 271].

2. მყ. **ხოლმეობითი კავშირებითი კილოს (მომავალი დროის) ფუნქციით.**  
ძირითადი ფუნქციის გარდა, ხოლმეობითმა შეიძლება გამოხატოს (არცთუ ისე  
იშვიათად) მომავალი დრო; კილო ასეთ შემთხვევაში კავშირებითია. ამ ფუნქ-  
ციით ხოლმეობითი გვხვდება:

I. **მარტივ წინადადებაში, როცა:**

I. I. **წინადადება უკუთქმითია. უკუთქმითობა შეიძლება გამოიხატოს უკუ-**  
**თქმითი ნაწილაკის — ვერ — ან მისი მეშვეობით მიღებული უარყოფითი სი-**

ტყეების გამოყენებით: ...ერთი წამითაც ვერ გავძლებდი უმისოდ [გ. რჩეულ., 59]; ...ცოლი პიპარად ვერაფერს გაუზედავდა [გ. ფანჯ., 66].



I. II. წინადადება კითხვითია ან კითხვითი-ძახილის; გამოყენებულია (ანაბრად) სათანადო შორისდებულები, კითხვითი სიტყვები: ...უარს როგორ ვეტყობი?! [ნ. დუმბ., 197]; ...ვინ გაუშვებდა ხელიდან ასეთ შემთხვევას?! [ო. ჭილ., 7]; ...ბოლოს და ბოლოს სადგურში გავათევლით ლამეს! [ა. სულ., 116].

I. III. გამოყენებულია მიახლოებითი ნაწილაკი ცოტაც: ...ცოტაც და სოფელიც გამოჩნდებოდა [რ. ინან., 190].

II. შერწყმულ წინადადებაში; აქ იმავე ღირებულებისად გვევლინებიან ურყოფითი ნაწილაკები: ვერ(ც), ვეღარ, არ(ც)... და მათი მეშვეობით მიღებული სიტყვები, აგრეთვე ნაწილაკი ცოტაც.

განსახილველია რამდენიმე შემთხვევა, როცა:

II. I. მხოლოდ მყოფადის ხოლმეობითის ფორმებია და არა სხვა რომელიმე მწკრივი მის პარალელურად: ...ტკივილი, სულ ცოტაც და ამოავსებდა, ამოკვანავდა სასულესაც [რ. ინან., 125]; ...ვერც ერთი ქალი მის ადგილს ვერასოდეს ვეღარ დაიკავებდა, ვერავინ წაართმევდა პირველობის უფლებას [ო. ჭილ., 54].

ურყოფით ნაწილაკს შეიძლება ერთვოდეს ურყოფითი ნაწილაკი მაინც: ...მაინც ვეღარ გაჩერდებოდა, ხომალდს მოიტაცებდა, მეკობრეებს შეუამხანავდებოდა, ანდა ...უამხანავოდ გადმოცურავდა ზღვეს [ო. ჭილ., 488].

კონტექსტში მაცალკევებელი ანდა კავშირია გამოყენებული, რომელიც არანაკლებ გავლენას ახდენს მყ. ხოლმეობითის ფორმაში მომავლის გაგებაზე. ამაში ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ქვემოთ მოყვანილი წინადადება: მყ. ხოლმეობითი კავშირებითი კილოს ფუნქციითაა, მოქმედებას ვერ მივიჩნევთ ნამდვილ ფაქტად, რადგან ჯერ არ შესრულებულა: ...ან დააღწევდა თავს მისი ტყეობიდან, ან მასაც აიყოლიებდა და გაიტაცებდა [ო. ჭილ., 70].

ხოლმეობითის მიერ შესაძლებელი, სავარაუდო მოქმედების გამოხატვას აძლიერებს ალბათ ნაწილაკი: ...ოყაჯადოც მიიხედ-მოიხედავდა ალბათ და მეკინიბეს შეამჩნევდა, არც შეცდებოდა [ო. ჭილ., 213].

II. II. მყოფადის ხოლმეობითის გვერდით წარმოდგენილია სხვა რომელიმე მწკრივი: უწყვეტელი, წყვეტილი, II კავშირებითი. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დასახელებული მწკრივები იწვევენ მყ. ხოლმეობითში მომავლის (კავშ. კილოს) გაგებას, ამ ფუნქციას მყ. ხოლმეობითი მათ გარეშე, დამოუკიდებლადც გამოხატავს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთლიანად კონტექსტს, ინტონაციას, შინაარსს: ...სად იყავი ამდენ ხანს, რამდენ უბედურებას გადამარჩინდი?! [ნ. დუმბ., 66]; ...შენ არ გაგაღვიძებდი, მაგრამ, რას იზამ, დამხმარე კაცი ვერ ვიშოვნე [ა. სულ., 527]; ...დათა ყურადღებით უსმენდა გრიშას, არასოდეს გაწყვეტინებდა სიტყვას [გ. დოჩ., 195].

II. III. დაპირისპირება წყვეტილის მწკრივთან (რომელიც უფრო ადრე შესრულებულ მოქმედებაზე მიუთითებს) ხოლმეობითის ნაწილაკების გარეშეც ანიჭებს მომავლის გაგებას: ...სასადილო ჯერ ცარიელი იყო, მაგრამ ერთ-ორ საათში პირამდე აივსებოდა [ნ. დუმბ., 50].

ანალოგიურია მდგომარეობა და მაჯგუფებელი კავშირის შემთხვევაში: ...ცხოვრება გამოცანა იყო და გამოცანად დარჩებოდა [ო. ჭილ., 68].

II. IV. როცა წინადადებაში გამოყენებულია შემდეგი კონსტრუქციები: სხვა მაგის ადგილზე (მე თქვენს ადგილზე), ადრე თუ გვიან, დღეს თუ არა ხვალ (მაინც): ...სხვა მაგის ადგილზე გაბოროტდებოდა, დაიბოღმებოდა [ა. სულ., 529]; ...ადრე თუ გვიან ისიც აუცილებლად გაიგებდა და ამოქმედ-

დებოდა [ო. კილ., 428]; ...დღეს თუ არა ხვალ მაინც გეტუოდნენ, ყურში  
შხამს ჩაგაწვებდნენ [გ. ფანჯ., 27].

III. I. წარმოდგენილია რთული წინადადების ყველა შემადგენელ ნაწილში და წინადადება უკუთქმითია (რაც შეიძლება განხორციელდეს სათანადო ნაწილს ან მათი მეშვეობით მიღებული უარყოფითი სიტყვების გამოყენებით): ...შეუმჩნევლად ვეღარ მიდგებოდა ჩრდილში და მისი ოჯახური მყუდროება სამუდამოდ დაირღვეოდა [გ. ფანჯ., 415]; ...ვერ წარმოიდგენდა, ყველაფერი თუ ასე სწრაფად მოხდებოდა [გ. ფანჯ., 457].

III. II. წარმოდგენილია რთული ქვეწყობილი წინადადების ყველა შემადგენელ ან რთული თანწყობილის მხოლოდ ერთ ნაწილში; წინადადებას, ასევე მომავლის გაგებას მყ. ხოლმეობითში წარმართავს კითხვითი ინტონაცია სათანადო კითხვითი სიტყვების გამოყენებით (შესაძლოა, კონტექსტში მოცემული იყოს უარყოფითი ნაწილაკი — არ): ...როგორ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე მე თვითონ დავანგრევდი იმ სახლს?! [ა. სულ., 37]; ...რათ, რა დავაბარა ლომკაცამ, ისე ტყუილად არ მოხვდიდი შენი! [ნ. დუმბ., 20].

IV. მორიდებული მიმართვის გამომხატველ წინადადებებში: ...რას იტყვდი (= რას იტყვით) ...იშვილი ...აკადემიაში რომ გადაგვეყვანა? [გ. ფან., 409]; ...თქვენს მეგობრებს ძალიან გაუხარდებოდათ (= გაუხარდებათ), თუ თქვენ მათ სახელს და გვარს დაივიწყებდით (= დაივიწყებთ) [ნ. დუმბ., 80].  
დასკვნა: ამრიგად, როგორც ჩვენმა გამოკვლევამ ცხადყო: 1. მყოფადის ხოლმეობითის ძირითადი ფუნქცია თანამედროვე ქართულში არის წარსული მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა (კილო თხრობითია). ამ ფუნქციით ხოლმეობითი გვხვდება:

I. ხოლმე ნაწილაკის თანხლებით; II. ხოლმე ნაწილაკის გარეშე. II. I. მარტივ წინადადებაში; II. II. შერწყმულ წინადადებაში;

მყ. ხოლმეობითის მიერ მრავალგზისი მოქმედების გამოხატვას აძლიერებენ ისეთი დამატებითი კომპონენტები, როგორიცაა:

II. II. I. ჯერობის ზმნიზედები: სამჯერ, ათჯერ, ათასჯერ, ზოგჯერ... II. II. II. ვითარების „ . . . . “: იშვიათად, კანტიკუნტად, ისევ... II. II. III. დროის „ . . . . “: ხანდახან, დროდადრო... II. II. IV. კავშირი ხან... ხან.

თანმიმდევრული მოქმედების ვადმოცემისას ხშირია მყ. ხოლმეობითისა და უწყვეტლის პარალელური ხმარება, რაც მათი ფუნქციური და წარმოების მხრივ სიახლოვით აიხსნება.

II. III. რთულ წინადადებაში, როგორც თანწყობილ, ისე ქვეწყობილში, როცა: II. III. I. მოცემულია რთული წინადადების ყველა შემადგენელ ნაწილში; II. III. II. მოცემულია რთული წინადადების ერთ რომელსამე ნაწილში და დროის თვალსაზრისით ყოველთვის უსწრებს მეორე ნაწილში წარმოდგენილ რომელსამე მწკრივს (იქნება ეს უწყვეტელი, წყვეტილი თუ თურმეობითი I—II); II. III. III. მოცემულია რთული წინადადების ერთ ნაწილში და დროის თვალსაზრისით უსწრებს მეორე ნაწილში არსებული: ა) უწყვეტლის მწკრივი, რომელიც გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნებითაა წარმოდგენილი (არ უყვარდა, უხაროდა...); ბ) უწყვეტლის, წყვეტილის ან თურმეობითის (I—II) მწკრივები, რომლებიც წინარე წარსულს გამოხატავენ.

III. თურმე ნაწილაკის თანხლებით, როდესაც უნახაობას ვადმოსცემს.

2. ძირითადი ფუნქციის გარდა, მყ. ხოლმეობითმა შეიძლება გამოხატოს (არცთუ ისე იშვიათად) მომავალი დრო, კავშირებითი კილო. ამ ფუნქციით მყ. ხოლმეობითი გვხვდება:

I. მარტივ წინადადებაში, როცა: I. I. წინადადება უკუთქმითია. უკუთქმითობა შეიძლება განხორციელდეს უარყოფითი ნაწილაკების: არ, ვერ(ც), ვე-





ღარ... და მათი მეშვეობით მიღებული ზმნიზედების: არასოდეს, ვერასოდეს...  
 საერთოდ, უარყოფითი სიტყვების: არაფერს, ვერაფერს... გამოყენებისას.  
 I. II. წინადადების ინტონაცია სცილდება თხრობითი კილოს ფარგლებს, კითხვითია, ან კითხვით-ძახილის, გამოყენებულია (ან არა) კითხვითი სიტყვები, სათანადო შორისდებულები; I. III. გამოყენებულია მიახლოებითი ნაწილაკი ცოტაც; II. შერწყმულ წინადადებაში, სადაც იმავე ღირებულებისად გვევლინებიან ზემოთ მოყვანილი პირობები; აქ განსახილველია რამდენიმე შემთხვევა, როცა: II. I. წინადადებაში მხოლოდ ხოლმეობითის ფორმებია; II. II. წინადადებაში მოცემულია სხვა რომელიმე მწკრივი (უწყვეტილი, წყვეტილი, II კავშირებითი) ხოლმეობითის პარალელურად; II. III. წარმოდგენილია დაპირისპირება წყვეტილის მწკრივთან (რომელიც უფრო ადრე შესრულებულ მოქმედებაზე მიუთითებს); II. IV. წინადადებაში წარმოდგენილია შემდეგი კონსტრუქციები: „სხვა მაგის ადგილზე“, „მე თქვენს ადგილზე“, „ადრე თუ გვიან“, „დღეს თუ არა ხვალ (მაინ)“;  
 III. რთულ წინადადებაში (როგორც თანწყობილ, ისე ქვეწყობილში), თუ: III. I. ხოლმეობითი წარმოდგენილია რთული წინადადების ყველა შემადგენელ ნაწილში და წინადადება უკუთქმითია; III. II. ხოლმეობითი რთული ქვეწყობილი წინადადების ყველა შემადგენელ ან რთული თანწყობილის მხოლოდ ერთ ნაწილშია; წინადადებას, ასევე მომავლის გაგებას ხოლმეობითში წარმართავს კითხვითი ინტონაცია;  
 IV. ხოლმეობითი კავშირებითი კილოს (მომავლის) ფუნქციითაა მორიგებული მიმართვის გამომხატველ წინადადებებში.

**შე მო კ ლ ე ბ ა ნ ი**

გ. დონ. — გ. დონანაშვილი, მოთხრობები, თბ., 1976.  
 ნ. დუმბ. — ნ. დუმბაძე, თეთრი ბაირალები, თბ., 1973; კუკარაჩა, თბ., 1981; მარადისობის კანონი, „ცისკარი“, 1978, № 1—2.  
 რ. ინან. — რ. ინანიშვილი, შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976.  
 გ. რჩელ. — გ. რჩელაშვილი, მოთხრობები, თბ., 1977.  
 ა. სულ. — ა. სულაკაური, მოთხრობები, თბ., 1975.  
 გ. ფანჯ. — გ. ფანჯიკიძე, მოთხრობები, ორი რომანი, თბ., 1975.  
 ო. ჯოდ. — ო. ჯილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, თბ., 1973.

И. В. ВАШАКИДЗЕ

**ФУНКЦИИ ПРОШЕДШЕГО МНОГОКРАТНОГО ДЕЙСТВИЯ  
 В СОВРЕМЕННОМ ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ**

**Резюме**

Рассмотрены основные функции пермансива в современном грузинском языке.

Выясняется, что пермансив один из самых активных рядов глагола, который часто участвует в синтаксических конструкциях разного вида и имеет много функций. Из них основными являются следующие:

1. выражение прошедшего многократного действия (изъявительное наклонение);
2. выражение действия будущего времени (сослагательное наклонение).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა  
 წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

## ნ ა ნ ა მ ი ზ რ ი ე ლ ი

 მსაზღვრელ-საზღვრულიანი შესიტყვება-ტირამინების ძირითადი  
 ტიპები „დიდი სჯულისკანონის“ მასალის მიხედვით

ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება დაკავშირებულია სამართლის ძეგლთა შექმნასთან. სამართლის ძეგლთა ტექსტების კრიტიკული შესწავლა არის ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დადგენის უმნიშვნელოვანესი პირობა. ქართული იურიდიული ლიტერატურა მეტად მდიდარია ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლებით. განსაკუთრებით საინტერესოა ნათარგმნი ძეგლები, რადგან, როგორც ივ. ჭავჭავაძის ადნიშნავს: „...მრავალი იურიდიული ტერმინის ზედმიწევნითი მნიშვნელობის გამოკვლევაც სწორედ ამ ნათარგმნი ძეგლების ენის დედნებთან შედარებით შესწავლითაა შესაძლებელი“<sup>1</sup>.

ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია დიდი სჯულისკანონის იურიდიული ტერმინოლოგია. ეს ძეგლი არსენ იყალთოელმა თარგმნა 14 ტიტლოვანი ბერძნული ნომოკანონიდან. 14 ტიტლოვანი ნომოკანონი მოიცავს ცნობილ მოძღვართა კანონიკურ ეპისტოლეებს და განმარტებებს მსოფლიო საეკლესიო კრებათა მიერ დადგენილ კანონებს, ეკლესიის საქმეებს. არსენის ეს თარგმანი წარმოადგენს პატრიარქ ფოტის მიერ 883 წ. შევსებულ და რედაქციაქმნილ კოდექსის თარგმანს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დიდი სჯულისკანონი“ ნათარგმნი ძეგლია და, მასადაამე, ტერმინთა შექმნის პროცესი გარკვეულ სირთულეებს მოიცავს. არსენმა დიდი მუშაობა გასწია იურიდიულ ტერმინთა საკუთრივ ქართული შესატყვისების ძიებისას. საერთოდ, როგორც ცნობილია, ძველი ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ, რომ თარგმნის პროცესში სიტყვის (ტერმინის) სესხებისათვის თავი აერიდებინათ და გამოეყენებინათ თუნდაც იშვიათი, ხმარებიდან გასული, მაგრამ მინც საკუთრივ ქართული საშუალებები. ამ მხრივ არც არსენია გამონაკლისი.

„დიდი სჯულისკანონის“ ენა მიჰყვება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში. ტერმინთა წარმოებისას გააქტივებულია აფიქსთა განსაზღვრული დერივაციული ტიპები და მოდელეები. ტერმინთა საერთო სისტემაში გამოიყოფა დერივაციის გარეშე არსებული ე. წ. ნულოვანი სტრუქტურის ერთეულები და ნაწარმოები ტერმინები. ჩვენ განვიხილავთ ნაწარმოებ რთულ ტერმინებს, ე. წ. ტერმინ-შესიტყვებებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად, გამოიყოფა მსაზღვრელ-საზღვრული ან ტერმინ შესიტყვებათა ოთხი ტიპი:<sup>2</sup>

1. პირველ ტიპს განეკუთვნება ისეთი შესიტყვებები, რომლის ორივე ელემენტი ტერმინოლოგიური ხასიათისაა.
2. მეორე ტიპს — შესიტყვებები, რომლებიც საზღვრული ელემენტი-ტერმინია, ხოლო მსაზღვრელი — ყოფითი მნიშვნელობის ლექსემა.

<sup>1</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ., ტ. 4, თბ., 1982, გვ. 7.

<sup>2</sup> რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986, გვ. 69.

3. მესამე ტიპს — შესიტყვებები, სადაც მსაზღვრელია ტერმინი, ხოლო საზღვრული — არატერმინი.

4. ტერმინები, რომლებშიც არც ერთი ელემენტი არ არის ტერმინი.

**I ტიპი.** მსაზღვრელ-საზღვრულთან ტერმინ-შესიტყვებათა ორივე ელემენტი ტერმინია. ამ ტიპის ტერმინები დანარჩენ სამ ტიპთან შედარებით ყველაზე ხშირად იხმარება. მათი ზოგადი კონსტრუქცია ამგვარად გამოისახება: Ad+N (ან N+Ad) და ეს უკანასკნელი, ანუ პოსტპოზიციური წყობის მქონე კონსტრუქცია, განსხვავებით თანამედროვე ვითარებისაგან, ძველ ქართულში მეტად პროდუქტიულია. ტერმინი-შესიტყვებები სტრუქტურის მრავალგვარობით გამოირჩევა. მსაზღვრელი არის როგორც მართული, ასევე ატრიბუტული, მაგრამ არსენი უფრო ხშირად მართულმსაზღვრელიან ტერმინებს ხმარობს. ამავე ტიპს მიეკუთვნება საკმაოდ დიდი ჯგუფი შესიტყვებებისა, სადაც მსაზღვრელი გაფორმებულია -ით მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით, რომელიც სიტყვაწარმოებითი ფუნქციითაა დატვირთული. ამავე ტიპთან გვხვდება ასევე სამწევრა ტერმინ-შესიტყვებებიც, რომელთა ყველა ელემენტი ტერმინია.

**I ტიპში** ყველაზე პროდუქტიულია მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებები. კონსტრუქცია უმეტესად პოსტპოზიციურია: Ad+N, თუმცა გვხვდება პრეპოზიციური კონსტრუქციაც: N+Ad. ამ ტერმინისათვის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ აქ მსაზღვრელი ფაქტობრივად სინტაქსური დამატებაა, ე. ი. ესაა მართულდამატებიანი ტერმინები. საზღვრულებად კი ძალიან ხშირად გვხვდება მასდარები, მაშასადამე, ზოგადი კონსტრუქცია ამ შემთხვევაში N+Ad კონკრეტდება ამგვარად Ng+V (მასდარი) ან (V+Ng), თუმცა საზღვრულებად ზოგჯერ ნასესხები სახელებიც იხმარება, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

„ღედაკაცი, რომელი გზასა შინა მიუდგეს და უღებ ყოს მიდგომილება იგი პატიესა კაცისკვლისასა თანამღებ იყოს“ (487). „პატიეი კაცისკვლისა“ მკვლელობის თანაფარდი სასჯელის აღმნიშვნელი ტერმინია. პატიეი საშუალო სპარსულიდან უნდა იყოს შემოსული<sup>3</sup>. ფორმა patist, pati št-დან და ნიშნავს სასჯელს, წამებას. შესიტყვებაში პატიეი საზღვრულია, ხოლო მსაზღვრელი კი კომპოზიტით — კაცისკვლა (Ng+V) არის გადმოცემული. წყობა პოსტპოზიციურია.

„ღედანი, რომელნი ჩჩვილთა საკლავსა წამალსა მისცემენ და რომელნი მიღებენ მოსარყუნელთა მათ სამსალათა, კანონითა კაცისმკულელთათა განვაკანონებთ“ (401). „კანონი კაცისმკულელთა“ ტერმინის მნიშვნელობა გასაგებია — „კაცისმკვლელთა კანონს“ ნიშნავს იგივე მსაზღვრელი კომპოზიტა, რაც წინა ტერმინში გვკონდა, ხოლო საზღვრული აქაც ნასესხები სიტყვაა, კერძოდ, ბერძნული *καὶνόν*-ის შესატყვისია, რაც სამართალს, დადგენილებას ნიშნავს<sup>4</sup>. წყობა აქაც პოსტპოზიციურია.

„ოლ (130). რაფთა რომელმან ერთმან ბრალისა გამოჩინება ვერ უძლოს სხესათეს არღარა შეწყნარებულ იქმნეს“ (352). ბრალის დამწამებელს ვალად ედვა თავისი ცნობის სიმართლის „გამოჩინებაჲ“, ხოლო თუ „ცილი დაეწამოს ვისმე, რომლის ბრალი ვერ უძლოს“, ე. ი. ვერ გამოააშკარავოს, ვერ დაასაბუთოს, ეს გარემოება უკვე ცხადყოფდა, რომ ამ შემთხვევაში შესმენა შეიძლება ცილისწამება ყოფილიყო. მაშასადამე, „გამოჩინება“ საზღვრულია და ნიშნავს

<sup>3</sup> მხ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 264.

<sup>4</sup> „დიდი სქულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაჭიძემ, ვ. ნინუამ, თბ., 1975, გვ. 592.



ლის სინონიმური წყვილია. მსაზღვრელი თავისთავად ნაწარმოებია - მიერ სუფიქსიდიის საშუალებით.

I ტიპს მიეკუთვნება აგრეთვე მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ტერმინები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, სუფიქსი აბლატივის მაწარმოებელი იყო, ახალ ქართულში -ით დაბოლოება ინსტრუმენტალის მიენიჭა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა -ით სუფიქსი ამ ორი ფუნქციის გარეშე; ტერმინებში -ით სუფიქსი გარკვეულ მეტყველების ნაწილებს დაერთო და სიტყვაწარმოებითი ფუნქციით დიტვირთა. ტერმინის ფუძეებად უმთავრესად მასდარება გამოყენებული, თუმცა გვხვდება სახელური (სადაც ფუძე არსებითი სახელია ან ზედსართავი სახელია) ფუძეებიც. განვიხილოთ მაგალითები: „ვინადაც ამისთვის მოგუეცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული“ (548). ტერმინს „ბუნებითი სჯული“ ივ. ჭავჭავაძის შვილი ასე განმარტავს: „შემოქმედმა პირველ ადამიანს და საერთოდ ადამიანთა მოდგმას მათი ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედების „სჯული დაუწესა“. ეს სჯული თვით ადამიანთა ბუნებასაც ჰქონდა თანდაყოლილი და მცნებითაც შთაგონებულ იქნა, ამიტომ ეს ბუნებითი სჯული იყო“<sup>5</sup>. რაც შეეხება თვით ტერმინ „სჯულს“, მზ. ანდრონიკაშვილის აზრით, ის უნდა უკავშირდებოდეს სპარსულ ფუძე Sač-ს, რაც ნიშნავს, „იყო შესაფერისი წესიერი, ღირსი“<sup>7</sup>. მსაზღვრელის ფუძე სახელურია, რომელზეც დართულია -ით სუფიქსი.

„მრავალნი განყოფილებანი არიან ნებსითთა თუ უნებლიეთთა კაცისკვლათანი და სხუთა ცოდვითანი“ (477). „ნებსითი და უნებლიეთი კაცისკვლა“ ეს არის ანტონიმური ტერმინოლოგიური წყვილი, ქართული ტერმინი „ნებსითი“ უდრის ბერძნულ *εξουσιαν*-ს, ხოლო უნებლიეთი — *ἀνασταν*-ს. შინაარსი გამჭვირვალეა. „ნებსითი“ არის განზრახვითი მკვლელობა, ხოლო უნებლიე, დღევანდელი ტერმინოლოგიით, რომ ვთქვათ, — გაუფრთხილებლობითი. არსენის მიერ მოცემული ტერმინოლოგიური წყვილი უკეთესადაა მოტივირებული, ვიდრე მათი შესატყვისი თანამედროვე ტერმინები. პირველი მსაზღვრელის — ნებსითი — ფუძე სახელურია (არს. სახ.), მეორისა — უნებლიეთი — ნაწარმოები და ფაქტობრივად -ით სუფიქსი ზედსართავ სახელს დაერთვის. საზღვრული — კომპოზიტია, რომელიც ასევე მსაზღვრელ-საზღვრულიანია.

„ანუ იქმნეს ამისათვის ცილობითი ძიება“ (382). „ცილობითი ძიება“ ტერმინი უკავშირდება ცილისწამებას. მსაზღვრელი მოქმედებითი ბრუნვის მორფემოიდინი მასდართაა (ცილობითი) წარმოდგენილი, საზღვრული — საწყისით.

ამავე I ტიპში მეტად აქტიურია ისეთი სამწვერიანი ტერმინ-შესიტყვეებერ, რომლებიც ფაქტობრივად ერთ ყალიბში, ერთგვარ „პარადიგმაში“ თავსდება. განვიხილოთ მაგალითები:

„უკუეთუ ეპისკოპოსი დროებდეს საქონლის რაფათსმე განბჭობასა, ნებიერობა აქუს მოსამართლესა მისლვად მთავრისა მიმართ, ხოლო იგი ბრალის ქვეშე ქმნილი, ნუ მისცემენ თავსმდებსა, არა მხოლოდ აღსარება ყავნ წმიდითა თვნიერ ფიცითა“ (166). „ბრალის ქვეშე ქმნილი“ ბრალდებულს ნიშნავს.

„შეჩუენებასა ქუეშე ქმნილი წმიდისა მთავარეპისკოპოსისა იონანე პაპისაგან“ (447). „შეჩუენებასა ქუეშე ქმნილი“ — დამნაშავე, რომელიც შეჩვენებულ იქმნა, ე. ი. ერთგვარად დაისაჯა.

ეს ორი კონსტრუქცია, რომელიც ფაქტობრივად იდენტურია, განსხვავდება

<sup>5</sup> ავ. შანიძე, თხზ., ტ. I, თბ., გვ. 19.  
<sup>6</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, თხზ., ტ. VII, თბ., 1984, გვ. 188.  
<sup>7</sup> მზ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 271.



მსაზღვრელებით; პირველი მათგანის მსაზღვრელი სახელურია, მეორე კი ზმნური. მთავარი ის არის, რომ მათ სემანტიკურად ერთი საფუძველი აქვთ და ცნება „დანაშაულს“ უკავშირდებიან. შესიტყვების მეორე წევრი — მსაზღვრელი ქუთუხე ქმნილი — უკვე იძლევა ამის პირობას, ხოლო მსაზღვრელი კი გვაძლევს დანაშაულის ან სასჯელის დიფერენციაციის საფუძველს.

**II ტიპი.** ამ ტიპის ტერმინებში, ტრადიციული განსაზღვრის თანახმად, მსაზღვრელი ჩვეულებრივი სიტყვაა, საზღვრული კი ტერმინი. როგორც I ტიპში, აქაც გამოიყოფა ატრიბუტულ მსაზღვრელიანი ტერმინ-შესიტყვებები. ამ ტიპის ტერმინ-შესიტყვებებში მსაზღვრელად ჰარბობს ზედსართავი სახელი და მასდარი. შესაბამისად გვაქვს ორი კონსტრუქცია. 1. Ad+N ან Ad+V; 2. V+N (მასდარი). აქაც გვხვდება მოქმედებით ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ტერმინ-შესიტყვებები. განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს.

„არა დადგრომა ბოროტთა ბჭობათა ზედა, ვინა ცა რომელმან ბოროტის ყოფისათვის სხვისა ფიცი ი უმიოს, აღტაცებით დაუმჭირვებლობისათვის უკუე ფიცისა სინანული აჩუენოს“ (487). „ბოროტთა ბჭობათა“ ტერმინი „ბოროტი განზრახვის“ მნიშვნელობით იხმარება. ბჭობა წამყვანი, ძირითადი ტერმინია. ტერმინი „ბჭე“ X—XI საუკუნეებში ჩნდება და მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში მსაჯულის აღსანიშნავად იხმარებოდა იმგვარადვე, როგორც „ბჭობა“ გასამართლების მნიშვნელობით<sup>8</sup>. შემდეგში „ბჭე“ გაქრა, ხოლო „ბჭობამ“ თათბირის მნიშვნელობა მიიღო.

„რამეთუ უკუეთუ უწერელთა წესთა, ვითარცა არა დიდისა ძალისა მქონებელთა დაჯსნად კელ-ყვით საწყალობლად ვიზღვინეთ თვით მისა სახარებისა-გან“ (506). „უწერელნი წესნი“ დაუწერელი კანონის მნიშვნელობითაა ნახმარი. წესი არის იგივე კანონი, რიგი, ხოლო მსაზღვრელი უქონლობის უ- პრეფიქსიანი მიმღეობითაა გადმოცემული.

„...საიციელ ყვენს შესაძრწუნებელიცა წესი“ (448). „შესაძრწუნებელნი წესნი“ — საზღვრული ამ ტერმინშიც წესია, ხოლო მსაზღვრელი — შესაძრწუნებელი, რაც კანონით აკრძალულს, მტკიცედ დადგენილს, დაუღრვეველს უნდა ნიშნავდეს. გადმოცემულია საობიექტო მიმღეობით.

„კზ (27) ხუცესნი და დიკონნი, რომელნი მიძიმეთა ცოდვათავის იმზილენ ვითარცა ერისკაცნი ჯელის დასადებად ნუმცა სადა შეწყყარებულ იქმნებიან.“ „მიძიმე ცოდვანი“ — ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერმინი, რომელიც იძლევა დანაშაულის ხარისხის დიფერენციაციის საშუალებას. ამგვარ დანაშაულობებს მიეკუთვნება, მაგ., თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედება და შეცოდება<sup>9</sup>. იურიდიულ ტერმინოლოგიაში მოიპოვება ამ ტერმინის ანტონიმური წყვილიც — უმსუბუქესი ბრალი ან ცოდვა. ეს ფაქტიც იმდროინდელი იურიდიული ტერმინოლოგიური სისტემის მკაცრ მოწესრიგებულობაზე მიგვიჩვენებს.

„რამეთუ უსუბუქეს არს ბრალი მისი, რომელსა გამოუცდებლობისათვის თვისისა ენებოს მოსყიდვაჲ მადლისა მის“ (505). „უსუბუქესი ბრალი“ — მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის ფორმა, საზღვრულად კი ჩვენ მიერ არაერთხელ ხსენებული მარტივი უაფიქსო ტერმინი — ბრალი.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ამ ტიპშიც გვხვდება მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ტერმინ-შესიტყვებები.

„ნუ კელდასხმულ იქმნების პირველად, ვიდრემდის არა იქმნას გამოწუ-

<sup>8</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, თხზ., ტ. VII, გვ. 339—340.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 205.



ლივეთი გამოძიებამ და გამოჩნდეს ყოვლითურთ უბრალოდ“ (128). „გამოწულივეთი გამოძიება“ — ტერმინი გამოძიება საჭირო იყო „შესმენის“ თუ ბოლდების სისწორისა და საფუძვლიანობის გასარკვევად; რაც შეეხება სიტყვების მეორე წევრს — გამოწულივა — მასდარია და დაწვრილმანებას ნიშნავს. ეს არის ჩვეულებრივი არატერმინოლოგიური ერთეული, მაგრამ შესიტყვება მთლიანად უკვე მყარი ტერმინია. რაც შეეხება მთლიანად ტერმინის შინაარსს, „გამოწულივეთი გამოძიება“ აღნიშნავს დაწვრილებით გამოძიებას.

**III ტიპი.** ამ ტიპის შესიტყვებებში მსაზღვრელი ტერმინია, საზღვრული — ჩვეულებრივი სიტყვა. ეს ტერმინები არცთუ ისე ხშირად იხმარება, შესიტყვების ელემენტები — ძირითადად მსაზღვრელიც და საზღვრულიც და მიმღეობები — გადმოცემულია ზნურთი ფუძეებით; მსაზღვრელად უმეტესად მასდარები გვხვდება, იშვიათ შემთხვევაში სახელებიც. ამიტომ კონსტრუქცია შემდგენიარად გამოისახება: 1. V(მასდ.)+P(მიმღ.); 2. P(მიმღ.)+N; 3. N+V(მსდ.). საინტერესოა, რომ სინტაქსური დამოკიდებულება სინტაგმაში აუცილებლად მირთვა ანდა მართვაა, შეთანხმება საერთოდ არ გვხვდება. განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს.

„თავი ზ (7). უწინარეს ნათლისღების ცოდვასა შთავრდომილთათვის და კათაქმეველთა ცოდვითა შებრკოლებულთათვის“ (114). „ცოდვასა შთავრდომილი“ — „ცოდვაში ჩაყარდნილი“, ე. ი. დანაშაულს ნაზიარებს უნდა ნიშნავდეს. თვით ტერმინ „ცოდვას“ (დანაშაულს) მზია ანდრონიკაშვილი ოსურ სიტყვას *caud-*-ს უკავშირებს, რაც არის ნამყოს მიმღეობა ზნა *caewyn* — სელა, ე. ი. „წასული“. შდრ. რუს. *пошлый*. მისი აზრით, ეს სიტყვა ძალიან ძველი ნასესხებია<sup>10</sup> ალანურიდან. რაც შეეხება შთავრდომილს, ეს ჩვეულებრივი სიტყვაა, საზღვრულია, რომელიც წარსული დროის საობიექტო მიმღეობითაა გადმოცემული. იგივე ითქმის ტერმინ — „ცოდვითა შებრკოლებულზე“; ეს ნიშნავს „ცოდვით შეფერხებულს“. საზღვრული აქაც ნამყო დროის საობიექტო მიმღეობით არის გადმოცემული.

„თავი ლ (30). ქორწილსა შინა წარმტაცებელთათვის დედათაჲსა“ (119). „წარმტაცებელი დედათაჲსა“ — ქალთა მომტაცებელი. მსაზღვრელი აწმყო დროის სასუბიექტო მიმღეობითაა გადმოცემული, საზღვრული კი არსებითი სახელით.

„მოწმობითნი წარწერანი კანონთა ზედა წმიდისა ამის კრებისა“ (405). „მოწმობითი წარწერანი“ — დამამტკიცებელი, დასამოწმებელი ხელისმოწერების მნიშვნელობით არის ნახმარი. მოწმობითი — ტერმინ მოწმედან არის ნაწარმოები. აქაც დასტურდება ჩვენ მიერ უკვე მრავალჯონ განხილული -ით ბრ. ნიშნის სიტყვაწარმოებითი ფუნქციით ხმარების პროდუქტიულობა, ხოლო მეორე ელემენტი — წარწერა — ჩვეულებრივი სიტყვაა და არსებითი სახელით არის გადმოცემული.

„თ (9). უკუეთუ ვინმე გამოუძიებლად მიყვანებულ იქმნეს პატივისა ხუცობისასა და შემდგომად გამოძიებისა აღიარნეს ცოდვანი, მათნი“ (233). „გამოუძიებლად მიყვანებულ“ — ტერმინის მნიშვნელობა ნათელია. გამოძიების — შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა, ხოლო მიყვანებული — ჩვეულებრივი სიტყვაა, რომელიც წარსული დროის საობიექტო მიმღეობითაა გადმოცემული.

„ხოლო საფლავთ მკურნელველნი თანამდებ. არიან ეკლესიათ მკრეხველთათვისსაცა სჯულსა“ (177). „სჯულის მკრეხველნი“ ნიშნავს კანონის შეურაცხყოფას; ტერმინი სჯული უკვე გვქონდა განხილული. „მკრეხველი“ დღევანდელ ქართულში აღარ იხმარება. ხმარებაში ძირითადად შემორჩენილია მხოლოდ სიტყვა „მკრეხელობა“, რომელსაც სარწმუნოების შეურაცხყოფას გამოხატავს.

<sup>10</sup> შ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.  
9. მაკენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 3

IV ტიპი. ეს უკანასკნელი განსხვავებულია დანარჩენი ტიპებისაგან, რადგან აქ არც ერთი წევრი შესიტყვებისა არ არის ტერმინი. შესიტყვებას წარმოადგენს ჩვეულებრივი სიტყვებისგან შედგება. აღნიშნული ტიპის ტერმინები იშვიათად იხმარება და ამიტომაც მცირე რიცხოვანია. შესიტყვება გვაქვს როგორც მართულ, ასევე შეთანხმებულ-მსაზღვრელიანი. განვიხილოთ მაგალითები.

„თავი კვ (23). საფლავის მკურნალებელთაგანნი უკუეთუ საქურვლითა ყოფილყენნ თავის კუეთითა დასჯებიან“ (177). „საფლავის მკურნალებელი“ — საფლავის მძარცველს ნიშნავს. აქ მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილში გვაქვს კონსტრუქცია Ng+V (მიმღეობა). ეს ტერმინი ძალიან ხშირად გვხვდება მთელ ტექსტში და მის პარალელურად გვაქვს მისივე სინონიმური მეორე ტერმინი შესიტყვება, კერძოდ, „საფლავისა მკრეხველი“, რომელიც ასევე „საფლავის მძარცველს“ ნიშნავს.

„თავი (66). საფლავისა მკრეხველი ათ წელ უზიარებელ იყოს“ (492). აქაც იგივე კონსტრუქცია Ng+V (მიმღ). პირველი მიმღეობა „მკურვა“ ზმნიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც ალბათ შეეწროებას, აოხრებას უკავშირდება. „მკრეხველი“ კი უკვე განვიხილეთ. ეს ორივე შესიტყვება-ტერმინია, რადგან აღნიშნავს დამნაშავეს გარკვეულ, ერთ კატეგორიას.

მსაზღვრელ-საზღვრულიან შესიტყვებათა ძირითადი ტიპების ზოგადი მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყველაზე პროდუქტიულია I ტიპისა (კერძოდ, პირველ რიგში მართულ-მსაზღვრელიანი, შემდეგ ატრიბუტი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული) II ტიპის ტერმინები. რაც შეეხება დანარჩენ ორ ტიპს, მათი ტერმინები არ გამოირჩევა ხმარების დიდი სიხშირით.

Н. В. МЕТРЕВЕЛИ

### ОСНОВНЫЕ ТИПЫ ТЕРМИНОЛОГИЧЕСКОГО СЛОВСОЧЕТАНИЯ: ОПРЕДЕЛЯЕМОЕ С ОПРЕДЕЛЯЮЩИМ СЛОВОМ В «ВЕЛИКОМ НОМОКАНОНЕ»

Резюме

В работе анализируется юридическая терминология «Великого Номоканона», в частности, четырех основных типов терминологических словосочетаний:

1. Словосочетания, в которых обе части являются терминами.
2. Словосочетания, в которых определяемое слово — термин, определяющее — обыкновенная лексическая единица.
3. Словосочетания, в которых определяющее слово — термин, определяемое — обыкновенная лексическая единица.
4. Словосочетания, в которых ни одна часть не является термином.

Выяснилось, что самыми продуктивными терминами являются словосочетания I и II типа, что касается остальных двух типов, они не являются столь продуктивными, как два предыдущих.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

## ენის ზუმბურშია

## ძონების რთულსუფიქსიანი ზოგი სახელის ეტიმოლოგიისათვის

-იან, -ოვან, -ოსან, -იერ რთული სუფიქსებით ნაწარმოებ ქონების სახელთა უმეტესობა გამჟღავნებულ აგებულებებისა და მათი ეტიმოლოგიური ანალიზი ძნელი არ არის, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ისეთი ფუძეებიც, რომელთა სეგმენტაცია ძირეულ და აფიქსურ მორფემებად და ძირის მნიშვნელობის დადგენაც გარკვეულ სიძნელებებთან არის დაკავშირებული.

ზოგ სახელში თითქოს აშკარად გამოიყოფა მქონებლობის მაწარმოებელი ესა თუ ის სუფიქსი, მაგრამ ძირის მნიშვნელობის ძიებისას ირკვევა, რომ მათ ამ სუფიქსებთან საერთო არაფერი აქვთ. რამდენიმე ასეთი სახელი განხილული აქვს ა. შანიძეს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“. ესენია: **ბანოვანი**, **კრიალოსანი**, **მგოსანი**. პირველი მათგანი წარმოშობით სპარსული სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაა, ქართულში მხოლობითად გაგებული (ბანუ „ქალბატონი“, ბანუ-ან „ქალბატონები“). სპარსულიდან მოდის აგრეთვე **მგოსანი** (კოსან, გოსან „მეჩანვე“), **კრიალოსანი** კი მიღებულია ბერძნული გამოთქმისაგან (კირიე ელეისონ „უფალო, შეგვიწყალო“)<sup>1</sup>.

ზოგჯერ ესა თუ ის სიტყვა მქონებლობის სუფიქსით ჩანს ნაწარმოები, მაგრამ პარალელურად არსებულ იმავე ძირის მქონე სხვა ფორმებთან შედარება ცხადყოფს, რომ იგი სხვაგვარი აგებულებისა ყოფილა.

საბას ლექსიკონში წარმოდგენილია **მკოდოვანი**, რომელსაც ასეთი განმარტება ახლავს: „ფრიად გლახაკი“ (ZaB), „მოკლებული ანუ უქონელი“ (CD). დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მკოდოვანი არის „გლახა, нищій“.

**მკოდოვანი** თითქოს -ოვან სუფიქსით ჩანს ნაწარმოები, მაგრამ ძველ ქართულში გვაქვს აგრეთვე **მკოდოვი**, რომელიც „მდიდრის“ ანტონიმი და „ღარიბის“, „ლატაკის“, „უქონელს“ ნიშნავს: „უკუეთუ ავასხო ვეცხლი ძმასა შესნა მკოდოვსა“ (გამოსლ. 22,25); „მდიდარმან არა შესძინოს და მკოდოვმან არა დააკლოს კერძოვსა მისგან სატირისა“ (გამოსლ. 30,15); „ერთ ყვის გონება... მდიდრისა და მკოდოვისა“ (I ეზრა 3,19).

გვხვდება აგრეთვე იმავე ძირისაგან ნაწარმოები **სიმკოდოვე**||**სიმკოდოვენ**, **უმკოდოვენი**<sup>2</sup>.

ამრიგად, **მკოდოვი** და **მკოდოვანი** მნიშვნელობით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ფორმის მხრივ კი მათი შეპირისპირება ნათლად გვიჩვენებს, რომ **მკოდოვანი** ნაწარმოებია -ან სუფიქსით და არა -ოვან-ით. თუმცა თვათონ **მკოდოვ**-ში შეიძლება გამოიყოფოდეს -ოვ არქაული სუფიქსი (აგრეთვე მ-პრეფიქსიც), მაგრამ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია ძირის მნიშვნელობისა და წარმომავლობის გაურკვეველობის გამო.

თითქოს -ოვან სუფიქსით უნდა იყოს წარმოქმნილი **კეროვანი**, რომელიც ძველ ქართულში გვხვდება „დიდი ცვილის სანთლის“, „კელაპტრის“ მნიშვნელობით: „**კეროვნი**თა აღნთებულთა და საკუმეველითა სულნელითა აღვიკუნენთ პატიოსანნი ძუალნი“ (შუშ. XIX, 9).

1 ა. შანიძე, თხზულებანი, III, 1980, თბ., გვ. 80, 124—125.

2 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

მაგრამ ამ სახელის პარალელურად გვაქვს **კერეონი**, რომელიც იშვიათად ახალ ქართულშიც დასტურდება და განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით უფრო მართებულ ფორმად არის მიჩნეული. ამ ორი ფორმის შეზღვევით გვაფიქრებინებს, რომ **კეროვან-ში** -ოვან მეორეული უნდა იყოს.

ზოგ სახელში ქონების სუფიქსი თითქოს აშკარად ფუნქციონირებს, მაგრამ მისი გამოყოფის შემდეგ დარჩენილი ძირეული მორფემა დამოუკიდებელი სახით ქართულში არ დასტურდება და მისი მნიშვნელობა უცნობია. ასეთებია, მაგალითად: **მღიერი**, **ნოყიერი**, **ღიზიანი** (შდრ. გაღიზიანება) და სხვ. ზოგი ასეთი სახელი მხოლოდ ძველ ქართულში გვხვდება, ახალში კი აღარ იხმარება: **ანგროვანი** („ცხერის ფარა“, „შინაური პირუტყვი“), **მხუვეროვანი** („ნახევარ-ქმელი“), **შატროვანი** („ნაქსოვი“), **ჩარადოვანი** („კანის ავადმყოფობით დაავადებული“), **შილიანი** („ლბილი“, „ელამი“), **მტიერი** („ბელატი“) და სხვ.

ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში შეტანილია **ბორტნოანი**, რომელიც განმარტებულია როგორც ბალი, ბაღა. საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ერთადერთი მაგალითი „მამათა ცხორებიდან“: „შეჰავეს მონაზონსა, რათა არა მოცალე იყოს... არცა წყაროებისათვის კეთილად აღმომდინარისა ანუ სამოთხეთათვის და **ბორტნოანთა** და ფერად-ფერადთათვის მხალთა (მ. ცხ. 79r).

როგორც ხელნაწერის შესწავლით ირკვევა, ეს სიტყვა ლექსიკონში შემთხვევით არის მოხვედრილი. რ-სა და ს-ს გრაფიკული მსგავსების გამო მკვლევარს ხელნაწერიდან ამოუკითხავს არარსებული სიტყვა „ბორტნოანი“, „ბოსტნოანი“-ის ნაცვლად. „ბოსტანი“ ი. აბულაძეს განმარტებული აქვს როგორც „ბალი, ყვავილნარი“. როგორც ჩანს, ეს სიტყვა იხმარებოდა დღევანდელი გავებითაც: „აპოთიკი და **ბოსტანი** და წისქვილი კელრისა საურაენი იყვნეს“ (იოანეს და ეფთვიმეს ცხორება 43,29).

„ბოსტანი“ არაერთხელ გვხვდება „მამათა ცხორებაშიც“; ბოსტინსათს (96r), მებოსტენ (96r), ბოსტანი თვისი (იქვე).

„ბოსტნოანი“ იგივეა, რაც „ბოსტანი“, -თან სუფიქსს აქ მჭონებლობის გამოხატვის ფუნქცია არა აქვს, ისევე როგორც ზოგ სხვა შემთხვევაში (შდრ. **მტილ-ოვან-ი**: „მყის შეიმოსნეს თავნი მათანი და განემზადნეს მტილოვანი“. ექუს. დღ. 75,14).

ქონების -იერ სუფიქსით ჩანს ნაწარმოები **მღ-იერ-ი**. მისი ფუძე უნდა უკავშირდებოდეს მღილ-ს. ამგვარი დაკავშირების შესაძლებლობა ნაგულისხმევი აქვს ი. აბულაძეს, რომელიც თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „მღიერ“-თან მიუთითებს: „იხ. მღილი“.

აღნიშნული ლექსიკონის მიხედვით, მღილი იგივეა, რაც ჩრჩილი (tinea). ის ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა: „სამოსლისაგან გამოკლის **მღილი**“ (ოშკის ბიბლია, ზირ. 42,13); „სადა-იგი მპარავი არა მიეხება, არცა **მღილმან** განრყუნის“ (ლ. 12,33); „**მღილმან** ვერ შეუძლოს ხესა მაგარსა და ფიცხელსა განრყუნად, არამედ ლბილსა და ფატარსა ეუფლის“ (მამათა სწავ. 152,8).

